ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

114/3
1996

9-10

1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

წელიწადი 72-ე № 9-10 1996 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება 3

პროზა, პოეზია

თამაზ ჭილაძე — სიზმრების ახსნა. დრამა. 15
ფრიდონ ხალვაში — ლექსები 38
ნანა ეხვაია — რა დროს ეს არი? პუბლიცისტური მოთხრობა 41
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები 61
მერაბ აბაშიძე — როცა სამყარო სიკვდილს მოგისჯის. რომანი 70
ელა გოჩიაშვილი — ლექსები 107
ლადო სულაგერიძე — ცხადსიზმარიანა (თავგადასავალი). ნაწილი მეორე. დასასრული 110

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თეიმურაზ მიგჩუანი — აბაზები ანუ „სუანო-კოლხები“ 119
ანა რატიანი — მოგონებები გალაკტიონზე 123
რევაზ კვერენჩხილაძე — ემიგრაციაში ყოფნისათვის დასჯილნი 140
ნორა კოტინოვი — პაკაკი წერეთლის პირადი წერილები ანასტასია ბაბრატიონ-მაჩაბლისადმი 150

მეცნიერება

ვახტანგ გოილაძე — საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი — „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ 162
გურამ ნარსიძე — სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა და ტაძრის აგების თარიღი 171

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ გვერდწითელი, ალექსანდრე გომიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრელაშვილი, გიორგი ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), **ნოდარ ფუ-ლეისკირი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **რევაზ ჯაფარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია

ძველი აღთქმა

პირველი მაკაბელთა

თავი მეთერთმეტე

1. ეგვიპტის მეფემ თავი მოუყარა
დიდ ლაშქარს, როგორც ქვიშას ზღვის
ნაპირზე, და მრავალ ხომალდს, და ცდი-
ლობდა, ვერაგობით დაეპყრო ალექსანდ-
რეს სამეფო და მიეერთებინა თავისი სა-
მეფოსთვის; 2. გაემართა სირიისკენ სამ-
მშვიდობო სიტყვებით და უღებდნენ ქა-
ლაქთა კარიბჭეებს და ეგებებოდნენ.
მეფე ალექსანდრეს ნაბრძანები ჰქონდა,
დახვედროდნენ მას, რადგან მისი სიმა-
მრი იყო. 3. როგორც კი შევიდოდა ქა-
ლაქში პტოლემეოსი, ყოველ ქალაქში
ჯარებს აყენებდა მცველად. 4. ხოლო
როგორც კი მიუახლოვდა აშდოდს, უჩ-
ვენეს მას გადამწვარი დაგონის ტაძარი,
მოოხრებული აშდოდი და მისი გაუდა-
ბურებული გარეუბნები, დაჩეხილი და
დანახშირებული სხეულები, ბრძოლაში
რომ დაიწვნენ. მათ გროვებს ახვედრე-
ბდნენ გზაზე. 5. უამბეს მეფეს, რაც გა-
აკეთა იონათანმა, და ბრალი დასდეს,
მაგრამ დუმდა მეფე. 6. იაფოსთან შეეგე-
ბა იონათანი მეფეს პატივით. შეხვდნენ
ერთმანეთს და იქ გაათენეს. 7. იმგზავრა
იონათანმა მეფესთან ერთად მდინარემ-
დე, რომელსაც ეძახიან ელევთეროსს,
და გაბრუნდა იერუსალიმისაკენ. 8. ხო-
ლო მეფე პტოლემეოსი განაგებდა სანა-
პირო ქალაქებს ზღვისპირის სელევკი-
ამდე და ბოროტი ზრახვები ჰქონდა
ალექსანდრეს წინააღმდეგ. 9. გაგზავნა
ელჩები მეფე დემეტრიოსთან, შეუთვა-
ლა: მაშ, მოდი კავშირი შევკრათ ერთ-
მანეთთან მოგცემ შენ ჩემს ასულს,
ალექსანდრეს რომ ჰყავს ცოლად, და
გამეფდები მამაშენის სამეფოში. 10.
ვნანობ, რომ მას მივეცი ჩემი ასული,
რადგან ჩემს სიკვდილს ეძიებდაო. 11.
ცილი დასწამა მას, რადგან თვითონ
უნდოდა მისი სამეფო. 12. წაართვა
მას ცოლი და მისცა ის დემეტრიოსს.
გაუუცხოვდა ალექსანდრეს და გაცხადდა
მათი მტრობა. 13. შევიდა პტოლემეოსი
ანტიოქიაში და დაიდგა აზიის გვირგვი-
ნი, ორი გვირგვინი ედგა თავზე — ეგ-
ვიპტისა და აზიისა. 14. მეფე ალექსან-
დრე კი იმ დროს კილიკიაში იყო, რად-
გან განერიდა იქაურ ადგილებს. 15.
გაიგო ეს ალექსანდრემ და გაემართა
მასთან საომრად. პტოლემეოსმაც გამო-
ილაშქრა, წინ დაუხვდა მას ძლიერი ხე-
ლით და განდევნა იგი. 16. გაიქცა ალე-
ქსანდრე არაბეთში, სადაც შეეფარებინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა თავი. მეფე პტოლემეოსი კი აღზევ-
და. 17. არაბმა ზაბდიელმა თავი მოჰ-
კვეთა ალექსანდრეს და გაუგზავნა პტო-
ლემეოსს. 18. მაგრამ მესამე დღეს მეფე
პტოლემეოსი მოკვდა, ხოლო მის ციხე-
სიმაგრეებში მყოფნი ციხე-სიმაგრეების
ხალხმა დახოცა. 19. და გამეფდა დემეტ-
რიოსი ასსამოცდამეჩვიდმეტე წელს. 20.
იმ დღეებში შეკრიბა იონათანმა იუდას
ხალხი, რომ ბრძოლით აეღოთ იერუ-
სალიმის ციხე. და მის წინ უამრავი
მანქანა დააყენა. 21. მათი ერის მოძუ-
ლე 'რჯულსგამდგარი კაცები გაეშურ-
ნენ მეფისკენ და აცნობეს მას, ციხეს
შემოერტყაო იონათანი. 22. შეიტყო ეს
და განრისხდა. და შეიტყო თუ არა,
მაშინვე გაემართა პტოლემაისისკენ,
შეუთვალა იონათანს, არ შემორტყმოდა
ციხეს და დაუყოვნებლივ შეხვედროდა
მას პტოლემაისში მოსალაპარაკებლად.
23. რომ მოისმინა ეს იონათანმა, ბრძა-
ნა, განეგრძოთ ალყის შემორტყმა. შემ-
დეგ ისრაელის უხუცესთაგან და მღვდე-
ლთაგან აარჩია კაცები და თავი საფრ-
თხეში ჩაიგდო. 24. აიღო ვერცხლი და
ოქრო, სამოსელი და სხვა მეტად ძვირ-
ფასი ნივთები, გაემგზავრა მეფესთან
პტოლემაისში და ჰპოვა მადლი მის წი-
ნაშე. 25. თუმცა ვიღაც ურჯულოებმა
მისი ხალხიდან დაასმინეს იგი, 26. მე-
ფე მაინც ისე მოექცა მას, როგორც
მისი წინამორბედნი ექცეოდნენ, და აღ-
აზევა ის ყველა თავისი მეგობრის წი-
ნაშე. 27. დაუმტკიცა მას მღვდელმთა-
ვრის ხარისხი და ყველა სხვა პატივი,
რაც წინათ ჰქონდა, და უახლოეს მე-
გობრებში უპირველესად შერაცხა. 28.
მოსთხოვა იონათანმა მეფეს, აეხსნა
ხარკი იუდასთვის, სამი ოლქისთვის და
სამარიისთვის, და აღუთქვა მას სამასი
ტალანტი. 29. დათანხმდა მეფე და მის-
წერა იონათანს წერილი ყოველივე ამის
თაობაზე ამგვარი შინაარსისა: 30. მე-
ფე დემეტრიოსი ძმას იონათანს და იუ-
დაელთა ერს მოგიკითხავ. 31. ასლი
წერილისა, რომელიც ლასთენეს, ჩვენს
ნათესავს, მივწერეთ, თქვენს შესახებ,
თქვენც გამოგგზავნეთ, რათა იცოდეთ,
32. მეფე დემეტრიოსი ლასთენეს, მა-
მას, მოგიკითხავ. 33. იუდაელთა ერს,
ჩვენს მეგობრებს და ჩვენდამი ვალდე-
ბულებების ერთგულად შემსრულებელთ,
გადავწყვიტეთ სიკეთე ვუყოთ, რადგან
კეთილგანწყობილნი არიან ჩვენდამი.
34. ვუმტკიცებთ მათ იუდას მიწა-წყალს,
სამ ოლქს — აფაირემას, ლოდსა და რა-
თამინს, რომლებიც მიუერთდა იუდას
სამარიიდან ყველას, ვინც მსხვერპლს
სწირავს იერუსალიმში, ვათავისუფლებთ
სამეფო გადასახადისაგან, რომელსაც
უწინ ყოველწლიურად იღებდა მეფე მი-
წის მოსავლიდან და ხეთა ნაყოფებისა-
გან. 35. ამიერიდან სხვა დანარჩენი გა-
დასახადებიდან, რაც გვერგება, მეათე-
დებიდან, ხარკებიდან, რაც გვერგება,
მარილის ტბიდან და გვირგვინის ხარ-
კიდან, რაც გვერგება, — ყოველივე
ამისგან ვათავისუფლებთ მათ. 36. არც-
ერთი ამათგანი არ შეიცვლება ამიერი-
დან სამარადისოდ. 37. მაშ, ახლა იზ-
რუნეთ, რომ გააკეთოთ ასლი, გადას-
ცეთ იონათანს და დადოთ წმიდა მთაზე
გამოსაჩენ ადგილას. 38. როცა დაინახა
მეფე დემეტრიოსმა, რომ დაწყნარდა
ქვეყანა მის წინაშე და რომ არაფერი
აღდგომია წინ, დაითხოვა მთელი თა-
ვისი ჯარი, თითოეული თავისი ადგილი-
საკენ, გარდა უცხოელთა ჯარებისა,
რომლებიც დაქირავებული ჰყავდა სხვა
ხალხების კუნძულებიდან, რისთვისაც
მტრობდა მას მთელი მამაპაპეული ლა-
შქარი. 39. ტრიფონმა, რომელსაც ად-
რე ალექსანდრეს მხარი ეჭირა, დაინა-
ხა, რომ მთელი ჯარი დრტვინავდა დე-
მეტრიოსზე, და გაემართა არაბ იმალ-
კუესკენ, ვინც ზრდიდა ანტიოქოსს,
ალექსანდრეს ჩვილ ვაჟს. 40. არწმუ-
ნებდა, მისთვის ჩაებარებინა ბავშვი,
რათა გაემეფებინა მამამისის ნაცვლად.
მერე უამბო ყველაფერი, რაც გააკეთა
დემეტრიოსმა და როგორ მტრობდა
მას მისი ლაშქარი. და დარჩა იქ დიდ-
ხანს. 41. შეუთვალა იონათანმა მეფე
დემეტრიოსს, რომ გაეყვანა იერუსალი-
მის ციხეში და სიმაგრეებში ჩაყენებუ-
ლი რაზმები, რადგან ებრძოდნენ ისრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელს. 42. შეუთვალა დემეტრიოსმა იონათანს: არა მარტო ამას გავაკეთებ შენთვის და შენი ხალხისთვის, არამედ დიდებით განგადიდებთ შენ და შენს ხალხს, თუკი შესაფერი ჟამი ვპოვე. 43. ახლა, სწორად მოიქცევი, თუ გამომიგზავნი ჩემს მოკავშირე მეომრებს, რადგან ამბოხებულია მთელი ჩემი ჯარი. 44. გაუგზავნა იონათანმა ხამიათასი მაგარი ვაჟკაცი ანტიოქიაში. წარდგნენ მეფესთან და გაიხარა მეფემ მათი მოსვლით. 45. ასოციათასამდე ქალაქელი შეიკრიბა შუა ქალაქში და ეწადათ მეფის მოკვლა. 46. მაგრამ მეფემ სასახლის ეზოში შეასწრო, ქალაქელებმა კი დაიკავეს ქალაქის გასასვლელები და დაიწყეს ბრძოლა. 47. მეფემ იუდაელებს მოუწოდა დასახმარებლად და ყველანი ერთად მოგროვდნენ მასთან, გაიფანტნენ ქალაქში და დახოცეს იმ დღეს ასიათასამდე კაცი. 48. გადაწვეს ქალაქი და დიდძალი ნადავლი აიღეს იმ დღეს, და იხსნეს მეფე. 49. როცა დაინახეს ქალაქელებმა, რომ აიღეს ქალაქი იუდაელებმა, როგორც მათ უნდოდათ, სულით დაეცნენ და თხოვნით შეჰღაღადეს მეფეს. 50. მოგვეცი მარჯვენა და შეწყვიტონ იუდაელებმა ბრძოლა ჩვენთან და ქალაქთან. 51. დაყარეს იარაღი და ჩამოაგდეს მშვიდობა. განითქვნენ იუდაელები მეფისა და ყველას წინაშე მის სამეფოში, და მიბრუნდნენ იერუსალიმისკენ დიდძალი ნადავლით. 52. დაბრძანდა მეფე დემეტრიოსი თავის სამეფო ტახტზე და დაწყნარდა ქვეყანა მის წინაშე. 53. მაგრამ ყველაფერში გვიმტყუნა, რაც თქვა, და გაიუცხოვა იონათანი და არ მისცა დაპირებული შეღავათები. ძალზე გაანაწყენა იგი. 54. ამის შემდეგ იყო, რომ დაბრუნდა ტრიფონი ანტიოქესთან უასაკო ბავშვითურთ. 55. შეიკრიბნენ მასთან ჯარები, რომლებიც დაითხოვა დემეტრიოსმა, და გაილაშქრეს მის წინააღმდეგ, გაიქცა და ივლტოდა. 56. გამოიყვანა ტრიფონმა სპილოები და დაეუფლა ანტიოქიას. 57. მისწერა ყმაწვილმა ანტიოქოსმა იონათანს: დამიდგენიხარ მღვდელმთავრად და ოთხი ოლქის განმგებლად და მეფის მეგობართა შორის შემირაცხიხარ. 58. და გაუგზავნა მას ოქროს თასები და სუფრის ჭურჭელი, მისცა მას უფლება, ოქროს თასებით ესვა, ძოწეულით შემოსილიყო და ოქროს ბალთა ეტარებინა. 59. ხოლო სიმონი, მისი ძმა, სარდლად დანიშნა ტვიროსის კიბიდან ეგვიპტის საზღვრებამდე. 60. გამოვიდა იონათანი და მოიარა მდინარის ნაპირი და ქალაქები, და შეიკრიბა მის წინაშე სირიის მთელი ლაშქარი მხარის დასაჭერად. ჩავიდა აშკელონში და პატივით შეეგებნენ მას ქალაქის მკვიდრნი. 61. გამოემართა იქიდან ღაზასკენ, მაგრამ ჩაიკეტნენ ღაზელები. ალყა შემოარტყა მას და ცეცხლით გადწვა მისი სანახები, და გაძარცვა ისინი. 62. შეეგედრნენ იონათანს ღაზელები და მანაც მისცა მათ მარჯვენა,, აიყვანა მათი მთავრების ვაჟები მძევლებად და იერუსალიმში გაგზავნა ისინი. დამასკომდე მოიარა ქვეყანა. 63. გაიგო იონათანმა, რომ წამოსულან დემეტრიოსის მთავრები კადეშისკენ გალილეაში დიდძალი ჯარით, მისი გადაყენების მსურველნი. 64. თავად დაუხვდა, მათ, მისი ძმა სიმონი კი ქვეყანაში დარჩა. 65. დაბანაკდა სიმონი ბეთ-ცურთან,, ებრძოდა მას დიდხანს და მოიმწყვდია იგი. 66. სთხოვეს მას მარჯვენის მიცემა და მანაც მისცა მარჯვენა. შემდეგ გამოყარა ისინი იქიდან, აიღო ქალაქი და დაცვა ჩააყენა. 67. იონათანი და მისი ლაშქარი გენესარეთის წყალთან დაბანაკდა. დილას ადრე ხაცორის ველზე განლაგდნენ. 68. და აჰა, უცხოტომთა ბანაკი შეეყარა მას ველზე. ნაწილი მთებში ჩასაფრებინათ მათ წინააღმდეგ, თავად კი პირისპირ შეეტაკნენ. 69. ჩასაფრებულებიც გამოვიდნენ საფრებიდან და ჩაერთნენ ბრძოლაში. 70. იონათანთან მყოფნი ყველანი გაიქცნენ, ერთიც კი არ დარჩენილა მათგან, გარდა მატათიასი, აბესალომის ძისა, იუდასი, ხალფის ძისა — ლაშქრის რაზმეულთა მეთაურებისა. 71. შემოიხია იონათანმა სამოსელი, თავზე მტვერი დაიყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ილოცა. 72. მერე კვლავ ჩაერთო ბრძოლაში მათ წინააღმდეგ, დაამარცხა ისინი და უკუაქცია. 73. დაინახეს ეს იონათანისგან გაქცეულებმა და დაბრუნდნენ მასთან, მისდიეს კადეშამდე, მათ ბანაკამდე, და იქ დადგნენ. 74. დაეცა იმ დღეს მათგან სამიათასამდე კაცი და გაბრუნდა იონათანი იერუსალიმისაკენ.

თავი მეთორმეტე

1. როცა დაინახა იონათანმა, რომ დაუდგა შესაფერი ჟამი, ამოარჩია კაცები და გაგზავნა რომში მათთან მეგობრობის განსამტკიცებლად და განსაახლებლად. 2. ასეთივე წერილები დაგზავნა სპარტაში და ყველა მხარეში. 3. გაემართნენ რომისკენ. შევიდნენ საბჭოში და თქვეს: მღვდელმთავარმა იონათანმა და იუდაელმა ხალხმა მოგვავლინა ჩვენ ერთმანეთს შორის ძველი მეგობრობისა და მოკავშირეობის განსაახლებლად. 4. მისცეს მათ წერილები, ყოველი მხარის გამგებელთა მიმართ მიწერილი, რათა მშვიდობით გაეტუმრებინათ ისინი იუდას ქვეყანაში. 5. აი, ასლი წერილისა, რომელიც მისწერა იონათანმა სპარტელებს. 6. მღვდელმთავარი იონათანი, ერის უხუცესნი, მღვდლები და დანარჩენი იუდაელი ხალხი სპარტელებს, ძმებს, მოგიკითხავთ. 7. ჯერ კიდევ წინანდელ დროში თქვენი მეფის, არეიოსის მიერ მღვდელმთავარ ონიასთან გამოგზავნილი ყოფილა წერილი, რომ თქვენ ჩვენი ძმები ხართ, როგორც ამას ასლი წარმოგვიდგენს. 8. პატივით მიიღო ონიამ გამოგზავნილი კაცი და გამოართვა წერილი, რომელიც ნათლად მოწმობდა მოკავშირეობასა და მეგობრობას. 9. თუმცა ჩვენ ახლა ეს აღარ გვჭირდება, რადგან გასამხნევებლად ხელთ წმინდა წიგნები მოგვეპოვება. 10. გადავწყვიტეთ თქვენთვის გამოგვეგზავნა წერილი ძმობისა და მეგობრობის განსაახლებლად, რათა არ გაგიუცხოვდეთ, რადგან მრავალ დროებას ჩაუვლია მას შემდეგ, რაც მოგვწერეთ. 11. ჩვენ ახლა ყოველ დროს, დღესასწაულებშიცა და დანარჩენ სადაგ დღეებშიც გიხსენებთ თქვენ აღსავლენის შეწირვისას და ლოცვებში, რადგან საჭიროა და ხამს ძმების გახსენება. 12. თქვენი დიდებით გახარებულნი ვართ, 13. თუმცა ჩვენ უზომო გასაჭირით და ხშირი ომებით ვიყავით გარემოცულნი; გვებრძოდნენ ჩვენი გარეშემო მეფეები. 14. მაგრამ არ გვსურდა თქვენი და ჩვენი დანარჩენი მოკავშირეებისა და მეგობრების შეწუხება იმ ომებში, 15. რადგან ციდან გვქონდა შეწევნა და ჩვენ ბევრჯერ გადავრჩენილვართ მტრების ხელიდან, ჩვენი მოძულენი კი დათრგუნულან. 16. ახლა ავირჩიეთ ნუმენიოსი, ანტიოქოსის ძე, და ანტიპატროსი, იასონის ძე, და გამოვგზავნეთ რომაელებთან, რათა განვაახლოთ მათთან მეგობრობა და წინანდელი მოკავშირეობა. 17. დავავალეთ მათ თქვენთან გამომგზავრებაცა და თქვენი მოკითხვაც, აგრეთვე, რომ გადმოგცენ ჩვენი წერილი ჩვენი ძმობის განახლების შესახებ. 18. ახლა კარგს იზამთ, თუ გვიპასუხებთ ამაზე. 19. აი, ასლი წერილისა, რომელიც გაუგზავნეს ონიას. 20. არეიოსი, მეფე სპარტელთა, მღვდელთმთავარ ონიას მოგიკითხავ. 21. წერილში აღმოჩნდა, რომ სპარტელები და იუდაელები ძმები და აბრაამის მოდგმისანი არიან. 22. ახლა, რაკი ეს ამბავი შევიტყვეთ, კარგს იზამთ, თქვენს კეთილდღეობაზე თუ მოგვწერთ. 23. ხოლო ჩვენ გწერთ, რომ თქვენი ცხვარ-ძროხა და ქონება ჩვენია და ჩვენი კი — თქვენი. ნაბრძანები გვაქვს, გაცნობოთ ეს ამბავი. 24. გაიგო იონათანმა, რომ დაბრუნდნენ დემეტრიოსის მთავრები წინანდელზე მეტად ურიცხვი ლაშქრით მათთან საომრად. 25. გამოვიდა იერუსალიმიდან და დახვდა მათ ხამათის მხარეში და არ შეუშვა თავის მიწა-წყალზე. 26. გაგზავნა მზვერავები მათი ბანაკისაკენ. დაბრუნდნენ და მოახსენეს, რომ ღამით ამზადებდნენ მათზე თავდასხმას. 27. როცა მზე ჩაესვენა, იონათანმა უბრძანა თავისთან მყოფებს, ეფხიზლათ და იარაღასხმულნი მდგარიყვნენ, რომ მზად ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყვნენ ომისათვის მთელი ღამის განმავლობაში და გუშაგებიც დააყენა ბანაკის გარშემო. 28. შეიტყვეს მოწინააღმდეგებმა, რომ მზად არიან საომრად იონათანი და მასთან მყოფნიც. შეშინდნენ, გულები შეუდრკათ, კოცონები დაანთეს ბანაკში და უკუიქცნენ 29. ხოლო იონათანს და მასთან მყოფებს დილამდე არ გაუგიათ ეს, რადგან ხედავდნენ ანთებულ ცეცხლებს. 30. მისდია მათ უკან იონათანმა, მაგრამ ვერ მიეწია, რადგან მდინარე ელევთეროსზე იყვნენ გადასულნი. 31. მაშინ არაბებს გადაწვდა იონათანი, რომლებიც ზაბადეიანებად იწოდებოდნენ, სძლია მათ მოხვეტა ნადავლი. 32. მერე აიყარა და მიადგა დამასკოს, და გაიარა მთელი ის მხარე. 33. სიმონი კი გაეშურა და იარა აშკელონამდე და მახლობელ ციხე-სიმაგრეებამდე, შემდეგ გაუხვია იაფოში და აიღო იგი, 34. რადგან გაიგო, რომ იქაურებს სურდათ ციხე-სიმაგრე დემეტრიოსთან მყოფთათვის გადაეცათ. ჩააყენა იქ ჯარი მის დასაცავად. 35. დაბრუნდა იონათანი, მოუხმო ხალხის უხუცესებს და მოეთათბირებინა მათთან, რომ აეგოთ სიმაგრეები იუდაში, 36. აემაღლებინათ იერუსალიმის კედლები და აღემართათ დიდი ზღუდე ციხე-სიმაგრესა და ქალაქს შორის, რათა გამოეყოთ ის ქალაქისაგან, რომ ცალკე ყოფილიყო და შემწყდარიყო მათ შორის ყიდვა-გაყიდვა. 37. შეიკრიბნენ ქალაქის ასაშენებლად და აღადგინეს ჩანგრეული კედელი ხევთან, აღმოსავლეთით, ხაფენათად წოდებული. 38. ხოლო სიმონმა ააგო ადიდა შეფელაში, გაამაგრა ის და დაუყენა ურდულებიანი კარიბჭე. 39. ტრიფონი კი ცდილობდა, აზიის მეფე გამხდარიყო, გვირგვინი დაედგა და ხელი აღემართა მეფე ანტიოქეზე. 40. ეშინოდა, არ დაებრკოლებინა იგი იონათანს და ომი არ დაწყო მის წინააღმდეგ. ამისთვის ცდილობდა მის შეპყრობას მოსაკლავად ადგა და ბეთ-შანისკენ გაემართა. 41. გამოვიდა იონათანი მის დასახვედრად ორმოციათასი საბრძოლოდ მზადმყოფი კაცით და მიადგა ბეთ-შანს. 42. როცა დაინახა ტრიფონმა, რომ იგი დიდძალი ლაშქრით არის მოსული, შეეშინდა, აღემართა ხელი მასზე. 43. ამიტომ პატივით მიიღო იგი და წარუდგინა ყველა თავის მეგობარს, უბოძა საჩუქრები, და უბრძანა თავის მეგობრებსა და ლაშქარს, დამორჩილებოდნენ მას, როგორც თავად მას მორჩილებდნენ. 44. უთხრა იონთანს: რისთვის გასარჯე მთელი ეს ხალხი, თუ ომი არ გველის? 45. მაშ, გაუშვი ახლა ისინი თავ-თავიანთ სახლებში. შენთვის კი აარჩიე რამდენიმე კაცი, ვინც შენთან დარჩება და ერთად გავემგზავროთ პტოლემაისისკენ. ჩაგაბარებ მას და დანარჩენ ციხე-სიმაგრეებს, დანარჩენ ჯარებს და ყველა გამგებელს. მერე კი შინ გავბრუნდები. ამის გულისთვის ვიმყოფები აქ. 46. ერწმუნა მას და ისე მოიქცა, როგორც უთხრა. დაითხოვა ჯარები და წავიდნენ იუდას ქვეყნისკენ. 47. თავისთან კი დაიტოვა სამიათასი კაცი, რომელთაგან ორი ათასი გალილეაში დარჩა, ათასი კი მას გაჰყვა. 48. როცა იონათანი პტოლემაისში შევიდა, ჩაკეტეს კარიბჭეები პტოლომაისლებმა და შეიპყრეს იგი, და ყველა, ვინც მასთან ერთად იყო შესული, მახვილით დახოცეს. 49. გაგზავნა ტრიფონმა ჯარები და ცხენოსნები გალილეაში და დიდ ვაკეზე, რომ გაეწყვიტათ ყველანი, იონათანის თანამდგომნი. 50. მაგრამ როცა გაიგეს მათ, რომ შეპყრობილია იონათანი, მისი ხალხი კი დახოცილი, გაამხნევეს ერთმანეთი და დაიძრნენ საომრად შემართულნი. 51. მდევრებმა დაინახეს, რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იქნებოდა, და უკუიქცნენ. 52. დაბრუნდნენ ყველანი მშვიდობით იუდას ქვეყანაში და დაიტირეს იონათანი და მისი ხალხი. ძალზე შეშინებული იყო და დიდი მოთქმით მოთქვამდა მთელი ისრაელი. 53. მათ ირგვლივ მოსახლე ყველა ხალხი ცდილობდა მათ განადგურებას, რადგან ამბობდნენ, აღარ ჰყავთ არც წინამძღვარი და არც მშველელი. მაშ, ახლა ვეკვეთოთ და წარვხოცოთ კაცთა შორის მათი სახსენებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცამეტე

1. გაიგო სიმონმა, რომ შეუკრებია ტრიფონს დიდძალი ჯარი იუდას ქვეყანაზე გასალაშქრებლად და მის გასანადგურებლად. 2. დაინახა, რომ ხალხი დამფრთხალი და შეშინებული იყო, და წავიდა იერუსალიმში და შეკრიბა ხალხი. 3. გაამხნევა ისინი და მიმართა მათ: თქვენ თვითონ ნახეთ ყოველი, რაც მე და ჩემს ძმებს და მამაჩემის სახლს გაგვიკეთებია რჯულის საქმეთათვის და სამსხვერპლოსთვის. გახსოვთ ომებიცა და დარბევებიც, რაც გადაგვიტანია. 4. ამ ამბებში დაიღუპა ყველა ჩემი ძმა ისრაელისათვის, მე ერთიღა დავრჩი. 5. ახლა სიცოცხლეს არ დავზოგავ, რა გასაჭირიც უნდა მედგას, რადგან ჩემს ძმებზე უკეთესი არა ვარ. 6. მაგრამ ვიძიებ შურს ჩემი ერისთვის და საწმიდარისთვის, და თქვენი ცოლშვილისთვის, რადგან სიძულვილით შეთქმულა ყოველი ხალხი ჩვენს მოსასპობად. 7. სულით აინთო ხალხი, ეს სიტყვები რომ მოისმინა. 8. მიუგეს და ხმამაღლა უთხრეს: შენა ხარ ჩვენი წინამძღოლი ნაცვლად იუდასი და იონათანისა, შენი ძმისა. 9. ვადაიხადე ჩვენი ომი და ყოველთვის, რასაც კი გვეტყვი, შევასრულებთ. 10. მაშინ შეკრიბა მთელი მხედრობა და დააჩქარა იერუსალიმის კედლების შეკეთება და გაამაგრეს ყოველი მხრიდან. 11. გააგზავნა იონათანი, ძე აბესალომისა და მასთან ერთად საკმარისი ჯარი იაფოში, გამორეკა იქ მყოფნი და დადგა იქ. 12. ტრიფონი კი გამოემართა პტოლემაისიდან დიდძალი ლაშქრით იუდას ქვეყანაში შესასვლელად. იონათანიც მასთან ერთად მოჰყავდა ყარაულით. 13. სიმონი კი ადიდაში, დაბლობის წინ დაბანაკდა. 14. მიხვდა ტრიფონი, რომ აღდგა სიმონი იონათანის, თავის ძმის ნაცვლად, და გადაწყვეტილი აქვს მასთან ბრძოლა. გაუგზავნა ელჩები, შეუთვალა: 15. იმ ვერცხლის გამო დავაკავეთ იონათანი, შენი ძმა, რომელიც მან სამეფო ხაზინიდან ფასხელიფრეებისთვის. 16. ახლა კი გამოგზავნე ასი ვერცხლის ტალანტი და მისი ორი ვაჟი მძევლად, რომ არ გაბედოს ჩვენზე აღდგომა, და გამოვუშვებთ მას. 17. მიხვდა სიმონი, რომ მზაკვრულად ელაპარაკებიან, მაგრამ გაგზავნა ვერცხლი და ბავშვები, რომ ხალხის სიძულვილი არ გამოეწვია. 18. არ ეთქვა ხალხს: ვერცხლი და ბავშვები რომ არ გაუგზავნა სიმონმა, იმიტომ დაიღუპა იონათანი. 19. და გაუგზავნა ბავშვები და ასი ტალანტი. მაგრამ მოატყუა ტრიფონმა და არ გაუშვა იონათანი. 20. ამის მერე მოვიდა ტრიფონი, რომ შესეოდა ქვეყანას და გაენადგურებინა. მან ადორის გზით მოუარა, სიმონი და მისი ლაშქარი კი მიჰყვებოდა ყველგან, საითაც გაემართებოდა. 21. ციხეში მყოფთ გაგზავნეს ელჩები ტრიფონთან, რომ წამოსულიყო მათკენ უდაბნოს. გავლით და საკვები გამოეგზავნა მათთვის. 22. გაამზადა ტრიფონმა ცხენოსნები წასასვლელად,მაგრამ იმ ღამეს უზომოდ დიდი თოვლი მოვიდა და ვეღარ გაემგზავრნენ თოვლის გამო. ადგა და გალაადისკენ წავიდა. 23. როცა ბასკამას მიუახლოვდა, მოკლა იონათანი და იქ დამარხა. 24. მერე გაბრუნდა ტრიფონი და თავის ქვეყნისკენ გაემართა. 25. გაგზავნა სიმონმა ხალხი თავის ძმის, იონათანის, ძვლების ასაკრეფად და დამარხა ისინი მოდეინში, თავისი მამა-პაპის ქალაქში. 26. დიდი გლოვით იგლოვა იგი მთელმა ისრაელმა და მწუხარებდნენ მრავალი დღის განმავლობაში. 27. აღმართა სიმონმა ძეგლი თავისი მამისა და ძმების საფლავზე. აამაღლა იგი გამოსაჩენად თლილი ქვებით წინა მხრიდან და უკანა მხრიდან. 28. დადგა შვიდი პირამიდა, ერთმანეთის პირისპირ, მამის, დედისა და ოთხი ძმისა. 29. შეამკო სამკაულებით შემოავლო დიდი სვეტები და სვეტებზე საჭურველები ჩამოკიდა საუკუნო სახელისათვის, ხოლო საჭურველთა გვერდით — გამოქანდაკებული ხომალდები, რომ ყოველ ზღვაოსანს დაენახა. 30. ეს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხი, მოდეინში რომ გაკეთა, დღემდეა იქ. 31. ამასობაში ტრიფონი ვერაგულად მოექცა ყმაწვილ მეფეს, ანტიოქეს, და მოკლა იგი. 32. გამეფდა მის ნაცვლად და აზიის გვირგვინი დაიდგა. დიდი უბედურება დაატეხა ქვეყანას. 33. ხოლო სიმონმა ააშენა ციხე-სიმაგრეები იუდაში, შემოზღუდა მაღალი გოდლებით, დიდი კედლებით და ურდულებიანი კარიბჭეებით და მოამარაგა სარჩოთი ციხე-სიმაგრეები. 34. აარჩია სიმონმა კაცები და გაგზავნა მეფე დემეტრიოსთან, რომ ქვეყნისთვის შეღავათი მოეთხოვა მისგან, რადგან სულ ძარცვა-გლეჯაში იყო ტრიფონი. 35. შემოუთვალა მას მეფე დემეტრიოსმა ამ სიტყვებზე და მიუგო მას, ასეთი წერილი მისწერა: 36. მეფე დემეტრიოსი სიმონ მღვდელმთავარს, მეფის მეგობარს, უხუცესებსა და იუდას ერს მოგიკითხავთ. 37. მივიღეთ თქვენი გამოგზავნილი ოქროს გვირგვინი და პალმის რტო და მზადა ვართ, დავდოთ თქვენთან დიდი ზავი და მივწეროთ გადასახადების ზედამხედველებს, რომ ხარკისგან გაგანთავისუფლონ. 38. ყოველივე, რაც თქვენ დაგიდგინეთ, უცვალებელი იყოს. ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ააგეთ, თქვენვე გეპყრათ. 39. გვიპატიებია თქვენთვის უგუნურებები და დანაშაულები, რაც დღემდე ჩაგიდენიათ, ხოლო გვირგვინის გადასახადი, რომელიც გმართებთ, და სხვა რამ ხარკი, რომელიც იკრიბებოდა იერუსალიმშ, მეტად აღარ აიკრიბება. 40. და, თუკი ვინმე თქვენიანი ჩვენს შორის ჩაწერის ღირსი აღმოჩნდება, ჩაიწერება. და იქნება ჩვენს შორის მშვიდობა. 41. ასსამოცდამეათე წელს მოეხსნა წარმართის უღელი ისრაელს. 42. ხალხმა ასე დაიწყო წერა სიგელებში და ხელშეკრულებებში: სიმონის, დიდი მღვდელმთავრის, ერისმთავრისა და იუდაელთა წინამძღოლის პირველ წელსო. 43. იმ დღეებში დაბანაკდა სიმონი გაზარასთან და ალყა შემოარტყა მას, გააკეთა საალყო მანქანა და ქალაქს მიუახლოვდა. შელეწა ერთი გოდოლი და აიღო. 44. გამოცვივდნენ მანქანაში მყოფნი ქალაქისკენ და შეიქნა დიდი ძღვალვა-ბა ქალაქში. 45. ქალაქელები თავიანთი ცოლ-შვილით კედელზე ავიდნენ, შემოიხიეს ტანისამოსი და ხმამაღლა აყვირდნენ უხმობდნენ სიმონს, რომ მარჯვენა მიეცა მათთვის. 46. თქვეს: ნუ მოგვაგებ ჩვენ ჩვენს ბოროტებათა წილ, არამედ შენი მოწყალების მიხედვით მოგვექეცი. 47. შეიბრალა ისინი სიმონმა და აღარ შეებრძოლა მათ. მაგრამ გამორეკა ისინი ქალაქიდან და გაწმიდა სახლები, რომლებშიც კერპები იყო. ასე შევიდა იქ საგალობლებით და კურთხევით. 48. განაგდო იქიდან ყოველი უწმიდურება და ჩაასახლა იქ რჯულის მიმდევარი ხალხი, გაამაგრა იგი და იქ აიშენა თავისთვის სამყოფელი. 49. იერუსალიმის ციხეში მყოფებს კი ნებას არ აძლევდნენ, ქვეყნიდან გასულიყვნენ და ქვეყანაში შესულიყვნენ სავაჭროდ, ძალზე შიმშილობდნენ და მათგან ბევრი დაიღუპა შიმშილით. 50. და შეჰღაღადეს სიმონს, რომ მიეცა მათთვის მარჯვენა და მანაც გაუწოდა მარჯვენა. გამოყარა ისინი იქიდან და გაწმიდა ციხე სიბილწეთაგან. 51. ასსამოცდამეთერმეტე წელს, მეორე თვის ოცდამესამე დღეს შევიდა იგი ქება-დიდებითა და ბაიის რტოებით, ქნარებითა და წინწილებით და სტვირებით, საგალობლებით და სადიდებლებით, რადგან იძლია დიდი მტერი ისრაელისა 52. დაწესა, რომ იზეიმონ ეს დღე ყოველ წელიწადს სიხარულით. გაამაგრა ტაძრის ბორცვი ციხის გვერდით და დასახლდა იქ თავის თანამდგომებთან ერთად. 53. დაინახა სიმონმა, რომ დაკაცდა მისი ვაჟი იოანე და ჩააბარა მას მცელი ლაშქრის წინამძღოლობა. და დასახლდა გაზარაში.

თავი მეთოთხმეტე

1. ასსამოცდამეთორმეტე წელს მეფე დემეტრიოსმა შეკრიბა თავისი ჯარები და გაემართა მიდიისკენ, რომ მიეღო დახმარება ტრიფონთან საომრად. 2. შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყო სპარსეთისა და მიდიის მეფემ, არსაკემ, რომ შემოვიდა დემეტრიოსი მის მიწა-წყალზე და გაგზავნა ერთი თავის წინამძღოლთაგანი, რომ ცოცხლად შეეპყროთ იგი. 3. გაემართა და დაამარცხა დემეტრიოსის ლაშქარი. დაატყვევა იგი და მიჰგვარა არსაკეს და ჩასვეს საპყრობილეში. 4. დამშვიდდა იუდას ქვეყანა სიმონის სიცოცხლეში. სიკეთეს ცდილობდა თავისი ხალხისთვის და სათნო უჩნდათ მათ მისი ხელმწიფება და დიდება მთელი მისი სიცოცხლე. 5. მთელ თავის დიდებასთან ერთად იაფოც აიღო ნავსადგურად და ზღვის კუნძულებს მისასვლელი შეუქმნა. 6. გააფართოვა თავისი ერის საზღვრები და განაგებდა ქვეყანას. 7. შეკრიბა მრავალი ტყვე და ბატონობდა გაზარაზე, ბეთ-ცურზე და ციხეზე. გააძევა იქიდან უწმინდურობა და აღარავინ იყო მისი წინააღმდგომი. 8. მშვიდობით ამუშავებდნენ თავიანთ მიწას, მიწა იძლეოდა მოსავალს, ხეები კი ბარში-ნაყოფს. 9. მოხუცებულნი ქუჩებში ისხდნენ და ყველანი სიკეთეზე საუბრობდნენ. ჭაბუკები დიდებული და საომარი სამოსელით იმოსებოდნენ. 10. ქალაქებს სარჩოთი ამარაგებდა და სიმაგრეებად აქცია ისინი, და ქვეყნის კიდემდე განითქვა მისი სახელის დიდება. 11. ქვეყნად მშვიდობა დაასადგურა და დიდი სიხარულით გაიხარა ისრაელმა. 12. ყოველი კაცი თავისი ბაბილოს თუ ღელვის ქვეშ იჯდა, და არავინ იყო მათი შემაშინებელი. 13. არავინ დარჩა ქვეყნად მათი მბრძოლი და მეფენიც მოდრეკილიყვნენ იმ ხანებში. 14. გააძლიერა თავისი ხალხის ყველა გლახაკი, რჯულს ეძიებდა და ყველა ურჯულთ და უკთურთ გადააშენა. 15. დიდებული გახადა სამსხვერპლო და შეჰმატა საწმიდარს სამკაულები. 16. გავრცელდა ხმა რომში და სპარტამდეც, რომ მოკვდა იონათინი, და ძლიერ დამწუხრდნენ. 17. ხოლო როდესაც შეიტყვეს, რომ სიმონი, მისი ძმა გამხდარა მის ნაცვლად მღვდელმთავარი, და თავად მართავდა ქვეყანასა და მის ქალაქებს, 18. მისწერეს მას სპილენძის დაფებზე, რომ განეახლებინათ მათთან მეგობრობა და მოკავშირეობა, რომელიც დაადგინეს იუდასთან და იონათანთან, მის ძმებთან. 19. და წაკითხულ იქნა ისინი იერუსალიმის კრებულის წინაშე. 20. აი, ასლი წერილებისა, რომლებიც გაუგზავნეს სპარტელებმა: სპარტის მთავარნი და ქალაქი სიმონს — დიდ მღვდელს, უხუცესებს, მღვდლებსა და მთელს იუდაელთა ხალხს, ძმებს, მოვიკითხავთ. 21. ჩვენს ხალხთან გამოგზავნილმა ელჩებმა გვამცნეს თქვენი დიდებისა და პატივის შესახებ და გავიხარეთ მოტანილი ამბით. 22. მათი ნათქვამები სახალხო საბჭოში ამგვარად ჩავწერეთ: ნუმენიოსი, ძე ანტიოქესი და ანტიპატროსი, ძე იასონისა — იუდაელთა ელჩები მოვიდნენ ჩვენთან მეგობრობის განსაახლებლად. ერისმთავრად და იზრუნოს საწმიდაარზე 23. ხალხს სწადდა ამ კაცების პატივით მიღება და მათი სიტყვების ასლის დადება ხალხის გადაშლილ წიგნთა შორის, რომ სახსოვრად ჰქონოდა სპარტელ ხალხს. ეს ასლი კი გაუგზავნეს სიმონ მღვდელმთავარს. 24. ამის შემდეგ გაისტუმრა სიმონმა ნუმენიოსი რომისკენ (თან ჰქონდა დიდი ოქროს ფარი, წონით ათასი მინა) მათთან მოკავშირეობის დასამტკიცებლად. 25. როცა მოისმინა ხალხმა ეს სიტყვები, თქვეს: როგორ გადავუხადოთ მადლობა სიმონსა და მის ვაჟებს? 26. რადგან გაძლიერდა ის, მისი ძმებიც. და მამამისის სახლი. შეებრძოლენ ისრაელის მტრებს და მიანიჭეს მას თავისუფლება. დაწერეს სპილენძის ფიცრებზე და ჩამოკიდეს სვეტებზე სიონის მთაზე. 27. აი, ამ წერილის ასლი: ელულის თვრამეტში, ასსამოცდამეთორმეტე წელს ანუ სიმონ დიდი მღვდელმთავრის მესამე წელს, ასარამელში, 28. მღვდლების, ხალხის, ერისმთავართა და ქვეყნის უხუცესთა დიდ საკრებულოში ჩვენ გვემცნო: 29. როცა მრავალგზის დაატყდა ომი ქვეყანას, მაშინ სიმონმა, მატათია მღვდლის ვაჟმა, იოარიბიანთაგან, და მისმა ძმებმა თავი საფრთხეში ჩაიგდეს და თავიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ხალხის მტრებს წინაღუდგნენ თავიანთი საწმიდარისა და რჯულის შესანარჩუნებლად და დიდი დიდებით ასახელეს თავისი ერი. 30. შეკრიბა იონათანმა თავისი ხალხი, გახდა მათი მღვდელმთავარი და თავისი ერისთვის დადო თავი. 31. მოიწადინეს მათმა მტრებმა მათ ქვეყანაში შეჭრა და ხელი აღმართეს მათ სამსხვერპლოზე. 32. მაშინ აღუდგა მათ სიმონი და შეებრძოლა თავისი ხალხის გულისთვის. დახარჯა უამრავი საკუთარი ფული და იარაღით აღჭურვა თავისი ერის ჯარისკაცები, და მისცა მათ ჯამაგირი. 33. გაამაგრა იუდას ქალაქები და ბეთ-ცური, რომელიც იუდას საზღვარზეა, სადაც წინათ მტრების საჭურველი იყო, და დააყენა იქ იუდაელი კაცების ყარაული. 34. იაფო გაამაგრა ზღვის პირას, გაზარა კი — აშდოდის საზღვარზე, სადაც ადრე მტრები სახლობდნენ, და დასახლა იქ იუდაელნი, და მოამარაგა ყველაფრით, რაც მათი აღორძინებისათვის იყო აუცილებელი. 35. დაინახა ხალხმა სიმონის ერთგულება და ცდა მისი ერისთვის დიდების მოსაპოვებლად. აირჩიეს იგი თავიანთ წინამძღვრად და მღვდელმთავრად ყოველივე იმისთვის, რაც გააკეთა, სამართლიანობისა და ერთგულების გამო თავისი ხალხისადმი, თავისი ერის ამაღლებას ყოველმხრივ რომ ცდილობდა. 36. მის დროს კეთილად წარიმართა მის ხელში წარმართთა განდევნა ქვეყნიდან, და იმათი, დავითის ქალაქში, იერუსალიმში, რომ იყვნენ ჩასახლებულნი, რომლებმაც ააშენეს თავისთვის ციხე, გამოდიოდნენ და ბილწავდნენ არემარეს სამსხვერპლოს გარშემო და დიდ ზიანს აყენებდნენ საწმიდარს. 37. ჩაასახლა იქ იუდაელი კაცები, გაამაგრა ის ქვეყნის და ქალაქის უსაფრთხოებისთვის და აამაღლა იერუსალიმის კედლები. 38. მეფე დემეტრიოსმა ამის გამო მღვდელმთავრის ხარისხში აღაზევა იგი, 39. თავის მეგობრად გაიხადა და დიდი დიდებით განადიდა, 40. რადგან გაიგო, რომ იუდაელნი რომაელების მიერ მეგობრებად, მოკავშირეებად და ძმებად იწოდებიან და სიმონის ელჩებს პატივით დახვდნენ, 41. და რომ იუდაელებს და მღვდლებს სურთ, სიმონი ჰყავდეთ წინამძღვრად და მღვდელმთავრად სამუდამოდ, ვიდრე სარწმუნო წინასწარმეტყველი აღდგებოდეს. 42. ჰყავდეთ ერის მთავრად და იზრუნოს საწმიდარზე და განაწესოს ხალხი, ყველა თავის საქმეზე — ქვეყანაზე, იარაღებზე და ციხესიმაგრეებზე, 43. რომ იზრუნოს საწმიდარზე, რომ მას უსმენდნენ მრავალნი და ქვეყანაში ყველა საბუთი მის სახელზე იწერებოდეს, რომ შეიმოსოს ძოწეულითა და ოქროს სამკაულებით, 44. არ მიეცეს ნება ერისაგანს ან სამღვდელოს, გააუქმოს რომელიმე ამათგანი, შეეპასუხოს მის ბრძანებებს, მის გარეშე მოიწვიოს ყრილობა ქვეყანაში, ჩაიცვას ძოწეული და ატაროს ოქროს ბალთა. 45. ხოლო თუკი ვინმე ამათ საწინააღმდეგოს ჩაიდენს, ანდა შეცვლის რაიმეს ამათგან, დამნაშავე იქნება. 46. დათანხმდა მთელი ერი, დამორჩილებოდა სიმონს და მოქცეულიყო ამ სიტყვების თანახმად. 47. მიიღო სიმონმა და დათანხმდა, გაეწია იუდაელთა და სამღვდელოთა მღვდელმთავრობა, სარდლობა და ერისმთავრობა — ყოველთა წინამძღვრობა. 48. თქვეს, დაეწერათ ეს ყველაფერი სპილენძის დაფებზე და დაედგათ ისინი საწმიდრის გალავანში, საჩინო ადგილას, 49. ხოლო მისი ასლები საგანძურში დაეწყოთ, რომ ჰქონოდათ ისინი სიმონსა და მის ვაჟებს.

თავი მეთხუთმეტე

1. ანტიოქემ, მეფე დემეტრიოსის ძემ, გაუგზავნა წერილი ზღვის კუნძულებიდან სიმონს, იუდაელთა მღვდელსა და ერისმთავარს და მთელ ხალხს. 2. ასეთი იყო მათი შინაარსი: 3. მას შემდეგ, რაც ვიღაც ავისმქნელებმა დაიპყრეს ჩემი მამა-პაპის სამეფო, გადავწყვიტე, ხელახლა დავეუფლო სამეფოს, რათა აღვადგინო ის უწინდელივით. ამიტომ შევკრიბე დიდძალი ლაშქარი და მოვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადე საომარი ხომალდები. 4. გადაწყვეტილი მაქვს, გავილაშქრო ქვეყანაზე, რომ დავესხა ჩვენი ქვეყნის დამაქცევართ და ქალაქთა იავარმყოფელთ ჩემს სამეფოში. 5. ამჟამად გიმტკიცებ შენ მრავალ დათმობებს, რაც კი დაგითმეს შენ ჩემმა წინამორბედმა მეფეებმა, და სხვა გადასახადებიც დაგეთმობა. 6. ნებას გრთავ, მოჭრა საკუთარი ჭედური ფული შენი ქვეყნისთვის. 7. იერუსალიმი და საწმიდარი თავისუფალია. მთელი იარაღი, რაც დამზადებული გაქვს, და სიმაგრეები, რაც აგებული გაქვს, და გიჭირავს, შენვე გეპყრას. 8. ყოველი სამეფო ვალი, ასევე მომავალი სამეფო ვალები აწ და მარადის გეპატიოს. 9. როცა დაეუფლებით ჩვენს სამეფოს, მოგაგებთ დიდ პატივს შენ, შენს ხალხსა და ტაძარს, რომ საჩინო გახდეს თქვენი პატივი მთელს ქვეყანაში. 10. ასსამოცდამეთოთხმეტე წელს გაემართა ანტიოქე თავისი მამა-პაპის ქვეყნისკენ და თავი მოიყარა მასთან მთელმა ლაშქარმა, ასე რომ, ტრიფონთან მცირედიღა დარჩა. 11. მისდია მას ანტიოქემ და ლტოლვილი დორს მიადგა, რომელიც ზღვის პირას არის. 12. დაინახა, რომ უკულმართად შეტრიალდა მისი საქმე და მიატოვეს იგი ჯარებმა. 13. ანტიოქეც დორთან დაბანაკდა, ასოციათასი ქვეითითა და რვაათასი მხედრით. 14. ალყა შემოარტყა ქალაქს და ხომალდებიც მოიჭრნენ ქალაქთან, ხმელეთიდან და ზღვიდან შეავიწროვა ქალაქი და არ ატარებდა არც გამომსვლელს, და არც შემსვლელს. 15. მოვიდა რომიდან ნუმენიოსი თავის თანამდგომებთან ერთდ და მოიტანეს წერილები მეფეებისთვის და ქვეყნებისთვის, რომლებშიც შემდეგი ეწერა: 16. ლევკიოსი, რომაელთა კონსული, მეფე პტოლემეოსს მოგიკითხავ. 17. მოვიდნენ ჩვენთან იუდაელთა ელჩები — ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები ძველი მეგობრობისა და მოკავშირეობის განსაახლებლად, გამოგზავნილნი სიმონ მღვდელმთავრისა და იუდაელი ხალხისაგან. 18. მოგვართვეს ოქროს ფარი, ათასმნიანი. 19. ახლა გადავწყვიტეთ, მივწეროთ მეფეებსა და ქვეყნებს, რათა არ შეამთხვიონ მათ ბოროტი და არ შეებრძოლონ მათ, მათ ქალაქებსა და მათ ქვეყანას, და მათ წინააღმდეგ მეომართაც არ დაეხმაროს. 20. ხოლო ჩვენ ვიფიქრეთ, მივიღოთ ფარი მათგან. 21. თუკი ვინმე ავისმქმნელი გამოიქცევა თქვენთან მათი ქვეყნიდან, ჩააბარეთ ის მღვდელმთავარს სიმონს, რათა მათი რჯულით დასაჯოს იგი. 22. ასევე მისწერა მეფე დემეტრიოსს, ატალოსს, არიარათეს და არსაკეს, 23. და ყველა ქვეყანას — სამფსამეს, სპარტელებს, დელოსს, მინდოსს, სიკიონს, კარიასს, სამოსს, პამფილიას, ლიკიას, ჰალიკარნასოსს, როდოსს, ფასელისს, კოსს, სიდეს, არადოსს, გორტინას, კნიდოსს, კვიპროსსა და კირენეს. 24. მათი ასლი კი მღვდელმთავარ სიმონს გაუგზავნეს. 25. მეფე ანტიოქე მეორედ დაბანაკდა დორთან. ყოველი მხრიდან შეუტია და მიაყენა მანქანები, და მოუსპო ტრიფონს გამოსვლის და შესვლის საშუალება. 26. გაუგზავნა სიმონმა მას ორიათასი რჩეული მეომარი მის დასახმარებლად, ოქრო-ვერცხლი და საჭირო აღჭურვილობა. 27. მაგრამ არ ისურვა მან მათი მიღება, არამედ უარყო ყოველი, რაზეც წინათ შეუთანხმდა სიმონს, და გაუუცხოვდა მას. 28. გააგზავნა მასთან ათენობიოსი, ერთი თავის მეგობართაგანი, მოსალაპარაკებლად და დაუბარა ეთქვა: თქვენ ფლობთ იაფოს, გაზარას და იერუსალიმის ციხეს, ჩემი სამეფოს ქალაქებს. 29. მათი მიწა-წყალი გააუკაცრიელეთ და დიდი ზიანი მოახდინეთ ქვეყანაში, და დაიპყარით ჩემი სამეფოს ბევრი მხარე. 30. ახლა გადმომეცით ქალაქები, რომლებიც გიჭირავთ, და ხარკი მხარეებიდან, რომლებიც დაპყრობილი გაქვთ იუდას საზღვრებს გარეთ. 31. თუ არა და მათ სანაცვლოდ მომეცით ხუთასი ტალანტი ვერცხლი. ხოლო საზღაური აოხრებისათვის, რაც მოახდინეთ, და სხვა ქალაქების ხარკი — ხუთასი ტალანტი. თუ არა და, მოვალთ და შეგებრძოლებით. 32. შევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ათენობიოსი, მეფის მეგობარი, იერუსალიმში და როცა დაინახა სიმონის დიდება, ოქროს ჭურჭლისა და ვერცხლის ჭურჭლის საგანძური და მისი დიდი მხნეობა, განცვიფრდა და ამცნო მას მეფის სიტყვები. 33. სიმონმა პასუხად მიუგო: არც ქვეყანა წაგვირთმევია უცხოთათვის და არც უცხოებზე გავბატონებულვართ, არამედ ჩვენი მამა-პაპის მემკვიდრეობა გვიჭირავს, რომელიც ერთ დროს ჩვენს მტრებს უსამართლოდ ჰქონდათ დაპყრობილი. 34. ჩვენ კი, როცა დაგვიდგა შესაფერი დრო, დავიხსენით ჩვენი მამა-პაპის სამკვიდრებელი. 35. რაც შეეხება იაფოსა და გაზარას, რომლებსაც ითხოვთ, მათ დიდი ზიანი მოახდინეს ხალხში და ჩვენს ქვეყანაში მაგათ სანაცვლოდ ას ტალანტს მოგცემთ. 36. ათენობიოსს სიტყვა აღარ უთქვამს მისთვის. მეფესთან კი გულისწყრომით დაბრუნდა და მოახსენა მას სიმონის ნათქვამი, მისი დიდება და ყოველივე, რაც იხილა, და ტრიფონი კი ხომალდზე ავიდა და განრისხდა მეფე დიდი რისხვით. 37., ტრიფონი კი ხომალდზე ავიდა და ორთოსიაში გაიქცა 38. დააყენა მეფემ კენდებეოსი ზღვისპირის სარდლად და ქვეითი ლაშქარი და მხედრობა ჩააბარა. 39. უბრძანა, გალაშქრებულიყო იუდაელთა წინააღმდეგ, დაავალა, აეგო კედრონი, გაემაგრებინა მისი კარიბჭეები და ეომა ხალხთან. თავად მეფე კი ტრიფონს დაედევნა. 40. გაჩნდა კენდებეოსი იამნიაში და დაიწყო ხალხის გამოწვევა საომრად. შეიჭრა იუდაში, ატყვევებდა ხალხს და მუსრს ავლებდა.41. ააშენა კედრონი და ჩააყენა იქ მხედრობა და ქვეითი ჯარი, რათა იქიდან გამოსულიყვნენ იუდას გზებზე სათარეშოდ, როგორც უბრძანა მას მეფემ.

თავი მეთექვსმეტე

1. ჩამოვიდა იოანე გაზარადან და მოუთხრო სიმონს, თავის მამას, რაც კენდებეოსმა ჩაიდინა. 2. უხმო სიმონმა თავის ორ ვაჟს, იუდასა და იოანეს, და უხუცესებს და უთხრა მათ მეც, ჩემი ძმებიცა და მამაჩემის სახლიც ვებრძოდით ისრაელის მტრებს ყმაწვილობიდან დღევანდელ დღემდე და ბევრჯერ კეთილად წარიმართა ჩვენი ხელით ისრაელის ხსნა. 3. ახლა მოვხუცდი, თქვენ კი ღვთის წყალობით სრულ ასაკს მიაღწიეთ. მაშ, გასწიეთ ჩემი და ჩემი ძმის მაგივრობა, წადით და იბრძოლეთ ჩვენი ერისთვის. ზეციდან იყოს თქვენი შეწევნა. 4. აარჩია ქვეყნიდან ოციათასი მეომარი — ქვეითი და მხედარი და გაემართნენ კენდებეოსის წინააღმდეგ. მოდეინში გაათენეს. 5. დილას აღგნენ და ვაკეზე დაეშვნენ და, აჰა, დიდძალი ლაშქარი მოდის მათ შესახვედრად — ქვეითნი და ცხენოსანნი. მათ შორის კი მდინარე იყო. 6. და დაიძრნენ მათ წინააღმდეგ თვითონ და მისი ხალხი. როცა დაინახა, რომ ხალხს ეშინოდა მდინარეზე გადასვლისა, თავად გადავიდა პირველი. შეხედეს მას მეომრებმა და უკან მიჰყვნენ. 7. დაანაწილა ხალხი და დააყენა მხედრები ქვეითა შორის. მტრის მხედრობა კი მეტად მრავალრიცხოვანი იყო. 8. ბუკსა ჰკრეს და უკუიქცა კენდებეოსი და მისი ლაშქარი, და დაეცა მათგან მრავალი დაჭრილი. გადარჩენილები კი სიმაგრისაკენ გაიქცნენ. 9. მაშინ დაიჭრა იუდა, იოანეს ძმა. ხოლო იოანე ედევნებოდა მათ, ვიდრე არ მიაღწია კედრონს, რომელიც მან ააშენა. 10. მათ კი თავი შეაფარეს გოდლებს აშდოდის სანახებში, მაგრამ მან გადაწვა ისინი ცეცხლით. და მოისრა მათგან ორიათასამდე კაცი. მშვიდობით დაბრუნდა იოანე იუდაში. 11. ხოლო პტოლემეოსი, ძე აბუბოსისა, იერიხონის ვაკეზე იყო სარდლად განწესებული. უამრავი ვერცხლი და ოქრო ჰქონდა, 12. რადგან მღვდელმთავრის სიძე იყო. 13. გადიდგულდა და მოინდომა ქვეყნის დაპყრობა. მზაკვრულად განიზრახავდა სიმონის და მისი ვაჟების დაღუპვას. 14. სიმონი ამ დროს ქვეყანაში ქალაქებს ათვალიერებდა და მათ საქმეებზე ზრუნავდა. ასსამოცდამეჩვიდმეტე წელს, მეთერთმეტე თვეს, რომელიც არის შებატის თვე, გადავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ იერიხონში მატათია და იუდა-მისი ვაჟები. 15. აბუბოსის ძემ ვერაგულად მიიღო ისინი თავის აშენებულ პატარა სიმაგრეში, რომელსაც დოკი ერქვა. გაუმართა მათ დიდი ლხინი, თან კაცები ჰყავდა იქ ჩასაფრებული. 16. როცა სიმონი და მისი ვაჟები დათვრნენ, წამოდგნენ პტოლემეოსი და მასთან მყოფნი, აიღეს იარაღი და ნადიმის დროს თავს დაესხნენ სიმონს და მოკლეს იგი და მისი ორი ვაჟი, და რამდენიმე მისი მსახური. 17. დიდი მზაკვრობა ჩაიდინა და სიკეთის წილ ბოროტი მიუზღო. 18. დაწერა ეს ამბავი პტოლემეოსმა და სთხოვა მეფეს, მოეშველებინა მისთვის ძალები დასახმარებლად და ჩააბარებდა მას მათ ქვეყანასა და ქალაქებს. 19. ზოგიც გაზარაში გაუშვა იოანეს მოსაკლავად. ხოლო ათასისთავებთან წერილები დაგზავნა, წარმდგარიყვნენ მის წინაშე, რათა მიეცა მათთვის ოქროვერცხლი და საჩუქრები. 20. ზოგნი იერუსალიმის და ტაძრის მთის ასაღებად მიავლინა. 21. ვიღაც ლტოლვილმა აუწყა იოანეს გაზარაში, — დაიღუპნენ შენი მამა და მისი ძმები, და შენს მოსაკლავადაც გამოგზავნესო კაცები. 22. ეს რომ მოისმინა, შეშფოთდა მეტად, შეიპყრო მის მოსაკლავად მოსული კაცები და დახოცა, რადგან მიხვდა, რომ მისი დაღუპვა ეწადათ. 23. იოანეს დანარჩენი ამბები, მისი ომები და საგმირო საქმენი, რომლებიც ჩაიდინა, მშენებლობა კედლებისა, რომლებიც აღმართა, და ყოველი მისი ღვაწლი, 24. მისი მღვდელმთავრობის მატიანეშია ჩაწერილი იმ დროიდან, რაც მღვდელმთავრად დადგა მამამისის შემდეგ.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

სიზმრების ახსნა

დრამა

პერსონაჟები

1. ბაკური — 65 წლის
2. სოლიკო — 40 წლის
3. ტასო — 80 წლის

| 1993 წელი |

ორფანჯრიანი სასტუმრო ოთახი. მარჯვნივ, სიღრმეში, მოჩანს წინკარის ნაწილი, მარცხნივ სხვა ოთახის კარია

ბაკური ჭადრაკს ეთამაშებოდა სოლიკოს, რომელიც ჩვენსკენ ზურგშექცევით ზის

ბაკური — ესეც ასე!.. ხომ, ვთქვით, დაბრუნება არ იყოსო! კარგი, კარგი, ითამაშე... ხოდა, იმას ვამბობდი, ერთადერთი არსება, ვინც კი ბოლომდე ერთგულად იბრძვის მეფის სიცოცხლის გადასარჩენად, დედოფალია. უმალ ორთქლმავალი გადავალიანდაგიდან და გზას დაგითმობს, ვიდრე ეს გვირგვინოსანი როკაპი თავის ფუფუნებას განცხრომას, პაჟების მოუდრეკელ სიყვარულს შეელევა. ქიშ!.. აჰა, გასაგებია... აჯანყებული პაიკები კი ყოველი მხრიდან მოცოცავენ, იხოცებიან, ისევ ცოცხლდებიან, გზა და გზა ჯილდოებითაც კი მძიმდებიან — არც პაიკები არიან ჯილდოს მიმართ გულგრილნი. ზოგი ცხენის პატრონიც კი ხდება—მხედარი, ანუ გამორჩეული და ამაყი, როგორც ძველი რომაელი. აბა, ერთხელაც ქიშ!.. უყურე შენ?!. ჟინი განდიდებისა — აი, რა ეწევათ პაიკებს წინ და ისინიც მიჰყვებიან ამ ჟინს, როგორც ბიოლოგიური ინსტინქტით დამუხტული, შედუღაბებული ჭიანჭველები. მიცოცავენ ზევით, კენწეროსკენ, ტახტისკენ და აი, ბოლოს, რომელიმე მათგანი, უკვე დედოფალის გვირგვინით დაშშვენებული, გვირგვინის გულისთვის სქესშეცვლილი, გაზულუქებული ტრავესტი, პირველი დედოფლის ნაცვლად, ზოგჯერ კი მასთან ერთად, მის გვერდით, როგორც ხელმწიფის უფლებამოსილი ხასა, დაფრინავს, დაქრის წუთისოფლის ტრიალ მინდორზე და მუსრს ავლებს უსახელო რიგით ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკაცებს, როგორიც თვითონ იყო სულ რაღაც რამდენიმე სვლის წინ და არაფერი არ უნდა, არ აინტერესებს მათი გაჟუჟვის მეტი... შამადაა, ჩემო კარგო. აი, შეხედე — ქიშდა გათავდა!.. დაგეძინა?

სოლიკო — მე წავალ, მამა.

ბაკური — ღმერთო დიდებულო, ეს ისევ თავისას გაიძახის. სად უნდა წახვიდე, ვერ ხედავ — ინგრევა ქვეყანა. თუ გინდა, კონიაკს დაგალევინებ, გუნებაზე მოგიყვანს. მეც დავლევ შენთან ერთად...

სოლიკო — არ მინდა, მანქანითა ვარ. თანაც წვიმს.

ბაკური — „არ მინდას" დაალევინე. აბა, წამოხტი უცებ. ცოცხლად, ცოცხლად როგორ იზლაზნები ახალგაზრდა კაცი. რამდენი წლისა ხარ?

სოლიკო — არ იცი?

ბაკური — როგორ არ ვიცი... ორმოცისა გახდი წელს, ხომ მხსომებია!

სოლიკო — შენ კი ახალგაზრდაო...

ბაკური — ვითომ დაბერდი? ადრე ხომ არ მოგივიდა დაბერება?

სოლიკო — შენ სულ ახალგაზრდა ხარ...

ბაკური — ვიცი.

სოლიკო — ხოდა, მე წავალ... დროა უკვე. სანამ შინამდე მივალ, დამიღამდება. ღამით სიარულს ვერიდები. არ მიყვარს. კარგად ვერ ვხედავ და სულ დაძაბული ვარ, რამეს არ შევასკდე... თანაც წვიმს... წვიმაში მიჭირს სიარული. შენ ხომ იცი **(წამოდგება. სიცილით)** შეიძლება ჩავიდე და მანქანა არც კი დამხვდეს.

ბაკური — მერე რატომ არ გადაიხედავ — ქართველი კაცი ფანჯარაში ხომ მარტო მანქანის გულისთვის იხედება!

სოლიკო — რა აზრი აქვს?.. სად არის კონიაკი?

ბაკური — აი, ეგ კარადა გამოაღე. ხო, ეგ. ახლა დაიხარე ცოტა. თუ წელში ვერ იხრები? ხედავ ბოთლს?

სოლიკო — ვხედავ.

ბაკური — ესე იგი, თვალის ჩინი ჯერ კიდევ შეგრჩენია. ჭიქებიც წამოაყოლე ხელს. მანდვეა. აი, ყოჩაღ! მომეცი ბოთლი, მე გავხსნი. აი, ასე.

კონიაკს ჭიქებში ასხამს

— საკმარისია?

სოლიკო — ხომ გითხარი...

ბაკური — ცოტა, არაფერი უჭირს...

სოლიკო — ...არ ვსვამ-მეთქი.

ბაკური — არც ეგ ვარგა. აბა, მოკიდე ჭიქას ხელი. აი, ასე. ახლა მომიჭახუნე. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! რამდენი ხანია, არ გინახივარ?

სოლიკო — ხომ იცი, რა მდგომარეობაა...

ბაკური — წელიწადი?

სოლიკო — ... ქუჩაში გამოსვლა საშიშია...

ბაკური — წელიწადნახევარი?

სოლიკო — ამას წინებზე ხომ დაგირეკე?

ბაკური — მაგისთვისაც დიდი მადლობა.

სოლიკო — თუ რამე დაგჭირდება, მითხარი.

ბაკური — მე რა უნდა დამჭირდეს?

სოლიკო — რა ვიცი... ბენზინიც არ იშოვება. ფულიც რომ გქონდეს, ვერ იშოვი.

ბაკური — ფული გაქვს?

სოლიკო — კი, ფული მაქვს... შოვნა ძალიან გაძნელდა, მთელი დღე რიგში უნდა იდგე. ბენზინზე გეუბნები.

ბაკური — აბა, დავლიოთ.

სოლიკო — რას ვსვამთ?

ბაკური — ხომ გითხარი, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს-მეთქი.

სოლიკო — კი, ბატონო, გაუმარჯოს ჩვენს შეხვედრას... მამა შვილს სასმელს აძალებდეს, არ გამიგია...

ბაკური — ვინ გაძალებს? არა, ჭირიმე, თუ არ გინდა, არ დალიო. მაგრამ მე ვიცი, რომ სვამ...

სოლიკო — ჩიტმა მოგიტანა ამბავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკური — ეს თბილისია, ჩემო კარგო, არ დაგავიწყდეს! ყველამ ყველაფერი იცის და უნდა ყველას გააგებინოს.

სოლიკო — მე რა იმდენს ვსვამ, რომ...

ბაკური — მაგას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, სვამ. აბა, თითოც დავლიოთ. კარგი კონიაკი ყოფილა, ხომ იცი!

სოლიკო — ჩემთვის საკმარისია.

ბაკური — მარტო ხომ არ დავლევ!

სოლიკო — მერე რა უჭირს... მე მეყოფა... წვიმს...

ბაკური — რომ წვიმს, სწორედ მაგიტომ ვსვამ.

სოლიკო — მე კი წვიმის მეშინია... თანაც ღამეა. ხომ გითხარი, ვერ ვხედავ-მეთქი კარგად.

ბაკური — ეგ ჩემგანა გაქვს, მემკვიდრეობით. მეც ვერ ვხედავდი კარგად. თანდათანობით გაგივლის.

სოლიკო — როდის?

ბაკური — აი, ჩემხელა რომ გახდები. კარგად დაინახავ, უკეთესად.

სოლიკო — კარგი ერთი...

ბაკური — არა გჯერა?

სოლიკო — როგორ უნდა დავიჯერო: სიბერეში ხალხს თვალს აკლდება, კი არ ემატება.

ბაკური — სიბერეში კი...

სოლიკო — უკაცრავად, ბატონო, დამავიწყდა, ვის ველაპარაკები!

ბაკური — სიბერეში მართლა აკლდებათ თვალს, სმენაც უქვეითდებათ. ასეა. ეს ბუნების კანონია. ამას ვერ გაექცევი. ამიტომაც, ჩემო ჭკვიანო შვილო, არ უნდა დაბერდე.

სოლიკო — ეს ვითომ ჩემზეა დამოკიდებული?

სვამს

ბაკური — რასაკვირველია, მხოლოდ შენზე.

სოლიკო — იცოდე, მეტს აღარ დავლევ. ეს ბოლოა.

ბაკური — არ დამელოდე, ისე გადაჭკარი.

სოლიკო — მინდოდა დროზე ეთქვა. შორებინა.

ბაკური — (ჭიქას უვსებს) — ეს შენ გაგიმარჯოს!

სოლიკო — მადლობთ.

სვამენ

ბაკური — ჭიქებს ავსებს) — ახლა ერთიც დავლიოთ და დამთავრდება. მერე წადი, სადაც გინდა, ძალით ხომ არ დაგიჭერ. ახლა სად მუშაობ?

სოლიკო — ბანკში. ახალი ბანკია. კომერციული.

ბაკური — რას აკეთებ?

სოლიკო — ალბათ იცი, ეკონომიკური ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული...

ბაკური — როგორ არ ვიცი...

სოლიკო — ხოდა, მმართველის მოადგილედ ვმსახურობ.

ბაკური — ოჰო?

სოლიკო — (ხელს ჩაიქნევს) — დიდი არაფერი.

ბაკური — კარგად ჟღერს — მმართველის მოადგილე! უკეთესად, ვიდრე მმართველი.

სოლიკო — მე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ...

ბაკური — იქნები.

სოლიკო — რა ვიცი... ავტომატიანი გორსალა დამასვეს თავზე.

ბაკური — მოდი, ბანკს გაუმარჯოს!

სოლიკო — გაუმარჯოს!

ბაკური — ყველა ბანკის მმართველის მოადგილეს!

სოლიკო — რატომ ყველას?

ბაკური — სხვა ვინ დალევს მაგათ სადღეგრძელოს!

სოლიკო — მართლაც, არავინ... გაუმარჯოს... რამდენი ხანია, კონიაკი არ დამილევია...

სვამენ

ბაკური — (ჭიქებს ავსებს) — საერთოდ, რას სვამ?

სოლიკო — ღვინოს. ღვინოს უფრო ვიტან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკური — ღვინოს დიდი დრო უნდა...

სოლიკო — მამა...

ბაკური — რა იყო?

სოლიკო — შენ გგონია, რომ...

ბაკური — გული აგიჩვილდა?

სოლიკო — მე ყოველთვის მახსოვხარ...

ბაკური — ეგ არ არის ცუდი... დედას თუ ნახულობ?

სოლიკო — იმასაც ასე... ვურეკავ ხოლმე...

ბაკური — თვითონ?

სოლიკო — რა თვითონ? მოდი, ერთიც დავლიოთ.

ბაკური — კი, დავლიოთ... თვითონ თუ გირეკავს?

სოლიკო — (**სვამს**) — გავთბი... სულ მცივა...

ივსებს ჭიქას

ბაკური — აი, ეგ არის სიბერე.

სოლიკო — შიგნიდან მაკანკალებს სულ... უცებ ამიტანს ხოლმე კანკალი და ველარ ვერევი.

ბაკური — ასე იცის...

სოლიკო — რამ იცის ასე? — არა, არ მირეკავს... ვიცი, რომ კარგად არის, ჯანმრთელად. ქმარი აკადემიკოსი ყავს. თუმცა ვის ვუყვები, შენ ალბათ უკეთესად იცი...

ბაკური — ალბათ კი არა, ნამდვილად უკეთესად ვიცი. ყოველშემთხვევაში, შენზე უკეთესად ვიცი.

სოლიკო — ბავშვები როგორ არიანო... როგორ არა, ერთხელ კი, ერთხელ დარეკა...

ბაკური — მერე?

სოლიკო — რა მერე? მოდი, ეს შენ გაგიმარჯოს!

ბაკური — მადლობთ. ორივეს ერთად გაგვიმარჯოს.

სოლიკო — ორივეს ერთად რატომ?

ბაკური — (**სიცილით**) — სხვა არავინ ჩვენს სადღეგრძელოს არ დალევს.

სოლიკო — მართალი ხარ, არავინ...

ხვამენ

— არავინ ჩვენ — მამაშვილს — არ გვადღეგრძელებს. მარტო ჩვენ ჩვენ, ისევ ჩვენ უნდა ვიძალოთ, ჩვენ უნდა დავლიოთ. წვიმა არ მიყვარს, ბავშვობიდან არ მიყვარდა. სულ ვემალებოდი წვიმას. სად დაემალები! შუაღამისას გამეღვიძებოდა, კანკალი ამიტანდა, მივხვდებოდი, რომ წვიმდა. საბანს თავზე წავიფარებდი ხოლმე... ბავშვები როგორ არიანო. არ უნახავს, ჯერ თვალითაც კი არ მოუკრავს, თუნდაც, შორიდან. შენთან კი მყავდნენ, ხომ გახსოვს?..

ბაკური — როგორ არ მახსოვს... ბიჭი გამხდარია ცოტა... მეც ასეთი ვიყავი. დედა ყვიციანს მეძახდა...

სოლიკო — რას გეძახდა?

ბაკური — ყვიციანს... გაჩხინკული, თვალებგადმოყრილი, კალიასავით ვიყავი... შემოვიდა თუ არა...

სოლიკო — ხო, მე შემოვგზავნე. პირველი ის შემოვუშვი შენს ოთახში...

ბაკური — კართან გაჩერდა და შემომაშტერდა. რა უთხარით ისეთი იმ ბავშვს, რომ შიშისაგან ხმა ვერ ამოიღო? ალბათ, რას არ ლაპარაკობთ ჩემზე...

სოლიკო — რა უნდა ვილაპარაკოთ შენზე?

ბაკური — ჩემი რძალი არც კი მიცნობს...

სოლიკო — მოხდა ასე. მერე დრო რომ გავიდა, უფრო და უფრო მოერიდა მოსვლა. ხომ იცი, მერე და მერე ძნელია...

ბაკური — მართალი ხარ. მე არ ვამტყუნებ. საყვედურს კი არ ვამბობ, ისე (**სიცილით**), როგორც იტყვიან, ფაქტს აღვნიშნავ. გოგოს ბებიის თვალები აქვს. ლამაზი გოგო გაიზრდება. მოვიდა და მაკოცა. შენ დაარიგე ასე?

სოლიკო — არა, ღმერთმანი, არა. თვითონ მეც გამიკვირდა. მთელი ღამე მერე ამაზე ვფიქრობდი. როგორ დამისხლტა უცებ ხელიდან, როგორ გამოიქცა, ყელზე მოგეხვია და გაკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკური — შემოვიდნენ თუ არა, ვიცანი. ან როგორ არ უნდა მეცნო, სხვა ვინ შემოვიდოდა ჩემთან! მაგრამ მარტო მაგიტომ არა. უცნაურია. თავი ავწიე და ვხედავ — კართან ვიღაც გამხდარი, მოკლეშარვლიანი, სათვალიანი ბიჭი დგას. გული შემიხტა. მე მგონი, შემეშინდა. ამ ბოლო დროს სულ სიზმრებს ვხედავ, სულ სიზმრებში ვარ. ვიფიქრე, ესეც სიზმარია-მეთქი. ათასი ვინმე მესიზმრება, მაგრამ, უცნაურია, ჩემიანები — არა. ჩემიანებს ისე გეძახით, ჩემთვის გუნებაში. შეიძლება გეწყინოთ კიდეც, ჩემიანები რომ დაგიძახოთ, მაგრამ მე სხვებში რომ გამოგარჩიოთ, პირობითად ჩემიანებს გეძახით: შენ, შენს ცოლს, რომელსაც არ ვიცნობ, შენს შვილებს და დედაშენს, რომელიც ზუსტად ოცდახუთი წელია, თვალით არ მინახავს... ისე კაცმა რომ თქვას, მართლაც, ჩემიანები ხართ, ყოველშემთხვევაში, ღმერთისგან ჩემიანებადა ხართ ჩაფიქრებულები. მე რომ არ ვყოფილიყავი, არც თქვენ მოევლინებოდით ამ ქვეყანას, რა თქმა უნდა, დედაშენსა და შენს ცოლს ეს არ ეხება. მაგრამ, რა იცი, იქნებ ისინიც იმიტომ გაჩნდნენ, რომ ჩემიანებად ქცეულიყვნენ!

სოლიკო — მამა, შენ ხომ იცი, რომ...

ბაკური — თქვი, თქვი თამამად!

სოლიკო — მე სითამამე არ მაკლია!

ბაკური — ხოდა, თქვი!

სოლიკო — თუ მინდა, გეტყვი კიდეც.

ბაკური — რატომ ბრაზობ?

სოლიკო — შენ იცი, რომ ვერ გიტან... როგორც მამას... მაგრამ რაღაც ძალა, ზებუნებრივი ძალა ყოველთვის შენსკენ მეწევა... უცნაურია. და ამიტომ ჩემი თავი მეზიზღება... ყველაზე მეტად საკუთარი სისუსტე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

ბაკური — ატყობ კი საკუთარ სისუსტეს?

სოლიკო — როგორ არა. აი, მაგალითად, განა სისუსტე არ არის, რომ აქა ვარ, შენთან, კონიაკს ვსვამ... წელიწადში ერთხელ მაინც მოვდივარ, გირეკავ კიდეც... ამაზე მეტი სისუსტე გამიგონია?

ბაკური — ამაზე მეტი სისუსტეც არსებობს.

სოლიკო — თითქოს ხელყუმბარა შემოგვიგდო ვიღაცამ ოჯახში, ჰაერში გავიფანტეთ აქეთ-იქით, მაგრამ ცოცხლები კი დავრჩით... ცოცხლები კი არა — უვნებელები.

ბაკური — რა პოეტურად ლაპარაკობ?

სოლიკო — ასე მემართება, ცოტას როგორც დავლევ... ესეც გენეტიკური სისუსტეა. რას იზამ, ეტყობა, ვერსად გაექცევი. ზოგჯერ მინდა სულში ხელები ჩაგიყო, შიგ მოვაფათურო, ვიპოვო ის გენი, ის პაწაწინა სახემოთხუპნული კლოუნი, მეც რომ მამასხარავებს ხოლმე. ზოგჯერ ვხედავ კიდეც...

ბაკური — როცა დალევ არა?

სოლიკო — ხო... როცა დავლევ. პაწაწინა მამალსა ჰგავს, წითელ-ყვითლად მორთულს...

ბაკური — გინდა თავი წაგლიჯო...

სოლიკო — ხო, მინდა თავი წავაგლიჯო...

ბაკური — და წრე შემოუხაზო გარშემო...

სოლიკო — ხო, წრე შემოვუხაზო გარშემო, ნაფოტით...

ბაკური — უყურო, როგორ ფართხალებს, როგორ ხტის ჰაერში, მაგრამ ვერაფრით ვერ გადის იმ წრიდან, როგორც მორიელი — ცეცხლის რკალიდან...

სოლიკო — ვინ?

ბაკური — მორიელი!

სოლიკო — ხო... მორიელი... ბავშვი ვიყავი, როცა პირველად ვნახე, როგორ დაკლეს მამალი...

ბაკური — მე დავკალი...

სოლიკო — ხო, შენ დაკალი...

ბაკური — ბაკურიანში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიკო — ხო, ბაკურიანში...

ბაკური — ნისლიანი დღე იყო...

სოლიკო — ხო, ნისლიანი დღე იყო...

ბაკური — დედაშენს ჩემი კურტაკი ჰქონდა მხრებზე მოხურული და ხელში ტაშტი ეჭირა...

სოლიკო — ხო, იმ ტაშტში ჩააგდო და წაიღო, კმაყოფილმა. როგორც მორთმეული ნანადირევი...

ბაკური — ოჯახი ასეა... მაშინ ჩვენ ოჯახი გვქონდა...

სოლიკო — ვიდექი და გიყურებდით... იმ დღეს ამიტყდა პირველად კანკალი. გავიქეცი, სახლის უკან ნაკელის გორა იდგა, იქ ჭინჭარში ჩავჯექი, მოვიბუზე, თავი მუხლებში ჩავრგე, მთელი სხეული მიძაგძაგებდა, ვერაფრით შევაჩერე...

ბაკური — ნერვიული ბავშვი იყავი...

სოლიკო — მე ნერვიული ბავშვი ვიყავი?

ბაკური — ასე თქვეს ექიმებმა, ნერვიულიაო. რატომ გაგიკვირდა, ბავშვებს შორის ბევრია ნერვიული. ეგ არაფერია, თანდათანობით გაუვლის ხოლმე...

სოლიკო — მე საერთოდ ბავშვი არ ვყოფილვარ.

ბაკური — ოჰო?

სოლიკო — სასაცილოა?

ბაკური — არა რატომ... სასაცილო სრულებითაც არ არის.

სოლიკო — ასე იყო... სინამდვილეში... საშინელებაა, როცა შენს თავს ვერ იმორჩილებ...

ბაკური — ნუღა სვამ.

სოლიკო — აწი უკვე გვიანია. რატომ მაძალებდი!

ბაკური — მე გითხარი, თითო ჭიქა დავლიოთ-მეთქი.

სოლიკო — და მერამდენე ჭიქას ვსვამთ?

ბაკური — არ ვიცი, არ დამითვლია

სოლიკო — აი, ხომ ხედავ.

ბაკური — მე არ მეგონა, თუ...

სოლიკო — რა არ გეგონა?

ბაკური — ასე თუ სვამდი.

სოლიკო — აი, სწორედ ეგ არის ცუდი!

ბაკური — რა?

სოლიკო — რომ არ გეგონა!

ბაკური — კი, გამახსენდა, ეზოში ნაკელის სუნი იდგა... სახლის პატრონს ორი ძროხა ყავდა. შენ უღებდი ხოლმე ჭიშკარს, როცა ბრუნდებოდნენ... ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა, ამიტომაც ვისვენებდით ერთად... მთელი ოჯახი. ბაკურიანში შენს გამო ვიყავით, ჯირკვლები აღმოგაჩნდა, ექიმმა ბაკურიანი გვირჩია... შუაში გიწვენდით, მარტო დაძინებისა გეშინოდა...

სოლიკო — ხო, ყოველთვის მეშინოდა მარტო დაძინების. ახლაც მარტო ვერ ვიძინებ. საერთოდ, ოთახში მარტო ვერ ვჩერდები. მინდა ჩემს გვერდით ვიღაც იყოს, უსათუოდ...

ბაკური — მეც ასე ვიყავი...

სოლიკო — ხომ გითხარი, გენეტიკური სისუსტეები მაქვს-მეთქი!.. მერე?

ბაკური — რა მერე?

სოლიკო — ახლა როგორა ხარ?

ბაკური — ახლა?

სოლიკო — ხო, ახლა!

ბაკური — ხომ გითხარი, ნუღა სვამ-მეთქი!

სოლიკო — ეს ერთიც **(სვამს)**. არა უშავს, შეჩვეული ვარ. ხშირად მიწევს დალევა. შენ იცი, რა არის კომერციული ბანკი?

ბაკური — არა... ბანკი ბანკია...

სოლიკო — სწორედ, რომ ბანკი ბაბანკია! ხოდა, ათასნაირი ხალხი მოდის, რა ქვია იმას — ჭრელი! ხო, ჭრელი... ჭრელი ხალხი. ზუსტია, ხომ იცი!

ბაკური — **(სიცილით)** — იცი თუ არა, რომ ზოოპარკში ხარ ჩასახული

სოლიკო — საად?

ბაკური — ზოოპარკში, ხილიანის ქუჩის ქვემოთ, ბოსტანში...

სოლიკო — აბა, კომბოსტოში გიპოვნივართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკური — კი, დაახლოებით ასე იყო... ბინა არ გვქონდა და იქ ვხვდებოდით ერთმანეთს მე და დედაშენი. მდინარე ვერეს პირას, ძაღლების ხროვის თანდასწრებით...

სოლიკო — მეც არა ვთქვი!..

ბაკური — ...პამიდვრის ჩითილებში...

სოლიკო — ...რატომ მაკანკალებს ადამიანების ახლოს-მეთქი! ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის. კიდევ კარგი, მითხარი. მადლობელი ვარ ასეთი გულახდილობისათვის. მაშ, მე ბუნების შვილი ვყოფილვარ, ქართველი მაუგლი. სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, ჩემი სამშობლოც ის არი. ზოოპარკში თუ დაგყავდი ბავშვობისას? მე რაღაც არ მახსოვს...

ბაკური — არა, არ დამყავდი.

სოლიკო — ჩემთვის არ გეცალა.

ბაკური — ალბათ.

სოლიკო — მამაშვილს შორის „ალბათ" არ არსებობს. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, მე არ მახსოვდეს, წამიყვანია თუ არა ჩემი შვილები ზოოპარკში ან ცირკში. ცირკში თუ ვყოფილვართ ერთად?

ბაკური — არც ცირკში.

სოლიკო — აი, ხომ ხედავ! და ამის მერე უნდათ, რომ სანიმუშო ადამიანი ვიყო!

ბაკური — ვის უნდა?

სოლიკო — ყველას, საზოგადოებას!

ბაკური — სად არის საზოგადოება?

ბაკური — და არ იციან, რომ ბავშვი ზოოპარკსა და ცირკში იზრდება. შეიძლება არ ჩაისახოს ზოოპარკში, ყველას როდი ჰყავს ჩემსავით შმაგი და დაუოკებელი მამა, მაგრამ ადამიანად რომ გაიზარდოს, აუცილებელია მხეცებთან ურთიერთობა. სხვაგან სად ისწავლის ადამიანობას? არსად! არსად! ასე რომ, მამაჩემო...

სვამს

ბაკური — ხომ გითხარი, აღარ გინდა-მეთქი.

სოლიკო — განა მართალს არ ვამბობ? მითხარი, თუ ვტყუი. ბაჩუმდები. ჩემს გაჩუმებას რა უნდა... ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის. თუ ეს უკვე ვთქვი. ხო, ყველაფერი გასაგებია. ესეც ცინიზმია, რომ მე ასეთი ბუნჩულა, პედანტი, გულუბრყვილო ფინანსისტი, ვერეს ნაპირზე, პამიდვრის ჩითილებში, ძაღლების თანდასწრებით უნდა ჩავსახულიყავი. ცინიზმია მთელი ჩემი ცხოვრება და ალბათ ასედაც უნდა ყოფილიყო. მე ჩემი თეორია მაქვს. საერთოდ, ადამიანის ცხოვრებაზე ჩემი წარმოდგენა გამაჩნია. შენ ხომ იცი, მე ფილოსოფოსობა მიყვარს. საერთოდ მიმაჩნია, რომ ხიროსიმის მერე, რომელიც ლოგიკური წერტილი იყო კაცობრიობის არსებობისა, დამატებითი დრო დაიწყო, ცარიელი, მთქნარებასავით გაჭიმული დრო. მგონია, რომ ყველა, ვინც კი დამატებით დროშია გაჩენილი, ჩემსავით უბედურია. არა, უბედური ის სიტყვა არ არის. ჩემსავით ხელმოცარულია. ხო, ასე სჯობს! უიღბლო! — როგორც ჩვენ ვიტყოდით, უფრო სწორად, შენ — მამაჩემო. ხელმოცარული არ შეიძლება უბედური იყოს... მე რომ დავიბადე, კაცობრიობას უკვე მოთავებული ჰქონდა თავისი საქმიანობა. ერთი ცივილიზაციის კვალობაზე, რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი უკვე მოგონილი ჰქონდა საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად: დაწყებული პრეზერვატივით და დამთავრებული წყალბადის ბომბით. მაგრამ არსებობს ცინიზმიც, რომელიც მარტო მე არ მეხება, თავდაღმართში ჩამავალ პლანეტას ცოფიანი ძაღლივით კბენს ფეხებზე. ცინიზმია აბა რა არის, როცა წყალბადის ბომბის შემქნელს ნობელის მშვიდობის პრემიას ვანიჭებთ. ესე იგი, ვიღუპებით და ვერ ვგრძნობთ... ანდა გვიხარია, რომ ვიღუპებით, ოღონდ, რასაკვირველია, არ ვიცით, რა გვიხარია... გასაგებად ვამბობ? ამას წინათ, ანუ ამ წელიწადნახევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის წინ, აქ რომ ვიყავი, შენ მითხარი, ქვეყანა უსათუოდ დაიღუპება, რადგან მას ისეთი წმინდანები მოევლინენ, რომლებიც ჯამაგირს ეანდარმერიის სალაროდან იღებენო. ბევრი ვიფიქრე ამაზე, ძალიან ბევრი. სულ ამაზე ვფიქრობდი, რა იყო ეს — შეცდომა თუ ბედისწერა, ანუ თვითმკვლელობა, გლობალური სიკვდილის ინსტინქტის აღზევება... რა, აღარა გვაქვს კონიაკი? სულ დავცალეთ?

ბაკური — ხო, აღარა გვაქვს. საკმარისია. მეტი არ არის საჭირო.

სოლიკო — ვინ რა იცის, რამდენია საჭირო და რამდენი არა! არავინ, მამაჩემო, არავინ ეს არ იცის. ამას ზოოპარკიდან გამოქცეული მხეცი გეუბნება, რომელიც ინსტინქტით გრძნობს, რას ამეკვიატა ეს სიტყვა! — რაღაც საშინელება, მიწისძვრა, ხანძარი, წარღვნა, არ ვიცი, რაც გინდათ დაარქვით, გვიახლოვდება. ამის გამო გამოვიქეცი, ამის გამო ამოვყავი თავი თქვენთან. კაცობრიობამ თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა-მეთქი, ხომ გითხარი!

კარადის კარს გამოაღებს

— აი, მეორე ბოთლიც! ოჰო, ეს კიდევ უკეთესი კონიაკი გვქონია! თავიდან რატომ ვერ შევნიშნე? უცნაური რაღაც მჭირს, მილიონი ბოთლი რომ იდგეს, მე მაინც მარტო ერთს ვხედავ. აბა, გავხსნათ. აი, ასე. სამი ხმა მიყვარს ყველაზე მეტად — ბოთლის გახსნის, მანქანის ამუშავების და ქალის კვნესა იმ დროს, ჩვენ რომ ვიცით. უფრო სწორად, შენ რომ იცი, შენა ხარ მაგის დიდოსტატი. სადაც არ მივედი, ყველგან შენი სასიყვარულო ამბები დამახვედრეს. კაზანოვა ხარ, მამაჩემო, კაზანოვა! ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ. იქნებ ახლაც ჰა? აი, განტელები, ესპანდერი. ეტყობა, მაგრად ვვარჯიშობთ. იქნებ გოგონებიც ... ები? გიჟი ბებიაჩემი სად არის ამ დროს?

ბაკური — ჩუ!

სოლიკო — **(კონიაკს ისხამს, სვამს)** — სად არის-მეთქი შერეკილი ბებიაჩემი! სად არის ის კუდიანი!

ბაკური — გაჩუმდი!

თვალით მეორე ოთახზე ანიშნებს.

სოლიკო — რა, დაჭკვიანდა?

ბაკური — ბებიაზე ასეთი ლაპარაკი ვის გაუგია, მიტინგებზე გასწავლეს ალბათ.

სოლიკო — ხო, შენ მიტინგებიც არ მოგწონს. არც ჩვენი მოძრაობა...

ბაკური — არ გაიგოს, ცოდოა.

სოლიკო — კიდევ თოჯინებით თამაშობს?

ბაკური — მერე რა, ვის რას უშლის?

სოლიკო — როგორ თუ მერე რა! ბებიის თოჯინით თამაში ნორმალურად მიგაჩნია?

ბაკური — ნორმალურად მიმაჩნია თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა...

სოლიკო — აბა, რასა აქვს მნიშვნელობა?

ბაკური — თუ სიმართლე გინდა, მე პირადად, სრულებითაც არ მიმაჩნია თოჯინებით თამაში სიგიჟედ... იშვიათად შემხვედრია ასეთი უწყინარი და სათნო ადამიანი... რომელსაც შეუძლია გისმინოს... იჯდეს კუთხეში თავისთვის და გისმინოს...

სოლიკო — შენ ლაპარაკობ და ის გისმენს! მსმენელი გიშოვნია.

ბაკური — არა, არც მე ვლაპარაკობ...

სოლიკო — აკი მისმენსო?

ბაკური — ხო, ვსხედვართ ორივენი ჩუმად და ერთმანეთს ვუსმენთ...

სოლიკო — დაიცა, დაიცა! შემომხედე! შენც?

ბაკური — **(ღიმილით)** — აჰა, შემოგხედე!

სოლიკო — შენც გააფრინე?! რას ქვია, გადავირევი ნამდვილად, სხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხართ ჩუმად და ერთმანეთს უსმენთ!

ბაკური — (ღიმილით) — შენ, ეტყობა, ამას ვერ გაიგებ.

სოლიკო — არც მინდა! ღმერთმა დამიფაროს.

ბაკური — (პაუზის შემდეგ), — ხო ღმერთმა დაგიფაროს...

სოლიკო — აი, მესმის სიძე! ერთი ჩემი ძმაკაცები უნდა მოვიყვანო და ვიდეოკამერით გადავაღებინო თქვენი თავი, როგორ სხედხართ ჩუმად და როგორ უსმენთ ერთმანეთს. უცნაურია, უცნაური... ჩემს გარშემო ყველაფერი უცნაურია. ვერაფერი გამიგია, რა ხდება, ვერაფერს ვეღარ ავუღე ალღო, ვერაფერს ჩავჭიდე ხელი. სიძე-სიდედრის ასეთი სიყვარული საიდან გამოტყვრა, განა ესეც კატასტროფის ნიშანი არ არის! აი, ცინიზმის კიდევ ერთი მაგალითი: შვილი სახლიდან გაიქცეს, სხვას წაჰყვეს ცოლად, ის კი მიტოვებულ სიძესთან დარჩეს. ხელში თოჯინა დაიჭიროს და გაჩუმებულ სიძეს მოუსმინოს. რა არის ეს, გამაგებინეთ, არ არის სიგიჟე? რა თქმა უნდა, ასპროცენტიანი სიგიჟეა!

ბაკური — რა გაყვირებს, ხომ გითხარი, არ გაიგოს-მეთქი!

სოლიკო — უყურეთ ერთი ამას, როგორ უფრთხილდება!

ბაკური — დიახაც რომ, ვუფრთხილდები.

სოლიკო — ერთი წუთით მაინც გამომხედოს, სხვა ხომ არა ვარ, ბოლოს და ბოლოს, შვილიშვილი ვარ მისი. სხვათაშორის, მისი შვილიშვილი შეიძლება უფრო ვიყო, ვიდრე შენი შვილი.

ბაკური — ვერ გავიგე?

სოლიკო — კარგი, კარგი... მერე აგიხსნი, სხვა დროს. შენ თუ არ იცი ეს, რასაკვირველია.

ბაკური — რა უნდა ვიცოდე?

სოლიკო — (ეძახის) — ბებო, ბებო, ტასო ბებო, სადა ხარ!

ბაკური — დაანებე თავი.

სოლიკო — თამაშობს?

ბაკური — ხო, თამაშობს.

სოლიკო — (ეძახის) — ტასო ბებო! ტასო ბებო!

ბაკური — აცალე, თავისით გამოვა.

შემოდის ტასო

სოლიკო — აი, ტასო ბებოც! გამარჯობა, ბებო, როგორა ხარ, რასა იქმნ? შენს სანახავად მოვედი, საგანგებოდ. ხომ მიცანი, სოლიკო ვარ, ხო, სოლიკო. აქეთ გამოიხედე, ბებო, შვილიშვილი გესტუმრა ეი! ჩემთან ერთად ხომ არ დალევდი ცოტას?

მოეხვევა

— ბებიები სუნის გამო მიყვარს, რაღაც სხვანაირი სუნი ასდით. სულ მენატრება ეს სუნი. ძილშიაც კი. დაიცა, მაყნოსინე, ქალო, „შანელი“ ხომ არ არის, ფასი დაადო! ვერ მიცნო, მგონი! ან როგორ უნდა ვეცნე, წელიწადნახევარია არ ვუნახივარ. ახლა წელიწადი დიდი დროა. წელიწადს ახლა პატიმარსაც არ უსჯიან. წელიწადს ციხეში ვინ გასძლებს! ერთი წლით ცხოვრობს ახლა ადამიანი. ბებია მენატრება, ბებია. უბებიოდ გაზრდილი, მხეცი ვიქნები აბა რა! მოდით რა, დავლიოთ ჩვენი ბებიებისა და ბაბუების სადღეგრძელო, ერთი ბებიაღა შემრჩა ტასო ბებო, მაგრამ რად გინდა — არ მცნობს. ალბათ პოლიტიკოსებს ვერ იტანს, სიძესავით. ტასო ბებო, რა მოგიტანო, მითხარი, რა გაგიხარდება? ოქროს სათვალეს ვერ დაგპირდები, მაგრამ... მოკლედ, რა გინდა, მიბრძანე!

ბაკური — გაანებე თავი.

სოლიკო — რატომ, უფლება არა მაქვს, ჩემს ბებიას, დედაჩემის დედას ველაპარაკო? რომ იცოდე, მე და ეს ქალი უფრო ახლო ნათესავები ვართ, ვიდრე თქვენ, ანუ სიძე-სიდედრი. მე მაგის შვილიშვილი გახლავარ. ხომ გაგიგონია: შვილმა გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში გამიარა, შვილიშვილმა გულისგულშიო! მთავარია, გული იყოს, გული! ტასო ბებო, შეგრჩა ქალო, ეგ ოხერი, ყველაზე დეფიციტური საქონელი? კიდევ გაქვს გული? ერთი წუთით მაინც დამანახვე, შორიდან მაინც შემავლებინე თვალი, მომასმენინე მაგ საოცრებისათვის: ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ, რამდენი ხანია, არ გამიგონია! ტასო ბებო, ტასო ბებო, არ გესმის ჩემი? ერთხელ მაინც შემომხედე, ქალო!

ტასო — **(სკამზე ჩამოჯდება)** — მე ჩემს გადია ოლას „დაიკოს" ვეძახდი.. წყინდა. წარმოგიდგენიათ! ტასო, ტასო, ტასიკო, ნუ გამამწარე, ქალოო **(იცინის)**! მე კი მიხაროდა, დაიკოს რომ ვეძახდი. არადა, ეს დედაბერი თითქოს მართლაც „დაიკოდ" იყო გაჩენილი ღმერთისგან. ისეთი ტკბილი ხელები ჰქონდა... მე კი და არ მყოლია არც პატარობაში და არც მერე და საერთოდ არავინ მყოლია, დაიკო რომ დამეძახა, ჩემი გადია ოლას მეტი. ის კი ბრაზობდა. სულელი. სამზარეულოში იჯდა და ტიროდა. თან პაპიროსს ეწეოდა. მე მგონი, იმიტომ ტიროდა, რომ პაპიროსის წევა არ დაგვეშალა. არ მიყვარს თამბაქოს ბოლი. ვის უყვარს, თუ თვითონ, არ ეწევა? არავის... მე რატომ უნდა მიყვარდეს?.. დიდი კედლის საათი გვქონდა. რომ დარეკავდა, გული შემიხტებოდა ხოლმე. ოლამ მითხრა, მაგას ისეთი ხმა აქვს, უსათუოდ გაცოცხლდებაო. აღარ ვშორდებოდი, ველოდებოდი, როდის გაცოცხლდებოდა. მამას გაჩუქება უნდოდა. არ დავანებე. მიყვარს ძველი ნივთები. ძველი ნივთები უკვე ცოცხლებივით არიან. ადამიანს დრო რომ ყოფნიდეს, მოესწრებოდა მათ გაცოცხლებას...

ხელს იშვერს სოლიკოსაკენ

— ვინ არის ეს კაცი?

სოლიკო — ეს კაცი **(მკერდზე იდებს ხელს)** შენი შვილიშვილია. არ გახსოვს?

ტასო — არ მახსოვს.

სოლიკო — რას ქვია, არ გახსოვს?! შენი საკუთარი, ერთადერთი შვილიშვილი არ გახსოვს, ქალო?!

ბაკური — ხომ გითხარი, დაანებე თავი-მეთქი.

სოლიკო — კი, ბატონო, კი, ბატონო, რა თქმა უნდა, დავანებებ თავს, ახლავე, ამ წუთას... ეს სად მოვხვდი, თქვე მართლა გიჟებო თქვენა!

ბაკური — **(უყვირის)** — გაჩუმდი **(ღიმილით, შემრიგებლური ტონით)** მოდი აქ, მე დამელაპარაკე, რას გადაეკიდე მაგ ქალს.

სოლიკო — მაგრამ მე თვითონ თუ ვარ ნორმალური? დარჩა ვინმე ამ ქვეყნად ნორმალური? ვინ შეატყობს, ვინ არის ნორმალური, და ვინ არა. ამის შემტყობი არსებობს? ბებო, ბებო, გინდა „ბარბი" მოგიტანო, დოლარებზე იყიდება. ახლა, ბებო, ყველაფერი დოლარებზე იყიდება. თუ მეტყვი, „ბარბის" მოგიყვან. იცი, რა კარგი გოგოა! ჩემს ნუციკოს ვუყიდე ამას წინათ, ისე გაუხარდა, ვერ წარმოიდგენ. მე კი მეგონა, საერთოდ, აღარაფერი უხაროდა. მთელი დღე ზის და ხატავს. ხმას არ იღებს. დავინტერესდი, რას ხატავს-მეთქი. არაფერს, არაფერსაც არ ხატავს — დაკლაკნილ ფერად ხაზებს ავლებს. ფლომასტერიც მივუტანე იმ დღეს, მაგრამ „ბარბი" უფრო გაუხარდა. შენი შვილის შვილის შვილია, დიდი ბებია ხარ, დიდედა ტასო!

ტასო — ეს კაცი ვინ არის?

სოლიკო — არ მიცნობ არა? არასოდეს არ გინახივარ, არ გაგიგია ჩემი არსებობა არა?

ტასო წამოდგება, ერთ ხელს ზურგზე დაიდებს, მეორეს მაღლა ასწევს და წრეს დაარტყამს

სოლიკო — **(მამას)** — რას აკეთებს?

ბაკური — **(ღიმილით)** — ცეკვავს.

სოლიკო — კი მაგრამ...

ბაკური — **(ღიმილით)** — რა მოხდა მერე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიკო — არაფერი? არაფერი არ მოხდა?

ბაკური — რა უნდა მომხდარიყო?

სოლიკო — ვითომ საცეკვაოდა აქვს საქმე?

ტასო — (დაჯდება, ხელებს მუხლებზე დაიწყობს) — ხოდა, ჩემო ბატონო, ყველაზე საინტერესო ალბათ სარკის გაცოცხლება იქნება. რამდენი ვინმე ყავს გადაყლაპული იმ ღორმუცელას, ვეშაპივით. გადმოაფრქვევს, გადმოყრის, დაახვავებს. აირევა ერთმანეთში ყალბი ღიმილი, ბრაზით დაჭმული ტუჩები ცრემლისაგან დასიებული თვალები, შურისგან მობრეცილი ყბა, სიძულვილისგან გამობერილი ჩიჩაყვი... სარკე უბედურებს უყვართ... **(პაუზის მერე)** ბატონო ჩემო...

სოლიკო — ბებო, ეს შენ გაგიმარჯოს, შენს სარკესთან, საათებთან და კარადასთან ერთად. აი, მალე ანტიკვარულ მაღაზიას გავხსნი, წაგიყვან და სალონში დაგაბრძანებ. ნივთების რა მოგახსენო, მაგრამ გაცოცხლებულ ფულს კი ნამდვილად გაჩვენებ. ჩვენში ფული გაცოცხლდა, ჯერჯერობით, ბებო, და ეს არის საინტერესო. გუშინ ძაძებში ჩაფლული, ძაძებში ჩაკარგული ქალი შემოვიდა ჩემს კაბინეტში, ბიჭის შავლენტიანი სურათი ეჭირა, მკერდზე აფარებული. გავეგებე: რა გნებავთ, ქალბატონო, რაზე შეწუხებულხართ მეთქი. დავარდა უცებ მუხლებზე, სურათი ორივე ხელით ჩემსკენ გამოიშვირა და შემომბღავლა: ფული გამიცოცხლეო! მე კი მეგონა... მოკლედ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი. მამაჩემი მწერალია, შეიძლება ვერ გაიგოს, მაგრამ შენ, რადგან ნივთების გაცოცხლება გჯერა, მიხვდები, რა განსაკუთრებული მოვლენის წინაშე ვდგავართ. ღღევანდელი ლაზარე ფულია, ბებო, ფული! აბა, ერთი კიდევ ჩამოუარე, შენებურად, კოხტად, აბა, ტაში, ტაში ტასო ბებოსა!

ტაშს უკრავს, ტასო ცეკვავს

—(მამას მიუბრუნდება) — კი მაგრამ, ან პური არ გინდათ, ან ბაზარი, ან მაღაზია, რით საზრდოობთ, ვინ გპატრონობთ?

ბაკური — ჩვენ არაფერი გვიჭირს...

სოლიკო — ტაში, ტაში!

ბაკური — საკმარისია გვეყოფა!

სოლიკო — შენ რატომ არ უკრავ ტაშს, ტასო ბებოს ეწყინება!

ბაკური — გვეყოფა-მეთქი.

სოლიკო — რატომ მიბრაზდები, განა რამე დავაშავე? შეიძლება დავაშავე კიდეც და ვერ ვატყობ. ხომ იცი, უპატრონოდ გაზრდილი კაცის ამბავი!..

ბაკური — (ღიმილით) — რამდენს ლაპარაკობ, თავი ამტკივდა!

სოლიკო — რა ვილაპარაკე ამდენი! ხმა არ ამომიღია. აი, ტასო ბებო ცეკვავს და ტაშს ვუკრავ, არ დავუკრა ტაში? კი, ბატონო, აღარ დავუკრავ. მაგრამ ტასო ბებოს რომ ეწყინოს, რა ვქნათ, ვაწყენინოთ ვითომ ტასო ბებოს?

ბაკური — (ღიმილით) — კარგი, ნუ ვაწყენინებთ...

ტასო დაჯდება, ხელებს მუხლებზე დაიწყობს

სოლიკო — ბებო, კიდევ ხომ არ იცეკვებდი?

ბაკური — ვერ ხედავ, დაიღალა...

სოლიკო — ქალს ცეკვა უნდა, ჩვენ კი ვუშლით. ეს არის სწორედ დესპოტიზმი . მომეცით მეგაფონი! გაუმარჯოს თავისუფლებას! ტაში! ტაში!

ტასო ცეკვავს

ბაკური — (მუშტს დაჰკრავს მაგიდას) — კმარა! გვეყოფა!

ტასო შეკრთება, დაჯდება, ხელებს მუხლებზე დაიწყობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიკო — ოჰო, როგორი ყვირილი გცოდნია!

ბაკური — **(ღიმილით)** — გვეყოფა ცეკვა...

სოლიკო — კიდევ კარგი, ჩვენი ბიჭები არ გიყურებენ...

ბაკური — **(ღიმილით)** — რა იქნებოდა?

სოლიკო — ერის მოღალატედ გამოგაცხადებდნენ, ან კრემლის აგენტად.

ბაკური — **(ღიმილით)** — რატომ?

სოლიკო — იმიტომ რომ ქალს ცეკვას უშლი! ქალებმა იხსნეს საქართველო! გაუმარჯოს ქართულ ცეკვას, მსოფლიოში სწორუპოვარ სხეულთა როკვას, ქართული გენის ზეიმს. მარჯი ტასო ბებოს!

სვამს

— (ხელისზურგით ტუჩს მოიწმენდს) — ტუალეტი ისევ იქ არის? ერთი წუთით დაგტოვებთ, არ მოიწყინოთ... ახლავე... არ ვიცოდი, მოცეკვავე ბებია თუ მყავდა. რამიშვილი...

სკამს წამოედება, კინაღამ წაიქცევა

— რატომ დამალევინე... კინაღამ ბრაგვანი არ გავადინე იატაკზე!.. „თავს არ მოიკლავს ქართველი არა“.. ახლავე მოვალ. არ მოიწყინოთ. ბებიკო, ახლავე დავბრუნდები...

გადის ბანცალ-ბანცალით

ტასო — **(ჩუმად)** — წვიმს...

ბაკური — ხო, წვიმს...

ტასო — ძალიან საშიშია...

ბაკური — ხო, საშიშია...

ტასო — **(წინსაფრის ჯიბიდან თოჯინას ამოიღებს, ეფერება)** — შეგეშინდა, შე საცოდავო? ცოტახანს დავიმალოთ, ცოტახანსაც, სულ ცოტა ხანს კიდევ...

თიჯინას წინსაფრის ჯიბეებში ინახავს. ისევ ისე მუხლებზე ხელებდაწყობილი, წელგამართული ზის

— (პაუზის შემდეგ) — ახლა ისე, ისევ ისე...

პაუზა

— ცოტა ხანს კიდევ...

პაუზა

— წვიმს...

ბაკური — ნუ ტირი...

შემოდის სოლიკო

სოლიკო — **(პირი დაუბანია, თმას ივარცხნის** — მართალი ხარ, ბებო, ყველანი „დაიკოები“ ვართ. მართალი ხარ... აბა, მე ვარ კაცი? — მამაჩემს ვერ ვიტან და მაინც მაგასთან მოვდივარ. რატომ, რა ძალა მეწევა, არ ვიცი, არ ვიცი... ვინ არის ეს კაციო. ვითომ ვერ ვიცანი. შენს თავს მოატყუე. ცეკვა რატომღა დაიწყე ჩემს დანახვაზე? იმიტომ რომ შარშან გაცეკვე. მე და შენ ვიცეკვეთ. ორივემ. შენს თავს მოატყუე... მშვენივრადაც მიცანი...

მოულოდნელად მამას მიუბრუნდება

— რატომ მასმევ?

ბაკური — მე გასმევ? უყურეთ ერთი ამას!

სოლიკო — ხომ იცი, რომ მთვრალი ვერ ვმართავ მანქანას. თანაც წვიმს... წვიმის მეშინია. ესეც იცი...

ბაკური — მერე თუ გეშინია, აქ დარჩი, არავინ გაგდებს აქედან.

სოლიკო — აქ?

იცინის

— აქ?

ხელს შემოატარებს ჰაერში

— აქ?

ბაკური — ხო, აქ. ჩემს ოთახში გაგიშლით ლოგინს.

სოლიკო — ოოო, ეს დიდი პატივია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცინის

— აქ დავრჩე? კი მაგრამ... არა, გამაგებინეთ, თუ შეიძლება, რატომ უნდა დავრჩე აქ? რა მინდა მე აქ! ამიხსენით, თუ შეიძლება, რას ნიშნავს ეს სიტყვა: „აქ"!

ბაკური — **(ღიმილით)** — ძალიან დათვერი. ასე ცოტა თუ გყოფნიდა, არ მეგონა.

სოლიკო — ცოტა?

სვამს

— ახლა უკვე ბევრი იქნება! ესე იგი, მოძვრებიან, მოძვრებიან და მოძვრებიან, ზევით და ზევით, ჭიანჭველებივით... ასეა, ყველას უნდა, ჭიანჭველასაც კი, ამ დამპალი ჭაობიდან ამოძრომა. ყველას! ყველას, ბებიაჩემი ტასოსა და შენს გარდა. ისევ სიზმრებში ხარ ჩაყურყუმალავებული. კიდევ ხედავ სიზმრებს?

ბაკური — ხო, კიდევ ვხედავ **(ღიმილით)** მე რა გამომცვლიდა...

სოლიკო — ძილში კიდევ ყვირი?

ბაკური — ხო, ვყვირი...

სოლიკო — ახლა ვიღა ხედავს სიზმრებს, ვის სცალია სიზმრისათვის, ქვეყანა ინგრევა, რა დროს სიზმრებია!

მამასთან მივა, გვერდით მიუჯდება, ხელს გადახვევს. მამაც გადახვევს ხელს.

სხედან ასე ხელგადახვეულები და ერთმანეთს შესცქერიან

სოლიკო — რატომ მიყურებ?

ბაკური — შენ, შენ რატომ მიყურებ?

სოლიკო — მაინტერესებს, გგავარ თუ არა?..

ბაკური — არა, სრულებითაც არ მგავხარ. შენც ხომ ატყობ.

სოლიკო — ვატყობ, როგორ არა... კი მაგრამ... რატომ არ გგავარ ასე საშინლად. სხვა ვარ, სხვა...

ღიმილით

— მომიყევი რომელიმე სიზმარი.

ბაკური — **(ღიმილით)** — შენ არა თქვი, რა დროს სიზმრებიაო!

სოლიკო — მომიყევი რა, გთხოვ...

ასლოკინებს

— ჩემმა ცოლმა მახსენა, ნინიკომ. არასოდეს სიზმარი არ მინახავს..

ბაკური — დედაშენმაც არ იცოდა, რა იყო სიზმარი... არადა, უყვარდა, როცა ვუყვებოდი...

სოლიკო — სიზმრის მოყოლა როგორ შეიძლება!

ბაკური — რატომ ვითომ?

სოლიკო — ეს იგივეა, ვინმეს მოუყვე, როგორ მოქმედებს შენი კუჭი.

ბაკური — ვერ გავიგე, თან მომიყევიო, თანაც...

სოლიკო — მაგიტომაც მაინტერესებს...

ასლოკინებს

— აი, დედამაც მახსენა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ბაკური — რა გაცინებს?

სოლიკო — შენ არ გეცინება?

ბაკური — რატომ უნდა გამეცინოს?

სოლიკო — დედაჩემმა მახსენა-მეთქი, რომ ვთქვი. ჩემს ხუმრობაზე არავის არ ეცინება. ანეგდოტებს ვერ ვიმახსოვრებ, თუ ვიმახსოვრებ, ვერ ვყვები. ძალიან მინდა, ანეგდოტებს ვყვებოდე და ყველას ეცინებოდეს. ზოგი ამით გახდა დიდი კაცი.

ბაკური — სხვა არაფერი გინდა?

სოლიკო — **(პაუზის მერე)** — სხვა არაფერი...

პაუზა

— მართლა საავადმყოფოში იწექი?

ბაკური — ეგ როდის იყო, აუ!..

სოლიკო — ვინმეს მიეხმარებოდი!..

ბაკური — ... აღარც მახსოვს. მას მერე ნახევარი წელი გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიკო — აღარ უნდა მოიშალო დონკიხოტობა?

ბაკური — დონკიხოტობა?

სოლიკო — ვერ უნდა მიხვდე, რომ მიხმარების დრო წავიდა?

ბაკური — წავიდა?

სოლიკო — არ გესმის, რას გელაპარაკები?

ბაკური — არა.

სოლიკო — წავიდა, გაფრინდა, წარსულს ჩაბარდა. მიხმარებით შენს თავსაც ღუპავ და სხვასაც.

ბაკური — ეგ არ ვიცოდი...

სოლიკო — ახლა არავინ არავის არ ეხმარება: და ეს არის სწორედ მიხმარება. როცა ყველა თავისთვისაა, არავის არაფერი უშავდება, არ იცოდი?

ბაკური — არა, არ ვიცოდი...

სოლიკო — არა უშავს, დღეიდან გეცოდინება.

ბაკური — ხო, დღეიდან მეცოდინება.

სოლიკო — მე მოგიყვები შენს სიზმარს, გინდა?

ბაკური — ჩემს სიზმარს მომიყვები?

სოლიკო — ხო, შენს სიზმარს მოგიყვები... მისმენ? სხვა გზა მაინც არა გაქვს, ხომ ხედავ, როგორ მყავხარ დაჭერილი. დავიწყო?

ბაკური — საინტერესოა...

სოლიკო — დაიცა, თუ გავიხსენე...

ბაკური — დაგავიწყდა კიდეც?

სოლიკო — მაშ, ასე **(შეცვლილი, ათრთოლებული ხმით, ეტყობა, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თვითოეულ სიტყვას)** — ბუნების საიდუმლო წიაღიდან კიდევ ერთი ახალი საღამო ეფინება და ეპატრონება ქვეყანას და ჰა, ვარსკვლავებიც — ფანჯრის გისოსებზე ტუსაღებივით აკრულნი — იწყებენ თავიანთ ღამეულ ფიქრს, რომელიც მერე, ნუგეშის სიზმარივით, უნაწილდება ყველას, ვისაც კი, სიცოცხლის მძიმე, ჭრიალა ფორნის თრევით დაქანცულს, მკვდარივით სძინავს. სიზმარი სიკვდილის სარკეა. ეს საღამო კი ცარიელი და უზარმაზარი, ქვის კედლებიანი ლაბირინთია, სადაც შვებივით ხელჩაკიდებულები, მივყვებით ბნელსა და ცივ დერეფნებს და გვესმის და ვგრძნობთ, თუმცა ვერ კი ვხედავთ, ჩვენს წინ სიბნელეში ვიღაც რომ მიდის და თითქოს რაღაც მძიმეს მიათრევს. რას? ხმა, ხმა გამეცი! ნუთუ ვერასოდეს დავეწევით მას, ვინც ჩვენს წინ სიბნელეში მიდის?..

კარგახანს ერთმანეთს უხმოდ შესცქერიან ■

— იცანი?

ბაკური — კი მაგრამ...

სოლიკო — როგორ დავიმახსოვრე არა?

ბაკური — თუნდაც... იცი, ეგ როდინდელი ლექსია?

სოლიკო — მთავარია, რომ შენია!

ბაკური — აღარც კი მახსოვს, ლექსებს თუ ვწერდი როდისმე...

სოლიკო — კოლონიის ბიბლიოთეკაში ერთადერთი ცალი „მნათობი" ჰქონდათ. ერთ დღეს გადავშალე და პირდაპირ შენს ლექსს არ დავეჯახე! ამოვხიე და წამოვიღე. „ჩვენს წინ სიბნელეში ვიღაცა მიდის... „მეშინია ამ ლექსის, შელოცვასავითაა. ყოველშემთხვევაში, ჩემთვის. ყოველთვის მეშინოდა კუდიანების. შენიც ალბათ ამიტომ მეშინია.

ბაკური — ჩემი გეშინია შენ?

სოლიკო — ხო... **(ასლოკინებს)** უკაცრავად ძალიან...

ბაკური — ჩემი?

სოლიკო — მეშინია და რა ვქნა! აბა, რატომ მოვდივარ აქ, შიშს მოვყავარ, სხვამ რამ უნდა მომიყვანოს!

ბაკური — ზეპირად რამ გასწავლა?

სოლიკო — სიმართლე გითხრა, მე თვითონაც მიკვირს — რითმა მაგას არა აქვს და არაფერი. ეგ რა ლექსია...

ბაკური — ჩემი რომ იყო, იმიტომ ისწავლე?

სოლიკო — უბრალოდ, სხვა არაფერი მქონდა წასაკითხი... მერე შემე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინდა, ახლა უკვე ჩემი თავის.

ბაკური — რატომ, რა მოხდა ასეთი?

სოლიკო — ისე ამაფორიაქა, რომ ერთ დღეს **(ასლოკინებს)**...

ბაკური — ნათლიას შეხედე.

სოლიკო — მონათლული კი ვარ?

ბაკური — ვერ გეტყვი, არ მახსოვს.

სოლიკო — ნათლიაც კი არა მყავს, სლოკინის დროს რომ მიშველოს!

ბაკური — რაღაცას ყვებოდი..

სოლიკო — ვინ მახსენებს ასე უსაშველოდ, ვის გავახსენდი!.. ხო, ისე ამაფორიაქა, კინაღამ კოლონიიდან გამოვიქეცი. აღარ შემეძლო იქ გაჩერება. კინაღამ ძაღლების დასაგლეჯი გავხდი. ცოცხლად შემჭამდნენ.. ბებო, გიყვარს ცხოველები? ბებო, შენ გეუბნები! **(შამას)** ხომ კარგი სიზმარი მოგიყევი?

ბაკური — ხო, შეიძლება ეგეც სიზმარი იყო... სიზმარში რას არ ნახავს კაცი... წუხელ ვითომ სადღაც უნდა მივსულიყავი უსათუოდ. ჯერ ვითომ ლიფტში ვიჯექი. გავიხედე და ანგელოზი არ შემოფრინდა! ფრთები მოიხსნა, ქოლგასავით დაბერტყა, დაკეცა და გამიღიმა...

სოლიკო — ტასო ბებო იქნებოდა ის ანგელოზი!

ბაკური — შეიძლება, მართლაც, ტასო იყო... მერე ვითომ ყინულში ამოჭრილი ორმოსთან ვიდექი და იქიდან ვითომ ვიღაც შემომცქეროდა... მე არც კი მეგონა, შენ საერთოდ კითხვა თუ იცოდი... მეგონა, მარტო ციფრებს სცნობდი. ეს იყო მთელი შენი ცოდნა...

პაუზა

სოლიკო — სხვათაშორის, დაახლოებით ასეა. თუ გგონია, მე შენი სხვა რამეც წაკითხული მაქვს, ცდები. თუ გგონია, დაგიჯერე, სიზმარს რომ მიყვები, კიდევ უფრო ცდები...

ბაკური — ყველას, ვისაც ჩემს სიკვდილში ბრალი მიუძღვის, ვამართლებ-მეთქი, ვუთხარი იმ ვიღაცას...

სოლიკო — მე ვხვდები, რისი თქმაც გინდა.

ბაკური — არაფრის თქმაც არ მინდა.

სოლიკო — კარგი, კარგი, მოვრჩეთ, გვეყოფა.

ბაკური — მართლა სიზმარს გიყვები და არაფერსაც არ ვგულისხმობ, არც არაფრის თქმა არ მინდა. ან რისი თქმა უნდა მინდოდეს, ყველაფერი დაგვიანებულია... ჩემი მდგომარეობის გამო, ველარ ვარჩევ ნამდვილსა და სიზმარს. თანაც სიზმარი გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ჩემი ნამდვილი ცხოვრება...

სოლიკო — ტყუილად იმართლებ თავს...

ბაკური — თავს ვიმართლებ?

სოლიკო — ხო, ეგეც ძალიან დაგვიანებულია. თუმცა, რა იცი...

ბაკური — თავის მართლება არასოდეს გვიან არ არის.

სოლიკო — მაგრამ ვის რაში ჭირდება! სასაფლაოზე იავნანას ვინ მღერის?

ბაკური — რა თქვი?

სოლიკო — **(ასლოკინებს)** სასაფლაოზე **(ასლოკინებს)** უკაცრავად... იავნანას...

ბაკური — რომ იცოდე, არც თავს გაცოდებ. უბრალოდ დალაპარაკება მომინდა შენთან, თუმცა, ყველაზე ნაკლებად შენ გამიგებ ალბათ. დარწმუნებული ვარ, ღმერთს შენთვის ტყუილისა და მართლის გარჩევის უნარი არ მოუცია, ოღონდ ეს ნაკლი კი არა — ღვთის წყალობაა, დაზღვეული ხარ ძმაო გულის ხეთქვისაგან. არაფერი ისე არ ჰგავს მართალს, როგორც ტყუილი.

სოლიკო ბებო, ბებო, ცხოველები თუ გიყვარს?

ბაკური — მოიხედე აქეთ, შენ გელაპარაკები!

სოლიკო — აჰა, მოვიხედე, მერე?

ბაკური — მიპასუხე!

სოლიკო — რა გიპასუხო?

ბაკური — რატომ მოხვედი აქ?

სოლიკო — შენს სანახავად, ბებიის სანახავად. მომენატრეთ. რატომ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოვსულიყავი, განა ეს საკითხავია? არ მოხვალ, რატომ არ მოდიხარო, მოხვალ და რატომ მოხვედიო. ამ ხალხის ვერაფერი გამიგია. ან მე ვაფრენ, ან... რა, ბებომ არ გითხრა, რატომ მოვედი? ჩვენი ბებო ხომ ნათელმხილველია! ბებო ხომ ყველაფერს ხედავს! პითია, კასანდრე, ვანგა, რა ვიცი, კიდევ ვინ არის ნათელმხილველი! ბებოს ვერ დაემალები. მისთვის არ არსებობს მანძილი, დრო, კედელი. ასეთი ბებო გვყავს. ბებო, ბებო, აბა, მითხარი, რატომ მოვედი დღეს აქ? სხვათაშორის, ჩემთვისაც საინტერესოა ეს ამბავი, იმიტომ რომ ნამდვილად არ ვიცი, რამ მომიყვანა, რა ძალა მეწევა აქეთ, რატომ მომარბენინებს. **(ასლოკინებს)** უკაცრავად. ნამდვილად ნინიკო მახსენებს, გააჭირა საქმე. ფანჯარასთან დგას ალბათ და მაგინებს უკანასკნელი სიტყვებით. თურქეთიდან ახალი დაბრუნებულია, ენერგიითაა სავსე. ო, რა გინება იცის, მე სად მოვალ ნინიკოსთან! მოვდივარ, მოვდივარ, ნინიკო, ნუ გეშინია. აი, ბებო მეტყვის, რატომა ვარ აქ და წამოვალ. მერე რა, რომ წვიმს, მერე რა, რომ დავთვერი. ხო, დავთვერი. წარმოგიდგენიათ — დავთვერი! **(ასლოკინებს)** მდა... არ დამცადოს არა? აკაკის ცოლი მივარდნილა ერთხელ პარიზში პოლიციაში ღამის პირველ საათზე, ბავშვმა დაიგვიანა და მიშველეთ, მომაძებნინეთო. რამდენი წლისაა თქვენი ბავშვი, მადამო, უკითხავს პოლიციელს. ორმოცისო. იმ საცოდავ პოლიციელს კინაღამ გული წასვლია. ასე არ მიყოს ნინიკომ, არ მომჭრას თავი, არ დარეკოს ჩვენს პოლიციაში. მაგრამ ჩვენ ხომ პარიზი არა ვართ, მითხარით, ხომ არა ვართ პარიზი? კი, ნამდვილად არა ვართ. ჩვენთან ორმოცი წლისა ჯერ კიდევ ბავშვია, ჯერ კიდევ ცოდოა, ჯერ კიდევ საშიშია მისი ქუჩაში გამოშვება **(ასლოკინებს)** პარდონ!..

ბაკური — არავინ გაგდებს აქედან. ხომ გითხარი, დარჩი-მეთქი!

სოლიკო — ნინიკოს უთხარი ეგ სიტყვები და ვნახავთ, რა პასუხსაც მიიღებ. ოოო, ნინიკო მაგარია! **(აჯავრებს)** ბავშვებო, აბა სწრაფად საწოლში! ვის ვეუბნები მე! არ გამამეორებინოთ! **(ტაშს შემოჰკრავს, ფეხს დააბაკუნებს იატაკზე)** ერთი, ორი სამი! **(ჩვეულებრივი ხმით)** ბებო, მითხარი რა, ცხოველები თუ გიყვარს?

წამოდგება, ბებიასთან მივა, მის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქებს

— მითხარი **(მღერის)** „მითხარი, ლამაზო, გიყვარვარ თუ არა, შენთვის მიძგერს ეს გული, სიცოცხლეს მიმწარებს, სიკვდილს მიახლოვებს, ქალო, ეგ შენი სიყვარული“. როგორია? ამ სიმღერას გიძღვნი შენ, ჩემო გულთმისანო ტასო ბებო.

ტასო — **(თითქოს ხმამაღლა რაღაცას იხსენებს)** — კუდზე გრძელი, ფაფუკი, მბზინავი ბეწვი ისე უთრთოდა, თითქოს ვიღაც უხილავი განუწყვეტლივ სულს უბერავსო...

სოლიკო — ვისო, ბებო, ვის უბერავს სულსო?

წამოდგება, იყვირებს

— მამულიშვილნო!

ხელებს სახეზე აიფარებს

— უჰ!

ბაკური — მოდი, აქ დაჯექი ჩემთან, სად გამექეცი!

სოლიკო — ჩემი წასვლის დროც მოვიდა...

ბაკური — დაიცა, ტასო ჩაის დაგვალევინებს.

სოლიკო — არ მინდა ჩაი. არაფერი არ მინდა. არაფერი! რა ხდება? არაფერი არ მინდა, არც წასვლა, არც დარჩენა... არაფერი... აბა, მითხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტასო ბებო, როგორ უთრთოდა კუდზე ბეწვი, აბა, მაჩვენე. არა, მე გაჩვენებ!

ოთხზე დგება

— მიაუ, მიაუ... აბა, შემიბერე სული, ტასო ბებო, მიაუ... არა, არ მინდა, არც კატად ყოფნა მინდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც გამუდმებით უბერავს სულს. მე ჭიანჭველა ვარ, გესმის, მამაჩემო, ზევით კენწეროსკენ რომ მიიწევს, მიცოცავს, მიძვრება. ჭიანჭველა — პლანეტის ყველაზე დიდებული არსება! სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ადამიანმა მწკრივში ჩადგომა ჭიანჭველასაგან ისწავლა.

დადის გაჭიმული, მხედრული ნაბიჯით — ერთი, ორი, ერთი, ორი! სდექ! სწორდი! თავისუფლად! ცივილიზაციებს მწკრივში ჩამდგარი მონები და ჯარისკაცები აშენებენ...

ბაკური — და ანგრევენ კიდეც...

სოლიკო — ხო, ანგრევენ კიდეც... მე მახსოვს ის კატა, გაზულუქებული, უშნოდ გასუქებული. სკამზე შეხტომა უჭირდა... მოჭუტული, ბრაზიანი თვალებით გვათვალიერებდა, ოკუპანტივით... მინდოდა, ცოცხლად გამეტყავებინა, მაგრამ დედაჩემის მეშინოდა... დედას კატა იყო, მისი ნებიერა... ერთხელ მდუღარე გადავასხი, ვითომ შემთხვევით. ო, როგორ გამიბრაზდნენ! სად დავმალულიყავი, არ ვიცოდი. ალბათ იმან გადამარჩინა, რომ კატის გულისთვის შვილის მოკვლა, მაინც და მაინც, ინტელიგენტურ საქციელად არ ჩაითვლებოდა. გახსოვს?

ბაკური — არა, არ მახსოვს...

სოლიკო — დედაჩემი ელექტროქსელში ჩართულს ჰგავდა, ნაპერწკლებს ჰყრიდა. ერთიანად უბზინავდა თმა, თვალები, კოსმეტიკური ნიღაბი, სამკაულები... მაშინ თქვა ჩემმა გულთმისანმა ბებიამ — მავთულხლართებს ვხედავო და ღობის იქით ბიჭსა ვხედავო. არც ეს გახსოვს? შვიდი წლით ადრე დამინახა კოლონიაში. გავიქეცი და ტუალეტში შევიკეტე. კანკალმა ისე ამიტანა, კინაღამ დაგიძახეთ, მიშველეთ-მეთქი. ბებიაჩემის სიტყვების შემეშინდა... მამაჩემო შენ პოეტი ხარ, მაღლა მაღლა დაფრინავ, მაღლიდან კი არ ჩანს, ჩვენმა ცივილიზაციამ თავისი თავი რომ ამოჭამა. ახლა მუცელგამოფატრულ ზვიგენივით საკუთარ ნაწლავებს სანსლავს... გამომძიებელმა მკითხა, მამაშენი სად მსახურობსო. არ მსახურობს, მწერალია-მეთქი, ვუპასუხე. ვაჰ, დანოსებს წერსო?! არ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა. ასე, რომ, მამაჩემო, გული ნუ დაგწყდება, დასანგრევი უნდა დაინგრეს.

ბაკური — რატომ გამექეცი, სად, წახვედი, მოდი აქ!

სოლიკო მამას ისევ გვერდით მიუჯდება, ისევ მხარზე გადახვევს ხელს

სოლიკო — აჰა, მოვედი, რას მიბრძანებ?

ბაკური — ისე დაგიძახე...

სოლიკო — **(პაუზის შემდეგ)** — შენ სიკვდილისა გეშინია?

ბაკური — ძალიან... რა თქმა უნდა, მეშინია.

სოლიკო — რატომ?

ბაკური — რა ვიცი, სიკვდილის ყველას ეშინია.

სოლიკო — აი, შენ რატომ გეშინია, არ გიფიქრია ამაზე? ყველას რაღაცის გამო ეშინია სიკვდილის. შიშს მიზეზი უყვარს, ხომ მართალია? **ასლოკინებს)** ოჰ, ნინიკო, ნინიკო!

ბაკური — მართალია...

სოლიკო — ჰოდა, თუ მართალია, მითხარი: აი, შენ, კონკრეტულად, რატომ გეშინია სიკვდილის?

ბაკური — იცი, ამაზე არ მიფიქრია... შეიძლება იმიტომ...**(სიცილით)** შეიძლება სიკვდილის იმიტომ მეშინია, რომ ვეღარ მოკვდები! მეშინია, რომ აღარ შემეშინდება.

სოლიკო — ისევ დამავიწყდა, ვის ველაპარაკები, ახია ჩემზე, რა სიკვდილი ამიტყდა, კაცი ჯანღონითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე, ჩემისთანას კიდევ ბევრს აჯობებს.

ბაკური — კარგი ერთი, რაღა დროს ჩემი ვინმეს ჯობნაა...

სოლიკო — აი, შენ თქვი, ყველას — ვამართლებო...

ბაკური — (**სიცილით**) — ეგ სიზმარი იყო!

სოლიკო — არავის ვადანაშაულებ ჩემს სიკვდილშიო...

ბაკური — (**პაუზის შემდეგ**) — ხო, მარტო ჩემი ბრალი იყო, რაც მოხდა.

სოლიკო — კი მაგრამ, მოხდა კი, რამე?

ბაკური — (**ფიქრისაგან გამოერკვევა**). — ვერ გავიგე?

სოლიკო — მე მგონი, ყველანი მშვიდობიანად გავშველდით.

ბაკური — მშვიდობიანად გავშველდით?

სოლიკო — დედაჩემი თავის გზას ეწია, მე — ჩემსას, შენ — შენსას. ყველაფერი ამერიკულად დამთავრდა — ჰეპი, ენდ. ოღონდ, სანამ მე ჩემს გზას დავადგებოდე, საბოლოოდ, ერთი რამ მინდა გითხრა...

ბაკური — (**სიცილით**) — გინდა დამიბარო რამე?

სოლიკო — არა...

უყურებს თვალმოუშორებლად, დიდ-ხანს

— არა... არაფერი არ მინდა დაგიბარო..

ხელებს დააწყობს მაგიდაზე, ზედ თავს დადებს

პაუზა

ბაკური — დაგეძინა?

სოლიკო არ პასუხობს

— ამას, მგონი, მართლა დაეძინა!

სოლიკო — (**თავს ნელნელა წამოწევს**) — ყველამ იცოდა, ყველამ და, მათ შორის, რასაკვირველია, შენც, დედა რომ სხვასთან დადიოდა. ისინიც არავის ერიდებოდნენ, პირიქით, თითქოს აქეთ ეძახდნენ ყველას, მოდით, დაგვინახეთო. ამხანაგები, მოურიდებლად დამცინოდნენ. თხუტმეტი წლისა ვიყავი, ზუსტად იმოდენა, რომ სირცხვილისაგან და დამცირებისაგან ხელები დამეჭამა. აი, მაშინ შეგიძულე, უფრო სწორად — შენი თავი შენმა სიმშვიდემ შემაძულა. თხუთმეტი წლისამ ვიგრძენი, რომ ამ ქვეყნად მარტო ვიყავი. აღარ შემეძლო. 'ვიხრჩობოდი. შენს გამოც მრცხვენოდა. ის კი თითქმის ყოველდღე მანქანით მოაცილებდა ხოლმე შინ დედაჩემს. არ შეიძლებოდა, არ დაგენახა, არ გცოდნოდა. რამდენჯერ ბარათიც ჩაგიგდე საფოსტო ყუთში. გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებით შევადგინე ტექსტი, როგორც კინოშია, ისე...

ბაკური — ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, მე მგონი, შენ დედა არ გიყვარდა. ვერაფრით ამიხსნია ეს... სულ ვფიქრობ... აშკარა პათოლოგია იყო...

სოლიკო — არა, არავითარი პათოლოგია არ ყოფილა. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი — ჩვენ მას არ ვუყვარდით, ჩვენ მან მარტო დაგვტოვა.

ბაკური —ვინ ჩვენ?

სოლიკო — მე და შენ!

ბაკური — ოჰო?

სოლიკო — დიახ, ასე იყო ეს ამბავი. სულ სარკის წინ კოპწიაობდა.

ბაკური — ქალი კოპწია უნდა იყოს.

სოლიკო — ჩვენ ისედაც მოგვწონდა! მოკლედ, მძულდი, ამდენ დამცირებას რომ ითმენდი, იტანდი. და აი ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ამხანაგის მამის უჯრიდან რევოლვერი მოვიპრე და...

ბაკური რატომ მიყვები, მე ხომ ეს ყველაფერი კარგად ვიცი!

სოლიკო — შენ არ გიყვები, ჩემთვის ვიხსენებ დეტალებს. წაგებულ პარტიას ვარჩევ, სად დავუშვი შეცდომა. არადა, უშეცდომოდ ნათამაშები პარტია წავაგე. ჩემთვის, რასაკვირველია! თქვენთვის მე თვითონ ვიყავი შეცდომა, ჩემი იდიოტური თავმოყვარეობით, რომელიც, მადლობა ღმერთს, მოვიშორე. ვიგრძენი, თუკი რაიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამღუპავდა ცხოვრებაში, უპირველეს ყოვლისა, თავმოყვარეობა,.. სადარბაზოსთან ჩავუსაფრდი და როცა დედაჩემი კიბეზე ავიდა, მის კავალერს ვესროლე. არ დავმალავ — მინდოდა მომეკლა, გულშიც დავუმიზნე, მაგრამ ბარძაყში მოვარტყი. რევოლვერი გადავაგდე, ჩავჯექი და ტირილი დავიწყე. არა, არ შემშინებია, ჩემი თავი შემეცოდა რატომღაც. აქამდე არასოდეს დამმართნია ასეთი რამ. ვიგრძენი — საშინელებაა, როცა ადამიანს საკუთარი თავი ეცოდება. ამაზე უარესი ალბათ არაფერი დაემართება... მოხოხდა და ფეხებზე მიმეხვია, მიშველეო, ვინმეს დაუძახეო, სისხლისაგან ვიცლებიო. წამოვხტი და ყვირილი მოვრთე, გვიშველეთ-მეთქი. აშკარად მეც საშველი ვიყავი. როცა მილიციაში ჩემთან შემოგიშვეს, სილა გამაწანი. გველის ნაკბენივით დამამახსოვრდა, არა — მორიელის ნაჩხვლეტივით! მორიელი ალბათ უარესია... ხუთი წელი გავატარე კოლონიაში, ერთხელაც კი არ მოსულხარ, შორიდანაც კი არ დაგიქნევია ხელი... არც დედაჩემი გამოჩენილა...

ბაკური — მე შენ შეურაცხყოფა მოგაყენე!

სოლიკო — მე მოგაყენე შეურაცხყოფა, მეე? გავგიჟდები ნამდვილად!

ბაკური — ვწუხვარ,, რომ აქამდე ვერ მივხვდი ამას...

სოლიკო — მე მაგას ნამდვილად ვერ მივხვდები... თქვენში ნამდვილი ადამიანი დედაჩემის კური აღმოჩნდა...

ბაკური — ნუ ამბობ მაგ სიტყვას!

სოლიკო — არ ვიცი, სხვა რა დავარქვა. სასამართლოზე განაცხადა, რევოლვერი მე თვითონ გამივარდა შემთხვევითო. ჩემს ძმაკაცს რომ არ დაეძახა და არ წამოეყრანტალებინა, რევოლვერი მამაჩემს მოპარაო, სუფთად გამოვიღოდი... რა ექნა, მე თქვენსავით სულგრძელი არა ვარ, თქვენსავით კეთილშობილი.. არადა, ღალატისა და ტყუილის ყინულზე დასრიალებთ ციგურებით. **(ეტაპი, როგორ დასრიალებენ „უფროსები“ ციგურებით)** — „ოოო, ამას ვის ვხედავ“! „როგორ ბრძანდებით, ძვირფასო? „ღმერთო, როგორ მომენატრეთ!“ „აღარა ვარ თქვენზე დარდით“, „რა კარგი ყინულია არა;“ „დიახ, ყოველ წელს უკეთესი და უკეთესი ყინული ხდება“...

პაუზა

სკამზე ჩამოჯდება. ვითომ „ყინულზე სრიალისაგან“ დაქანცული, მძიმედ სუნთქავს, ვითომ ციგურებს იხსნის

—(ჩვეულებრივი ხმით) — იქიდან რომ გამოვედი, მე თვითონ აღარ მინდოდა თქვენი ნახვა... ნათლიასთან გადავბარგდი. მაინც და მაინც, არც ერთს არ შეგიცხადებიათ ეს ამბავი, არც შენ და არც დედაჩემს... მოკლედ, მე შენ მიღალატე.

ბაკური — არა, მე შენთვის არ მიღალატია, თუ, რასაკვირველია, ღალატად არ ჩავთვლით იმ ამბავს, მეც რომ იმ წესს დავემორჩილე, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში იყო დაკანონებული. ანუ მეც ტყუილის მეტასტაზებით გამოვები სიძულვილის მანქანას. **(სიცილით)** მეც ციგურები მოვირგე ფეხზე. შენგან კარგი მსახიობი დადგებოდა...

პაუზა

—ყოველთვის რაღაც, გაურკვეველი, ამოუხსნელი, გრძნობა მახრჩობდა ხოლმე. ვგრძნობდი, ყოველ წამს როგორ ვბერდებოდი. თითქოს მოყინულ აღმართზე, აი, შენი ყინული ფეხი დამიცდა და თავქვე დავეშვი. ვგრძნობდი, რომ ეს ნაადრევი სიბერე იძულებითი მოთმინების წყალობა იყო. ადრე ბერდება ის, ვინც რაღაცას ითმენს... თავზარი დამცა იმის აღმოჩენამ, რომ ადამიანის გადამრჩენი მხოლოდ და მხოლოდ ეგოიზმი ყოფილა. გარეგნულად მაინც არაფერი შეცვლილა, ოღონდ ღამეები აუტანელი გახდა ჩემთვის. უამრავი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცდილი თუ მოსმენილი, წაკითხული თუ ჩემგან მოგონილი ამბავი, ერთმანეთში არეული, უფორმო მასად ქცეული, მორევივით თუხთუხებდა და მეც შიგ ვიყავი მოყოლილი, გახლართული, როგორც ეპილეპტიკი — სენის უჩინარ მარწუხებში...

პაუზა

— გაიგე რამე?

პაუზა

—მაგრამ, საბედნიეროდ, თურმე მთლად არ ვიყავი დაღუპული, ჯერ კი მქონდა თურმე, თუნდაც, საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა. და ერთ დღეს მოხდა ის, რასაც კინაღამ შევეწირე, მაგრამ რამაც ასე თუ ისე მაინც გადამარჩინა. ჩვენი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა... ახლაც ცხოვრობს...

სოლიკო — ვინ?

ბაკური — შენთვის სულერთია, მაინც არ იცნობ...

სოლიკო — თუკი სულერთია...

ბაკური — რატომ გიყვები არა?

სოლიკო — ხო, რატომ მიყვები?

ბაკური — ისე, ჩემთვის, ხმამაღლა ვიხსენებ რაღაცას....

სოლიკო — შენ რა, თავიდან არ იცოდი?

ბაკური — რა არ ვიცოდი?

სოლიკო — ეგოიზმი რომ მართავს ქვეყანას?

ბაკური — **(არ პაასუხობს. თავისთვის რაღაცას ფიქრობს. თითქოს სოლიკოს არსებობა საერთოდ დაავიწყდა).**

ბაკური — **(პაუზის შემდეგ, ხმადაბლა)** — ინვალიდის მანქანა ყავდა; სწორად — ინვალიდისათვის გადაკეთებული „მოსკვიჩი". ცოლს ჩალში აყვანილი გადმოყავდა მანქანიდან. სად დადიოდა, არ ვიცი. შეიძლება ტაქსაობდა კიდეც. რა ჩემი საქმეა. ჩვენს სადარბაზოსთან მოხდა ეს ამბავი. სამნი იყვნენ, სამხედრო ფორმა ეცვათ, ავტომატები ეჭირათ. ნუ წაართმევთ მანქანას ინვალიდი ცოდია. გამოვესარჩლე...

სოლიკო — სიზმარში?

ბაკური — **(პაუზის შემდეგ)** — ხო, სიზმარში...

პაუზა

სოლიკო — ძალიან გამიკვირდა, როცა შევიტყვე, ტასო ბებო შენთან დარჩენილიყო. ნუთუ რაიმე, ადამიანობის თუნდაც ნამცეცი აღმოაჩინა შენში? საკვირველია. თუმცა, რას გაუგებ — ნათელმხილველია, სხვაზე მეტს ხედავს. შეიძლება ჩვენ ბრმები ვართ, ეგ კი...

ბაკური — ხო, თვითონ დარჩა. დედაშენს უნდოდა წაეყვანა, არ ქნა **(ღიმილით)** არ მომშორდა...

სოლიკო — **(საფეთქელთან საჩვენებელ თითს დაიტრიალებს)** იმიტომ რომ...

ბაკური — არა, მაგიტომ არა.

სოლიკო — სწორედ რომ მაგიტომ!.. აი, მე ვერ მიცნო, საკუთარი შვილიშვილი. თოჯინებით თამაშობს ოთხმოცი წლის ქალი!

ბაკური — მერე რა!

სოლიკო — ვინ არის ეს კაცი...

ბაკური — შენი ბრალია.

სოლიკო — რატომ არის ჩემი ბრალი

ბაკური — გატყობს, რომ არ გიყვარს.

სოლიკო — უსათუოდ უნდა მიყვარდეს?

ბაკური — ხოდა, გატყობს.

სოლიკო — მე არავინ არ მიყვარს... საკმარისია. მეყოფა. ბასტა!

ბაკური — ყველას რაღაც უცნაურობა ჭირს. ყველას. ზოგი სათევზაოდ დადის მდინარეზე, სადაც თევზი დიდიხანია აღარ არის, ზოგი ჟურნალებიდან სურათებს ჭრის, ზოგი ბედნიერ ბილეთებს აგროვებს, ზოგი კატას ვერ იშორებს, ზოგი ძაღლს დაასეირნებს ქუჩა-ქუჩა. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... ზოგიც თოჯინით თამაშობს...

სოლიკო — რატომ, რატომ-მეთქი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკური — რა ვიცი... როგორ გითხრა... აი, თვითმფრინავი ისე ვერ დაჯდება, თუკი საწვავს მთლიანად არ დახარჯავს. ადამიანიც ისე ვერ წავა ამ ქვეყნიდან, თუკი მთლიანად არ გათავისუფლდება სიყვარულისაგან. სიყვარული მან აქ უნდა დატოვოს... მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგჯერ, ვინც შენ გიყვარს, სწორედ იმას არ ჭირდება შენი სიყვარული... გესმის თუ გაუგებრად გელაპარაკები?

სოლიკო — არა, არ მესმის.

ბაკური — მეტს ვერაფერს გეტყვი. უბრალოდ, უძლური ვარ. სხვანაირად ვერ აგიხსნი.

სოლიკო — ამას რა ახსნა უნდა! რატომ ვიგონებთ ისეთ უცნაურ რამეებს რასაც ახსნა ჭირდება, რატომ ვირთულებთ ისედაც გართულებულ, გაძაღლებულ ცხოვრებას — აი, ეს არის გასარკვევი!

ბაკური — (სიცილით) — ნუ შეეცდები, ყველაფერი გაარკვიო.

სოლიკო — მოკლედ, ერთ ჭიქასაც დავლევ და წავალ.

ბაკური — თუკი მიდიხარ, რაც უფრო ადრე წახვალ, უკეთესია.

სოლიკო — უკეთესი იქნებოდა, არ მოვსულიყავი.

ბაკური — (ღიმილით) — ეგ საკამათოა.

სოლიკო — ხო, ყველაფერი საკამათოა, საერთოდ. მაგრამ ერთი რამ კი უდავოა — არაფერი ისე ალოგიკური არ არის ამქვეყნად, როგორც ჩვენი მამაშვილობის ამბავი! ესეც შეიძლება ცინიზმია, ცინიკური ბედისწერა. ამ ჭიქით წამსვლელ-დამრჩომს გაუმარჯოს. აბა, წავედი!

ნელნელა სვამს, მამას თვალს არ აშორებს. ჭიქას მაგიდაზე ხმაურით დგამს

— არ გაინტერესებს, რატომ ვამბობ ამას?

ბაკური — არა, არ მაინტერესებს.

სოლიკო — სულ ტყუილად ბრაზობ.

ბაკური — ვინ გითხრა, რომ ვბრაზობ?

სოლიკო — არც გარეგნობით ვგავართ ერთმანეთს, გვარიც სხვა და სხვა გვაქვს...

ბაკური — რაო, რა თქვი?

სოლიკო — ხო, ეტყობა, ჯერ არ უთქვამთ შენთვის...

ბაკური — სხვა და სხვა გვარი გვაქვსო?

სოლიკო — ...ანდა ვერ მოასწრეს ეთქვათ გვარი გამოვიცვალე, ცოლის გვარზე გადავედი...

ბაკური — ცოლის გვარზე?

სოლიკო — კი, ნინიკოს გვარზე. მე თავიდან მომწონდა ეს გვარი — ციმაკურიძე. ხომ კარგი გვარია?

ბაკური — კი, კარგი გვარია. მერე?

სოლიკო — რა მერე?

ბაკური — არაფერი...

სოლიკო — მითხარი, მითხარი, ყველაფერზე მზადა ვარ გიპასუხო. სიმამრმაც მთხოვა, ეგ ერთი ქალიშვილი ყავს და ეგ არი...

ბაკური — კი მაგრამ...

სოლიკო — ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ!

ბაკური — რა იცი, რას გეკითხები?

სოლიკო — ჩემი თავმოყვარეობის ამბავი გაინტერესებთ, ხომ მართალია?

ბაკური — ხო, ვთქვათ... დავუშვათ...

სოლიკო — თავმოყვარეობა ჩვენს დროში დიდი ფუფუნებაა, მამაჩემო. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, მაგრამ რადგან ხალხი ვართ, ცხოვრებაც გვინდა. ასე არ არის?

ბაკური — **(უჭირს ამის კითხვა. მცირე ყოყმანის შემდეგ) — ბავშვებიც?**

სოლიკო — რა თქმა უნდა! შვილებმა მამის გვარი უნდა ატარონ, ხომ მართალია?

ბაკური — **(ჩუმად)** — კი, მართალია...

ისხამს კონიაკს, სვამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიკო — მეც დავლევ შენთან ერთად, კამპანიის გულისთვის.

სვამს

აი, მეორე ბოთლიც დაიცალა. მიყვარს, როცა ბოთლი იცლება. არ არსებობს, ამაზე ლოგიკური რამ, როცა სავსე ბოთლი იცლება. ასე არ არის? აბა, წავედი!

მივა, ტასოს მუხლებთან ჩაცუცქდება

აბა, ტასო ბებო, მაჩვენე შენი თოჯინა!

ტასო — **(წამოდგება)** — ვინ არის ეს კაცი?

სოლიკო — კარგი, კარგი, ეგ ხომ უკვე გავიარეთ! მაჩვენე შენი თოჯინა — მეთქი, სხვა ხომ არაფერი მითქვამს! წამით შემახედე, ხელში დამაჭერინე.

ბაკური — დაანებე თავი...

სოლიკო — კაცო, რას ვეუბნები ისეთს, თოჯინა მათხოვე ერთი წუთით-მეთქი, სხვას ხომ არაფერს ვთხოვ! ბებიებმა ააშენეს ჩვენში შვილიშვილები, მე კი თოჯინას მიმალავენ. გინახავთ ასეთი რამე! ბიჭებს რომ მოვუყვე, არ დამიჯერებენ. რატომ არ უნდა მათხოვოს ბებიაჩემმა თოჯინა, ვინ არის ვითომ ასეთი, დანიის დედოფალია? დანიის დედოფალიც რომ იყოს, შვილიშვილს თოჯინა მაინც არ უნდა დაუჭიროს. დანიის დედოფალმა ახლა ეს ამბავი რომ გაიგოს, ხომ ეწყინება! ხომ გითხარი „ბარბის“ მოგიტან-მეთქი, ხომ გინდა, ბებო, „ბარბი“? ხოდა, მოგიტან უსათუოდ. ჩემს გოგოს რომ ვუყიდე, გაგიჟდა სიხარულით. აბა, მაჩვენე შენი თოჯინა, გავაჯიბროთ ჩემს „ბარბის“...

ტასო — ვინ არის ეს კაცი?

ბაკური — **(სოლიკოს)** — ნუ აწვალებ...

სოლიკო — **(მამას შეუღრენს)** — შენ ჩვენს საქმეში ნუ ერევი. მე მითქვამს! იცოდე! არ წაიღო ტვინი! ბებიაჩემს ველაპარაკები, მაცალე რა!

ტასოს

— აბა, ბებო, რომელ ჯიბეში გაქვს დამალული თოჯინა. აბა, მაჩვენე...

ტასო წინსაფრის ჯიბეში ორივე ხელს ჩაიყოფს

— აი, სად ყოფილა ის ჭინჭის საფრთხობელა! შარშან არ წაგართვი, კიდევ გააკეთე? ვის ვუთხარი მე, აღარ გააკეთო-მეთქი, ვის ვუთხარი? აბა, ამოიღე ხელები ჯიბიდან! ცოცხლად, ცოცხლად, დრო არა მაქვს, მაგვიანდება!

ტასო — არა, არა, არა!

ტირის

ბაკური — გაანებე თავი, არ გესმის?!

სოლიკო — **(მამას ყურს არ უგდებს, ტასოს)** — ჯერ ეს ხელი ამოვიღოთ...

ძალით უღებს ხელს ჯიბიდან

— ახლა მეორე... როგორ მოუკუჭავს ხელში, აბა, ახლა გავხსნათ მეორე ხელიც. აბა მარჯვედ. აი, ასე..

ტასო — **(ტირის)** — არა, არა, არა!..

ბაკური — **(შვილს უყვირის)** — ახლავე გაუშვი ხელი, გაანებე თავი!

სოლიკო — მოიტა ეგ ოხერი თოჯინა, შე შეჩვენებულო. რა ხელი აქვს მაინც ხალია თუ კლანჭია, როგორაა ჩაფრენილი! გაუშვი-მეთქი! მალე საერთოდ ჩემთან წაგიყვან და მოგაშორებ ამ სისულელეებს. ჩემი ბებია ხარ, გესმის, ვერ გავაგებინე ამ ქალს ვერაფერი. რა ღონე ჰქონია, ვერ უყურებთ! სისულელეების დრო დამთავრდა. გეყოთ!

ბაკური — (უყვირის) — როგორ ბედავ, ლაწირაკო, როგორ ბედავ!

სოლიკო — **(ყურადღებას არ აქცევს)** — გამოიხედეთ თვალში. აი, ასე. ძლივს არ გავუხსენი კლანჭები! აი, ყოჩაღ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართმევს თოჯინას

— ამის გულისთვის მებრძოდი, ამას არ მაჩვენებდი, ამას ეძახდი თოჯინას? არა, ბებო, არა, ჩემთან უნდა წაგიყვანო, ნამდვილი თოჯინა რომ ნახო. ჩხირზე დახვეულ ჩვარს ეძახი თოჯინას?! ვაი, სირცხვილო. რა დაგემართათ, მართლა გაგიჟდით, მართლა კუდიანები ხართ?

ბაკური — (უყვირის) — გაეთრიე აქედან!

სოლიკო — ახლა ეს ჩხირი გადავტეხოთ. აი, ასე. ეს ჩვარიც დავფხრიწოთ — ფხაწ-ფხუწ. ფაფუ ტასოს თოჯინა! ნუ ტირი, ჩემო პატარავ, ხომ გითხარი, ასდოლარიან „ბარბის“ მოგიტან-მეთქი, თავისი საცვლებით და თავისი ქოლგით. სულაც, მართლაც, ჩემთან წაგიყვან, ბებიაჩემი ჩემთან უნდა ცხოვრობდეს, აბა, როგორ გინდათ! მოკლედ, წავედი. კარგად იყავით. აბა, თქვენ იცით... მგონი, წვიმს... არა უშავს. კიდევ განახავთ. არ მოიწყინოთ. ბაი ბაი! **(ასლოკინებს)** მოვდივარ, ნინიკო, მოვდივარ!

ბარბაცით მიდის, კარს ხმაურით გაიჯახუნებს

ტასო ტირის,
ბაკური ხელებში სახეჩარგული ზის

პაუზა

ტასო ცრემლს იწმენდს, ბაკურთან მიდის, სკამის საზურგეს ხელებს ჩაავლებს — ბაკური თურმე ინვალიდის თვლებიან სავარძელში მჯდარა-ტასო სავარძელს ავან სცენაზე გამოაგორებს.

ორივენი რაღაცას გასცქერიან სივრცეში, რაღაცის მოლოდინში დაძაბულები

პაუზა

ტასო — აი, ახლა დაღმართზე ჩადის... ამ ქუჩაზე მე მადმუაზელ მადლენთან დავყავდით ეტლით... აგე ის სახლიც!.. სანაპიროზე გავიდა... სკამზე ხელს აფათურებს. რას ეძებს?.. ხო, სიგარეტის კოლოფს... სამი თვეა, აღარ ეწევა, სიგარეტის კოლოფი კი მანქანაში მაინც უგდია... ყოყმანობს, ამოიღოს თუ არა სიგარეტი... ამოიღო! ახლა ასანთს ეძებს... ვერ პოულობს... წვიმს... ასფალტი და სველი ფოთლები ერთიანად ბზინავს... სიგარეტს პირში იდებს და ღეჭავს... ფუ! გადმოაფურთხა. პირდაპირ მინას მიაფურთხა. ხელით გადაწმინდა იცინის... ხო, იცინის... ვერ ვამჩნევ, იცინის თუ ტირის... მანქანა მოტრიალდა... მოატრიალა მოცურდა... ძლივს გასწორა... ტროტუარზე, სანაპიროს მოაჯირის გასწვრივ მიჰყავს... სანაპირო ცარიელია... ხმელი ფოთლებითაა სავსე... ყვავებივით დაფარფატებენ ჩრდილები აქე-იქით აწყდებიან... დაამუხრუჭა... მკერდით მიაწყდა საჭეს... იცინის... ხო ხმამაღლა იცინის...

ბაკური — და უცებ დავინახე ყინულში ამოჭრილი ორმო...

ტასო — ისევ დაძრა მანქანა, თითქოს ადგილიდან მოწყდაო...

ბაკური — (სიცილით) — ნუთუ ყველაფერი მართლა დამესიზმრა?

ბაკური — (სიცილით) — გაყინული მდინარეც...

ტასო — საჭეზე სახედადებული, უძრავად ზის...

ტასო — ისევ დაამუხრუჭა...

ბაკური — (სიცილით) — ორმოც...

ტასო — ისევ მოწყდა ადგილიდან... სწრაფად, უფრო სწრაფად! **(თითქოს უნდა ხმა მიაწვდინოსო)** ცოტაც კიდევ!

ბაკური — (სიცილით) — თითქოს ორმოდან ვიღაც შემომცქეროდა...

ტასო — (შეჰკივლებს) — აჰ!

პირზე ხელს აიფარებს
ნელნელა ბნელდება

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

წიგნიდან: „წუთი წუთისოფლისა“

●

ჭივის ჭრიჭინობელა,
ზაფხულია, აგვისტო,
ტანი ლელვის ფოთოლმა
მოიფხანა ხათი,
წყალი წყაროს თვალიდან
ისევ ისე ამოდის,
ისევ ნაცნობ ხმეებით
სული, გული აივსო.

მყვარებია ზაფხული,
პეპელების აღლუმი,
გრილოებში შემალვა
შეთვალული მტევანის.

წიწილების წივილი,
როცა ქორი მზვერავი
ამ გასუსულ ეზო-კარს
რაკეტულად გადუვლის.

მყვარებია ზაფხული,
მისი ჩქაფი საღამო, —
მთვარე ობლის კვერივით
ცაზე გამომცხვარია,
როგორ მიცოტავდება
ყოფნის ყოფნა საამო,
როგორ ჩქარა გამირბის
აქ მე რაც მიხარია.

ფიქრი ზღვისპირას

გვერდჩამოტეხილ ჩვენს ქართულ
ხმელეთს,
ხომ ხედავ, ძმაო, ზღვაც
ბევრი ჰპარეს.
ამგვარი ფიქრი რომ ამაღელვებს,

გაშლილ რუკაზე დავაწყობ ხელებს
და გაქურდული ვაცეცებ თვალებს.
დავდგები, მერე, ზღვისპირას,
გარეთ, —
ვითომ მოძალეს ვაჩერებ ქარებს,

გალაკტიონის მერი

... და პოლოს წერდნენ:
გალაკტიონის მერი
დაბერდაო პარიზში, ას წელს
მიღწეული.
გვაჩვენეს ფოტოზეც, —
ამაყი მზერით,
მარტოობით და იმდენი წლით
ძლეული.

იგონებს პოეტსო,
ნანობსო წარსულს, —
ჩანსო ბევრ რამის გამხელა არ სურს...
მოუახლოვდაო იმ ქვეყნად წასვლა,
წუხს დედაბერი, მერიო, და ხხვა...
— ვინ იყო მერი? — ჰკითხეს ერთხელ
გალას.
— იყო, ძამიკო... მაგრამ მთავარი
ეს არის განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანცი ღიმილი დაცოცავდა
დაბინდულ თვალთან,
ჩანდა ღიმილში მალავდა მართალს,
ეტრფოდა ალბათ ჩუმად და
მორცხვად
თვის ფიქრის მერის,
უფრო ნამდვილს და
უფრო ცოცხალს...

გულო

გულო, გულო, ბულბულო,
ამას რაფრად ვუყურო, —
მისამარებს სიკეთეს
ეს მოკეთე უგულო.

ღამევ, ღამევ უკუნო,
გულო გადაბუგულო...
გზავ, გადენე მერანი —
ვერ შეაჯდეს ვერავინ.

დარდის წყალო, — ჭორიხო,
ბალახო და გორიხო,
ჩემო კვნესა — ქვითინო,
როგორ უნდა იდინო?!

შენ შავშეთის ნიავო,
ჩვენ ხომ ერთი ქარი ვართ,
ერთი წყაროს წყალი ვართ,
როგორ უნდა იარო
მე თუ აქ არ ჩავიარ?!

●

მადლი ჩვენი სიმღერისა,
რითმისა, ნახატისა,
რაგინდ მაღალი შუქით
ნაქსოვი იყოს,
რჩება უდაბნოსა
შიგან ღაღადისად,
თუ გულისა თავისა
არა რა იხმოს.

●

შენ მაწყენინე, გული მატკინე,
შენ დამიდაბლე, რაც მაბადია.
იცოდე, რასაც მე გაპატიებ,
ეს ჩემი ლექსი არ გაპატიებს.

ო, ვიცი ზიზღი ბაგეზე რად გაქვს,
რად კრთის მედიდურ მზერაში შიში, —
ჩემი სახელი გახელებს, რადგან
ჩემი პატარა დიდობა გიშლის

მელიას ჩივილი

კაცმა რაც ქვეყნად ისწავლა წერა,
ჩემი საქმენი ივავში წელა,
წელა და წელა;
ყოვლად მტყუანი, ქურდი, ცბიერი
მუდამ კუდგრძელა
ვიყავი მელა,

თუ შევსანსლავდი სადმე ერთ ქათამს,
დამდევდა კაცი თოფით და კეტით,
თავად კი თავისნაირთა ჟლეტით,
ჯიბენატენი ყვლეფით და ღლეტით,
თავს ეძახოდა სულ ალალმართალს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ნეტა ვინ ძერწავს, ვინ ავვირისტებს,
როგორიცა ვართ
სიცოცხლეს ისეთს?

●

მე იქ ვიწყები, სადაც ჭოროხის
იწყება წყარო,
ქვები
ქედები...
რა სევდიანი მშვენის შორეთი,
რა სევდიანად შორს ვიხედები.

●

ფუხარა დროა, მწუხარე დროა,
დრო, რომელს ჩემი ცხოვრება ჰქვია,
აქ არაფერი არავის მოაქვს,
ყველას აქედან დღეს მხოლოდ მიაქვს,

●

დღე ნისლიანი, მომდგარი სარკმელს,
გრილად რომ ლოშნის
ჩარჩოს და მინას,
ჩუმად ჩურჩულებს და ჩუმად მართმევს
რასაც დრო, წუთი, საათი ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ეხვაია

რა დროს ეგ არი?

(პუბლიცისტური მოთხრობა)

„აზრად ქცეული ვნება, ვნებად ქცეული აზრი"

რჩეულიშვილზე ნათქვამიდან

დედამიწის ერთი ქალაქი. არც დედაქალაქი. არც მამაქალაქი. ისე. ისე ქალაქი. ოღონდ ისეთივე ჭრელი როგორც: დედაქალაქები... მამაქალაქები... ისე... ისე ქალაქები

ქალაქი — ამ ქვეყნის აწეწელი ყოფისგან რაღაცით სხვა ქალაქებზე მეტად დასჯილი...

რაღაცით სხვა ქალაქებზე მეტად ამაზრზენი...

რაღაცით სხვა ქალაქებზე უფრო ამაყი...

რაღაცით უფრო ლოგიკური...

რაღაცით უფრო ალოგიკური...

სხვა ქალაქებზე რაღაცით უფრო გაბედული...

და მაინც: სხვა ქალაქებზე რაღაცით უფრო სა-ზარ-ე-ლ-ი...

ერთი სიტყვით: ჭრელი როგორც მთელი სამყარო...

ქალაქის ცენტრალური ნაწილი დანგრეულია. ადრე საკმაოდ მიმზიდველი შენობები ახლა მჭვარტლისა და ათასნაირი ნაგავის ნაზავში თვალებდათხრილი უპოვარივით იმზირებიან...

ქალაქი თითქმის ახლახან დაარბიეს. ქვეყნის ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ძალმომრეობის მეთოდები აქვთ. შეძახილები თავიდან დედაქალაქში: დიალოგი... დიალოგი... დიალოგი... არ გაიმართა ეს დიალოგი. ყველა ერთმანეთს ადანაშაულებს, მაგრამ: ყველამ მხოლოდ ძალადობის გზა დაიტოვა პრობლემათა მოგვარების ენად.

თავიდან დედაქალაქში: ნა-თემურ-ლენგ-არს გავს თბილისი... ი... თბილი იერი დაეკარგათ ადამიანებს... დედაქალაქშიც... სხვა ქალაქებშიც... ყველაზე მეტად ადამიანთა ცნობიერება დანაკუწდა... დანაწევრდა... შიზოიდური უმართაობის საზღვრებს მიუახლოვდეს ლამის... ყველა ერთმანეთს ადანაშაულებს...

მერე: ქვეყნის დამარცხებულმა პოლიტიკურმა ძალამ ამ ქალაქში გადმოინაცვლა. გამაგრდა. აქედან განაგებს თავისი გავლენის ქვეშ შენარჩუნებული ქვეყნის ნაწილს.

ქვეყნის გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ მოწინააღმდეგის საბოლოოდ დასამარცხებლად შეიარაღებული მსვლელობა განაგრძო ამ ქალაქამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგობაც იარაღის ძალით გაუწიეს სატყუარა პრინციპი: „ჩვენ მხოლოდ მშვიდობიან მეთოდებს გამოვიყენებთ!“ კარგახანია უკვე აღარავის ახსოვს...

ეს ქალაქიც თითქმის ახლახან დაანგრიეს. გამარჯვებული სამთავრობო სამხედრო ნაწილები ამაყად აზეიმებდნენ დენთს ამ ქალაქში ოღონდ: სამთავრობო მათ მერე უ-წოდეს. ამ ქალაქის დარბევისას უ-წოდებ-დნენ: უკანონო, მაგრამ სამართლიანი... მოწინააღმდეგის საბოლოოდ დასამარცხებლად დედაქალაქიდან სვლას ჰქონდა შემზარავი ფორმა: „ავიღოთ ფოთი! ავიღოთ სამტრედია! ავიღოთ ზუგდიდი!“

ახლა: ეს ქალაქიც ისევე იმზირება თვალებდათხრილი უპოვარივით როგორც: დედაქალაქი... როგორც სხვა ქალაქები... როგორც: მთელი დანარცხებული ქვეყანა...

ქვეყანასკი: ბოლო კოლონიზატორი ეომება-თვალსდახელშუა დალეულ საქართველოს ტერიტორიას მალე აფხაზეთსაც ჩამოასხეპენ...

ქვეყანაკი: იცლება სისხლისაგან... ეფლითება სული...

ეს ქალაქიკი: უფრო...

საქალაქო გაზეთის ბოლო ნომერში წერა-კითხვის მცოდნეებს თავისუფლად შეუძლიათ წაიკითხონ: „ქარბორბალა გადავლილსა ჰგავს ჩვენი ქალაქი: დანგრეულ-გაპარტახებული შენობები, ნახანძრალი ნაფუძარები, გადაჯეგილი სკვერები, წაქცეული ელექტრობოძები, ჯართი და თითქმის ყველგან ნაგავი, ნაგავი...“

იმავე სტატიის ერთერთ სვეტში ქალაქის კათილმოწყობის კომბინატის დირექტორი თანაქალაქელებს უწყრება და საკუთარ ფუნქციებს აკონკრეტებს: „კომუნალური მეურნეობის ხაზით გასუფთავების არეალი მოიცავს ქალაქის შიგა ცენტრს. ესე იგი, ვალდებული ვართ ნაგავი გავიტანოთ ქალაქის მხოლოდ ცენტრალური ნაწილიდან, მოედნებიდან, კომუნალური მეურნეობის საგამგეო ზონიდან...“

დილის ექვსი საათია. ბარტს გულგამაწვრილებელი თოვლჭყაპი. დანგრეული სასტუმროს გვერდით-გაზეთების ჯიხურის რაფას იდაყვდაყრდნობილი გოგო მეეზოვის საუბარს უსმენს. გაკნაჭული და თმებგაზინთული მეეზოვე მზესუმზირას აკნაწუნებს და თანჰყვება“:

Недавно был в соседнем городе Хоби. Стоял на улице и орехи кушал. Подошли два дружинника и спрашивают: «Откуда?» — Я ответил. Они: «Вы что: думаете в вашем городе?» — и вынудили собрать остатки орешек которых я тут же бросал».

ეს ორი ქალაქი ერთმანეთს ექიშპება-საზღვარზე უგამკითხაო მტრული შლაგბაუმ-საბაჟოა. ორივე ქალაქი ქვეყნის ორი ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკური მიმართულებიდან თითქოს სათავისოდ იჩემებს. წესრიგიანობის სურვილსაც ავქიშპური სუნი უფრო ასდის. არაჯანსაღი დაპირისპირება სხვა მნიშვნელოვან რამეებშიც ყოველდღე ვლინდება...

გოგოს ძველი ჯინსის შარვალი და რუხი ქურთუკი აცვია. თავზე თეთრინაქსოვი ქუდი ახურავს. ხშირხშირად ხმარობს ცხვირსახოცს-წინა კვირის განაცვარი ჯერაც ქსუტუნებს. ელოდება თანამოაზრეებს. არ ჩანან. მიდის დანგრეული სასტუმროს მინის ვიტრინებთან. ამოწმებს: წინადღით გაკრული ლოზუნგ-აფიშები ადგილზე თუა. ზოგი უამინდობას ჩამოუგდია და ტალახში აზელილა. ზოგიც ვიტრინებს შერჩენია. რამდენიმეს შეავლო თვალი:

„მოვუაროთ საქართველოს“! — ნაგვის დაგვით იწყება!“ — თითქმის ყველა სათითაოდ დიდხანს ვმოძღვრავდით ერთმანეთს. სატელევიზიო — სააბიტურიენტო კურსიდან დაწყებული მიტინგებით დამთავრებული. გაფრთხილებით კი: ვერავინ გავუფრთხილდით საქართველოს... ჩვენს წილ გასაფრთხილებელს ვერავინ მოვუარეთ თითქმის ყველას სათითაოდ ჯერაც მასწავლებლობა გვირჩევნია მოწაფეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, — გოგომ ქუდი შეისწორა და კისერთან მოწრიალე მარტის სისინა ნიავს საყელოს აწევით გაუძალიანდა.

„ლოზუნგების ქვეყანა“ არ გვინდა — უსახელო უფლისციხელობა გვირჩევნია!“ ჯერაც რამდენი ლოზუნგით ვცხოვრობთ, საჩვენწილო საკეთებელს ყველანი ჩამოვცილდით... დიდპატარიანა ყვე-ლა-ნი... ჯიხურთან მდგარი მეეზოვისკენ გაიხედა-ხელები ჯიბეებში ეწყო არხეინად და მთქნარებით ელოდა ნაგავსაზიდ მანქანას, რომელიც: ივვიანებდა... როგორც ყოველთვის...

სტრიქონების დასაწყისები უცნობილესების ამოჩემებული ფრაზებიდანაა იმ უცნობილესებს და სხვა უცნობილესებსაც ბევრი საკუთარი ნათქვამი გაუხუნდათ. გოგოკი: ვისგანაც მეტს ელის — იმისგან მეტს ითხოვს — იმასთან მეტი პრეტენზიები აქვს, რათა: საკუთარი თავიც უფრო სრულყოფილად დაინახოს... საკუთარი საკეთებელიც უფრო სრულყოფილად დაინახოს... ვიღაცა მისგანაც მეტს ელის... ვიღაცას მასთანაც მეტი პრეტენზია აქვს... ესაა ლოგიკური უწყვეტობა... ყოველი ადამიანი საკუთარ თავს მთლიან სამყაროსთან მიმართებაში უნდა ხედავდეს და საკუთარ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს თვით სამყაროს წინაშე... სიცოცხლისა და ადამიანურობის წინაშე დანაშაულია სხვისი გაკეთებულით ტკბობა... სხვისი ქმედების ლოდინი და გულხელდაკრეფილი იმედი... სამყარო თვითონვეა ადამიანის აქტიური ქმედებების ასპარეზი და შედეგი... ოღონდ: მთავარი ადამიანი არჩევანის მიმართულებაა. სამყაროს შეცნობა თითოეულმა ადამიანმა საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს და თვითონ... გოგოს იდეალი უანგაროდ აქტიური ადამიანია...

გოგომ დანგრეული სასტუმროს შესასვლელყოფილთან გაკრულადნაწერი ტექსტი შენიშნა. თვალი ააყოლ-ჩააყოლა. სათაური მსხვილადაა გამოყვანილი: „სხვა პლანეტების დამოკიდებულება ჩვენს სამყაროსთან და ზოგადი მისი საიდუმლოებანი. „ტექსტის ხელვა მისტიკური განწყობილებიდან გოგომ დღევანდელი ადამიანების შემაძრწუნებლად დაშინებული სახეები დაინახა... მომლოდინე ადამიანების დანაშაულებრივი სტატიკა:“ გადმოცემით დასტურდება, რომ მათ (უცხოპლანეტელებს-წამკითხველის შენიშვნა) ჩვენს დედამიწაზე მაღალ მთებიან ადგილებში აქვენ დანადგარები ჩვენი ეგოისტური გადაწყვეტილებების გარდაქმნელი და აზროვნების ამამაღლებელი-და ღიადაც დასტურდება, თუ დროთა განმავლობაში ან მონაცემის შიგნით, ვერ შესძლეს ჩვენი გარდაქმნა, მორჯულება, ველით საბოლოოდ გადაშენებას, ეს უდაოა, ახლოვდება ჟამი ჩვენს მიერ **ბუნებაზე დანთხეული გესლისა...“** (ხაზგასმა გაკრულადნაწერი ტექსტის ავტორისაა-ბოლოში ლამაზი ფაქსიმილეთი ადასტურებს)...

თოვლჭყაპია. არავინ ჩანს. გოგოს ნანგრევებში წინასწარდამალული სამუშაო იარაღები გამოაქვს. ურიკა მეორე ტროტუარზე უნდა გადაიყვანოს. ფოსტა-ტელეგრაფის შენობის მისასვლელთან. გადასვლამდე ხან თოხი უვარდება, ხან აქანდაზი. ეღიმება. მეეზოვის ენაზე ღიღინებს: (Вы мне веник одолжите — (Я Вам совесть одолжу.. уу..).

გადავიდა. იწყებს ურნის დაცლიდან. თუმცა: ურნა თითქმის ცარიელია. ნაგავი კი იქვე ყრია. მოსაცდელის კარებთან. ადრეა. თანაქალაქელები არ ჩანან. მხოლოდ საქალაქთაშორისოს ტაქსაფონთან დგას რამოდენიმე მამაკაცი.

გოგო გულმოდგინედ ასუფთავებს გაზონს: ასანთის ღერებს-სიგარეტის ნამწვავებს-შუშის ნამსხვრევებს სათითაოდ კრეფს. ყრის ვედროში. ავსებულ ვედროს ურიკაში ცვლის.

მარტის თოვლჭყაპი ფართო ფანტელებში გადადის. გოგო ხელთათმანს იხდის და შიშველი თითებით უფრო სწრაფად მუშაობს. დროდადრო ცხვირსახოცს ხმარობს — უფრო ახშირებულად ქსუტუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტი თოვლში წვიმის მონაცვლეობით ჭირვეულობს. გოგომ ქუდი უფრო ჩამოიფხატა. ტალახიანი ხელის ხშირი წავლებისაგან ქუდი უკვე გამუქებულია. გოგო ცოცხსა და თოხს იშველიებს-აფხვიერებს და ათანაბრებს გაზონის მიწის გოროხებს. ამჩნევს-ფოსტა-ტელეგრაფის მინისმიღმიდან რამოდენიმე წყვილი თვალი უთვალთვალებს.

შუახნის კაცი გამოდის იმ მოთვალთვალეებიდან და ფრთხილად ესალმება გოგოს:

—შვილო! — კარგად გიხდიან: ასე თოვლსა და ქარში გულმოდგინედ რომ მუშაობ?

— უფასოდ ვაკეთებ.

—?!

გოგოს ეღიმება მოსაუბრის გაოცებულ გამომეტყველებაზე.

— შვილო! — გიყურებდით ვიტრინიდან და ვერავინ გაბედა მოსვლა ჩემს გარდა... ვლაპარაკობდით და... არ გეწყინოს...

— გიჟიაო: არა? — გოგოს ეცინება.

— ასე გულმოდგინედ შუშის ნამსხვრევებსა და ნაგავს მე საკუთარ ეზოშიღა თუ ავკრიფავ, — აგრძელებს დიალოგს შუახნის კაცი.

გოგო განაგრძობს მუშაობას:

— ოქიმინალი ოკო ქიმინე გურდანდულო.*

— სად მუშაობ?

— ქართულს ვასწავლი.

— რა გვარი ხარ?

— რა მნიშვნელობა აქვს: აქაური ვარ. ეროვნება: ქართველი, მხიარულად უცინის გოგო.

— ჰო... ოო... თუ უფასოდ აკეთებ-ოჯახში გქონია საქმე უხვად.

ხომ არ აუხსნიდა: ერთი კინკილა ოქროს ბეჭედი რომ ჰქონდა, ნაჩუქარი. რომ გაყიდა. ფულის ნაწილი რჩეული-შვილის საზოგადოების საქმეებს რომ მოახმარა. ნაწილს კი:: კეთილ... მოწყობის კომბინატის მძღოლს აძლევდა იმ ნაგავის გასაზიდად, — რომელიც უმაგისოდაც უნდა გაეზიდა.

— მშობლები გყავს? — შუახნის კაცს სიხარული ეტყობა.

— მამა კი. დედა — არა.

— ჯანმრთელობა მამაშენს. დედასცხონება...

შუახნის კაცი მიდის.

გოგო აგრძელებს მუშაობას. „გაზონის ერთი ფრთა მოასუფთავა. მეორე მონაკვეთზე ინაცვლებს.

ქუჩაში თანდათან მოხშირდნენ გამვლელები. გოგოს ერთიორმა ნაცნობმაც ჩაიარა. სახეგაოცებულმა მოკლე დიალოგებიღა იკმარეს.

გოგოს გაახსენდა ლოზუნგ-პლაკატების გაკვრის დღე. წვიმდა. სვეტებზე ამაგრებდა ძლივსნაშოვნ მუყაოსა და კომპიუტერიდან დანაშაულებრივად ამოცლილ ქაღალდზე ფლომასტერით გამოყვანილ წინადადებებს.

თავიდან: ცნობისმოყვარეთა სიცილ-ხარხარი შეეგება. გოგოს გათვალისწინებული ჰქონდა ეს მომენტი და მათ თვალწინ გაუკრა მომდევნო თეორია: „სეირის მაყურებელი თვითვეა საყურებელი!“ — თითოორროლა გამვლელის თავმოყვარეობა, ეტყობა, გაკენწლა. ერთი ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— თქვენ ამ პლაკატების გაკვრის უფლება გამოითხოვეთ ეროვნული მოძრაობის კომიტეტისაგან?

გოგომ შეხედა. წვერებიანი ახალგაზრდა კაცი მიტინგებზე ხშირად ენახა. ერთდროს თვითონაც ხშირად იყო მიტინგზე და იქ ყოფნა ძალიან გამოადგა, როგორც: მასაში საკუთარი თავის დასანახად-ისე: თვით მასის აღსაქმელად... ჯგუფური ფსიქოლოგია არცისე რთულია... ქმედებებიც სინქრონულია... შედეგებია რთული...

წვერიანი ახალგაზრდა კაცი წარბებშეკრული ელოდა პასუხს:

— ზოგი მოძრაობს — ზოგი უძრაობს. ნაგვის გატანასკი: საკანონმდებლო აქტები არ სჭირდება, მე მგონი — გოგომ საკმაოდ უხეშად უპასუხა და

* გასაკეთებელი გულმოდგინედ უნდა აკეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლოზუნგი გააკრა: „მწვანეებო“! — „ლურჯებო!“ — „წითლებო!“ — ფერი დაგვეკარგება ნაგავს თუ არ გავზიდავთ!“

სოლიდური გარეგნობის საქალალდეებიანმა მამაკაცმა სათვალე მოიმარჯვა. გოგოს მიუბრუნდა:

— რომელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის წამოწყებაა ეს შაბათობა?

— არც ერთის რამოდენიმე აქაური ახალგაზრდის სურვილია მხოლოდ.

მარტმა ხოშხოშა მარცვლები გაურია ფანტელებს. გოგო აგრძელებს ნებაყოფლობით მეეზოვეობას.

ქოლგიანმა სქელმა ქალმა გაიარა:

— საქმე ვაიღუნო-საქმე...?*

— თქვენისთანებმა არ დაყარონ ნაგავი და არ მექნება.

გოგო მოღვრემილ ცას ახედავს ხანდახან. მშვიდად განაგრძობს საქმეს.

კარგახნის შუალედის მერე კიდევ ერთმა ქალმა შეიცოდა:

— Чего ты, в такую погоду?

— Кто как и когда может и умеет...

ფოსტა-ტელეგრაფის წინ ქუჩის საათს შუშა აქვს ჩამსხვრეული. ისრები კარგახნის შეყინულია ციფრებზე: 6, 35 სთ/წთ.

თოვს.

აიარჩაიარა კარგ პოეტად ცნობილმა. გოგო ნაგვიანებ ურიკას მიათრევს. წინადღის ნაკამათებია პოეტთან. თემაზე: „რა დროს ეგ არი.“ მაშინ ის პოეტი მთვრალი იყო. მოკამათე ალბათ ვერ დაიმახსოვრა. არ ესალმება.

აიარჩაიარა კარგპოლიტიკოსადცნობილმა. ისიც იქაა: „რა დროს ეგ არი“.

მთელი ქალაქი ამ თემაშია ჩაძირული. მთელი ქვეყანა...

მთელ ქალაქს ყოფიერების მთავარ ფორმად პოლიტიკა გაუხდია...

ყველა: თავისებურად მიაქანებს ქვეყნის ბედს...

ქვეყანასკი: ბოლო კოლონიზატორი ეომება-თვალსდახელსშუა დალეულ საქართველოს ტერიტორიას მალე ... ზეთსაც ჩამოასხეპენ...

ქვეყანაკი: იცლება სისხლისგან... ეფლითება სული...

ყველგან: ცდილობენ ცნობიერების ერთი მიმართულებისათვის დამორჩილებას. ზოგან: მოითხოვენ ცნობიერების ერთი მიმართულებისთვის მორჩილებას.

უფრო: მორჩილებას მოითხოვენ. უნიფიცირებას მოითხოვენ. აზროვნებისა და ქმედებების სინქრონულ მასიურობას მოითხოვენ.

მიაჩნიათ:

ეს სჭირდება ქვეყანას...

ეს სჭირდება ეროვნულ მოძრაობას...

ეს სჭირდება პოლიტიკას...

ქვეყანაკი ვერანაირ ხეირს პოულობს:

ვერც ეროვნული მოძრაობისაგან...

ვერც პოლიტიკისაგან..

ყველაფერი: არაჯანსაღი ფორმით ვლინდება...

ყველაფერი: არაჯანსაღი მიმართულებით მიედინება...

ადრე: ყველა ქართველი ხატოვნად პოეტიზირებული გვეგონა.

ახლა: დანამდვილებით ვიცით, რომ: ყოველი მათგანი არაჯანსაღად პოლიტიზირებულია... ან: ერთ ნაპირზე დგას... ან: მეორეზე... გამოკვეთილად არჩეულ ნაპირზე გამოკვეთილად მდგარები ვერ ეგუებიან პოლიტიკისაგან განზეგამდგარებს: „პოზიცია! პოზიცია გამოხატე!“ უკიჟინებენ გამუდმებით.

პოლიტიკაკი: ყველაზე არამყარი ზნეობის სფეროა. იგი ნებისმიერი ცხოვრებისეული დრამის სიმდაბლეს უსწრებს. მაგრამ: ყოფიერების ერთერთი მნიშვნელოვანი საზომია-გვიჩვენებს: როგორი არ უნდა იყო. ამიტომ: სასურველია მის ძირითად ტრიუკებს თეორიულად მაინც იცნობდე. ამისთვის: ჰიპოთეზური ლოგიკა სულაც არაა აუცილებელი. სულაც არაა აუცილებელი რომელიმე ბანაკს ეკუთვნოდე. საკმარისია პოლიტიკური ბრძოლების შედეგებს გადახედო: პოლიტიკა მღვრიე

* საქმე აღარა გაქვს — საქმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინებაა, სადაც: პოლიტიკოსებს ლიბიური ღელვები ახელებენ, როცა: საკუთარი გალავნიდან გადაიხედავენ და სხვათა მსხმოიარე ბაღებს შეეფეთებიან.

პოლიტიკის არსზე გოგო დიდხანს არც კამათობდა. ამ საკითხზე მისთვის შეუვალი ავტორიტეტი იყო ფელინი. დიდი მაესტრო პოლიტიკას „ერთსულოვანი ყაზარმული აქტივიზმის ატმოსფეროს“ უწოდებდა და ცდილობდა: მისი ჰაერით არ ესუნთქა.

ამ ქვეყანაშიკი: პოლიტიკა უმთავრესად მემწვანილე ქალებსა და მზარეულ მამაკაცებს გადაექცათ სამოქმედო ასპარეზად...

პოლიტიკოსთა გახელებებს ყოველთვის: ქვეყნის ბედი ეწირება... ადამიანების ბედი ეწირება... ერთი ძველი ქართველი დახვეწილი ინტელიგენტი ქართულ ხასიათზე აღნიშნავდა: „პოლიტიკური პატივმოყვარეობა, სქესობრივი გრძნობა, მეშურნეობა მათში დაუცხრომელ, ხანდახან გამანადგურებელ წვას იწვევს.“

ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია დროდარდო და უმთავრესად სწორედ ასეთი გამანადგურებელი წვის ასპარეზი იყო. ვითარებებს ანუ: ისტორიის მონაკვეთებს ვქმნით თვითონ ადამიანები — აზრთა მდინარების-ქმედებების: არითმულ-რიტმული ლოგიკურობის მთლიანობებით. ოღონდ: ისტორიას სათვალავში არ ვაგდებთ და არ გვეშინია მისი, სანამ: ის აწმყოა. წარსული-კი ვეღარ წამოგვეწევა, როცა: ჩვენ თვითონ ისტორიის სტომაქში ჩავძვრებით...

ცალკეული ადამიანები მაინც ცდილობდნენ სხვა სფეროში საქმიანობასთავის სფეროში საქმიანობას — „რა დროს ეგ არი“ აცხრებიან თანამედროვე დონკიხოტებს და... დავიწყებულია... ლიტერატურა... ხელოვნება... მუსიკა... სულიერების უმთავრესი საზრდო და საწყისი...

ასეა ამ ქალაქშიც:

გოგომ გადაწყვიტა პოეზიის საღამოს მოწყობა ვიწრო წრისათვის მაინც-იქნებ: შვება ეგრძნო თვითონაც და სხვათა ჩამოქუფრულ სახეებსაც ოდნავნათელი მაინც დაბრუნებოდა. მხარდამჭერებიც გამოუჩნდა, მაგრამ: „რა დროს ეგ არი“ ბევრმა აღუმართა კედლად.

ქალაქი იმდენად პატარაა, რომ: ამ ქალაქის მასშტაბისათვის თვალშისაცემად გავლენიანი აზრის მქონე ერთიორი ადამიანის სიტყვას საკანონმდებლო შეუვალობის დანიშნულება ეძლევა. მაინც: პროტესტის ნიშნად იმ დღეს მთელი ქალაქი დაიარა უშალითო გიტარით ხელში და რამოდენიმე ადამიანმა ლექსისა და მუსიკის ნათელით დროებით დაივიწყა ქუჩის აურზაური... დენთის აურზაური... გაშიშვლებულ ნერვთა აურზაური...

გოგო შეძრწუნებული იხსენებდა არც ისე დიდიხნის წინათ დანთებულ ერთ განსაკუთრებულად შემზარავ კოცონს:

იმ კოცონზე წიგნები იწვოდნენ...

ის კოცონი ამ ქვეყნის შუაგულში ენთო...

იმ კოცონზე ამ ქვეყნის ღირსება იწვოდა...

იწვოდნენ წიგნები...

იწვოდნენ სიტყვის გაუფასურების გამო...

იწვოდნენ სიტყვისა და საქმის შეუფერებლად დაცილების გამო...

სიტყვა პირველრიგში სიტყვისმქნელთაგან უფასურდება...

სიტყვა პირველრიგში სიტყვისმქნელთა სიტყვასთან დაცილებით უფასურდება...

სიტყვა პირველრიგში უფასურდება თქმისაგან: „გააჩნია, ვის ხოცავენ!“..

სიტყვას პირველრიგში სიტყვისმქმნელთა ღირსება იცავს...

სიტყვა განურჩევლად ყოველთვის: გარკვევა-დანახვა-დათმობა — დანდობა შებრალება-პატიება-ადამიანური არსებობის ამაოების განცდის შემსუბუქებაუგნურების მოფერებით მორჩენა უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა-სიტყვათმქმნელი მრისხანების სამოსელს არ უნდა ატარებდეს...

ნებისმიერ დროსა და სივრცეში-ნებისმიერი მაჩაბლის ცამეტი თუკი: თუნდაც ერთ ჩვეულებრივ მოკვდავს გასწირავს არხეინობისთვის: „გააჩნია, ვის ხოცავენ!“ — სიტყვის და საქმის მთლიანობას ორიენტირი ეკარგება... ორიენტირი ეკარგებათ ადამიანებს, რომლებსაც: სიტყვა ეგულებათ სამყაროს უპირველეს ქომაგად... თუკი: ერთშემთხვევაში — აღფრთოვანებულნი დიდ წმინდანთა სამყაროსადმი დამოკიდებულებით: „ჩემო საყვარელო ძმაო მგელო! ჩემო საყვარელო დაო ცეცხლო!„ მეორეშემთხვევაში — ძალადობას გავამართლებთ მიზნით და მუშკეტერთა ტიტულებს ჩამოვურიგებთ ბაზალეთური ჟინის ბატალისტებს: ადამიანთა ცნობიერებაში უქმდება შემოქმედი - სიტყვა - ქმედების უპირველესი მთლიანობა — თვით სიტყვათმთქმელში გაცხადებული... და: ძალზე ადვილია სიტყვათმსჯელთა შე-ქმნა... ბატალ-**ისტთა** მომრავლება...

— თოფით მოსულებს თოფით ხვდებიან! — აოხრების მოლოდინში მყოფი ქალაქის სამზადისზე ხმამაღლა ნათქვამი თავისივე სიტყვები ზარავდა გოგოს...

ქალაქიც აოხრდა...

გოგოს ნათქვამი არც არავის გაუგონია, მაგრამ: სიტყვა ხომ ითქვა...

სიტყვათმსჯელები პირველრიგში სიტყვათმქმნელთა შეცდომებით საზრდობენ,

და: რაღა იქნება სიტყვის მკვლელობაზე უფრო საშინელი... აზრის აუტოდაფე თვით ადამიანის მოკვდინებასაც აღემატება, რადგან: სადაც აზრი აჰყავთ გილიოტინაზე იქ: კაცის უმწეო ფიზიკურ არსებობაზე ძალმომრეობაც ადვილია... აა...

გოგო ყოველდღე ხედავდა ადამიანთა გაიოლებულ მოკვდინებას. ბოლო წლები მთელი ქვეყანა მხოლოდ ამ მეთოდებით ცხოვრობდა.

მიტინგები... დარბევები... სისხლიანი გლოვა... თავისი ესპანეთით გულშეღონებული ლორკას სტრიქონები გოგოსთვის ახლა სათავისო შემაძრწუნებული სიცხადე გახდა: „ესპანეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სიკვდილი ერთგულ სანახაობად იქცა!..“

და გოგოს აზრით თავის ქვეყანაშიც არაფერი შეიცვლებოდა აღიარებამდე, რომ რუსთაველის გამზირს ორი ტროტუარი აქვს — რომ მარჯვნივაც და მარცხნივაც შავი შავია, თეთრი-თეთრი (თეთრსა და მზის ბრდღვიალს მაინც და მაინც ვერ ხედავდა)... სანამ მასობრივ დალტონიზმს მოვითხოვთ: გინდ გაეროში შევსულვართ-გინდ უშიშროების საბჭოში და გინდაც ფიფა-უეფაში — ვიქნებით მუდამ: „გარეთ მტერს — შიგნით მოყვარესაო...“ შიგნით ხომ ვიცით და ვიცით მთხლეს გემო, მაგრამ უკვე გარეთაც ვერავის ვაბრმავებთ... სამყაროს პოლიტიკური კანონი მუდმივია და იმიტომ...: გავლენის სფეროები — უნივერსალური „მუდმივი ძრავაა“ ამ კანონისათვის...

გოგოს რისი შეცვლა შეეძლო...

მას შეეძლო- ყოფილიყო სტუდენტებთან აუდიტორიაში — „რა დროს ეგ არი-სანამ თქვენ სწავლობთ: დაინგრა ქვეყანა“ — პოლიტიკურ ოლიმპიადაში მონაწილე ძალები მხარდაჭერას მოითხოვდნენ. უმთავრესად რაოდენობრიობის მხარდაჭერას... ქუჩაში გამოფენილ მხარდაჭერას...

გოგო თვლიდა: თავის დროზე და თავისი დოზით რაოდენობრიობის ძალა (თვისებით: „ძალა ერთობაშია“) საჭიროცაა და გარდაუვალიც, მაგრამ: ძალთა გონიერი გადანაწილება და მისი თვისობრიობაში აყვანა გაცილებით აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის მისაგნებ-მისაღწევ-დასამკვიდრებლად...

თავის დროზეც: აზვირთებული ენერგია ერს შეეძლო მიტინგური ომახიანობიდან აკადემიური სიმშვიდის საქმიანობამდე მიეყვანა. საქმიანობა კი საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთარი თავის შენარჩუნების საწინდარი იქნებოდა...

მთელი ქვეყანა ჯერაც: აქციები... აქციები...

ეს ქალაქი მითუფრო...

ამ ქალაქში მხოლოდ უმცირესობა ცნობს რომ შეიძლება ბევრი რამ:

პატიოსანი მიზნის პატიოსანი მიგნება...

პატიოსანი მეთოდებით პატიოსანი მიზნისათვის ბრძოლა...

ერთდროულად: პატიოსანი ბრძოლაც და პატიოსანი შრომაც...

ერთდროულად: პატიოსანი სწავლაც და... ნაგვის პატიოსნად გატანაც...

საგაზეთო სტატიაში და ერთიორი მკითხველის მოწონებაშიღა დარჩა გოგოს სურვილები: „ნუ დაველოდებით ნურავის მოწყალებას. რიჩარდ გირი ბუდისტია და ნეპალის პრობლემებითაა დაინტერესებული. არც ქლინტონს უჩანს სამაგისო პირი, რომ: ყოველწელიწადს სულგუნი და სიმინდი გვიგზავნოს ოკეანისგადაღმიდან: „არიქა, ქართველებო! — როგორმე შიმშილით არ დამეხოცოთ... „უმჯობესია: სანამ ისევ ჩვენივე შრომით მოპოვებული ტექნიკური პროგრესის საშუალებებით დავამუშავებდეთ მიწას — ისევ ჩვენებური მამაპაპური თოხი ავიღოთ... ბარაქიანი კოლხეთისა და ალაზნის ველი და ჩვენგანვე ბედკრული ჩვენი ქვეყნის ყველა ველი პირველრიგში ჩვენგან ელის ბელტის გადაბრუნებას...“

გოგოს გული ეწურებოდა: როგორ შეიძლებოდა მთელი ერი ხან ერთი... ხან მეორე... ხან... „მხსნელის“ იდეაფიქსს ჩაფრენოდა და მის მიღმა არ ეგრძნო სათითაოდ ყოველი მოქალაქის პასუხისმგებლობისა და მოვალეობის აუცილებლობა თვით სიცოცხლის წინაშე. როგორ შეიძლებოდა ცხოვრების დასაჭურისება ფორმულით: „რა დროს ეგ არი...“

გოგოს სამშობლოსათვის მითუფრო აუცილებელი იყო ჯანსაღი ყოფიერებისა და ცნობიერების მთლიანობა:

ლიტერატურა.... მუზიკა... კინო... თეატრი... — ამ სფეროებში მდუმარებას რომ უყურებდა, გულისგასკდომამდე უნდოდა კივილი: ღმერთო... ოო... გადარჩენილი ლეში არ მინდა... აა...

ქვეყანას ლეშის გადარჩენაც უძნელდებოდა: უთვალავი იყო შიმშილიანი ქალაქები და სოფლები... შიმშილიანი თვალები და სამათხოვროდ გამოწვდილი გაძვალტყავებული ხელები...

ქვეყანას ამ ქვეყნის ბოლო კოლონიზატორი ეომება... ომის ღმერთების კერძად ქრება ჯანღონით სავსე ახალგაზრდების სიცოცხლე...

ერთდროულად არსად არაფერია ამ ქვეყანაში...

პატიოსნად არსად არაფერია ამ ქვეყანაში...

ამ ქალაქში კი:

გოგოს შეშფოთებული მეზობლის ქალი მიუახლოვდა. ქალს ცალ ხელში სათვალე უჭირავს, — ცალ ხელში ავტოკალამი — ფოსტაში მუშაობს. ეტყობა: ვიტრინიდან დალანდა. სამუშაო საათი კარგახანია დაიწყო დ შეიძლება უკვე შესვენების დროც მოახლოვდა:

— რას აკეთებ! — დაანებე თავი! — რა შენი საკეთებელია! — მიხედავენ! — ნუ ეზიდები მაგ სიმძიმეს! — გაცივდები ასეთ ამინდში!

გოგო გრძნობს: რაკი თავის დროზე ანტიდეპრესანტებსა და ნეიროლეპტიკებს ხმარობდა — მეზობლის ქალს ეეჭვება გოგოს საქციელი:

— გაფიცებ იმ შენი კარგი დედის სულს! — მეზობლის ქალი არ ეშვება.

გოგო უხსნის რომ: სხვებიც მოვლენ და მალე დაამთავრებენ. კვლავ განაგრძობს გაზონის დასუფთავებას. ბზის ბუჩქებიდან ქარისგან შიგ ჩატენილ პლაკატს აძრობს. შლის: დალეული საღღეგრძელოც შეგვერგოს, მაგრამ: ზუგდიდს მეეზოვეც ვჭირდებით!“ — ლამაზთქმას ადამიანები ვერასოდეს გადაეჩვევიან, მაგრამ: ყველა ნათქვამი გონჯი და გულისამრევი ხდება თუკი: თქმას სულ ოდნავი დოზით იმავე წესით ცხოვრება არ მოსდევს. გამთლია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული თუკი არაა ცხოვრების წესის ფორმა და არსი. ტერმინ: „ცივილიზებულ მეთოდებს“ კი არ მოაქვთ ცივილიზებული მეთოდები — ამ მეთოდებით ცხოვრება ქმნის ცივილიზებულ მეთოდებსაც და ცივილიზებულ ყოფასაც...

მთელ ქვეყანას მხოლოდ ტერმინი ჰქონდა აკვიატებული.

მთელ ქალაქს მხოლოდ ტერმინი ჰქონდა აკვიატებული...

სჯობდაკი სულ მცირე: ადამიანებს თავიანთ მიკროსპეცმისიაზე ეფიქრათ (და არა: „დამარხულ არს ამა ენასა შინა...“-ს ამპარტავნულ ინტერპრეტაციაზე კაცობრიობა თავისთავადაა ყოველთვის ხსნილი-არც ქართველთაგან და არც სხვათაგან სპეცხსნის მისტიკა სულაც არ სჭირდება... ამნაირი მისტიკა მხოლოდ იმავე მისტიკოსებს აზარალებს ახსოვს კაცობრიობას მსგავსი აღლუმები... ისევ ქართველის ჭკვიანური ნათქვამია: „მესიანიზმის იდეამ საკუთარი სამშობლოც დააკარგვინა მსოფლიოში სულ ცოტა-ორ ერს...“) — თუ გენიოსები ვერა: ოდნავ კეთილსინდისიერი რიგითები მაინც ვიქნებითო...

ერი ინდივიდთა (ინდივიდუალისტთა) კრებითობაა და არა: მასის ქმედება... არა: მასიურ-სტიქიური ქმედება... აქამდე: თავი მოგვქონდა (და: ეროვნული არს-ებ-ობაც მოგვქონდა) ამ თვისებით. ახლა: სინქრონულ ცნობიერებას-სინქრონულ ფსიქოლოგიას-სინქრონულ ქმედებას მივყვებით—ჯგუფებისა და დაჯგუფებ-ებ-ის ვიწრო წრისაგან ჩამოყალიბებული თეორიათა მორჩილებას ვქადაგებთ და: სხვა არაფერია მასსა...

ერიც და სამყაროც უმთავრესად რიგიან რიგითთა ჯანსაღ კრებითობაზე დგას, თუმცა: გამორჩეულ ადამიანთა ხვედრითი წილი მუდმივი ორიენტირია სიცოცხლის უწყვეტობისათვის. გოგოსთვის სათაყვანო ერმა ქართველმა მაესტრომ თქვა ერთერთ ინტერვიუში: „შეუმჩნეველი ხალხია ჩემი იდეალი. ყოველდღე წესიერად იცხოვროს ... ის საზღაური არ მოითხოვო, ეს არის გმირობა...“ ის მაესტრო სწორედ ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს — ჩუმი ყოფიერებით: მიუხედავად თავისი დიდი პიროვნებისა... საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ასეთი პიროვნებები, ოღონდ: საკმაოდ ხშირად არ ჰქონდა თვალ-გულისყური ცხოვრების ასეთი წესის დასანახად... მით უფრო დასაფასებლად და დასამკვიდრებლად...

ახლაც:

ბრმა იყო ქვეყანა...

ბრმა იყო ქალაქი...

მოვიდა წითელპალტოიანი მეგობარი. ერთერთი: ვისაც გოგო ელოდა.

შუადღე ახლოვდება. აღარ თოვს. გოგომ მთელ სიგრძეზე უკვე მოასუფთავა გაზონი. მეგობართან ერთად გადადიან მთავარ ხეივანში.

მეგობარი ლამპიონის ბოძზე კიდებს წითელ პალტოს. ახალთახალ კაბას ისწორებს — დღეს მისი დაბადების დღეა და უნდა ლამაზად გამოიყურებოდეს...

წითელი პალტო საკიდზე ქანაობს. ადრე: ზეიმების დროს ამ საკიდებზე ფერად დროშებს აღმართავდნენ ხოლმე. ხეივნის მოპირდაპირე დანაყოფიდან უცნობილესი საბჭოთა ბომონის კვარცხლბეკი იმზირება. ახლა ზედ რკინის ჯვარია აღმართული. ბომონის ძეგლის ჩამოყირავებისას მისი კვარცხლბეკის შიგთავსი გამოჩნდა — ძველი-ქართულწარწერებიანი საფლავის ქვები რომლებიც: გარედან მარმარილოს ფილებით იყო მო-პირ-კეთებ-ული. ამ უცვლელ კვარცხლბეკზე ყველა საბჭოთა ბომონმა თანმიმდევრულად აგროვა ზედდგომის სტაჟი...

ახლა: ამ კვარცხლბეკზე რკინის ჯვარია აღმართული. სწორედ ჯვრის აღმართვის სამი წლისთავის ზეიმზე დაიმახსოვრა ამ ქალაქმა ყველაზე დიდი დარბევა „უკანონო მაგრამ: სამართლიანი“ შეიარაღებული ფორმირებებისაგან. იმ დღეს: მოქალაქეთა გარკვეულმა კატეგორიამ მიტინგის მოწყობა სცადა უკვე დამხობილი ხელისუფლე-

ბის მხარდასაჭერად... მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია სამთავროსდროინდელი კარის ეკლესიისკენ მიემართებოდა ღვთისმშობლის დღესასწაულის შესახვედრად...

მაგრამ „უკანონო მაგრამ: სამართლიან“ შეიარაღებულ ფორმირებებს ცალცალკე არ დაუხარისხებიათ მომიტინგენი და მოდღესასწაულენი...

არც მომიტინგეებსა და მოდღესასწაულებს ეწერათ შუბლებზე თავთავიანთი განზრახვები..

უბრალოდ: ძალაზე დაყრდნობილი უპირატესობის დემონსტრირება ადამიანებს უმიზეზოდაც უყვართ და მიზეზიანადაც...

ახლა: ეს ქალაქი არბევდა სხვა ქალაქებს...

ახლა: ეს ქალაქი ღვრიდა სხვათა სისხლს ქრისტიანულ დღესასწაულებზე...

ახლა: ამ ქალაქის შეიარაღებულ ფორმირებებს უ-წოდებ-დნენ---“ უკანონო მაგრამ: სამართლიანი...“

გოგოს თვალში: ძალადობას არა აქვს სქესი და ზნეობა. როცა ეუბნებოდნენ:

— მიზანი ამართლებს საშუალებას! — უკვირდა:

— როგორ? — აქვს მნიშვნელობა: ქალი შვილების გადასარჩენად ღალატობს ქმარს თუ საკუთარი მსუბუქი გართობისათვის? — ანდა: უზნეობით რამე კარგი მიზნის მიღწევას მიუღწევლობა არ სჯობია? — უღირს გამარჯვებას ღირსეული დამარცხება არ სჯობია?

ქვეყნის ცხოვრების მასშტაბებისათვის ამ ფორმულის მორგება უჭირდა. ესკია: ჯერჯერობით ვერავის ატყობდა სრულფასოვან ზნეობრივ სვლებს. დაპირისპირებული ძალებიდან არცერთს ეთმობოდა უზნეობა. დანაშაულობათა სიმძიმეს ყველა „შედარებითი ზნეობის“ საზომით განსაზღვრავდა.

— არის კი „შედარებითი ზნეობა“ ზნეობა? — ხომ არაა „შედარებითი ზნეობა უფრო დიდი უზნეობა ვიდრე: თვით უზნეობა?

თუ ვინმეს მომხრეების მოსასპობად აუცილებელი იყო ქალაქის შემოგარენის ტყეებისა და ყანების დაცხრილვა-თვითონ ქალაქის თავზე ავიაციის უმაღლესი პილოტაჟი რაღა საჭირო იყო?.. ერთერთ ნეკროლოგში ამოიკითხა: „აფხაზეთში დაიღუპა მამაცი მფრინავი (გვარი-სახელი-მამის სახელი), ეროვნული ავიაციის შევარდენი, რომელიც ჯერ შინაურ მტერს, მერე კი გარეშეს შიშის ზარს სცემდა თავისი...“

გოგოს ახსენდება ქალაქის თავზე მოპიკირე ვერტმფრენები და ოთხი წლის დამფრთხალი ძმისშვილის შემაძრწუნებელი წრიალი თავშესაფრის საძებრად: — დედიკო. დანდუ. (მამიდას ასე ეძახის პატარა)... ვერტალოტი... ჩვენი სახლის გატეხე... ეს?

დამშვიდების მერე ტოლებთან მოთამაშე ბიჭუნა არტილერისტების პოლკს ადგენს:

— ბე-ევრი-ბე-ევრი ვერტალოტი უნდა ჩამოვაგდოთ... ჯჯჭჭჭ...

ეს ქალაქიც ისეთივე სისასტიკით ცხოვრობს როგორითაც: მთელი სამყარო... როგორითაც: მთელი ქვეყანა... ამ ქალაქსაც ისეთივე მიზანი აქვს როგორიც: სხვა ქალაქებმა სულ ახლახან შეისრულეს — „ავიღეთ ფოთი! ავიღეთ სამტრედია! ავიღეთ ზუგდიდი!“

როცა ერთმანეთს ადარებენ მოვლენებს — მოკამათენი ამბობენ:

— იმ სვლას კეთილშობილური მიზანი ჰქონდა-ფაშიზმი უნდა ამოეძირკვა! — ნაცისტური გერმანიის დამარცხებისას თქმულ თომას მანის ფრაზას იმოწმებენ... გოგოსკი: დიდი გერმანელის უფრო ზოგადი ზნეობრივი პოზიციაც ახსენდება-თავისი ქვეყნისა და კაცობრიობის ბედზე დაფიქრებულ ჰუმანისტს მთელი არსებით სძულდა ძალმომრეობა როგორც ასეთი და დენთი...

სამყაროს უწრფელესი ნატვრა ერთ ფრაზაში ეტეოდა:

— არანაირი მიზანი არ ღირს ბავშვის თუნდ ერთი კურცხალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანაკლები სიწმინდის საკუთარი ჰუმან-**ისტებისთვისაც** არასოდეს გვიგდია გულის-ყური-ერთმანეთის დასამოძღვრადღა გვახსენდება „სარჩობელაზედ...“ რა გონებაჩლუნგი მოწაფეები ვართ მთელი კაცობრიობა... მთელი ქვეყანა... მთელი ქალაქი...

გოგოსთვის: სისასტიკეს არა აქვს სქესი და ზნეობა... როგორც პიროვნება: ყველა მოვლენაში საკუთარ წილ ზოგად და კონკრეტულ პასუხისმგებლობას გრძნობს... გრძნობს საკუთარ წილ ზოგად და კონკრეტულ დანაშაულს... ოღონდ: ვერაფერს ცვლის... თუმცა: თავის გასაწვდენ რადიუსზე მაინც ცდილობს...

გოგოს აზრით: ნებისმიერი ვინმესგან გამოყენებული რომელიმე მეთოდი თავადვეა მოწინააღმდეგისათვის გაცემული სანქცია იმავე მეთოდის გამოსაყენებლად.

გოგო ხედავს რომ: ყველა ერთიდაიგივე მეთოდებით ცდილობს თავისას დამკვიდრება-დადასტურებას...

ყველა სისასტიკე ერთმანეთის პირმშო-მშობელია.

ძირმწარე შედეგია 24 ივნისი-ძალადობა რომელიც: წარმოშვა ძალადობისგან წარმოშობილმა ძალადობამ რომელიც... წარმოშვა ძალადობამ რომელიც... და ა. შ. უკუსვლით ვიდრე: უსასრულობამდე...

გოგოსთვის: მიზანი არ ამართლებს საშუალებას... მითუმეტეს: დენთის საშუალებას...

მთავარია: სხვამ სხვისა არ მიითვისოს... სხვამ სხვისა არ დაიჩემოს...

მთავარია: ყველამ თავისა დაითავისოს... ყველამ თავისა შეირგოს...

ასე იშვიათად ხდება. მთელი სამყარო სისასტიკის ბორბლებზე ბრუნავს:

სხვა სხვისას იჩემებს... სხვა სხვისას ისაკუთრებს...

იგივე სისასტიკით ცხოვრობს ეს ქვეყანაც... ეს ქალაქიც...

იგივე მიზანი აქვს ამ ქალაქსაც: „ავიღეთ ფოთი! ავიღეთ სამტრედია! ავიღეთ ზუგდიდი!“

ეს ქალაქიც სხვა ქალაქების ძეთოდებს იყენებს: სხვა ქალაქების თავზე თვითონაც აპიკირებს ავიაციის შევარდნებს. სხვა ქალაქებში თვითონაც ათამაშებს ბიჭუნებს ომობანას და დიდ მიზანს ასახვინებს:

ბეევრი... ბე...ვრი ვერტალოტი უნდა ჩამოვაგდოთ... ჯჯუუუ...

სხვა ქალაქებში თვითონაც აფეთებს სამი-ოთხი წლის პატარებს: — დედიკო.ოო ვერტალოტიიი — ჩვენი სახლის გატეხე... ებს?..

ოღონდ: ყველა ქალაქის ზოგადი მიზანი კეთილშობილებაა... ყველა ქვეყნის ზოგადი მიზანი გონიერებაა... სამყაროს ზოგადი მიზანი სიკეთის სურვილია...

არჩევანია ძნელი...ი...

ამინდი მონაცვლეობს.

მეგობარი მარჯვედ ატრიალებს ფიწალს-ხის ჩამოყრილ ტოტებს-კონსერვის ქილებსა და ცარიელ ბოთლებს აქუჩებს.

ტროტუარზე მიმოდიან ნაცნობუცნობები. ღრუბლებიდან მზე გამოდის. თანდათან აჭერს. გოგო რუხ ქურთუკს იხდის და წითელ პალტოსთან კიდებს.

ნაცნობუცნობები კვლავ მიმოდიან .

ზოგი: ვინ დაგავალათ?

ზოგი: არავინ გეხმარებათ?

ზოგი: მაგი ნაგავი დამყრელმა უნდა დაგავოს.

ზოგი: არ დააყრევინოთ მაინც.

ზოგი: კარგია — ძალიან კარგია!

ზოგი: სამოთხეში ხომ არ ვარ ნეტავ? — ამ ქალაქშიც კეთდება ასე უბრალო რამე?

ზოგი: ღლეს მაპატიეთ და ხვალ თქვენთანა ვარ.

ზოგი: რა დროს ეგ არი?

მიმდინარეობს მიტინგი. ზოგი სამართლიანი შეძახილით. ზოგი უზუსტობებით. ხშირად ახსენებენ დიდ წინაპრებს. განსაკუთრებით: **აღმაშენებელს...**

მარტის მზიანი ქარი ვოგოს გაკრულ პლაკატებს სუსტ სამაგრებს აცლის. ლუგუსტრუმის მეჩხერ გაზონებში იხლართება დაჭმუჭნული ქაღალდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. უჩინარდებიან მწვანე-ლურჯი-წითელი ფლომასტერებით ნაწერი სტრიქონები:

„ლევან დადიანს ძეგლი დავუდგათ ნაგვის გორების გაზიდვის მერე!“

„ცოტნემ თაფლი წაისვა-ჩვენ ნაგავი წავისვათ?“

გოგო აკვირდება: სტატიკაში ყოფნის განწყობილებას ადამიანები წინაპართაგან მიღწეული სიმაღლეებით კმაყოფილების გამოც იქმნიან. ერთხელდასამუდამოდ ჩათვლიან რომ: რაღაცა უკვე გაკეთებულია და დაეხარბებიან უმოქმედობის სიმშვიდეს... სხვა უკიდურესობაცაა: ადამიანი თავს დიდი წინაპრის პირდაპირ მემკვიდრედ ჩათვლის. ლამის თვითონ მიითვალოს იმ წინაპრის ყველა ღირსება. ოდნავ კვერიც თუ დაუკრეს: აიფოფრება. რაც კი რამ სხვათაგან გამორჩეული ენერგია აქვს გამოიყენებს და: აქ კი მართალია მაკიაველი— ტაში. თანხმობა. სინქრონული მრავალხმიანობა — ძლიერებისგან სოლოში გადაზრდილი და... სტატიკაც და სხვისთვის ზედმეტად დაკრული ტაშიც: აჩენენ ნა-პო-ლე-ონ-ე... ე-ბს...

ნაპოლეონების თაყვანისცემით ცხოვრობს ეს ქვეყანა...

ნაპოლეონების თაყვანისცემით ცხოვრობს ეს ქალაქი...

ხან ერთი ნაპოლეონი... ხან მეორე ნაპოლეონი... ხან...

თუკი: მეტნაკლები სიძლიერის ნაპოლეონები ერთბაშად შევქმენით... ოო... ო... ქვეყანაც ნა-ნაპოლეონ-არი ხდება... ქალაქიც ნა-პოლეონ-არი ხდება...

სანამ ზმნას გასაწარსულებელი ფორმა მიეცემაო-ო... ოო... როგორი აქტიურია ზმნა... აა... ანუ: აწ-მყო...

ქართველები: ყოველი მეორე მაინც ვოცნებობთ ნაპოლეონ-ობაზე... უსახელო უფლისციხელობა თითქმის ყველას გვეცოტავება... აა...

დღეს:

ამ ქვეყანას ყველაზე მეტად უსახელო უფლისციხელთა თავდადება აკლია...

ამ ქალაქს ყველაზე მეტად უსახელო უფლისციხელთა თავდადება აკლია...

ქვეყნის ბოლო კოლონიზატორიკი: ამ ქვეყანას ხრავს...

ქვეყნის შინაური შეურიგებლობაკი: ამ ქვეყანას ხრავს...

ეს ქალაქი... ოო... ო... რამდენი რამეა ამ ქალაქისა და ამ კუთხის ცხოვრებაში ურთიერთგადახლართული... მთელი ქვეყნის საერთო განსაცდელს ამ კუთხის თავისებური განწყობილებაც აძლიერებს და ამძაფრებს...

მოვლენებისადმი ზერელე მიდგომამ და უგულვებელყოფის გზით მათი გაქრობის მცდელობამ (რაც გოგოს: ტივტივასა და რიფების ურთიერთმიმართების ასოციაციას უჩენს) უკვე საფუძვლიანად შეარყია ჯანსაღი ურთიერთობები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთა დამოკიდებულებებში. ერის სრულფასოვანი საერთო-ქართული ცნობიერების ბზარები განსაკუთრებულად ამ კუთხეში აყალიბებს არაჯანსაღ მიმართებებს თვით მარადიულად მთლიანი და ფუნდამენტური ღირებულებებისადმი...

სპეცმისიის იდეა რომელიც: ავტორებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ განახორციელეს — ახლა ამ კუთხესა აქვს ატაცებული. იდეის მომხრე ისტორიკოსები ისტორიულ წყაროებს ასახელებენ და ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების „ჭყონდიდურ-აღმაშენებლურ გზას“ განუმარტავენ ჭრელ აუდიტორიებს. გოგო ისტორიული წყაროების სიღრმეებში სრულფასოვნად ჩახედული არაა და ამიტომ: უმთავრესად ქმედებებში გაცხადებულ მეთოდებსა და შედეგებს აკვირდება.

მეთოდები და შედეგებიკი...

ქალაქის შესასვლელში ქუჩის სახელწოდება შეუცვლიათ ჩამოუხსნიათ აბრა: „რუსთაველის ქუჩა“. შემცვლელ აბრაზე აწერია: „წურწუმიას ქუჩა...“

გოგო შეძრწუნებისაგან მუხლებზე ჩაიკეცა:

— ვაიმე! — ჩემო საქართველოოოვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის ბოგირზე მჯდარი შუახნის ქალი წამოდგა. გოგოს მიუახლოვდა და თბილი ხმით ჰკითხა:

— სქუა! — მუ გაჭუ?[1]

არაფერი! — უპასუხა გოგომ. წამოდგა. ცრემლები ნიკაპთან ეკვანძებოდა. გადაავიწყდა დათქმული შეხვედრა. უთავბოლოდ გაემართა სრულიად საპირისპირო მხარეს...

გოგო ყველა უბედურების უმთავრეს მიზეზად საკუთარი არს-ის — წარმომავლობის — სრულფასოვანი ცნობიერებით ვერწვდომასა და არცოდნას თვლის. მისთვის ერთნაირი ღირებულების უღირსი განზოგადებაა სხვა კუთხეში გაგონილი:

— ფოთი სამეგრელოა?

და ამ კუთხეში გაოცებით ნაკითხი:

— შატილი-შატილიონი... ეგ რაღაა?

მსგავსი ფრაზები განსაკუთრებით მაშინ კარგავდნენ კონკრეტული უცოდინრობის ფაქტის შნიშვნელობას როცა: ასეთი შეკითხვის ავტორები აქტიურობას იჩემებდნენ პოლიტიკურ ავანსცენაზე და რაოდენობრიობა ადვილად მიჰყვებოდა მათ შეძახილს. საპირისპირო კატეგორიის ავანსცენ-**ისტებიც** საკმაოდ იყვნენ ცოდნათა ჯამით განათებულ მათ შუბლებს რაოდენობრიობა მისჩერებოდა როგორც: უზენაესი კატეგორიის საზომს... როგორც: ღვთაებრივი ჰიპოსტასის უცვლელ ჭეშმარიტებას... იმ ჰიპოსტას-**ისტებს** კეისრული მარჯვენის შემართვით შეეძლოთ მართვა:

— ვისაც ვუყვარვარ: მომყევი... ით! მიჰყვებოდნენ: ხან ერთს... ხან მეორეს... ხან... მიჰყვებოდნენ რადგან: ძალზე მომხიბვლელია გოდოს სიყვარული: შენს სიკარგესაც ხედავს და გათავისუფლებს აზროვნებისაგან... თან: ძალიან სჭირდები... თან: დაგიფასებს...

ამ ქვეყანაში: ორივე ნაპირზე ასე იყო... ოღონდ: ერთერთზე განსაკუთრებული ფანატიზმით აყოლა იყო... ერთერთზე-უფრო მსჯელობით მიღწეული აყოლა...

არც: ფანატიზმს მოუცია სასიკეთო შედეგი...

არც: განსჯითი მიყოლა იძლეოდა რამეს შულავერული უკუსვლების გარდა...აა... ჯერჯერობით: მაინც ბნელოდა ქვეყანაში...ი...

ერთი რომელიმე კონკრეტული „მხსნელის“ ამოჩემებული ულოგიკო იდეა არც ერთ შემთხვევაში შველოდა ქვეყანას... არც მეორე შემთხვევაში... არც არასოდეს უშველიდა...

ქვეყანას კი: ბოლო კოლონიზატორი ეომება... თვალსდახელსშუა დალეულ საქართველის ტერიტორიას მალე აფხაზეთსაც ჩამოასხეპენ...

ქვეყანა კი იცლება სისხლისგან... ეფლითება სული...

შემზარავი ცნება: „ბაჭამი ქორთუ“[1] ისტორიის გარკვეულ საფეხურებზე არაერთხელ გაჩენილა ამ კუთხეში. სამეგრელოს დანარჩენი საქართველოსაგან განსხვავებულობის შეგრძნება არაერთხელ გამოვლენილა მახინჯი ფორმით — საერთო ქართული ცნობიერების უარყოფითა და გათელვით. საუკუნის დასაწყისში „მაფალუისტთა“ უსაფუძვლო თავგამოდება ბოლო მასიური უაზრობა იყო. გოგოს ვერ წარმოედგინა ახლა იგივეს გამეორება. საკუთარი წარმომავლობისა და ერთიანი ქართული ძირების მთლიანობაში დაეჭვება აქამდე ერთეული უგნური გამონაკლისები ეგონა. მერე თანდათან: პირად საუბრებში ხშირად ჭრიდა ყურს თემა: „კოლხური კულტურის წვლილი საერთო ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებაში და ქართული ისტორიოგრაფია“ თანამოსაუბრეთა აზრით: ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს წვლილი საგრძნობლად მიჩქმალული იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში რეალური მდგომარეობის უცოდინარ გოგოს ამ საკითხზე მსჯელობა არ შეეძლო მაგრამ: ზოგადი პასუხი ჰქონდა მზად:

— თუნდაც რომ ასე იყოს-ეს ხომ

[1] შვილო! — რა გეტკინა//რა იტკინე?

[1] ტილიანი//მკმენარებიანი ქართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერების სფეროა და ამის გარკვევას კალაშნიკოვი რად უნდა?

ასეთი კნინი ყოფნის მშვიდად ატანა გოგოს არ შეეძლო. საქალაქო გაზეთში რამდენჯერმე სცადა სტატიის გამოქვეყნება მაგრამ: გოგოს შემჩნევის რადიუსი მოკლე იყო... „თუ ჩვენს არსებობას ოდნავ მაინც არ ექნება ინტელექტუალური იერიორლობის სინამდვილესლა შევრჩებით. სამყარო კი: ორლობეზე დიდია... „ერთერთი სტატიის ამ მონაკვეთმა ზეპირი დოსიეს შედგენის სურვილი გაუჩინა ქალაქში ძალაუფლების ერთერთ თანამონაწილეს:

— რა პოლიტიკური მრწამსი აქვს მაგ გოგოს? — შეკითხვის ავტორი ნებისმიერი ფორმაციის ნებისმიერი სიტუაციისათვის ყოველთვის ახერხებდა ნეტარი ავგუსტინეს ციტირებას...

გოგოს უკვე აღარ უკვირდა: მთელი ქვეყანა „მრწამსით-“ ღა განსაზღვრავდა თავის არსებობას. სხვა საზომი ადამიანებს თითქმის დაავიწყდათ. თავის უშედეგო გაბრძოლებაზე გოგომ უახლოეს მეგობარს მოუთხრო. მეგობარიც თითქმის დეპრესიულად განიცდიდა ყოველივეს. გოგომ მასთან მაინც მოიოხა გული: Я за единственный путь человеческого возрождения და ეს გზა ჩემთვის არც ხელისუფლების სიყვარულზე გადის-არც: каждый за свою команду болеет -ზე... არც: რომელიმე команда-ზე... ეს გზა ჩემთვის გაცილებით რთული გზაა და ამ გზაზე გასასვლელი თუნდაც ბილიკის აღმოჩენა მიღწევაა...

გოგომ ჯერ კიდევ ქვეყნის ცხოვრების შეიარაღებული ძალის გზით შეცვლის დღეებში მისწერა ერთ სერიოზულ ხალგაზრდა მწერალსა და თავის ძალიან დიდ მეგობარს: „საშინელი კოშმარია საქართველოში, N! შენ უფრო ახლოსა ხარ მოვლენებთან (ტერიტორიულადაც) და ალბათ, უფრო გრძნობ ჩვენი არსებობის საშინელებას. ჰაველმა თქვა, პოლიტიკა პატიოსანი ადამიანების პატიოსანი თამაშიაო. ის კი, რაც ჩვენთან ხდება, პოლიტიკა არაა, ყველას თავისი ლელოს ატანა უნდა Мимо Грузии... ეს სასაკლაო პოლიტიკას სცილდება-ესაა სისხლის სმაში აზარტულად გართული ადამიანების თვითდამკვიდრების უგნური სურვილი. ყველა თავისთვის ნოტარიუსის მოლოდინშია, რომ: დაიმტკიცოს პატრონის უფლება სისხლით გაჟღენთილ ქვეყანაზე... სულ მცირენი არიან უანგარონი...

შენ, შენ საითლა ხარ? შენ და შენისთანებს მსგავს სიტუაციაში ან ერთის, ან მეორის მომხრეობა არ შეუძლიათ. ანდა, ნორმალურობაა ასეთი რამ? შენ, თქვენ, ჩვენ ნაწილი დაგლეჯილი საქართველოისა, შუაში ვართ (შენ, ალბათ, შუაგულშიც). რა გვეშველება, როგორღა ვიცხოვრებთ. ანდა ღიმილი შეგვეძლება უტკივილო, რამდენიც არ უნდა ვიცოცხლოთ? ღმერთს ნუღა ვახსენებთ, ჭუჭრუტანაც კი არა გვაქვს სულში მის შემოსაღწევად. არ ვიცი, ვინმეს შეუძლია სინდისდამშვიდებული იყოს? არ ვიცი... არაფერი არ ვიცი...“

ფუნდამენტური ღირებულებებისადმი გოგო კონსერვატორი იყო. ამიტომ: მსოფლიო ინტეგრაციის მეთოდები მაინცდამაინც არ მოსწონდა:

— კი: ბატონო! — მთელი კაცობრიობა ადამისა და ევას შთამომავალია და სულიერი ნათესაობა საფუძველშივეა კოდირებული მაგრამ: თვით უფალმა დააკანონა სამყარო „გვაქვს უთვალავის ფერითა“ პრინციპით. თუკი: თითო ტომარა ჰუმანიტარულ ხორბალში სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს თითო სათავისო მიდრეკილების ეკლესიის აშენებაზე დავეთანხმებით.... თუკი: „მოარული სიუჟეტების“ პრინციპით ყველაფერს გავათანაბრებთ... რაღა დაგვრჩება ჩვენი კლასიკური საქართველოსგან? — ვიწრო წრეში ამაზე ხშირად საუბრობდნენ მაგრამ: დენთის ხათქუნს თავისი ერთადერთი არჩევანი ჰქონდა დაკანონებული და რაოდენობრიობა სწორედ ამ გზას მიჰყვებოდა... თვისობრიობა? ვინ უსმენდა თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობრიობას თორემ: თვისობრიობა პირველრიგში თვისებაზე-არსზე ფიქრობდა და შესაბამისი გზის პოვნაც ექსპრომტების გარეშე-განსჯადი გუმანით სურდა... ამ კუთხის რეალობის სადავეები მაინც რაოდენობრიობას ჰქონდა... ჰქონდა და: არქაულის შენარჩუნება სურდა მისი დამახინჯებული გამოვლინებებით — იზოლაციური და ახლის სრულიად უარყოფის გზით. არადა: მედიუმის პრინციპი გაცილებით ბუნებრივია სიცოცხლის თანმიმდევრული და ჯანსაღი განვითარებისათვის: ტრადიციულ-გენეტიკურის ჯანსაღი ფორმა და ჯანსაღი სიახლის სინთეზი გაცილებით დაამშვენებდა ადამიანთა ცხოვრებას... ურთიერთობებს... ქვეყანას... მაგრამ: ვინც რუსთაველის აბრას წურწუმიას აბრით ცვლიდა ჯანსაღი ყოფიერების ნიჭს სად იშოვიდა...

კავკასიის ერთიანობის იდეას ქადაგებდნენ და ამ იდეით შთაგონებული რომელიმე მემწვანილე ქალი გეტყოდათ:

— აი: ზუგდიდი რომ კავკასიის დედაქალაქი იქნება და ჯოხარ დუდაევი კავკასიის პრეზიდენტი: მაშინ...

და აღგიწერდათ: თვითონ როგორი ფრეილინა იქნებოდა იმ პრეზიდენტის იმ კარზე, იმ დედაქალაქში და ყოველივე: ამ იდეის მხარდაჭერისათვის... მოძრაობისათვის (თერგისა რა მოგახსენოთ და: ქალაქის მუდმივმეჩხერი მდინარე კი ახლა რაღაც უფრო განსაკუთრებულად არასაიმედო მიმართულებით მიედინებოდა...აა.../...

ყოველი ასეთი პრიმიტიული თანაქალაქელის მიმიკა-ჟესტიკულაცია გოგოს მეხსიერებაში ახლოხედის კადრებივით ინახებოდა და ფიქრისას შემაწუხებლად მონაცვლეობდა...

მაშინ: „ბაჭამი ქორთუ“ როგორ შეთავსებოდა ამ ერთიანობის იდეას? — გოგო მოსმენის არმოსურნეებში მაინც ცდილობდა ერთიორი ფრაზის ჩაგდებას:

— დალოცვილებო... თქვენივე ლოგიკას თუ მოვიშველიებ: „ქართლ-კახეთი-იმერეთი...“ გაცილებით ახლოსელი არაა ერთმანეთისათვის?..

— ასეა საჭირო და მი...იტომ! — ეს იყო „თეორეტიკოს-პრაქტიკოსთათვის“ თავიანთი შეხედულებების ერთადერთი საბოლოო ლოგიკა.

სამეგრელოში თავმოყრილი პრობლემები ახალი გაჩენილი არ იყო. მხოლოდ: ხელსაყრელი პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციების დროს ამოტივტივდებოდა. ახლაც: ასეთი ხელსაყრელი სიტუაცია იყო... მომავალში: თუკი დღესაც უგულვებელყოფილი იქნებოდა ბევრი რამ კვლავ წამოტივტივდებოდა...

ზედმეტი ცენტრალიზმის გამო პროვინციაში მუდმივად ჩამკვდარია სიცოცხლე: ეკონომიკა ეკონომიკას არ გავს... სულიერი ცხოვრება სულიერს არ გავს... და... პროვინციაში ძალიან ადვილია პროვინციალიზმის უწყვეტი ზეიმი. თუმცა: პროვინციალიზმი უშნოსენია და დედაქალაქ-მამაქალაქ-ისე-ეს სხვა-ქალაქ-დაბებ-სოფლების ადმინისტრაციულ დაყოფას ყოველთვის არ თანხვდება...აა...

როცა გოგომ საქველმოქმედო შემოქმედებითი — ორგანიზაციის — **გურამ რჩეული-შვილის** საზოგადოების რეგიონალური განყოფილების შექმნა გადაწყვიტა (პირველრიგში: ერთიანი ქართული ცნობიერების ხაზგასასმელად... საერთო-მშობლიური ფასეულობებისაკენ მისაბრუნებლად...): მმართველობის რესპუბლიკურ ორგანოებს შეუთანხმდა დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშითა და დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობაზე...

საქმიანობაკი...

აქაურობას ჯერ არ ეცალა ცხოვრების აკადემიური ფორმისათვის...

ქალაქში მრავლად იყო პატრიოტული სახელწოდების ფონდები და საზოგადოებები...

გოგომ იცოდა: ამ ფონდებისა და საზოგადოებების ფინანსური შესაძლებლობები რა მეთოდებითა და ხერხებით იზრდებოდა... იცოდა: ეს ფინანსური შესაძლებლობები დენთის მიზნისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იხარჯებოდა... შეეძლო: ფაქტების ენითაც ელაპარაკა... რამდენჯერაც ფრთხილად შენიშნა უზნეო ფაქტებზე — იმდენჯერ თავდასაღწევი გაუხდა თავდასხმები:

—შენ მთელ ეროვნულ მოძრაობას შეურაცხყოფ.. ეროვნულ მოძრაობას სჭირდება ფული... აბა: რა ეგონათ? — ხუნტას თუ სჭირდება დაფინანსება და შეიარაღება...

გოგო პოლიტიკური ბატალიების ორივე ტროტუარზე მხოლოდ ამაზრზენობას ხედავდა და...

ქალაქს გულუბრყვილოდ დაუპირისპირდა... ქვეყნის ცხოვრების ძირითად მეთოდს გულუბრყვილოდ დაუპირისპირდა...

რჩეული-შვილის საზოგადოების საქველმოქმედო-შემოქმედებითი ინტერესების დასაფინანსებლად არავის ეცალა: „რა დროს ეგ არი?“ უკვირდათ სხვადასხვა-**ისტებს...** მხოლოდ რამოდენიმე ახალგაზრდა ბიზნესმენმა გაუმართა ხელი უმთავრესად — მეგობრობის ხათრით...

ამიტომ: გოგო საკუთარ ნივთებს ყიდიდა საზოგადოების საქმიანობის ოდნავმაინც მოსაგვარებლად...

ორი პოეტური კრებული დაბეჭდა თვითგამოცემის წესით...

ერთი — რამოდენიმე ახალგაზრდის სადასტრიქონებიანი... მეორე — საკუთარი ლექსებისა...

ორივე კრებული რჩეულიშვილის საზოგადოების გრიფით: ძა...ალიან უნდოდა: ქალაქს თუ არა რამოდენიმე ადამიანს მაინც დაენახა, რომ: სხვა: აკადემიური - მშვიდი - დინჯი სტილით ცხოვრებაც შეიძლებოდა... საჭირო იყო... იქნებ: გოგოსავით იმედგადაწურულმა თანამოაზრეობას ამ თანამოაზრეებისათვის მაინც დაებრუნებინა ოდნავიმედი...

კრებულები ურთიერთდაპირისპირებული შეხედულებებისა და ქმედებების ადამიანებს უსახსოვრა იმედით: მხარდაჭერისა და შეშველების შესაძლებლობა თუ არა- „რა დროს ეგ არი?“ არ დაეპირისპირებინათ გოგოს-გულუბრყვილოდ თავგანწირული სურვილისათვის:

ადამიანებს დაენახათ ერთმანეთი და საკუთარი თავი...

გოგოს ყოველი დილის პირველ პირჯვარს დაღამებამდე თანსდევდა უმწეო მცდელობა: ღვთისმშობელივით-მინდა სამყაროს გავწვდე (და შევეშველო იქ სადაც:) ზოგჯერ ეღლება კალთა...

გოგო და მისი მეგობრები ჯერაც: ვერ პოულობდნენ თავდასაღწევარს აკრძალვიდან: „რა დროს ეგ არი?..“

საერთოდაც: სახელმწიფოს მოწყობის ფედერალური პრინციპიც იქნებ კი მორგებოდა საქართველოს მაგრამ: მახინჯი ნაბიჯებით განვლილი რომელიმე გზა როგორ იქნებოდა სრულფასოვანი???????

გოგომ იცოდა: აღმაშენებლის საქართველოც ვიღაც-ვიღაცეების გაგორებულ თავებზე იდგა, მაგრამ: იგივე მოვლენების თანამედროვის თვალით ყურება გაცილებით შემზარავი იყო:

— თუ სამეგრელოს დავანგრევთ... თუ იმერეთს დავანგრევთ... თუ გურიას დავანგრევთ... დამანგრეველი გარეშეც იგივეს იძახის: ტერიტორია მინდა და მერე უკეთეს ქალაქს ავიშენებო...

ნგრევით კი: ვერავინ ვერაფერსაც ვერ ააშენებს...

ნგრევა ჯერაც არ დაგვისრულებია...

ნგრევით: ისევ „ესენგე// სსრკამდე“ მივაღწიეთ.. ისევ სხვის სტომაქამდე მივაღწიეთ... ისევ ჩვენივე ხელშეწყობით... ისევ... ისევ... ისევ.. სახელწოდებების გარდა არაფრის არსი არ შეცვლილა... ისევ ძველებურად უკუღმა დავატრიალეთ ჩვენი არსებობის ბორბალი...

ამ ბორბლის უკუღმატრიალს სამეგრელოს არეული განწყობილებაც ამძაფრებდა... მიზეზები ისტორიას რეფრენივით მოჰყვებოდა...

ნეტავ რას გულისხმობდა დიდი ილია: „სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვნახე!“ რატომ გაოცდა? რატომ ელოდა სხვა რამეს? — ამ კუთხისადმი ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული ცნობიერების არასრულფასოვანი დამოკიდებულების გამოხატულება ხომ არ იყო ეს სიტყვები?.. თუმცა: დიდი ილია მთელ საქართველოში ეძებდა **მრთელ** საქართველოს...

თვითონ კუთხეს ჰქონდა კი: სრულფასოვანი ქართული ცნობიერებით საკუთარი თავის აღქმის უნარი?

სამეგრელოს ხშირად ღალატობდა ეს უნარი...

ერთმა ყმაწვილმა კამათისას გოგოს შეახსენა:

— ჯინჯი ხიტიშ გუმაჭყოლიდაფარს ღორონთი გიჭყოლიდუანს!

გოგომ უპასუხა:

— სწორედ იმ ჯინჯ ხატში მეგულება თავი, მაგრამ: ისე პრიმიტიულად კი არა როგორც: ძალიან ბევრს...

გოგოსთვის ძნელი ასატანი იყო, რომ: აქ ყმაწვილებს ხშირად აჩვევდნენ სამეგრელოს განსაკუთრებულობისა და ამავე დროს: დანარჩენი ქართული სამყაროსაგან მისი მუდმივად დაჩაგრულობის სულისკვეთებას...

ქართული ენისა და ლიტერატურის ერთმა მასწავლებელმა ისიც კი განუცხადა:

— მე ყოველთვის ვგრძნობდი დაჩაგვრას იმის გამო, რომ: მეგრელი ვიყავ

ის მასწავლებელი თავის დროზე კომკავშირული ცხოვრებით იყო გართული და გოგომ სიცილით უპასუხა:

— ნომენკლატურულ უწესრიგობას ძალიან კი აინტერესებდა: შენ მეგრელი იყავი თუ კახელი.. .არ იყავი მორჩილი შემსრულებელი და შეგავიწროვებდა — ეგ საერთო წესი და კანონი იყო...

გოგო ეძებდა ზოგადი განწყობის ზუსტ მიზეზებს... ალბათ: სადღაც კი იდო ის არაჯანსაღი მუხტი, რომელიც: ამ კუთხის თავმოყვარეობას არაჯანსაღად აღიზიანებდა გარედან...

ეძებდა მიზეზებს, რომლებმაც: მეტნაკლებად გაამძაფრეს ამ კუთხის მკვიდრთა ქმედებანი ბოლოდროინდელ მოვლენებში და ბევრმა ამ კუთხისადმი გენოციდის კატეგორიად მიიღო ის თავხედობანი რომლებიც: ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების ჟამს ამ კუთხეს თან: დაატყდა თავს... თან: დაატეხეს თავს... თან: თვითონ დაიტეხა თავს...

ძარცვა... ბანდიტობა... მკვლელობები... დარბევები-ბევრი რამ აიტანა ამ კუთხემ მაგრამ: ხელისუფლების შეცვლას იგივე მოვლენები მეტნაკლებად სხვა კუთხეებშიც სდევდა თან...

ოღონდ — სხვა კუთხეებისგან განსხვავებით:

მტყუან-მართლის გარჩევასა და დადგენას სამეგრელოში რეფრენივით დაჰყვებოდა ფრაზები:

„შენი არაქართველი დედა ვატირე..."

„ა...აა...შენი აზრით: მეგრელს ყველაზე ცისფერი სისხლი აქვს არა? — დავრწმუნდე: გამოგიღო..."

„როგორ-როგორ... როგორ გიბოლოვდება გვარი..."

ამ სიტყვებს ხმამაღლა რიგითი დენთოსანი მოძალადე წარმოსთქვამდა, მაგრამ: შეურაცხყოფა პიროვნული შურისძიების გარდა სხვა ჟანრის შურისძიების სურვილსაც აღძრავდა და აღზევდა ცნება: „ბაჭამი ქორთუ..."

ზოგიერთები მაღალი ტრიბუნების სიმაღლიდანაც ისროდნენ ზოგად ტალახს: „მეგრელებს ზრდილობა მაინც გქონდათ, თუნდაც: მოსაჩვენარი..."

ათი რომ უზრდელია-მეთერთმეტე ყოველთვის რაღაცაა. ბოლობოლო: დიდ ქრისტიანობას იკვეხნიდა სათითაოდ ყველა, მაგრამ: იმ უზენაესმა მსაჯულმა სოდომში ერთი ლოტი და მისი ოჯახი მაინც ხომ შეიწყნარა და:

რა ადვილი იყო ბიბლიური სენტენციების გადასროლ-გადმოსროლა და რა ძნელი: ამ სენტენციების თუნდაც ოდნავმიმსგავსებით ცხოვრება...

პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ინტერესების ურთიერთშეუერიგებლობის სიმძაფრეს საინფორმაციო საშუალებათა დანაშაულებრივი უზუსტობებიც აღრმავებდნენ — „ველური ტომებისათვის დამახასიათებელი..." — საინფორმაციო საშუალებათა გაკნაჭული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტორები უზენაესი მსაჯულების პოზიით იმეორებდნენ ძალაუფლებიანობათა საჩოთირო ინტერესებს...

პოლიტიკური ასპარეზობების გამოკვეთილი პერსონაჟების გვარ-წარმომავლობების დადგენა-დაზუსტება იმდენად მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა მოკამათეთათვის რომ: ამ ასპარეზობების გასაღვივებლადაც და გარკვეულწილად ამ კუთხის თავმოყვარეობის არაჯანსაღად გამაღიზიანებლადაც იქცათითქოს სულ ახლახან არ გვემტკიცებინოს კაცობრიობისათვის: „ერს, რომელსაც შეუძლია შვას რუსთაველი, ასევე შეუძლია ყავდეს ჯუღაშვილებიც და...“ ჩვენი ეროვნული სრულფასოვნება სწორედ ასეთი ზეძლიერი უკიდურესობების მთლიანობაშიაო...

თუმცა: ბევრი არაფერი განსხვავება იყო „ფაშიზმად“ და „პროვინციულ ბოლშევიზმად“ მონათლულ ორ ურთიერთდაპირისპირებულ მდინარებას შორის-ქვეყანა მაინც წყვდიადში იყო...

მაინც: მოვლენათა შეფასება-სახელდებაში დრო უფრო შეიტანდა სიზუსტეს...

სხვა რთულ და მძაფრ სატკივრებთან ერთად სამეგრელოს ბოლოდროინდელი არეული ყოფნის დიდი ფაქტორი „იმ ერთი კაცის“ მიმდევრობა და მისი წარმომავლობიდან გამომდინარე მხარდაჭერაც იყო. გოგო იხსენებდა კახეთიდან ზუგდიდელებისათვის გამოგზავნილ წერილს: მთელი ქართლ-კახური გულუბრყვილობა იყო შიგ ჩაქსოვილი და გოგოს თბილად ეღიმებოდა უბრალოდ ნათქვამ სიმართლეზე. სიმართლეზე რომლის: არსს თვითონაც გვიან ჩასწვდა. წერილის აზრი დაახლოებით ასე ჟღერდა: კახელებს კარგახანია ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ფიგურა არა გვყოლია, მაგრამ: არ გადავრეულვართ... მეგრელებო! — არ ღირს ერთი კაცის აყოლა მთელი საქართველოს უბედურებად...

ილიას მერე საქართველოს სინამდვილეში ერთი კონკრეტულად გამოკვეთილი ისეთი პიროვნება არა ყოფილა, რომელსაც: ილიასეულად ბასრულით შეეძლებოდა მთლიანი ეროვნული ტვირთის ზიდვა...

„ღმერთკაცის“ მუდმივი ძიება ქართულ გენში იმდენად იყო რამდენადაც: ერი გამუდმებით ფიზიკური განადგურების წინაშე იდგა... ოღონდ: ძალთა გადანაწილება უმწეობისა და შიშის სინდრომისათვის ანგარიშგაუწევლადთავისთავად ხდება მთელი ერის მასშტაბით... ამიტომ არცერთ ეპოქაში: ერთ რომელიმე კონკრეტულ ქართველს არასოდეს უნდა მიეცა თავისთვის ხმამაღალი განცხადების უფლება: „ხმალს მარტო მე ვიქნევდი! — საქართველოს მუდმივად გადარჩენის ფაქტი ყოველთვის თავად იყო გამოხატულება ერის საყოველთაო შემოქმედებითი ენერგიისა-მისთვის შესაძლო რადიუსის გაწვდენაზე ყველა ყოველთვის იქნევდა: ხმალსაც... კალამსაც... თოხსაც...

დისიდენტური პერიოდიც ხმალ-კალმის ქნევის ერთერთი ფორმა იყო და არა: ერთადერთი... პიროვნულ-ადამიანურ ღირსებებს რომ გაეძლო ზნეობრივი ცდუნებებისათვის — ამ მოძრაობის ღირსებას ახალი თვისობრიობისათვისაც შეეძლებოდა მიღწევა...

ხმალს მარტო მე ვიქნევდი! -ს პრინციპით რომ ეხელმძღვანელა-ბოლოსაუკუნეებში ყველაზე მეტად ილია შეიფერებდა, მაგრამ: ის სრულფასოვან ეროვნულ ცნობიერებას ეძებდა ბაზალეთის ტბა-საქართველოში და არა რომელიმე კონკრეტულ „მესიას“... „მესიანიზმის“ იდეას სათითაო პიროვნული უფლება - მოვალეობა — ვალდებულებების-საკუთარი დიდი თუ მცირე პასუხისმგებლობების უგულვებელყოფის მდგომარეობა შობს და ასაზრდოებს...

ესკი: ქართველებს ძალიან გვეხერხება მას შემდეგ რაც: საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ მოგვეპოვება და: ეროვნულად სახელდებული მოძრაობა უსუსური აღმოჩნდა მეოცე საუკუნის მიწურულს კიდევ ერთხელ გამოჩენილი გათავისუფლების შესაძლებლობა ამჯერად მაინც გამოეყენებინა საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსათვის... ეროვნულად სახელდებული მოძრაობა დასამარცხებელ ფორმაციასთან შიშველი დაპირისპირების გარდა სახელმწიფოს მოწყობის არანაირ აკადემიურ გზას არ დასდგომია და კიდევაც: დამარცხდა...

დროის მრავლისგამომჩხრეკი ბუნება უფრო აზუსტებს ხოლმე დროისა და ამ დროში მოღვაწე ადამიანთა ღირსება-უღირსობას და უსამაჩაბლო-უაფხაზეთო საქართველოს ზნეობრივ-პოლიტიკური დამარცხების მიზეზებსაც დაწვრილებით დრო თუ გამოამზეურებს...

მანამდე კი...

გოგო დაიღალა უშედეგო საუბრებით. მოძრაობის მიმართულებას მაინც დენთი და რაოდენობრიობა წყვეტდა... სათავისოდ მნიშვნელოვანი რაც: სასოწარკვეთილმა გოგომ მოიფიქრა იყო ანდერძი თავის დამშვიდების საშუალება რათა: თავი პიროვნებად ეგრძნო. ანდერძის ბოლო მუხლში ამბობდა:

ნიშნად იმისა რომ:

ა) მე სრულფასოვანი ქართული ცნობიერება მაქვს...

ბ) ვერ ვურიგდები და ვერ შევურიგდები საქართველოს დანაწევრების მცდელობებს მისი გამოვლინებების უზნეო-კურიოზულ — დანაშაულებრივი მეთოდებით...

გ) მთელი ჩემი აღნაგობით მიყვარს გურამ რჩეულიშვილი...

დამმარხეთ არა მშობლიურ ქალაქში, არამედ: **გურამის თელავში...**

საიმედოობისთვის ტექსტს ბოლოში ბავშვური გულუბრყვილობით მიაწერა: **ვინც არ შემისრულებს უკანამც მომყოლია.**

აქაური წარმომავლობის გამო გოგოს საქართველოს წინაშე ისეთივე დანაშაულის შეგრძნება ჰქონდა, როგორსაც: გერმანელები განიცდიან დანარჩენი კაცობრიობის წინაშე...

ოღონდ: **დანარჩენი საქართველოც** არ იყო ამ კუთხის წინაშე: ხელ-გულთვალ-გონება დაუსვრელი... ახალახალი ფაქტების ენაზე უსასრულოდ შეიძლებოდა ძარცვისა და ნგრევის ფასი შეპყრობილთა ამ კუთხეში თარეშის მასშტაბებზე საუბარი... პოლიტიკური ინტერესებისათვის საჭირო ტრიუკებს რომ თავი დავანებოთ: პროფესიადაც კი იქცა ამ კუთხეში ჩამოსვლა და გამდიდრების საშუალებად ამ ამაზრზენი საქმიანობის დამკვიდრება... ოდნავ ჭკუადალაგებულ ადამიანს შეძრწუნებისგან თვითმკვლელობაც ადვილად შეეძლო: აქაურ სახლებში აყრილი კაფელითა და უნიტაზებით საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში იწონებდნენ თავს... **და:** ამაზრზენობა მთლიანობაში და მთლიანობით იყო პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი:

ამ ქალაქში...

ამ ქვეყანაში...

მომიტინგეებმა ტაში დასცხეს...

ორი გოგო ქალაქის ხეივანს ხვეტავს...

მიტინგი დამთავრდა. ხალხი დაიშალა.

ერთი ნაცნობი:

— აქ რას აკეთებთ?

— ქალაქს დახვეტაც სჭირდება! — სიცილით პასუხობს მეგობარი გოგო.

ამთავრებენ ხეივნის ამორჩეული მონაკვეთის დასუფთავებას. დაღლილები აქუჩებენ ნივთებს და წასასვლელად ემზადებიან.

მოდის შეპირებული მძღოლი. უთვლიან ფულს. მძღოლი საღამოსათვის პირდება ნაგვის გაზიდვას:

— ტრასაა და აუცილებლად მევალება გავზიდო! — კმაყოფილი მძღოლი არანაირ შეუსაბამობას არა ხედავს ფულსა და ფრაზას შორის...

წითელპალტოიანი და რუხქურთუკიანი გოგოები ურიკის ჭრიალის თანხლებით მიდიან ხალხმრავალ ქუჩაზე. რამოდენიმე ფრაზით თანხმდებიან მომდევნო დღეების მეეზოვეობაზე და ერთმანეთს ემშვიდობებიან...

მეორე დღეს (და: მომდევნო დღეებშიც) ქალაქის „შიგა ცენტრში“ ისევ ძველებურად იყო ყველაფერი...

რა დროს ეგ არი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა მეგობრის სადა სტრიქონები: „შენ ხვეტდი ქალაქს, (იწვა თოვლი მსუბუქ სიზმარზე), წამით შევეხე სულის გვირაბებს. (ვგრძნობდი უსულო სიცარიელეს) და მაინც სულის ტკივილს მივაგენ. (შენი მზერისკენ მობრუნებულმა) მე ამ გვირაბში გასვლა ვინატრე. (ჰა, მიმაქროლებ ამ ყრუ გრძნობიდან), მოცელილივით ძირს გაგორდა (ბნელი სინათლე-) მატყუარა და პირმომცინარე. (შენ მომატარე ვნების ქალაქი, (პეპლების სახლიც გამოვიარე) და მიხაროდა ამ წამების და (წლების სიმრავლე) — რადგან ჩვენ ორნი ვხვეტდით (გათოშილ ქალაქს). თოვლის წამწამთა მოსახუჭად ცოდვილ მიწაზე...“

რა დროს ეგ არი ??????

(13)-14 მარტი-15 ივნისი. 10 ივლისი. 1993. ზუგდიდი. „დამონტაჟების“ თარიღი: შვიდი (7) ნოემბერი. 1993. თბილისი. მთელი დღე.

მოსკოვის პრ. ბ. 120.

პ. ს. 1993 წლის 13 მარტი — ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღე...

აუმხედრე ქალაქს, რომელიც:

მივხვდი რომ: უსაშინლესი ძლევამოსილებით ამაყობს... სიმახინჯით ამაყობს... სიმახინჯით სიმახინჯისკენ მიექანება... მიაქანებს ყველას და ყველაფერს... უფრო ბედნიერ დღეს ვერც წარმოვიდგენ ჩემთვის და უბედურსაც, რადგან: ქალაქს არ ეყო ნიჭი საკუთარი თავის დანახვისა... ეს ნიჭი არც ქვეყანას ჰყოფნის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

საავადმყოფოს ეზოში

ერთი გადახრილი ხე მეგულება;
ატმის ყვავილობისას, აპრილის თვეში,
პირდაპირ დაკორძილ, ხორკლიან ტანზე,
ბლუჯა-ბლუჯად, უფოთლოდ გამოაყრის
ღვინისფერი, პატარ-პატარა ყვავილები —
მომინდება, ზედვე მივაგლისო ხოლმე,
თითებშუა მოვჭყლიტო, მოვსორსლო,
შევიგრძნო სისველე, დაკარგული სურნელი.

ნარჩენი ტკივილი

გასაკვირია — ნაკვალევში სისხლი რომ არ მიმყვება,
ფეხსაცმელში რომ არ ჭყაპუნობს წებოვანი სითხე,
არადა ხშირად ისეთი მტანჯავი შეგრძნება მაქვს —
ალესილი ლურსმნები მესობა ქუსლებში, ფეხისგულებში.
შეიძლება ეს ძველისძველი, ბავშვობისდროინდელი ტკივილის
გახსენება იყოს და ნერვებს შემორჩა ძველი წამება...

კაჭიჭი

ყურძენო, ტერასებზე მწვანე მტევნებად ჩამოკიდებულო,
მსხმოიარევ, გასისინებულო. შენ იცი, რომ შავი ხარ.
სულ მალე აიმღვრევი, აილანძები, შეიმურები,
დაგივლის ძარღვებში გამჯდარი კირი, ენას დამიშუშხავ.

ჭკნობა

ერთადერთი თეთრი ყვავილი ხარ,
ჩემდა იმედად ამოფეთქილი, გადაშლილი.
შენი ფეხის გულებში ჭკნობა სუნთქავს, —
შუბლზე, თვალთა უპეებში დაგეტყო,
წყეული ალბათ შენს მკერდსაც მოადგება —
მოგიჩვარავს, ჩაკიდებს, შეგინაოჭებს...
მე იმ დღის გახსენებაც მზარავს, მესიკვდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაფლავება

ქვიშაზე გარჩა შენი ნავიც, კეთილო კაცო,
(ეს არი ბოლო) და ვიდრე სარქველს დაგახურავდნენ,
ვიდრე ბელტებს და კლდის ნამტვრევებს დაგახვავებდნენ,
შემოჯარულნი წარსულს შენსას იხსენებენ და
გეთხოვებიან ახლობლები (მზე დაყირავდა).

თავზარდაცემა

(ნიკო ანდრონიკაშვილი)

რა უეცარად გამოიკვეთე,
დანებდი სიკვდილს უკვე და იქვე,
ხელისგულზეა შენი სიკეთე,
დახრილი ხელი საკმეველს გიკმევს...
უფსკრულთან თავი ვერ შეიკავე,
აწ გახსნილია შენიც... იგავი.

შეხვედრა

ვინც საქართველოს შავი
ღღე გაუთენა, ვწყევლი,
ჯემალ ჩახავას თვალზე
მომდგარი მიყვარს ცრემლი.

სახელდახელო სუფრა.
შავი გვისხია ღვინო...
შორს დარჩენილა ჟამი,
სახუმარ-საღიღინო.

სარდაფის კიბე. „რაჭა“ —
სახელი იმ რესტორნის;
სანთლების შუქზე ვზივართ,
ვცლით ბროლის ჭიქებს ორნი.

დუნედ შორდება სასას
სათქმელი, სასაუბრო,
გულისთქმა ჩვენი წარსულს
ეხმიანება უფრო.

ყურში ჩამესმის, მახსოვს
ლაღი სიმღერა, შფოთი...
დედულეთია, მიყვარს
მისი და ჩემი ფოთი,
მივაცურებდი ბაიდას,
იქ, ლაქაშებში, ვრბოდი.

ვახსენებთ ყველას, ვინც რო
მიწაში ჩავალაგეთ;
გავხედეთ გალმა ნაპირს,
რა დაგვრჩენია აქეთ.

ლომის მომხვია ტორი,
ჩამიკრა, გამიღიმა,
ბნელში, ბეჭების რწევით,
წავიდა ჩემი ჯიმა.

ვწუხვარ...

მზეს ავეგები ოქროსდაშნიანს,
ეს არ გავს მოკვდავ, მიწიერ წადილს,
ღღე იგი მე ღღედ არ მიმაჩნია,
შენს უნახავად რომელიც გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მოხველ ყველა სიმწარის ნაცვლად
და სულერთია, იქნები სადაც;
ერთს ვწუხვარ, რომ დღის, ყოველის გასვლა,
შენი დანახვის მიმოკლებს ვადას.

შიში გადაჩეხვის

თეთრად გადაბურული,
მოვა ერთი ღამეც და...
ერთხელ, მთვარის ბილიკზე,
ვაჰთუ, ფეხი ამიცდა.

დაფოფრილი ღრუბელი
დამეხვევა ძაძებად,
ვინ მიხილავს უფსკრულში
დანთქმულს, ძნელად საძებარს.

ოქროს შიბი გაწყდება,
ხელმეორედ ვიშობი,
გამახსენებს დასაბამს
შიში მარადისობის.

ყოველდღე — სისხლის ტბაში

მე — მოურჩენელს, მე — მორჩილს,
უფალო, რაღას მერჩი,
ამდენი ცოდვის შემყურე,
გული გასივდა მკერდში,
ხოცვა-კვლას, გაუთავებელს,
მარტო, პირისპირ შევრჩი.

ალარაფერი დამრჩა

ასე მგონია, ცხოვრება მნავსავს,
ვერ ვნახე ხერხი და იარაღი,
გადამიყოლა, მრავალთა მსგავსად,
იმაზე ფიქრმა — ღირს თუ არა ღირს?..
რაღა აზრი აქვს ხელების სავსავს,
მაქვს ერთადერთი — სევდის მარაგი,
მწუხარებით ვარ ყელამდე სავსე,
არ უნდა ბჭობა და ლაპარაკი.

ცა და ზაფხული

კალიების დრო არი
ივლის-აგვისტოში;
მერე იღუპებიან,
რო მოუჭერს თოში.
კიდე არსად არ უჩანს,
ცის მაგიჟებს უბე;
თუ დავეცი, იცოდეთ,
მისგან დავიღუპე.

განშორების წუხილი

ყელი წითლად ჩამეხა და
გული ჩამიხმა;
ერთადერთი, მინდა შემრჩეს
ჭრიჭინების ხმა.

წრეში ჩამდგარს, აუწერელ
ნეტარებას მგვრის, —
ყურძენივით შემღვრეული, —
ღამე სექტემბრის.

გადასარკულს, სად აქვს ფსკერი
ცის ვეება გობს...
ამ სასწაულს კაცის გული
რანაირად თმობს?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი დღე

ღრუბელი მომწონს ლურჯ-ლეგა,
მთაზე რომ დაასკუპე;
საითკენ მიმეზიდება
ცის მორღვეული უბე...
ეს წვა,ცივად დაგორგლავ,
ახალს მოდენი ღრუბელს.

შემოდგომაც იწურება

მარჯანს აბნევს, ბროწეულის
გამსკდარია ქისა;
ჭორფლიანი მწიფს უნაბი
დამლევს ოქტომბრისა,
მოახლოვდა სხვა ზამთარი,
მეშინოდა რისაც.

გათოვების წინადღე

ქარმა რძისფერი ნისლი მოდენა,
საკვამურები წაშალა მუნჯი...
შემომაორთქლა, მოულოდნელად
ზამთარმა ცივი მომადო დრუნჩი.

სინანული

ყოველ ნაბიჯზე ცოფი და ბნედა...
დამაქცევარი, დამამხობს, დამშლის,
კარგა ხანია ვნატრულობ, ნეტა
არ ჩამეხედა საწუთროს ჯამში.

ილიას ლანდი

არ მასვენებდა მძინარს თუ მღვიძარს,
ღამით ისევ ის კვნესა ისმოდა;
მთვარის ნათელში ოხრავდა მიწა,
მიწა, ვერ გაძლებ ურომლისოდაც.

ბიტარის ხმაზე

სამოთხის კარს თეთრ ვარდებით
მისი თეთრი ხელი რთავს;
ექვსი ტალღა, ექვსი სიმი —
სერაფიმის ექვსი ფრთა.
დავიძირე და ხავსიან
ფსკერზე რბილად დავედი;
ოქროდ ფასობს მისი რხევის,
მისი ტემბრის ხავერდი.

შეგრძნება

გავს ხანდახან დედამიწა
გაქვავებულ სიზმარს,
ახლაც, ძილშიც, დამარწმუნა
მე ტორტმანმა მისმა,
ისიც ძილის ნარჩენია,
თვალზე ხელს რო ვისვამ.

მარიამობისთვეც მიიწია

ლეღვი ჩამოიცალა,
გახეხეშდა პიტნა,
კალიების ჭრიალში
ეს აგვისტოც მიდნა,
მთვარეს, აქნილს, ჰაერი
აქანავებს, ვით ნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის სიგრილე

მაშინ ვიქნები ცოდვა, როს
ველარ შევხედავ სამზერს,
მერე მიტირეთ, როს ქარი
არ ამეკრობა ტანზე.

სად დავიჩივლო თუ დილის
ველარ შევიძლებ ნახვას,
თვალი არ გაეკიდება
მზეს, ოქროს ჭავლად ნაღვარს.

რა მეშველება, თუ სხივი
არ ათამაშდა წყალზე;
მძალავს ნაღველი, რაც არის, —
აღარ იქნება ხვალ-ზეგ.

ბალნარიანი ეზო

საღამოს პირას ისეთი ტკბილი
გალობა იწყო ჩხართვმა,
გაოცდა ყვავი, დააღო პირი,
ველარ გაბედა ჩართვა —

უშნო ჩხავილი — თითონ ვიხილე,
მერწმუნეთ, ვამბობ მართალს,
არცა ღირს ქვეყნად რაიმეს ძებნა
ამ სილამაზის გარდა.

მომაგნო...

დამწვდა უხორცო, თითქოსდა
სახეზე მური წამისვა,
რა უნდა ან რას მაჩქარებს,
თითონაც ვიცი, წამის ვარ...
თუ ვქრები, რაღას მაჩენდი,
დამტანჯა ფიქრმა ამისმა.

ცის შუაგულში

ოქროს წყალში გავლებულო,
ზოზინავ და სწრაფო,
ასე ზუსტად, მოხდენილად,
მთვარევ, ვინ გაგაპო.

ასე მოუხელთებელი,
ვინ აგზიდა ზოდი...
იმ დროს შეგასწარი თვალი,
სულ რომ არ გელოდი.

ბოროტება

რამდენიც გინდა აფრთხილე,
რამდენიც გინდა არიგე...
ამაოდ, არას შეისმენს,
კაცი მხეცია სხვა რიგი.

ღვთის გაჩენილად არც ითქმის,
რა ტვინბნელია, რა მყრალი...
ვის, ვის დაინდობს გულსა და
მუცელში დანის გამყრელი.

ვერ მოახედებ,
ვერ შეძრავ,
გინდ ჯოჯოხეთი დახატო;
არ იცის — თავიც, ქვეყანაც
დარჩება მას პარტახადო.

რას შევესწარით,
რა ხდება...
დამაქვს თვალები მე სველი,
მოძალებული სიკვდილის
ვისი ხელია მთესველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარწყვი

(ბავშვობის მოგონებიდან)

წვრილი, სურნელოვანი
თითებზე დამეგლისა...
ახლაც მახსოვს, მარწყვებში,
ხილვა უხსენებლისა.

ელდა მეცა, გადმოვხტი,
ჟრჟოლა ცივი ახლაც მდევს...
ქარს ვასწრებდი, სული ძლივს
მივიტანე სახლამდე.

რას ვეძებდი ნაყანევის,
მინდვრის გადამცურველი,
დღემდე შერჩა თითებს მძივად
ასხმულ მარწყვის სურნელი.

ქედს ავივლი, თვალებს შუქი
ისევ მოემატება;
ბალახებში თავჩაკიდულ
მარწყვის მიყვარს ნათება.

დაეჭვებული

არ ვუფრთხილდები თავს ოხერს,
არც ვერიდები სასმელს,
უკიდეგანოს, განთქსილს,
როდის შევწვდები ცას მე,

ყორე, კედელი თუ ექნა,
მივეყუდები რასმე;
ლამის ვიფიქრო — არსად ხარ,
ბგერასაც რომ არ მასმენ.

ხელში ჩალეული ღლები

სურვილებს უძლურს წარსული უძღვის,
ვთავდები ასე, ნაწილ-ნაწილად,
ისევ დნებიან დღეები ურცხვი,

რამ შემსვა, ფესვებს რამ დამაცილა...
წამერთვა ძილი — მტევნები ყურძნის —
მიჭირს დაყოფა დროდ და მანძილად.

მშრალზე დარჩენილი

გეკითხები, რა აკეთე,
რა გიქნია, თავო ჩემო,
რას მოელი ან რა მოგცეს
წელიწადის ბოლო დღემო,

სულსაც ვერაფერი არგე,
სანამ გინდა, ხორცი გვემო,
ქვეყანაზე, ერთადერთი,
შენ სიმწარის იცი გემო.

ბნატრობ

ზაფხულის მთვარევ, სხვა შენნაირად
ვინ შეათეთრებს აივნის სვეტებს,
არ შეგადარებ მოლბერტს, დაირას,
შენ დაამსგავსებ ქვეყანას ედემს.

სასწაულების შენ ხარ მნათობი,
ზღაპრად რომ აქცევ ღატაკ შუშაბანდს,
არარა განძში მე არ დავთმობდი,
შენგან მოხატულ ღამის მუშამბას.

ეჭსტაზი

ულვთოდ ნატანჯი და ნაბორგალი,
შენ თუ ისურვებ, ახლავ მომკალი,
შენ მაზღვევინე, თუ რამე ვცოდე,

ტვინდასანთხევი მიმელის კბოდე...
არ გემდურები და არც წყალობას
არ ვითხოვ ქრთილის მარცვალის ოდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲐᲛᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲚᲐᲜᲓᲔᲑᲐ

როდის იყო, მე საწყალს,
რამეში მიმართლებდა...
დამესიზმრე, ეცუცქე
ქვაბებთან და კარდლებთან.

ბრინჯის მოსახარშავად
ათეთრებდი, ხეხავდი,
სულ ასეთი მახსოვხარ
იმ დაცემულ მეხამდი.

დედაშენიც იქ იდგა,
გნახა პირმომურული,
ყელში ენასკვებოდა
შენი ცრემლის მარილი...

მოკალული, მოკლული,
გული ძილშიც შფოთავდა,
ამდენი წლის საწამლავი,
ᲨᲮᲐᲛᲘ არ გამოთავდა.

ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ

ჩვენი წუთისოფელი
უცნაური რამ არი,
ღვთისმშობელო მარიამ,
რამდენს შეხსნა ქამარი,
ნესტო ამითამაშდა,
ნესტი მომწვდა სამარის.

ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲔᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲪ

ვინ დამხედავს სულამოცლილს,
საამისოდ ვის ეცლება,
ნუ მაოცებთ, ვინ გამოსცემს
ტომებს, ჩალაგებულს წლებად,

ფეხს იკიდებს, დაიბუდებს
სიბნელე და უმეცრება,
მერეც, გვიან, სასიკეთოდ
არაფერი შეიცვლება.

ᲝᲠᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲐ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲙᲘᲠᲐᲕᲘ

წამი და წვეთი რა არი. შიში
მაქვს დაგუბებულ დროის და წყლისა;
ამან დამზაფრა, საკვდავად ვიშვი,
ბრალი, ორთავე გადუვლის ვისაც.

ასე წვეთ-წვეთად, ასე წამწამ
მოჩქეფს, გროვდება ჩვენს წასალეკად
ეს ორი რისხვა, თქვას დედამიწამ,
არყოფნის ზარი ვისთვის დარეკავს.

ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ ᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ბაცდება კუთხე გაწოლილ ჩრდილის,
ამ ჭერს ასევე უმზერდი შარშან,
გრძნობ, ვარდისფერი თითები დილის
აწვალებს დამის კლავიშებს შავ-შავს,
შემოადგება რიჟრაჟი თბილისს,
გაცოცხლებს ის, რაც ხსოვნაში ჩარჩა.

ᲛᲘᲭᲘᲠᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐ

კი გახსოვთ, დიდი ნავარდი
მე არ ვიცოდი ადრეც,
ბოლოს სულ ბოლო მომედო,
ფრთები მიწაზე დამთრევს,
გავთავდი, ძლივს მივაგორებ
გულზე მობჯენილ ზამთრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიმსოფლო

ქვაო ალგეთისაო,
გრძლად გათლილო ლოდო,
როგორ უნდა დაგტოვო
ჩემდა სანაცვლოდო,

ამის მეტად ვინ დამსჯის,
რაგინდ არ შევცოდო,
მზე, ბორჯღალი, მოგიხდება,
ხორბლისფერო ლოდო.

სხვადასხვაობა

იკლაკნება რუ ანკარა,
ხან წვიმა გცემს, ხან — ქარი,
გძალავს ძილი და ხელიდან
გივარდება ფანქარი.

ეძებ ფურცელს, წინა ღამით
დაღლილს რომ ჩაგინიშნავს,
გინდა, ცივმა და გაცრილმა
მოგანათოს ფინიშმა.

გაზაფხულის მშვენება

ყლორტზე მტევნად ასხმული
გიცან — სუმბული ხარ;
დაგრგო, არ მოგიხდება
ქოთანი და თიხა.

ყვავილი არ მინახავს,
გჯობდეს სილურჯეში,
ბალახებში ამოსულო,
დაგელოცოს ჯიში.

ოცდამეათე მაისი

ვაი, გულო დაფლეთილო,
დაშრეტილო თვალო,
ისიც აღარ შემრჩა — ნაბანს
ტანი შეგიმშრალო.

დამებედა, საფლავებზე
ნარ-ეკალი ვგლიჯო...
ოცდაათი წლის გახდები
მალე, ჩემო ბიჭო...

მთვარეულის მოლანდებები

(წუხანდელი სიზმრიდან)

ერთმა დამხედა წრიალით ნაწოლს,
დამანაწილა, დამახარისხა:
ასეც ვიცოდი, ცოდვილო კაცო,
მიწაზე გაჩნდი, უფრო მთვარის ხარ...

წამშალა, წამში ამხადა რიდი
გვირგვინოსანის ერთგულ პალადინს.
კიბელეს ვუცდი — კიდევ და კიდევ...
მართალი მითხრა, რას დავმალავდი.

ყველაფერი ბოლოსკენ მიდის

ზოგივით როდი მწყალობს ბედი,
რა მიმიღია გარემოდან,
არც ხასიათი მაქვს ისეთი,

თავის დაზოგვა მყვარებოდა,
არ აკლდეს ციურ ლამპარს ზეთი,
მზად ვიყო სააღსარებოდაც.

წრეებრუნვა

დაბურული ტყე გფარავს თუ
წყალში ედგაფუნები,
სულ გახსოვდეს — დედამიწა
სახე როა ბუნების,

მასვე უნდა დაუბრუნდე,
ძალით არი თუ ნებით,
დაცხრი, თავს ნუ მოიტყუებ,
შენ, ამაო ცდუნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲬᲠᲘᲐᲚᲘ

მალე გამეყინება,
ხელს რო ვივლებ, ტუჩი,
მუცლით ნაშობს არ უთქვამს —
სიკვდილს გადავურჩი,

ვერავინ შეანგრიოს
მისი ციხე-ბურჯი,
მაინც მიკვირს, ჯერ კიდევ
ცა დამყურებს ლურჯი.

ᲑᲐᲕᲨᲕᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ

სულ საწამებლად დამსვი,
ასეთი, ღმერთო, რა მშვი,
ბავშვი მოვედი, გახსოვს,

უნდა წავიდე ბავშვი,
თამაში მინდა ეხლაც,
უკვე დანგრეულს, დაშლილს.

ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘ

რამდენი რამ შემეძლო,
ვერაფერი ვქენი,
დავაბერე ამაოდ —
ჩემი სისხლი, გენი,

განზე ვიდექ უგონო,
ვერც რას მივაგენი,
დაილია ცხოვრება —
უქმი, გულსატკენი.

ᲒᲐᲠᲓᲣᲕᲐᲚᲘ

სულ ერთი არი, იმ რიგში
პირველი ხარ თუ მეასე,
საქნელი, მოსახდენელი,
მოხდება, ვიცი, მე ასე:

გაგიყენებენ ბოლო გზას,
ლუსკუმა დაგეხურება,
ამ ცის, ამ მიწის, ამ ზღაპრის —
სხვას უნდა ერგოს ყურება.

ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ

ავი ზრახვა არ მქონია,
ღვთიშობელო. ავე!
საქართველოს ყველა მტერი,

ღმერთო, გააქვავე!..
რისხვა ცამ დაგვატეხა და
გადაგვარჩენს ცავე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘ

მთას დაამხობდა, მოთხრიდა,
რასაც შენ გაუძელი,
რას მოგცემს კარზე მომდგარი

კიდევ ათასი წელი,
ღმერთმა გაშოროს, მამულო,
სიკვდილის შავი ცელი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

როცა სამყარო სიკვდილს მოგისჯის

რომანი

●

რაი არს მარტოობაზე დიდი ნეტარება? ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, არაფერი! — ვფიქრობდი მე. მაგრამ ეს ფიქრი უცებ არ მოსულა... წლები დასჭირდა. ჰოდა, ვიჯექი ტახტზე მარტო, მყუდრო ბინაში და სიგარეტს ვეწეოდი... გარეთ შხაპუნა წვიმა მოდიოდა... საღამო ხანი იყო. საცაა, ნელი უნდა მოსულიყო. ერთხანს გარინდებული ვიყავი... ცოტა ხანში კაკუნიც გაისმა.

კარი გავაღე...

ის იყო...

თავით ფეხებამდე სველი.

სიცილით შემოვიდა...

— დააფასებ ამას? დააფასებ?! — თქვა და სკამზე კი არ დაჯდა, დაეცა.

ღიმილით ვუმზერდი.

— რას იცინი? — თქვა.

მივედი და სველ თმაზე ხელი გადავუსვი.

თავი შეიქნია.

— მე კი ვიფიქრე, საღამოთი სადმე წავიდოდით! — თქვა.

არ ფერი მითქვამს.

— მომეცი შენი რომელიმე პერანგი!

საწოლი ოთახიდან პერანგი გამოვუტანე.

კაბა გაიხადა და პერანგი ჩაიცვა.

— ახლა კი! — ეშმაკურად თქვა — ვნახოთ, აქ რა არის!

თავის მოტანილ შეკვრას გადასწვდა...

— ეს შოკოლადები! ეს ხილი! ეს არაყი! — იძახდა და მაგიდაზე ალაგებდა ყველაფერს.

როცა სულ ამოალაგა, შემომხედა...

— დიდებულია! — ვთქვი.

— ხომ?

თავი დავუქნიე.

— გახსენი! — მიმითითა არყის ბოთლზე.

სამზარეულოში გავედი, ორი ჭიქა და დანა შემოვიტანე.

— გახსენი! — გაიმეორა ქალმა.

არყის ბოთლს სახურავი მოვაძვრე და არაყი დავასხი.

— გაგიმარჯოს! — თქვა ნელიმ, ჭიქა აიღო, მოსვა და ოდნავ დაიმანჭა.

დავლიე მეც.

ცოტა ხანში საკმაოდ ნასვამები ვიყავით.

— კარგია, არა? — თქვა ნელიმ.

— ჰო! — მივუგე.

ერთხანს გაშტერებული იჯდა, მერე ადგა, ტახტზე წამოწვა და თქვა:

— მოდი ჩემთან!

●

დილით, როცა გავიღვიძე, ნელი წასული დამიხვდა.

ბარათი დაეტოვებინა:

„ხვალ შემოგივლი“, — ეწერა ფარატინა ქაღალდზე.

საათს შევხედე...

ათი საათი იყო.

ჩავიცვი და გარეთ გამოვედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღისკენ ავიღე გეზი.

მიყვარდა იქ ჯდომა...

ბაღს რომ მივუახლოვდი, უცნაური, ძველ, გრძელ ტანსაცმელში ჩაცმული, თმა-წვერმოშვებული კაცი შევნიშნე...

დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოეშურა.

გამიკვირდა — რა უნდა-მეთქი!

— ბატონო, თქვენ ექიმი ხომ არ ბრძანდებით? — მკითხა.

— არა, რაშია საქმე?

— ბავშვია ცუდად... ჩემი ვოვონა!

— სად არის?

— იქ, ბაღში!

●

ბავშვი სკამზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა...

ათიოდე წლის ბოვონა იყო, მშვენიერი, ქერა, ხშირდალალებიანი.

ბავშვი ავიყვანე და ბაღის შესასვლელისკენ გავწიე...

— საით, ბატონო? — დაიბნა კაცი.

— საავადმყოფოში... წადით, მანქანა გააჩერეთ!

ეგი გარეთ გამოვარდა...

მეც გამოვყევი...

პირველივე მანქანამ გაგვიჩერა.

ჩავსხედით და იქვე, ახლოს მყოფ საავადმყოფოში მივედით.

როცა კიბეებზე ავდიოდით, კაცს ტირილი აუვარდა.

შემებრალა...

— გეყოფათ! — ვუთხარი ბოლოს.

მან ამოიოხრა და გაჩუმდა.

მიმღებში ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ექიმი ქალი იჯდა.

მან ბავშვი გასინჯა და იქვე მდგომ სანიტარს უთხრა, ავადმყოფი სტაციონარში მიეყვანა.

სანიტარმა ბავშვი აიყვანა და წავიდა...

მამამისი უკან გაეკიდა.

— თქვენ ჯერჯერობით, აქ დარჩით! — მიაძახა ექიმმა.

კაცი შედგა.

— რა ჭირს, ექიმო? — თქვა შიშით.

— ისეთი არაფერი... მოწამლული რაღაცით... მაგრამ იოლი ფორმაა, თქვენ აქ იყავით. მე ავალ ზევით, მორიგე ექიმს ვნახავ და ისევ ჩამოვალ.

ექიმმა რაღაც ფურცელი აიღო და წავიდა.

დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო ზევით.

ბოლოს გამოჩნდა...

იღიმებოდა...

— ამოდით, — თქვა.

— როგორ არის, ექიმო? — დაფეთებით კითხა კაცმა.

— ახლა კარგად. კუჭი ამოვურეცხეთ. თვალები გაახილა თუ არა, თქვენ გიკითხათ.

კაცმა ისევ ტირილი დაიწყო.

— კარგი, ვაჟკაცი არა ხარ! — შინაურულად უთხრა ექიმმა.

კაცი კიბეებზე კი არ ავიდა, აფრინდა.

მივყევი მეც...

— ეკა, როგორა ხარ? — ათრთოლებული ხმით ჩაეკითხა კაცი ბავშვს.

ბავშვმა ოდნავ გაუღიმა.

— როგორ შემაშინე, ჰა! — თქვა კაცმა.

— კარგი, ნუღარ შეაწუხებთ! — თქვა ექიმმა.

ცოტა ხანში დაბლა ვიყავით.

— როგორ მოვიქცე, ექიმო? — კითხა ექიმს კაცმა.

— კარგი იქნება, თუ ბავშვს ერთიორი დღით აქ დატოვებთ, — თქვა ექიმმა.

— ჰოო?

ექიმმა თავი დაუქნია.

— კარგი! — ამოიოხრა კაცმა.

— ახლა წადით და რამდენიმე ხანში გამოიარეთ. მართლა, თქვენი სახელი?

— თომა!

●

მე და თომა სასაუზმეში ვისხედით.

თომა, ეტყობა მშიერი იყო, მაგრამ თავს იკავებდა.

ვიჯექი და ლუდს შევექცეოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი ისეთი მადლობელი ვარ, — დაიწყო თომამ, მაგრამ ხელის აქნევით შევაწყვეტინე.

—ექიმმაც რა უცებ დასვა დიაგნოზი!

— ჰო, ეგ კი!

თომამ ლუდი მოსვა.

— სად მუშაობთ, თომა?

— არსად! — თქვა მან — თუმცა არსად კი არა... პიანინოების ამწყობი ვარ. თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით?

— მე... — დავიბენი — ლექსებს ვწერ... იქნებ გაგიგიათ, ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი.

— კი, როგორ არა! — თქვა მან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ჩემს დასამშვიდებლად თქვა.

— ისე კი, მეც არსად ვმუშაობ!

— გინდათ, რომ იმუშაოთ? — მკითხა.

— მართალი გითხრათ, არა!

— მეც უკვე იშვიათად მაქვს შეკვეთა! — თქვა მან.

თავი დავუქნიე.

—ერთ დროს დირიჟორობაზე ვოცნებობდი! — სევდიანად გაიღიმა მან.

— რამდენი წლის ხართ, თომა?

— მალე ორმოცის გავხდები.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— ეეხ! — თქვა უცებ თომამ და მუშტი მაგიდას დაჰკრა.

ირგვლივ მყოფთა ჩვენკენ მოიხედეს.

— რა მოხდა, თომა? — ვკითხე.

— თქვენ ხომ არაფერი იცით! — ჩახლეჩილი ხმით თქვა მან.

— რა უნდა ვიცოდე?

ერთხანს დუმდა.

— ეკა სულ სამი დღეა, რაც ფსიქიატრიულიდან გამოწერეს!

შევხედე.

სახეზე ტანჯვა აღბეჭდოდა...

— წაედით! — თქვა უცებ და წამოდგა.

— სად?

— ეკასთან!

●

ეკა ლოგინზე იწვა და შემოგვყურებდა თავისი დიდი, ცისფერი თვალებით.

— როგორა ხარ? — კითხა თომამ ... მის სასთუმალთან დაჯდა.

— ეს ვინ არის? — ჩემკენ გამოიშვირა თითი ეკამ.

— ეს, — თქვა თომამ, — ერთი კეთილი ძიაა!

— კეთილი? — ჩურჩულით თქვა ეკამ.

— ჰო!

ეკამ დაკვირვებით შემხედა.

მე გავუღიმე.

— თქვენ შეგიძლიათ ცათა სასუფევლის მოზიდვა? — თქვა უცებ ბავშვმა.

გაკვირვებით შევხედე...

თომამ ამოიოხრა.

— შეგიძლიათ? — რაღაც ჟინიანად თქვა ბავშვმა.

— არა!

— მე კი შემიძლია! — თქვა ეკამ.

— მაინც, როგორ?

— ეს საიდუმლოა!

— კარგი, ნუ დაიღლები, ეკა! — თქვა თომამ.

— სულაც არ ვიღლები, პირიქით...

— რა, პირიქით?!

ეკამ არ უპასუხა...

— წავალ! — წამოვდექი მე.

— თქვენი მისამართი მითხარით! — თქვა თომამ. — თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მე და ეკა გეწვევით... ისეთი მადლობელი ვარ თქვენი...

— აბა, რა არის სამადლობელი!

— გულთან რომ მიიტანეთ ჩვენი ამბავი, ის!

მისამართი ვუთხარი, დავემშვიდობე და წამოვედი.

●

მეორე დღეს, შუადღისას, ნელი მეწვია.

ვუამბე, რაც თავს გადამხდა...

— ღმერთო, რამდენი უბედური ყავს ამ ქვეყანას! — ამოიოხრა მან.

— საინტერესო ხალხია! — ვთქვი ჩაფიქრებით.

ნელის არაფერი უთქვამს.

ცოტა ხანს ვისაუბრეთ...

საღამოხანს იგი წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური რამ დამესიზმრა:
დიდი, ლურჯად მოციმციმე, გაყინული ტბა ვიხილე ძილში.
მის ნაპირებზე ყაყაჩოები ყვაოდნენ...
ტბის შუაგულში ცეცხლი ენთო.
საიდანღაც მტრედი მოფრინდა, კოცონს გარსშემოუარა და ისევ ზეცაში აიჭრა.
ფრთხილად გავემართე კოცონისაკენ...
როცა ახლოს მივედი, კოცონში ეკას ნაღვლიანი სახე დავლანდე...
გამეღვიძა...

●

ცოტა ხანს ლოგინში დავრჩი...
მერე წამოვდექი.
კარზე კაკუნი შემესმა.
კარი გავაღე...
ჩემს წინ თომა და ეკა იდგნენ.
ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ასე ადრე რამ მოიყვანათ-მეთქი.
— შეიძლება? — მკითხა თომამ
— მობრძანდით!
— ჩემი ბრალი არ არის! — თქვა ოთახში შემოსულმა თომამ. — ეკამ დაიჩემა!
— ჰოო, ეკა? — ვკითხე.
ბავშვს არაფერი უთქვამს.
— ეს მართლა კარგი კაცი უნდა იყოსო... თქვენზე ამბობს!
— შენ რა იცი, ეკა? — ვკითხე.
— ვგრძნობ! — თქვა ეკამ, — ამქვეყნად კი კეთილი ხალხი ძალიან ცოტაა, უმეტესი, ჩიტი! — შესძახა უცებ.
— ჩიტი? — ვკითხე გაოცებით.
— ჰო, აი, მხარზე გაზით... პატარა ჩიტი, ნაცრისფერი! არ გაინძრეთ!
გული შემეკუმშა...
თომამ თავი ჩაქინდრა.
— შენ გეჩვენება, ეკა! — ვთქვი ბოლოს.
ბავშვმა შემომხედა.
— გაფრინდა ჩიტი! თქვა ნაღვლიანად.
ერთხანს დუმდა...
მერე მკითხა:
— თქვენ პოეტი ხართ?
თავი დავუქნიე...
— წამიკითხეთ რომელიმე თქვენი ლექსი!
ვიფიქრე რა წავუკითხო-მეთქი...
— ყველაზე ბოლოს დაწერილი წამიკითხეთ! — თქვა, თითქოს ჩემი ფიქრი წაიკითხაო.
წავუკითხე...
— და გავს ტკივილი ულამაზესი თოვლში ამოსულ შროშანს! — გაიმეორა ლექსის სტრიქონი — ლამაზია!
— შენ ისე ლაპარაკობ, თვითონაც უნდა წერდე ლექსებს, — ვუთხარი ღიმილით.
— მე, არა! — შეიშმუშნა იგი — მინდა კი, ვწერდე!
— სად სწავლობ, ეკა? — ვკითხე.
მან შემომხედა, ერთხანს ასე მიმზერდა, მერე თავი ჩაქინდრა და თქვა:
— არსად!

●

ეკას და თომას წასვლის შემდეგ გაბრუებულივით ვიყავი...
სახლიდან გამოვედი და ეზოში, ხის ქვეშ დავჯექი.
შორიდან ჩემი მეზობელი ნიკო დავინახე.
იგი მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და ჩემ გვერდით დაჯდა.
— როგორა ხარ? — მკითხა.
თავი დავუქნიე.
— გამოდის წერა? წერ რამეს?
— ისე რა! — ნაძალადევად გავუღიმე.
— თითო ბოთლი ხომ არ დაგველია? — მკითხა.
— არა, თავი მტკივა! — ვიცრუე მე.
— მაშინ, ანალგინი დალიე! — გაიცინა.
— მასე ვიზამ!
იგი წამოდგა და ნელი ნაბიჯებით დამშორდა.
ნიკო, ცოტა არ იყოს, უცნაური კაცი გახლდათ.
არ მუშაობდა...
ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა.
ბავშვებს თვითონ უვლიდა...
ცოლი ექიმი იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ინახავდა მთელ ოჯახს.

სამაგიეროდ, ნიკო ბაზარშიც დადიოდა, სარეცხსაც რეცხავდა და საჭმელსაც ამზადებდა... ბავშვების მოვლაზე ხომ ზევით მოგახსენეთ.

ცოტა ხანს კიდევ ვიჯექი ეზოში... მერე სახლში ავედი.

●

იმ დღემ უღიმღამოდ ჩაიარა...

მეორე დილით ნელი მესტუმრა.

— იყვნენ შენი უცნაური მამა-შვილი? — მკითხა.

— იყვნენ.

— რაო მერე?

— არაფერი.

რატომღაც არ მსურდა ნელისთან მათზე საუბარი.

— წავიდეთ სადმე! — შემომთავაზა უცებ.

— წავიდეთ? სად?

— რა ვიცი, გავისეირნოთ.

●

მალე მე და ნელი ერთ პატარა ყავახანაში ვისხედით და ყავას ვსვამდით.

— გინდა, გიმკითხავო? — თქვა მან.

— არა!

— რატომ?

— რა ვიცი... არ მინდა.

ერთხანს ჩუმად ვიჯექით.

— შენ დღეს რაღაც გუნებაზე არა ხარ, — თქვა ქალმა.

უცებ ჩვენს მაგიდას პატარა, დაგლეჯილტანსაცმლიანი ბავშვი მოუახლოვდა.

— ბიძია, ცოტა შოკოლადი მომეცი!

— კი, გენაცვალე!

მაგიდიდან შოკოლადის ნატეხები ავიღე და ხელში ჩავუდე.

— სულ მიეცი, სულ! — შეცვლილი ხმით თქვა ნელიმ, მერე ხელჩანთა გახსნა, ფული ამოიღო და ბავშვს მისცა.

ბავშვმა მადლობა გადაგვიხადა და წავიდა.

ერთხანს ორივე ჩუმად ვისხედით...

ბოლოს ჩაფიქრებულ ნელის ცალ ხელზე, ლოყაზე ხელი ჩამოვუსვი და ვუთხარი:

— მიმკითხავებ?

მან ხელი მოიშორა:

— არა, ახლა მე აღარ მინდა.

ცოტა ხანს კიდევ ვისხედით...

მერე გარეთ გამოვედით.

გაზაფხულის გრილი სიო უბერავდა...

— წავიდეთ ჩემთან? — ვკითხე.

მან თავი გააქნია.

— რატომ?

— დღეს ჩემი მეგობარი, ია, გახსოვს, მსახიობი ფილმის პრემიერაზე მეპატიჟება.

— რა ფილმია?

— არ ვიცი... ია რომელიღაც მეორეხარისხოვან როლს თამაშობს!

— კარგი!

— წავედი! — ასწია ხელი ნელიმ.

თავი დავუქნიე.

●

შინ მისვლისთანავე დავწექი...

ჩავთვლიმე...

გვირილებით მოფენილი ველი დამესიზმრა...

ველზე თეთრი ცხენები დადიოდნენ...

საიდანღაც ნიღბიანი კაცი გამოჩნდა.

ხელში ყულფიანი თოკი ეჭირა.

მის დანახვაზე ცხენები ადგილს მოწყდნენ და მინდორზე გაჭენდნენ...

კაცმა ყულფი ისროლა და ყველაზე ლამაზ ცხენს გადააცვა თავზე.

ცხენი წაბორძიკდა...

კაცი მიუახლოვდა...

ცხენს ზურგზე მოეკლო.

ცხენი წამოდგა...

ადგილიდან მოწყდა და ისარივით გაქანდა.

გამეღვიძა...

შუაღამე იყო...

სინათლე ავანთე და რამდენიმე დღის წინ დაწყებული ლექსის წერა განვაგრძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დილამდე ვმუშაობდი.
დილით ლექსი მზად იყო..
ცოტა ხანს ისევ ჩავთვლიმე...
კაკუნმა გამაღვიძა...
კარი გავაღე.
ნელი იყო.
შემოვიდა და ოთახის შუაგულში დადგა.
— დაჯექი!
— არ მინდა, გავრბივარ! — თქვა, — ისე შემოგიარე, ხვალ პატარა ქეიფს ვმართავთ... მოხვალ?
— ვინ მართავს?
— ია!
— მოვალ! — გავუღიმე მე.
— იასთან შევიკრიბებით! — თქვა ნელიმ.
— გავიგე.
— მაშ ხვალ, სამ საათზე, გამოგივლი და წავიდეთ.
თავი დავუქნიე.
იეი წავიდა...
მარტო დავრჩი...

●

არ ვიცი რატომ, მაგრამ უცებ საშინლად მომინდა ძილი...
წამოვწექი...
იმ წუთშივე მკვდარივით ჩამეძინა...
მესიზმრა — უსიერ ტყეში ვიყავი...
ცაზე მკრთალად ანათებდა მთვარე...
მგლის ყმუილი შემესმა.
ჯერ ერთის... მერე მეორის...
ბოლოს მთელი ხროვა აყმუვლდა ერთხმად.
გავიქეცი...
უკან ის ავბედითი ყმუილი მომყვებოდა.
ფეხი რაღაცას წამოეკარი...
წავიქეცი...
ხარხარი მომესმა.
— ვინ ხარ? — ვიკითხე.
— ვისაც გაურბიხარ!
უცებ საშინელი ქოშინი ამივარდა...
მთვარის სხივები კი სულ უფრო მკრთალდებოდა.
— ასე ჩაქრები შენც! — გაიცინა
— ვინ ხარ, ვინ! — ვიყვირე.
ისევ ის სატანური ხარხარი...
გამეღვიძა...

●

თავი მიბრუოდა...
ყელი გამშრალი მქონდა...
საათს შევხედე.
თორმეტი საათი იყო.
ის ღამე უძილოდ გავატარე...
დილით ჩავთვლიმე მხოლოდ.
სამ საათზე ნელი მოვიდა და იას სახლისკენ გავემართეთ.

●

მაგიდას ოთხნი უსხდნენ... სამი ქალი და ერთი მამაკაცი...
— ეს ელპიდეა, ეს ნორა, ეს თამაზი, — ჩამოგვითვალა იამ.
—დასხედით!
ასეც მოვიქეცით.
თვალი ახლადგაცნობილთაკენ გავაპარე...
როცა ელპიდეს დავაკვირდი, სახტად დავრჩი...
ასეთი მომხიბლავი ქალი ჯერ არ მენახა.
სახეში ოდნავ ვულგარულიც ქონდა რაღაც, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მის სილამაზეს.
მოღეღილი კაბა ეცვა...
ყელზე ბრილიანტების მანიაკი ეკეთა..
ხელებსაც ბრილიანტის ბეჭდები უმშვენებდა.
ჩემი დაბნეული მზერის პასუხად დამცინავი მზერა მესროლა.
ვისაც როგორც უნდოდა, ისე სვამდა...
ისე, ყველა ეძალებოდა სასმელს...
ნელი ცოტა ხანში დათვრა...
სხვებსაც ბევრი არ უკლდათ დათრობას...
საღამოს იამ შუქი ჩააქრო და მაგიდაზე ანთებული სანთელი შემოდგა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავბრუ მეხვევა! — თქვა უცებ ნელიმ.

— წამოწექი! — ურჩია იამ.

— წამოვწვე? — ძლივს ამოთქვა ნელიმ — ჰო, ცოტა ხანი წამოვწვები.

იამ ხელი შეაშველა და მეორე ოთახში გაიყვანა...

მალე ისევ შემობრუნდა, სამზარეულოში გავიდა და ლანგრით ყავა შემოიტანა.

თვალი ისევ ელპიდესკენ გავაპარე...

მან ახლაც შეამჩნია ეს, მაგრამ ამჟამად დამცინავი ღიმილით არ გამმასპინძლებია... თვალი თვალში გამიყარა და ენის ბორძიკით მკითხა.

— ძალიან მოგწონვარ?

დავიბენი...

მერე თავი დავუქნიე...

იგი ერთხანს დუმდა...

ბოლოს ამომხედა და მითხრა'

— გინდა, მუხლებზე დაგიჯდები, ოღონდ მეტი არაფერი მომთხოვო, კარგი!

ჩემს თანხმობას არ დალოდებია, მოვიდა და კალთაში ჩამიჯდა.

უცნაურმა ჟრჟოლამ დამიარა...

— გიყვარს ის სულელი? — მკითხა უცებ.

— ვინ?

— ნელი!

არ ვიცოდი, რა მეთქვა...

— თუმცა მეც სულელი ვარ, — თქვა მან, — მაგრამ არც ისეთი სულელი! იცი, ეს რა ღირს? — ხელი მანიაკს შეახო.

თავი დავიქნიე...

— ბევრი... ძალიან ბევრი... ჩემი საყვარლის ნაყიდია... მეც არ ვღალატობ... ისე კი, შენ... იგი შეჩერდა, მერე ყრუ ხმით თქვა — თვალები გაქვს ძალიან ნაღვლიანი... მე კი მეცოდება ასეთი ხალხი, მეცოდება და მიყვარს... თუმცა ჩემს საყვარელს მაინც ვერ ვუღალატებ! ან, იქნებ, ვცდები?

— რაში? — დავეკითხე.

— რომ დალხინებული ცხოვრება არ უნდა გქონდეს? აკი თქვა იამ, პოეტიაო?

ხმა არ ამომიღია.

— არ გინდა ამაზე საუბარი? — ჩუმ ქრებით თქვა, მერე ჩემი ხელი აიღო და მკერდზე დაიდო.

გატრუნული ვიჯექი...

— რაღაცით ჩემს ყოფილ ქმარს მაგონებ... — თქვა, — ისიც ხელოვანი იყო... მუსიკოსი... ახლა პიანინოების ამწყობად მუშაობს...

გულში ეჭვმა გამკრა...

— რა ქვია? — ვკითხე.

— თომა!

თითქოს ცივი წყალი გადამასხეს...

— ბავშვიც გყავთ? — ჩავეკითხე მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— კი... შენ საიდან იცი?

— შენ ეკას დედა ხარ?

— იცნობ მათ? — შეცვლილი ხმით მკითხა.

— ვიცნობ!

მან თავი ჩაქინდრა...

— როდის ნახე უკანასკნელად? — რაღაცნაირი მუდარით მკითხა.

— რამდენიმე დღის წინ.

იგი წამოხტა...

— ნახე? შენ ნახე ჩემი გოგონა?!

ყველამ ჩვენკენ მოიხედა.

— შემახვედრებ? — ჩურჩულით მკითხა.

მხრები ავიჩეჩე...

— თომას არაფერი უთხრა, — შიშით თქვა ქალმა, — ისე თუ შემახვედრებ ბავშვს... შემახვედრებ?

მის ხმაში უზომო მწუხარება იგრძნობოდა...

დიდხანს ვუმზერდი...

მერე ჩუმად ვთქვი:

— შეგახვედრებ!

იმ ღამეს, იასთან დავრჩი.

მეორე დღეს, დილით, დავიშალეთ.

ელპიდემ ჩემი მისამართი ჩაიწერა...

მითხრა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მეწვეოდა და გაიგებდა, როდის შევახვედრებდი ეკასთან.

●

სახლში მისვლისთანავე დავწექი, რადგან იასთან ცუდად მეძინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გავიღვიძე, შუადღე იყო.

ჩავიცვი და ეზოში ჩავედი...

სკამზე, ხის ქვეშ, ნიკო იჯდა და სიგარეტს ეწეოდა.

— მოდი! თქვა ჩემს დანახვაზე.

დავჯექი...

— როგორა ხარ? — მკითხა.

პასუხად გავუღიმე.

— აი, მე კი ვერ ვარ კარგად! — თქვა მან.

— რატომ?

— რა ვიცი! განა ცოტაა სადარდელი... ცოლთან, სამსახურში შემცირებას ელოდებიან. ის რომ გაანთავისუფლონ, რაღა გვეშველება!

— რამე საქმისთვის რომ მოგეკიდა ხელი? — ვკითხე.

ნაღვლიანად შემომხედა.

— ვცადე! — თქვა — არაფერი გამოდის!

— რატომ?

— რა ვიცი! არ შემიძლია მუშაობა, მორჩა და გათავდა! შენ თვითონ რატომ არ მუშაობ?

— მე ვწერ, განა ეს მუშაობა არ არის?

— კი, მაგრამ, გყოფნის?

— მე რას მედრები, ნიკო, შენ ოთხი პატარა ბავშვი გყავს... ცოტა უნდა გაიჭირვო...

— კარგი, კარგი! — რაღაც ბრაზიანად თქვა.

— შენი წყენა კი არ მინდოდა! — ვთქვი.

— არ მწყენია, — გამიღიმა მან და დაამატა:

— წამო, დავლიოთ!

ვიფიქრე, ესეც არ ეწყინოს-მეთქი და ვთქვი:

— მხოლოდ — თითო ბოთლი!

უცებ ჩემი სახელი დაიძახა ვიღაცამ...

მოვბრუნდი...

ჩვენსკენ ნელი მოიჩქაროდა...

— ჩაგვეშალა! — ვუთხარი სიცილით ნიკოს.

ნელი მოგვიახლოვდა და შედგა.

— როგორა ხარ, ნიკო? — კითხა.

ნიკომ თავი შეიქნია...

— პატარები როგორ გყავს?

— რა უშავთ, — თქვა ნიკომ.

ერთხანს ვიდექით და ვსაუბრობდით...

ბოლოს ნიკო წავიდა.

— ავიდეთ? — ვკითხე ნელის.

— მოდი, აქ დავსხდეთ! — თქვა ქალმა.

დავსხედით...

ნელი ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

— რა საოცარი ამბავია, არა?

— რა?

— ელპიდეს და თომას ამბავი...

— ჰოო...

— ეს ელპიდე სულ ოთხჯერ თუ ხუთჯერ მყავს ნანახი... იას მეგობარია, თუმცა, რა მეგობარი, ცოტა ხნის წინ გაიცნეს ერთმანეთი... იამ კი მითხრა, ოდესღაც ქმარი ყავდაო, მაგრამ თომა და ეკა თუ იყვნენ, რას ვიფიქრებდი!

რატომ?

— რა ვიცი... შენ ისე ამიწერე თომა... ერთი ბეჩავი, შეუხედავი კაცი... ბავშვიც ვერ არის კარგად... შენ მართლა გინდა შეახვედრო ისინი?

— ცდას არ დავაკლებ, — ვთქვი, — თუმცა, რა გამოვა აქედან, ღმერთმა უწყის!

●

საღამოს ნელი წავიდა...

ცოტა ხანი წავიმუშავე...

ბოლოს დავწექი...

ჩამეძინა...

●

მესიზმრა, ვითომ ტრიალ მინდორზე ვიდექი...

თოვდა!

თოვლის ფიფქები ცისფერი იყო და გამჭვირვალე...

რაღაც მიხაროდა და თან მეშინოდა...

გაურკვეველი გრძნობით ვიყავი განმსჭვალული.

შიში თანდათან იზრდებოდა და მის პროპორციულად კლებულობდა სიხარული...

კანკალმა ამიტანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორზე დავჯექი და სახეზე ხელები ავიფარე...

მერე ჩამოვუშვი...

თოვლი შეწყდა.

ერთხანს ჩუმად ვიჯექი...

ბოლოს წამოვდექი...

გამეღვიძა...

საათს შევხედე...

დილის შვიდი საათი იყო...

ავდექი და შეწყვეტილი მუშაობა განვაგრძე...

ცხრა საათზე ჩავიცვი, გარეთ გასვლა დავაპირე და ამ დროს კარზეც დამიკაკუნეს...

კარი გავაღე...

თომა და ეკა იყვნენ...

ეკას ხელში ცისფრად დაწინწკლული მიხაკი ეჭირა.

— ეს მე? — ვკითხე ღიმილით.

მან თავი დამიქნია.

— შემოდით, რაღას უდგახართ!

შემოვიდნენ.

— როგორა ხარ, ეკა? — ვკითხე, როცა დავსხედით.

— რა მიშავს! — თქვა ეკამ, — ოღონდ ხანდახან თავი ამტკივდება ხოლმე.

თომამ თავი გაიქნია.

— გახსოვთ, რომ მითხარით, სად სწავლობთ? — თქვა უცებ ეკამ.

— ჰო!

— მე დავდიოდი სკოლაში.

— მერე?

— მესამე კლასიდან გამოვედი!

— რატომ? — ვკითხე, თუმცა ცხადი იყო, რატომაც.

— ავად გავხდი! — ჩურჩულით თქვა ბავშვმა.

— კარგი, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ! — თქვა თომამ.

— არ შეიძლება, რომ ისევ მიმიღონ? — ეკას ხმა აუთრთოლდა. — მე მგონი, ავად აღარა ვარ.

დუმილი ჩამოწვა...

— რა კარგი ამინდია! — ვთქვი უცებ. — გინდათ, გავისეირნოთ?

— გავისეირნოთ? სად? — მკითხა ეკამ.

— რა ვიცი... აი, თუნდაც... ზოოპარკში! იქ ნაყინიც აქვთ... კაფეში დავსხდეთ!

— მე რომ არ მცალია, — თქვა თომამ, — ერთ საათში კლიენტთან უნდა ვიყო!

— ჩვენ წავალთ! — ვთქვი და სიხარული ვიგრძენი, რომ საქმე ასე აეწყო.

— რა ვიცი! — ყოყმანით თქვა თომამ.

— წავედით, წავედით! — ვთქვი, — საღამოთი მოდი და ეკა წაიყვანე!

გოგონამ შემომღიმა...

თომა დათანხმდა...

გამოგვემშვიდობა და წავიდა...

ჩვენ ზოოპარკისკენ ავიღეთ გეზი.

●

მე და ეკა ზოოპარკის კაფეში ვისხედით და ნაყინს შევექცეოდით.

არ ვიცოდი, რით დამეწყო...

ბოლოს გავბედე.

— დედას ნახულობ ხოლმე? — ფრთხილად ვკითხე.

ეკა შეკრთა.

— დედა, დიდი ხანია, არ მინახავს!

— რატომ?

არაფერი უთქვამს.

— გიყვარს დედა, ეკა?

მან თავი დაიქნია.

— ოღონდ დედას... — დაიწყო და აღარ დაამთავრა.

— დედას რა? — ჩავეკითხე.

— მამა ამბობს, დედას ჩვენ არ ვუყვარვართო.

ჩავფიქრდი...

მერე ვთქვი:

— გინდა ნახო დედა?

მან შემომხედა თავისი ნალვლიანი თვალებით და თქვა:

— მერე მამა? მამა რას იტყვის?

— მამას ნუ გავაგებინებთ!

ეკამ თავი ჩაქინდრა...

— თქვენ იცნობთ დედაჩემს? — მკითხა.

— აბა, ისე როგორ გეტყოდი ამას.

— ჰოო, — თქვა და დასძინა. — მინდა ვნახო, ძალიან მინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებით ამოვისუნთქე.

— მაშინ, აი რა ვქნათ, — ვთქვი, — მე დედაშენს შევუთანხმდები, როდის და სად შეხვდებით ერთმანეთს... შენ კი რამდენიმე დღეში მეწვიე და გაგაგებინებ ყველაფერს. კარგი?

გოგონამ თავი დამიქნია.

●

საღამოს თომა მოვიდა და ეკა წაიყვანა...

მისი წასვლისთანავე დავწექი.

კარგა ხანს ვერ დავიძინე...

ლიგინში ვწრიალებდი...

მერე ჩამეძინა.

●

მესიზმრა ვითომ კლდეზე ავდიოდი...

წვეტიან ქვებზე ფეხს ძლივს ვიმაგრებდი...

ერთი-ორჯერ კინაღამ მოვსხლტი...

როცა მწვერვალზე ავედი, ხელებში საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

ხელისგულებზე დავიხედე..

სისხლით მქონდა მოთხვრილი...

უცებ ჩემს წინ ეკა გაჩნდა...

— გტკივა? — მკითხა.

თავი დავუქნიე.

მან ხელებზე რაღაც მალამო წამისვა...

სისხლისდენა იმწუთას შეწყდა...

— დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალია, არა? — თქვა უცებ ბავშვმა.

თავი დავუქნიე.

— სულაც არ არის ბოროტი!

— ჰო! — მივუგე.

იგი დადუმდა.

— კიდევ გტკივა? — მკითხა.

— არა!

— მაშინ მე წავალ! — თქვა და გაქრა.

გამეღვიძა...

გათენებულიყო.

ავდექი და ელპიდეს სახლისკენ გავემართე...

●

— ვინ არის? — მომესმა ელპიდეს ხმა.

ჩემი ვინაობა ვუთხარი...

კარი იმ წუთასვე გაიღო...

— შემოდი! — სიხარულით თქვა ქალმა და შინ შემიძღვა.

ფართო, სამოთახიანი ბინა იყო...

— როგორ არის საქმე? — მკითხა მოუთმენლად.

— ბავშვი თანახმაა შეხვედრაზე!

ელპიდემ ტაში შემოჰკრა.

— აქ რომ მოიყვანო? — თქვა უცებ.

— შევუთანხმდები და შეგატყობინებ!

— წინასწარ უნდა ვიცოდე. შენ ჩემი ტელეფონი ჩაგაწერინე?

— არა!

მან ქაღალდზე ტელეფონის ნომერი დაწერა და მომაწოდა.

ქაღალდი ჯიბეში ჩავიდე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

ბოლოს წამოვდექი, გამოვეთხოვე და კიბეებზე დავეშვი.

●

შინ მისვლისთანავე ადრე დაწყებული ლექსის წერა განვაგრძე...

როცა დავამთავრე, შვებით ამოვისუნთქე.

ეზოში ჩავედი და სკამზე დავჯექი.

ყვირილი მომესმა...

ნიკოს და მისი ცოლის ხმა იყო!

გამიკვირდა;

მათი ჩხუბი არავის გაეგო.

მალე სახეაწითლებული ნიკო გარეთ გამოვარდა...

მეზობლები ფანჯრებიდან იმზირებოდნენ.

ნიკომ პირდაპირ ჩემკენ მოაშურა და გვერდით მომიჯდა.

— სიგარეტი გაქვს? — მკითხა.

მივაწოდე...

გამომართვა, მოუკიდა და ხარბად მოქაჩა...

— რა მოხდა? — ვკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე ძლივს გამოსცრა:

— შემცირებაში მოაყოლეს!

არაფერი მითქვამს.

— ამიტყდა, გინდა თუ არა, მუშაობა დაიწყეო! სად ვიმუშაო? ან რას მომცემენ? თუმცა... — მცირე ხანს დადუმდა, — სადღაც მართალია! ეეჰ! — ამოიოხრა.

— მდაა... — ვთქვი ჩაფიქრებით.

— გასაყიდი მაინც გვქონდეს რამე... — თქვა.

— კარგი, დამშვიდდი! — ვუთხარი.

შემომხედა...

გატანჯული სახე ქონდა.

შემებრალა...

— წამო, დავლიოთ! — ვუთხარი, — გულზე მოგეშვება...

— კარგი! — თქვა მან.

საღამოთი ნიკო წავიდა.

არ მეძინებოდა...

ნასვამი ვიყავი...

მაგიდას მივუჯექი. ერთი ხეირიანი სტრიქონიც ვერ დავწერე...

დავწერდი...

მერე გადავშლიდი ხოლმე.

როცა დავინახე, არაფერი გამოდიოდა, ჩავწექი და წიგნის კითხვა დავიწყე.

კითხვაში დამათენდა.

დილით ჩავთვლიმე...

კარზე კაკუნმა გამომაფხიზლა...

კარი გავაღე.

ნელი იყო.

შემოვიდა და დაჯდა.

დაფიქრებული ჩანდა...

— მოხდა რამე, — ვკითხე.

დაბნეულად გაიღიმა:

— გუშინ ხელი მთხოვა ერთმა კაცმა.

— მერე?

ერთხანს დუმდა.

— ცუდი კაცი არ არის, — თქვა ბოლოს, — თან ხელს არ შეგვიშლის, — დაამატა სიცილით.

— რას ნიშნავს— ხელს არ შეგვიშლის?

— აბა, საიდან ეცოდინება, მე ვისთან ვწევარ... ოღონდ, თუ გავყვევი, ფრთხილად უნდა მოვიქცეთ მე და შენ.

— ვინ არის? — ვკითხე.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩემზე — იგი წამოწითლდა, — ოცი წლით უფროსია... მაგრამ... ხანი არ ეტყობა! — დაამატა.

არაფერი მითქვამს...

— გეწყინება? — თქვა.

— გაყოლას აპირებ?

— მე შენი დაკარგვის მეშინია! —თქვა ნელიმ, — მაგრამ თუ არ გეწყინება...

— მწყინს თუ არა, ჩემი საქმეა... მთავარია, შენ მოიწყო ცხოვრება.

— მადლობთ! — ყრუ ხმით თქვა.

ცოტა ხან ვისაუბრეთ...

ბოლოს იგი წავიდა...

კვლავ მარტო დავრჩი.

არ ვიცოდი, რა მეკეთებინა.

„გავისეირნებ!“ — გავიფიქრე.

●

ნელა მივუყვებოდი გზას ბაღისაკენ...

მალე ბაღიც გამოჩნდა.

შევედი.

ცარიელი სკამი ამოვარჩიე და დავჯექი...

მცირე ხანს გაუნძრევლად ვიჯექი... სახეზე წვიმის წვეთი დამეცა.

ავიხედე...

ცაზე ღრუბელი გროვდებოდა...

მალე გაწვიმდა კიდეც.

წამოვდექი და იქვე მდგარ შენობას შევაფარე თავი.

ცოტა ხანში წვიმამ გადაიღო.

კვლავ სკამზე დავჯექი...

ვიჯექი და ეკაზე ვფიქრობდი.

მისი სიტყვები გამახსენდა:

„თქვენ შეგიძლიათ მოიზიდო ცათა სასუფეველი?“...

თავი გავიქნიე...

არ მინდოდა ამაზე მეფიქრა.

●

შინ გვიან დავბრუნდი...

მისვლისთანავე დავწექი და დავიძინე...

ისევ კლდე დამესიზმრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ახლა მწვერვალზე კი არ ავდიოდი, ქვევით ჩასვლას მივესწრაფოდი...

წვიმდა...

თოვდა...

ბოლოს შევჩერდი...

ქვევით ჩავიხედე...

საზარელ უფსკრულს ღევის ხახასავით დაელო პირი.

„ნუ გეშინია", — ჩამესმა ეკას ხმა.

მივიხედ-მოვიხედე...

ირგვლივ არავინ ჩანდა.

„ნუ გეშინია", — განმეორდა...

— არ მეშინია! — ვთქვი,

„ძალიან კარგი!" — თქვა უხილავმა, — „მაშინ ჩადი!"

გზა განვაგრძე...

ცოტა ხანში ძირს ვიყავი.

— „რატომ არ ჩნდები? — დავეკითხე უკვე ძირს მყოფი ხმას.

„გინდა გამოვჩნდე?"

— ჰო!

ჩემს წინ მოლიმარე ეკა აღიმართა...

გამეღვიძა...

. . . . . .

რაი არს სიზმარში ნანახი, თუ არა ციდან მოვლენილნი სახებანი, შეუცნობელნი... — ამქვეყნიური ყოფისა და მომავლის საზღვარზე მდგომნი?

რაი არს თვით ეს საზღვარი?

რაი არს ნათელი, ძილში გამომკრთალი?

რაი არს ტკივილი — ნაგრძნობი სიზმრად?

ვინ გამცემს პასუხს?

სად ვეძებოთ ჭეშმარიტება?

უფალივით შორს არის იგი...

ეკა კი... ეკა სიზმრისა და ცხადის ზღვარზე დგას მხოლოდ და თუ არ ძალმიძს უფრო მძაფრი ხატების შექმნა, გთხოვ, მომიტევო,

და ნუ განმსჯი ცივად, უგულოდ,

ნუ გაახარებ სადღაც, აქვე მიმალულ ეშმაკს!

●

ყველაფერი ისე აეწყო, როგორც მინდოდა...

და აი, სამი დღის შემდეგ ბინაში ოთრმეტ საათზე, მე და ეკა ჩემს ბინაში ვიყავით და ელპიდეს ველოდით.

მალე კაკუნიც გაისმა.

კარი გავაღე...

ელპიდე კი არ შემოვიდა, — შემოვარდა!

ხელში ვარდების თაიგული და შოკოლადის კოლოფები ეჭირა.

შვილის დანახვაზე ყველაფერი ტახტზე დაყარა და ეკა გულში ჩაიკრა.

დიდხანს იყვნენ ასე.

ბოლოს ელპიდემ ხელი გაუშვა ბავშვს...

— როგორ გაზრდილხარ... დამშვენებულხარ... — ჩურჩულებდა ქალი.

— მეც მომენატრე, — თქვა ეკამ, — მაგრამ... მამა...

— მამა მართალია, — შეაწყვეტინა ქალმა, — მაგრამ მე რა ვქნა, მე!

— ახლა ხომ ერთად ხართ! — ვთქვი.

ქალმა შემხედა, მერე შიშით თქვა:

— ეს ვითომ შენ უყიდე, კარგი?! — ხელით შოკოლადებზე და ყვავილებზე მაჩვენა.

— კარგი!

ეკას შევხედე...

იჯდა და იატაკს დასჩერებოდა...

უცებ დაიხარა და ხელით რაღაცის კეთებას მოყვა.

— რას შვრები, ეკა? — თქვა ქალმა.

— ფისოს ვეფერები, — თქვა ეკამ.

ქალს სახე შეეცვალა...

— შენ ისევ გეჩვენება რაღაცეები? — კითხა ჩურჩულით.

— არ მეჩვენება! — გაბუტვით თქვა ბავშვმა — ეს თქვენ ვერ ხედავთ ვერაფერს.

ელპიდემ თავი ჩაქინდრა.

— კარგი, ახლა ფისოს თავი დაანებე! — ვუთხარი ეკას.

გოგონა წელში გასწორდა.

უცებ ელპიდე წამოვარდა...

მერე სავარძელში ჩაენარცხა და ისტერიული სიცილი აუტყდა...

— თავი შეიკავე! — ვუთხარი, როცა დავინახე, რომ მის სიცილს ბოლო აღარ უჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავგიჟდი! ჩემი შვილი გიჟია და მეც გავგიჟდი! — კიოდა ქალი.

სამზარეულოში გავედი, ჭიქით წყალი შემოვიტანე და ელპიდეს მივაწოდე:

— დალიე!

შეშლილივით შემომხედა, ჭიქას ხელი წაავლო და ძირს დაანარცხა.

— გავგიჟდი! — კვლავ აკივლდა იგი.

ეკა წამოდგა...

სახე ერთიანად შეცვლილი ქონდა...

უკანასკნელი საშუალება ვიხმარე...

მივედი და ქალს სახეში გავარტყი.

ვერც ამან უშველა.

თითქმის ნახევარ საათს გასტანა ისტერიამ.

ბოლოს, ტირილი წასკდა.

ვისარგებლე ამით და ვთქვი:

— ხომ გინდა, კიდევ ნახო ეკა...

შეშინებულმა შემომხედა'

— მინდა, რა თქმა უნდა მინდა!

— მაშინ დაწყნარდი... აქ დარჩი. მე ეკას სახლში წავიყვან და მალე დავბრუნდები.

ტახტიდან ყვავილები და შოკოლადები ავიღე და ეკას წინ გავუძეხი.

●

ორმა კვირამ გაიარა ამ ამბის შემდეგ...

ამ ხნის განმავლობაში ნიკო სულ ერთხელ მეწვია...

ნელიმაც უკლო ჩემთან სიარულს.

თუმცა რა... ქორწილისთვის ემზადებოდა...

თან, ეტყობა, ფრთხილობდა კიდეც.

შინ ვიჯექი და ვწერდი.

მალე ჩემი ლექსების ახალი წიგნი უნდა გამოსულიყო და მიხაროდა, რომ ცოტა ფულს ჩავიგდებდი ხელში...

ერთ დღეს ადრე ავდექი, ჩავიცვი და ეზოში ჩავედი...

სკამზე დავჯექი...

სიგარეტი გავაბოლე.

დიდხანს ვიყავი ასე...

ბოლოს წამოვდექი...

გადავწყვიტე, ცოტა გამევლო.

ბაღში წასვლა არ მინდოდა...

ბოლო დროს რატომღაც ბაღს ეგვ ვურბოდი.

●

ნელა მივაბიჯებდი...

ნიავი სახეში მცემდა...

მივდიოდი და ვღიღინებდი.

რუსთაველის გამზირზე გავედი...

თითო-ოროლა კაცი ჩანდა აქა-იქ.

ჩემი სახელი მომესმა.

შევკრთი.

არავის ნახვა არ მინდოდა...

უკმაყოფილოდ მოვიხედე...

ჩემკენ ია მოდიოდა.

იგი მოვიდა, მსუბუქად დამკრა ხელი მხარზე და ღიმილით მითხრა:

— წაგართვეს, ბიჭო, სატრფო?

ნაძალადევად გავუღიმე...

— მართლა, — თქვა და დადინჯდა, — ელპიდემ მითხრა, რომ ბავშვთან შეგიხვედრებია!

თავი დავუქნიე.

ერთხანს დუმილით მივაბიჯებდით...

— თეატრში როგორ არის საქმე? — ეკითხე.

— რა უჭირს! — თქვა, — მართლა, გამოიარე ზეგ ჩემთან... ნელი იქნება, ნორა, ელპიდე და მე... ჰო, თამაზიც!

— რა ვიცი — ვთქვი... თვითონ ნელის არაფერი უთქვამს.

— ეგ არაფერი, — თქვა იამ და გაიცინა, — ეშინია! სულელი! ისე დაჭკანკალებს საქმროს, გეგონება უყვარდეს!

უსიამოვნო განცდა დამეუფლა...

— კარგი, მოვალ! — ვთქვი ბოლოს.

— მაშ, ჯერჯერობით! — გამიცინა ქალმა, ხელი ასწია და წავიდა.

ცოტა ხანს კიდევ ვიყიალე ქუჩებში...

მერე შინ წავედი.

●

სახლში მისვლისთანავე ლექსს ჩავუჯექი...

როცა მუშაობას მოვრჩი, გავიხადე და დავწექი...

მცირე ხანში დამეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

აყვავებული ალუბლის ხე დამესიზმრა...

ხის ძირში ვიდექი...

ჩემს ირგვლივ თეთრი ყვავილები ცვიოდა...

ზურგით ხეს მივეყრდენი და თვალები დავხუჭე.

როცა თვალები გავახილე, ალუბლის ხე აღარ იყო.

წამოვდექი...

მივიხედ-მოვიხედე...

ტრიალ, სილიან მინდორზე ვიდექი...

უცებ ქარი ამოვარდა...

ქარი სახეში მაყრიდა სილას...

სუნთქვა მეკვროდა...

მინდოდა გავცლოდი იქაურობას, მაგრამ ფეხი ველარ გადავდგი.

ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა...

მინდორში სილის ბორცვები აღიმართა.

— ეჰეი! — დავიძახე ხმამაღლა...

— ეჰეი! — გამომეხმაურა ექო.

ფეხებზე რაღაც შემეხო...

დავიხედე...

შევკრთი...

ტერფებზე გველმა გადამიარა და სილაში მიიმალა...

გამეღვიძა...

●

ღამის სამი საათი იყო...

კედელს მივაჩერდი...

რაღაც ხის მაგვარი წარმოისახა კედელზე.

სიზმარი გამახსენდა...

ხე გაქრა...

ვიჯექი ლოგინში და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა...

მუშაობა მეზარებოდა...

უცნაურ მოთენთილობას ვგრძნობდი...

ბოლოს ავდექი...

აბაზანაში გავედი...

●

ცივი შხაპი მივიღე...

ისევ საწოლ ოთახში დავბრუნდი...

შუქი ჩავაქრე და ლოგინში ჩავწექი...

დილამდე არ დამეძინა.

დილით ავდექი, ჩავიცვი, მაცივრიდან კონიაკის ბოთლი გამოვიღე, პატარა ჭიქაში ჩავისხი და დავლიე.

უცებ მოვითენთე...

მეტი აღარ დამილევია...

კარზე დამიკაკუნეს...

კარი გავაღე.

ნიკო იყო.

— ეს რა არის, მარტო სვამ? — მკითხა, როცა კონიაკის ბოთლი და ჭიქა დაინახა...

— გინდა? — ვკითხე.

— დაასხი.

ჭიქა ავავსე და მივაწოდე.

სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— იცი, მუშაობას ვიწყებ! — თქვა უცებ.

— საღ?

— მშენებლობაზე!

— აა! — ვთქვი.

— უბრალო მუშად ვიმუშავებ, — თქვა დაფიქრებით, — სამაგიეროდ, ცოტა ფულს ვიშოვი.

— ძალიან კარგი! — ვთქვი მე.

—მოვითმენ, ყველაფერს ავიტან... ოღონდ ბავშვები ნუ იქნებიან მშიერი.

— რამდენს გაძლევენ?

— იმდენს, რომ შიმშილით არ დავიხოცებით.

— მაშ, მოდი, შენი მუშაობის დაწყებას გაუმარჯოს! — ვთქვი და ჭიქა ისევ ავავსე ქარვისფერი სითხით!

ნიკო რომ წავიდა, უკვე ნასვამი ვიყავი...

ნაწერები გადავალაგე...

ყველაფერი წესრიგში რომ მოვიყვანე, წამოვწექი.

უცებ, კარზე დააკაკუნეს...

კარი გავაღე.

თომა და ეკა იყვნენ.

— მოდით! — ვთქვი.

მამა-შვილი შემოვიდნენ...

— მოხდა რამე, თომა? — ვკითხე.

— არა!

— მაშ, რა ჩაფიქრებული სახე გაქვს?

— განა ცოტაა საფიქრალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ მართალია. შენ როგორ ხარ, ეკა?

— გოგონამ შემომღიმა.

— შენი ლექსების წიგნი როდის გამოდის? — მკითხა თომამ.

— მალე!

— ხომ მაჩუქებ!

თავი დავუქნიე.

— ვერ გაიგებ, ბედნიერებაა თუ უბედურება შემოქმედად დაბადება. თუმცა მე რა შემოქმედი ვარ... ერთი საწყალი პიანინოების ამწყობი! — ნაძალადევად გაიცინა მან.

ამაზე ჩემი მოსაზრება მქონდა, მაგრამ ხმა არ გამიღია.

ეკას შევყურებდი.

იჯდა ეკა და სახეზე უცნაური ნათელი გადასდიოდა. შეიძლება ვმკრეხელობ, მაგრამ ანგელოსს გავდა. თმა უკან ჰქონდა გადაყრილი, ცისფერი თვალები უკრთოდა და იყო ასე, რაღაცის მომლოდინე და შეუცნობელი. არ ვიცი, რატომ დავუკავშირე მისი ხატება თომას სიტყვებს, მაგრამ თითქოს ერთიანად აჩურჩულდა ირგვლივ ყველაფერი — „ბედნიერებაა შემოქმედად დაბადება, ბედნიერება!“

●

მეორე დღეს, როგორც დათქმული იყო, ეას ვესტუმრე.

ყველანი იქ დამხვდნენ...

მაგიდაზე კვლავ მდუმარება იყო გამეფებული...

ელპიდე თავჩაღუნული იჯდა.

უცებ თავი ასწია და თქვა:

— თფუი, ასეთ ცხოვრებას!

— ეგ ბანალურად გამოგივიდა! —ნაძალადევად გაიცინა იამ. — მოძველდა უკვე!

— მე საკეკლუცოდ და თავის მოსაწონად არასოდეს მილაპარაკია! — ბრაზიანად თქვა ელპიდემ.

— ვიცი... მაგრამ...

— თუ იცი, გაჩერდი! ეეხ! მომაწოდე ის დიდი ჭიქა!

მან ბროლის დიდი ჭიქა კონიაკით გაავსო...

თავი მაღლა ასწია და ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— სიკვდილს გაუმარჯოს!

— რას? — ჩაეკითხა ია.

— სიკვდილს! — თქვა ქალმა, ჭიქა პირთან მიიტანა და ბოლომდე შესვა.

— აბა, გავმხიარულდეთ! — იყვირა უცებ და დაამატა:

— მცხელა!

ნერვიული მოძრაობით დაიწყო კაბის გახდა...

ბოლოს მთლად დედიშობილა, მაგიდაზე ავიდა და ცეკვას მოჰყვა.

სულ მალე დაიღალა...

ცეკვა შეწყვიტა.

— აი, შენ პოეტი ხარ! — მე მომმართა რატომღაც, — გაიგე რამე ამ ცხოვრებისა? ჩასწვდი მის არსს? განაგდე ეშმაკი? იხილე ღმერთი? ვთქვათ, დაიტანჯე! მაგრამ საზღაური? საზღაური სადაა?

ჩუმად ვიჯექი.

— ჩამოდი, ელპიდე! — თქვა იამ, — შენ დათვერი!

— სულ მთვრალი არა ვარ! — გაიცინა ელპიდემ. — მეორეც, მგონი სისულელე არ მითქვამს.

— მაშ, შენის აზრით, ტანჯვისთვის ვიბადებით? მეტი არაფერი?!

ელპიდე ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე ძლივს ჩამოვიდა მაგიდიდან.

— შტერი ვარ, შტერი! — თქვა მან.

— ყველანი შტერები ვართ! — თქვა ნელიმ.

— შენ გაჩუმდი! სულელო! — უყვირა ელპიდემ.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

— რა დიდებული ფრინველია, არა, გედი? — თქვა უცებ ელპიდემ.

— გედი საიდან გაგახსენდა? — გაიცინა იამ.

— მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთს ყვარობს თურმე... ერთადერთს... მერე, რა ლამაზია!

— წადი, დაიძინე... — თქვა იამ.

— თქვენ არ იძინებთ?

— ჩვენ მერე დავიძინებთ.

— აბა, რატომ მაგდებ?

— არ გაგდებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეეჰ... სულ ერთია, — თქვა ელპიდემ. — ისე, ახლა ძილი მართლა კარგია.

იგი ბარბაცით გავიდა მეორე ოთახში.

ცოტა ხანში ჩვენც წამოვიშალეთ.

მე და ნელის იამ ლოჯში, ტახტზე დაგვიგო ლოგინი.

თამაზი და ნორა არ დარჩნენ.

გულაღმა ვიწექი...

ნელის ჩემს მკლავზე ედო თავი.

სიბნელეში ოდნავ ვარჩევდი მის სახეს...

ხელით ვეფერებოდი ღაწვზე...

ქალი გატრუნული იწვა.

— გიყვარვარ? — მკითხა უცებ.

ხმა არ ამომიღია.

— არ გიყვარვარ! — თქვა. — იცი, ამ ბოლო დროს მეც ნაკლებ მინდა შენთან ყოფნა.

— ვიცი!

— ერთგული ცოლი მინდა ვიყო... რაც უფრო ვეცნობი ჩემს საქმროს, მით უფრო ვგრძნობ, რომ საღალატო კაცი არაა!

— აქამდე არ იცნობდი?

— კი... მაგრამ... — დაიბნა ნელი.

— მაგრამ, რა?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, — ამოიოხრა.

— იწექი მასთან? — ვკითხე.

— არა! — თქვა და დაუმატა. — ეს რა ცინიკური შეკითხვაა?

— მაპატიე. უხეშად გამომივიდა.

— იცი რა, — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ. — მოდი, საერთოდ ნულარ შევხვდებით ერთმანეთს.

გამიკვირდა.

ეს რაღაც ახალი იყო...

— კეთილი! — ვთქვი.

ქალი ერთხანს გაუნძრევლად იწვა.

— მაშ, — დავიწყე, მაგრამ აღარ დამიმთავრებია.

— მაშ ასე... — თქვა მან. — კომედია დამთავრდა... ბოლოსდაბოლოს საროსკიპოდან გამოუყვანიათ ქალები და მერე საუცხოო ცოლები დამდგარან.

— რატომ ან ვის წინაშე იმართლებ თავს! — ვთქვი. — ყველაფერი მესმის.

— მაშინ, მეგობრებად დავრჩეთ, კარგი?

— კარგი.

ქალმა შუბლზე მაკოცა.

— პარადოქსია! — აღმომხდა.

— რა არის პარადოქსი?

— ლოგინში რომ ამბობ აღსარებას.

— ქალების სული საერთოდ, პარადოქსალურია... შენ ჯერ კიდევ არ იცნობ ქალებს!

— გიცნობთ, გიცნობთ, რაცა ხართ!

— ბევრს ეგონა ასე!

— ეეჰ, დავიძინოთ!

— დავიძინოთ, — თქვა ქალმა.

მწყინდა, რომ ნელის ვკარგავდი, მაგრამ თითქოს ახალ ნელის ვიძენდი ამიერიდან...

ისე, ჩემდა სამარცხვინოთ, მაინცდამაინც არ მანაღვლებდა ეს ამბავი...

უცებ, რატომღაც ყოველივე ლტოლვა დავკარგე მისდამი.

ისე იწვა ჩემს გვერდით, თითქოს თიხის ტიკინა ყოფილიყოს...

რამდენიმე ხანი გაუნძრევლად ვიწექი...

ბოლოს ჩამეძინა.

●

მეორე დღეს ადრე გამეღვიძა...

ნელი წასულიყო... ელპიდეც...

მხოლოდ ია იყო შინ.

იგი მაგიდასთან იჯდა, ყავას სვამდა და სიგარეტს ეწეოდა.

— გინდა? — თითით ყავაზე მაჩვენა.

თავი გავიქნიე.

— ელპიდემ დაგიბარა — დამირეკოსო... ეტყობა, ბავშვთან შეხვედრა სურს.

არაფერი მითქვამს.

— ცოდოა! — თქვა ხმადაბლა.

ერთხანს ჩუმად ვიჯექით.

— წავალ, — ვთქვი ბოლოს და წამოვდექი.

ფრთხილად გამოვიხურე კარი და გამოვედი.

შინ მისვლისთანავე ლოგინში ჩავწექი, რადგან წინა ღამეს კარგად არ მეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მესიზმრა, თითქოს მდინარის პირას ვიწექი...

— მერაბ! — ჩამესმა უცებ ჩემი სახელი.

მივიხედ-მოვიხედე.

არავინ იყო.

— მერაბ! — განმეორდა.

წამოვდექი...

მდინარე გაქრა...

სამაგიეროდ, ცისფერი შადრევანი ავარდა ცისკენ.

თვალისმომჭრელად ციმციმებდა...

ბრწყინავდა...

ელვარებდა...

ხან დაიწევდა, ხან ისევ მაღლა აიჭრებოდა ხოლმე!

— მერაბ! — ჩამესმა მესამედ და გამეღვიძა კიდეც.

●

დაახლოებით შუადღისას, ეზოში, სკამზე ვიჯექი...

კვირა დღე იყო...

ხალხი გარეთ იყო გამოფენილი...

მალე ნიკოც გამოჩნდა...

მან შორიდან დამინახა, მომესალმა და ჩემკენ წამოვიდა.

— როგორ არის შენი მუშაობის ამბავი? — ვკითხე ღიმილით.

მოიღუშა.

— რა ვიცი, — თქვა. ვცდილობ, რაც შემიძლია!

— უკმაყოფილო ხარ?

მან ამოიხვნეშა.

— უნდა შეეგუო! — ვუთხარი.

— ძალიან ვიღლები!

არაფერი მითქვამს.

ი[illegible] მომიჯდა...

ერთხანს ვსაუბრობდით...

მერე სახლში ავედი.

●

იმ დღემ უფერულად ჩაიარა.

მეორე დღეს, ქუჩის ტელეფონით ელპიდეს დავურეკე.

— გისმენთ!

— მე ვარ! — ვთქვი.

— გამარჯობა! — თქვა ელპიდემ. — როგორ არის საქმე?

— გავიარ მათთან და პასუხს შეგატყობინებ.

ქალი დუმდა.

— ალო! — ჩავძახე ყურმილში.

— ჰო! — გაისმა. — როდის გაივლი?

—ხვალ!

— ხვალვე დამირეკე!

— კარგი! — ვთქვი და ყურმილი დავკიდე.

●

მეორე დღეს, დღის სამ საათზე თომას სახლის კარის წინ ვიდექი.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

კარი ეკამ გამიღო...

შევედი.

— მამა შინ არ არის! — თქვა ეკამ.

გამიხარდა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— დაბრძანდით! — თქვა ბავშვმა.

დავჯექი...

ეკა ჩემ წინ მოთავსდა.

— მე ერთი წუთით შემოვირბინე, ეკა, — ვთქვი. — შენთან საქმე მაქვს.

გოგონამ ყურადღებით შემომხედა.

— გინდა დედას ნახვა?

— მინდა!

— მაშინ, ხვალ გამოგივლი და მასთან წაგიყვან, კარგი?

თავი დამიქნია...

— მამას რა ვუთხრა — მკითხა უცებ.

— ვუთხრათ, ვითომ სასეირნოდ მივდივართ!

— კეთილი!

წამოვდექი.

— ცუდი ხომ არ არის, მამას რომ ვატყუებთ? — თქვა უცებ ეკამ.

ცოტა არ იყოს, დავიბენი...

— არა! — ვთქვი ბოლოს. — ამით ხომ მამას არაფერი უშავდება.

გოგონამ თავი დახარა.

— აბა, ხვალამდე! — ვუთხარი.

კარებამდე მომაცილა.

გამოვემშვიდობე და კიბეებზე დავეშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შინ წასვლა არ მინდოდა...
ცოტა ხანი ქუჩებში ვიყიალე...
მომშივდა.
იქვე, კუთხეში, სასაუზმე იყო...
შევედი.
სასაუზმე ხალხით იყო სავსე.
ცარიელ მაგიდას დავუწყე ძებნა.
— მეგობარო! — შემესმა უცებ.
მოვიხედე.
ერთ-ერთ მაგიდასთან დაბალი, გამხდარი კაცი იჯდა და სერიოზული თვალებით მიმზერდა.
— დაბრძანდით! — ხელით ცარიელ სკამზე მაჩვენა.
დავჯექი...
კაცმა თავი დალუნა და ჭამა განაგრძო.
წინ რამდენიმე დაცლილი და დაუცლელი ლუდის ბოთლი ელაგა.
თევზი, სოსისი და ლუდი მოვითხოვე...
— საიდანღაც მეცნობით! — თქვა კაცმა ისე, რომ თავი არ აუწევია.
არაფერი მითქვამს.
— ცირკთან რამე კავშირი ხომ არა გაქვთ?
ვიფიქრე — დამცინის-მეთქი.
შემომხედა:
— ჰა? — თქვა...
— ცირკთან რა კავშირი უნდა მქონდეს?
— რა ვიცი! — თქვა, — აი, მე, მაგალითად, ცირკში ვმუშაობ!
— არა! — ვთქვი. — სრულიად განსხვავებული პროფესია მაქვს!
— მდაა... — თქვა ჩაფიქრებით, მერე ლუდი მოსვა და თქვა: — არაფრის გემო არა აქვს!
ჩუმად ვიყავი.
ოფიციანტმა შეკვეთილი საჭმელი მომიტანა და მეც ჭამას შევუდექი.
— ისე, რა პროფესიის ბრძანდებით? — მკითხა კაცმა.
ვიფიქრე, რას გადამეკიდა-მეთქი, მაგრამ მაინც ზრდილობიანად ვუპასუხე:
— ვწერ!
— წერთ? — გამოცოცხლდა — იგი — რას წერთ?
— ლექსებს!
თვალები აუციმციმდა...
—კარგია! — თქვა — თქვენი გულუბრყვილობა მომწონს!
ცოტა არ იყოს, გავღიზიანდი.
— ვერ გავიგე! — ვთქვი.
— კაცი რომ უცნობ კაცს ეტყვის, ლექსებს ვწერო, გულუბრყვილოა, — თქვა. — თქვენ ნუ გწყინთ... გულუბრყვილობა ცუდი კი არ არის!
— არ მწყინს! — ვთქვი.
— აი, მე მაგალითად, — თქვა მან. — სრულიად არ მწყინს რომ ცლოუნი ვარ... არც მე ვმალავ ამას!
ვიფიქრე, რატომ ადარებს-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს.
— მაგრამ ჩვენ ყველას, უკვე ყავლი გაგვივიდა!
— ვის ჩვენ?
— ჩვენ... კლოუნებს, პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს... საერთოდ, ხელოვნებას!
— არა მგონია!
— ნეტარ არიან მორწმუნენი! — ამოიოხრა მან.
— მაშინ, რატომ მუშაობ ცირკში? — ვკითხე.
— რა ვიცი. მე იმას კი არ ვამბობ, რომ არ მიყვარს ჩემი პროფესია! უბრალოდ, ყავლი გაგვივიდა-მეთქი!
ერთხანს ჩუმად ვისხედით.
— წამიკითხეთ რომელიმე თქვენი ლექსი! — თქვა უცებ.
— ზეპირად არ მახსოვს, — ვიცრუე.
— მაშინ მე წაგიკითხავთ ჩემს ერთ ლექსს, კარგი?
გამიკვირდა, მაგრამ არაფერი მითქვამს...
— გისმენთ!
მან ლექსის კითხვა დაიწყო.
როცა დაამთავრა, ღრმად ამოისუნთქა.
დიდი ვერაფრიშვილი ლექსი იყო...
ნაძალადევად გავუღიმე და ვთქვი:
— კარგია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ არის კარგი... — თქვა მან. — არ არის, მაგრამ... — და აღარ დაამთავრა.

— მაგრამ რა?

— არაფერი! — ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

— თქვენ გიყვართ ცირკი?

— კი! — ვთქვი.

ამჟამად არ მიხუმრია.

— ხვალ ძალიან კარგი პროგრამაა... მოდით! ჩემთანაც შემოიარეთ! მე ანდრო მქვია! თქვენი სახელი?

— მერაბი!

— მაშ ხვალამდე! — ოფიციანტი მოიხმო, ფული გადაიხადა და სასაუზმედან გავიდა.

●

შინ მისვლისთანავე გავიხადე და დავწექი...

თავი მტკიოდა...

თავის ტკივილი კიდევ არაფერი...

უცნაური გრძნობა დამეუფლა... დეპრესიის მაგვარი...

ვიწექი და არაფერზე არ მინდოდა მეფიქრა...

ამგვარი რამ იშვიათად მემართებოდა...

თითქმის ორ საათს ვიწექი გაუნძრევლად...

ბოლოს ჩამეძინა.

●

ბროლის ვარდები დამესიზმრა...

ვარდები კოცონთან ვერცხლის ქოთანში ეწყო და ცეცხლის ელვარებას ირეკლავდა...

მერე ვარდები აწკრიალდა და სათითაოდ სკდომა დაიწყეს.

ჯერ ერთი დაიბზარა...

მერე მეორე...

მესამე...

ბროლის ფურცლები ძირს ცვიოდა...

ბოლოს ვერცხლის ქოთანიც დადნა და ცეცხლიღა დარჩა...

ისეთ ხმას გამოსცემდა ცეცხლი, თითქოს იცინისო!

●

გამეღვიძა...

შუადღე გადასულიყო...

წამოვდექი და სამუშაოს ჩავუჯექი...

დიდხანს ვწერდი...

ბოლოს დავწექი და გათენებამდე მკვდარივით მეძინა.

●

მეორე დღეს ელპიდეს დავურეკე და სამი საათისთვის დავიბარე.

ელპიდემ მთხოვა, მასთან მივსულიყავით.

დავეთანხმე და ზუსტად სამ საათზე მე და ეკა ელპიდეს სახლის კარის წინ ვიდექით.

კარი ელპიდემ გაგვიღო:

— შემოდით!

ასეც მოვიქეცით.

ელპიდეს ტკბილეულობით დახერგილი სუფრა გაეშალა...

მაგიდასთან დავსხედით...

ელპიდემ თვითონ გადაუღო ეკას ტორტის დიდი ნაჭერი...

— მგავს, არა? — მკითხა, უცებ.

თავი დავუქნიე.

— ჩემი სათაყვანებელი გოგო! — თქვა ელპიდემ და დაუმატა. — ჭამე!

ეკამ თავი ჩაღუნა.

ტორტი მართლაც შესანიშნავი იყო.

როცა ეს ვუთხარი, ელპიდეს თვალები გაუბრწყინდა...

— მე გამოვაცხვე! — თქვა.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა...

რატომღაც ანდრო გამახსენდა...

— გინდათ, ცირკში წავიდეთ? — ვთქვი უცებ.

— ცირკში რა გვინდა? — იკითხა ელპიდემ.

— რა ვიცი! — ვთქვი — ერთმა კლოუნმა მითხრა, კარგი პროგრამაა! შენ რას იტყვი, ეკა?

ეკამ თანხმობის ნიშნად გამიღიმა.

— თქვენ წადით! — თქვა ელპიდემ. — მე ცოტა თავი მტკივა.

— მაშინ, წავალთ! — ვთქვი და წამოვდექი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წამოდგა ეკაც.

— როდის გნახავთ კიდევ? — მკითხა ქალმა.

— დაგირეკავ! — ვთქვი მე.

●

ცირკის სალაროსთან გრძელი რიგი იდგა.

— მამა არ იღელვებს — მკითხა ეკამ, როცა რიგში ჩავდექით.

— არა, ვუთხარი, საღამოს მოვალთ-მეოქი.

— რამდენი ხანია, ცირკში არ ვყოფილვარ! — თქვა გოგონამ.

— მერე იმ კლოუნსაც შევუაროთ, ვინდა? — ვკითხე.

ეკამ მხრები აიჩეჩა...

მალე ჩვენმა რიგმაც მოაღწია...

●

პირველი განყოფილების დამთავრების შემდეგ დაბლა ჩავედი და კონფერანსიეს ანდროს ოთახის ჩვენება ვთხოვე.

მალე მე და ეკა წითელცხვირიანი, გრიმით სახემოთხუპნული, ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცის წინ ვიდექით.

— აა, მოხვედით! — თქვა მან. — მე კი მეგონა, არ მოხვიდოდით... მოგწონთ პროგრამა?

მე და ეკამ თავი დავუქნიეთ.

— ეს თქვენი ქალიშვილია? — მკითხა.

— არა!

ანდრო დადუმდა.

— კარგი მსახიობი ყოფილხართ! — უთხრა ეკამ.

— მსახიობი? — თქვა ანდრომ. — მე მასხარა ვარ, გოგონი, მასხარა... თუმცა... — აღარ დაამთავრა.

— თან, ალბათ კეთილი ხართ, არა? — თქვა ეკამ.

ანდრო შეცბა.

— შენ ასე გგონია? — კითხა ჩახლეჩილი ხმით.

— ჰო!

— არა! ახლა კი ცდები.

— რატომ?

— კეთილს ყველა უყვარს, თავისი მტრებიც კი... მე კი, მტრები კი არა, არავინ მიყვარს ამქვეყნად... რავინ!

— რა მიზეზით?

— დიდი რომ გახდები, მიხვდები!

— მე დიდი ვარ, — თქვა ეკამ.

ანდრომ ჩაიცინა.

— თქვენ შვილები გყავთ? — კითხა ეკამ.

— არა... რატომ მეკითხები?

— აი, მე მამაჩემს ძალიან ვუყვარვარ.

— ეგ სხვა სიყვარულია. ასე ცხოველებსაც უყვართ ერთმანეთი!

— ძალიან გაგტეხიათ გული! — თქვა ბავშვმა.

— შენ რამდენს ტიკტიკებ! — ღიმილით თქვა ანდრომ. — რამდენი წლის ხარ?

— თერთმეტის!

— თერთმეტის! — ჩაილაპარაკა ანდრომ, მაგიდასთან მივიდა, შოკოლადის ფილა აიღო და ბავშვს მიაწოდა.

გოგონამ შოკოლადი გამოართვა.

— მოდი ხოლმე ცირკში! — თქვა კლოუნმა.

— მოვალ! — თქვა ეკამ.

ზარის ხმა გაისმა.

— აბა, ნახვამდის! — თქვა ანდრომ და ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გავიდა.

●

სანახაობის დამთავრების შემდეგ ეკა სახლში მივიყვანე და შინ დავბრუნდი.

ისევ მეწვია უცნობი სევდა...

ძილითაც — ვერ დავიძინე...

დილამდე ფხიზლად ვიყავი.

დილით ავდექი და გარეთ გამოვედი...

●

გრილი, სასიამოვნო ამინდი იყო...

ნელი ნაბიჯით მივდიოდი...

ნიავი სახეში მცემდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა...

სიზმარში ნახული ბროლის ვარდები გამახსენდა...

ბროლის ვარდები და ცეცხლი...

უცებ თავბრუ დამესხა...

შევდექი...

მიმოვიხედე...

მოშორებით სკამი შევნიშნე...

დავჯექი...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი გაუნძრევლად.

ბოლოს წამოვდექი და შინისკენ ავიღე გეზი...

შინ მისვლისთანავე დავწექი...

მალე ჩამეძინა...

●

მესიზმრა, ვითომ პანაშვიდზე ვიყავი...

(არ ვიცი, ვისი პანაშვიდი იყო...)

ვიდექი და ვფიქრობდი, აქ რამ მომიყვანა-მეთქი...

უცებ ვიღაცამ მიბიძგა...

მოვიხედე...

ორად მოკაკული, სახედანაოჭებული ქალი იყო...

— აქ რა გინდა? — მკითხა.

— არ ვიცი!

— გაშორდი აქაურობას! — თქვა და ბოროტი მზერა შემავლო.

გამეღვიძა...

●

ეზოდან საშინელი ყვირილი ისმოდა...

ფანჯრიდან გადავიხედე...

ნიკოს სახლთან რამდენიმე ცნობისმოყვარე შეყრილიყო.

ეტყობა, ცოლ-ქმარი ისევ ჩხუბობდა.

ბოლოს, სახლიდან ნიკო გამოვარდა...

მიიხედ-მოიხედა...

ჩემი სახლისკენ წამოვიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე კაკუნი შემესმა...

კარი გავაღე...

აფორიაქებული ნიკო შემოიჭრა და სკამზე დაეცა...

— რა მოხდა? — ჩავეკითხე.

ხელი ჩაიქნია.

— რა მოხდა? — გავუმეორე.

— არ შემიძლია! — ძლივს ამოთქვა.

— რა არ შეგიძლია?

— მუშაობა!

სახე ხელებში ჩარგო.

— არადა, ბავშვებს რა ვუყო, არ ვიცი! — თქვა. — სწორია, სწორი ჩემი ცოლი, მაგრამ რა ვქნა? რა!

— უნდა აიტანო, ნიკო!

— რა ავიტანო, რა? შენ გესმის, რას ნიშნავს — არ შემიძლია? არაყი გაქვს? — დაუმატა უცებ.

— ნუ დალევ, ნიკო!

— არა, დავლევ... გამოიტანე, რა! — ვედრებით თქვა.

სამზარეულოში გავედი და არაყი და ჭიქა შემოვიტანე.

ნიკომ ზედიზედ დასცალა რამდენიმე ჭიქა.

თვალები აემღვრა...

დაიძაბა....

— შენ არ დალევ? — მკითხა.

თავი გავიქნიე.

მან კიდევ შეივსო ჭიქა, დალია და თქვა:

— მისმინე, ძალიან მრცხვენია, მაგრამ ცოტა საჭმელი ხომ არა გაქვს? ბავშვებს მინდა წავუღო!

სამზარეულოში გავედი, მაცივრიდან ყველაფერი გამოვიღე, რაც მქონდა, ცელოფანის პარკში ჩავაწყე და ნიკოს გავუტანე.

მან ნაცემი ძაღლივით შემომხედა...

ერთხანს უხმოდ იჯდა...

უცებ ტირილი აუვარდა.

— კარგი, დაწყნარდი! — ვთქვი.

ნიკომ ტირილი შეწყვიტა, კარებთან მივიდა და კიბეებზე დაეშვა.

ჩაფიქრებული დავეშვი ტახტზე.

●

ამ ამბის შემდეგ ორი კვირა გავიდა...

ერთი სასიხარულო ამბავი მოხდა:

ჩემი ლექსების კრებული გამოვიდა.

ვალები გადავიხადე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა რამ ნიკოს ვუწილადე...
ერთ დღეს გადავწყვიტე, ბაღში წავსულიყავი...
კარგა ხანია, იქ აღარ ვყოფილვარ...

●

დილა იყო...
ბაღში ვიჯექი და სიგარეტს ვეწეოდი.
უცებ მოპირდაპირე მხარეს ანდრო დავინახე.
მანაც შემნიშნა...
შორიდან მომესალმა...
მოვიდა...
ხელი ჩამომართვა.
უხმოდ დაეშვა ჩემ გვერდით.
— ეკა როგორაა: — მკითხა.
— არა უშავს! — ვთქვი.
ერთხანს ვდუმდით.
— დაცხა, არა? — მკითხა უცებ.
თავი დავუქნიე.
— წავიდეთ ეკასთან? — მკითხა მან.
შევხედე.
ნაღვლიანი თვალები ქონდა.
— წავიდეთ! — ვთქვი მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

●

კარი თომამ გაგვიღო...
ეტყობა, ჩემი დანახვა გაუხარდა...
შინ შევედით...
ეკა ტახტზე იჯდა...
თეთრი კაბა ეცვა...
— გამარჯობა, ეკა! — ხმადაბლა თქვა ანდრომ.
— ფუჰ, გადააგდეთ! — შესძახა ბავშვმა.
ანდრო დაიბნა.
— რა გადავაგდო? — კითხა.
— ბაყაყი, ხელში რომ გიჭირავთ, ბაყაყი გადააგდეთ!
პირქუში დუმილი ჩამოწვა...
ბოლოს, ანდრო მიხვდა რაღაცას, ფანჯარასთან მივიდა და ხელით მოძრაობა გააკეთა...
— გადავაგდე! — თქვა.
— არ გადაგიგდიათ, არა! — თქვა ეკამ.
ანდრომ არ იცოდა, რა ექნა.
— კარგი, ეკა, დაწყნარდი! — თქვა თომამ.
ეკა წამოიჭრა და მეორე ოთახში გავარდა.
— ხშირად მოსდის ასე? — კითხა ანდრომ თომას.
თომას არაფერი უთქვამს.
ეკა ისევ თავის ოთახში იყო.
როგორც იქნა, გამოვიდა.
— მოდი, ეკა, მოდი! — გაულიმა ანდრომ.
ისევ დუმილი ჩამოწვა...
— გუშინ მე და მამა ეკლესიაში ვიყავით! — თქვა უცებ ეკამ.
— ჰოო? მერე? — ჩაეკითხა ანდრო.
— კარგია იქ! — თქვა ეკამ, — აწი უფრო ხშირად ვივლი ხოლმე!
ანდრომ რაღაც ჩაიბურტყუნა...
— ჩაი დავლიოთ! — თქვა თომამ. — ეკა, გაუმასპინძლდი სტუმრებს.
— მე უნდა დაგტოვოთ! — წამოდგა ანდრო, — დილით წარმოდგენა მაქვს.
— კარგი! — თქვა თომამ, — თქვენ მაინც დარჩით! — მე მომმართა.
თავი დავუქნიე.

●

შინ გვიან დავბრუნდი...
მისვლისთანავე დავწექი...
ჩამეძინა.

●

მესიზმრა, ვითომ ეკლესიაში ვიყავი... სანთელი ვიყიდე...
ხატთან მივედი...
უცებ... საოცარი რამ მოხდა:
სანთელი თავისით აინთო.
ერთხანს უხმოდ ვიდექი...
მერე სანთელი კანკელზე დავამაგრე...
გამეღვიძა...

●

დილა იყო...
ჩავიცვი და მუშაობას შევუდექი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარზე ვიღაცამ დამიკაკუნა...
გავაღე...
ნიკო იყო.
დაღვრემილი შემოვიდა და ტახტზე დაჯდა.
— როგორაა საქმეები? — ვკითხე.
ერთხანს დუმდა...
— შენი ისეთი მადლობელი ვარ! — თქვა.
— რაზე ამბობ?
— აი, ფული რომ მასესხე!
— სალაპარაკოდ არ ღირს! თან არც მისესხებია... ისე მოგეცი.
— შეიძლება ღამის დარაჯად დავიწყო მუშაობა! — თქვა უცებ, — ისე დამღლელი არ არის... თან ღამით მაინც არ მძინავს ხოლმე.
— რატომ?
— რა ვიცი... უძილობა დამჩემდა.
— ეს ცუდია! — ვთქვი.
ხელი ჩაიქნია.
— ეს ამბავი სულ არ მაწუხებს! — თქვა. — მთავარია, შიმშილით არ დავიხოცოთ!
— ჯამაგირი როგორია?
— ჰურის ფულად გვეყოფა!
ერთხანს ვისაუბრეთ.
მერე ნიკო წავიდა...

●

იმ ღამეს გვიან დამეძინა...

●

თოლიების გუნდა დამესიზმრა...
ისინი ზღვაზე დაქროდნენ...
თევზს უთვალთვალებდნენ...
თევზი კი ბევრი იყო...
უცებ ერთი თოლია მოფრინდა და ჩემ წინ დაჯდა...
ხელი გავიშვირე მისკენ...
თოლია ახლოს მოვიდა...
ხელზე ოდნავ დამკრა ნისკარტი...
მერე გაფრინდა და ზღვის ზვირთებს ზემოთ იტრიალა მცირე ხანს...
ზღვაში თევზი დაიჭირა...
მოფრინდა, ნანადირევი წინ! დაბიჯეო და ისევ გაფრინდა...
თევზი ავიღე და ზღვაში მოვისროლე...
გამეღვიძა...

●

ჩავიცვი და ეკას სახლისკენ გავწიე...
კარი თომამ გამიღო.
სახე ჩატეტკოდა...
თვალები ამოღამებული ჰქონდა...
იგი უხმოდ შემიძღვა შინ.
დავჯექით.
— ძალიან ცუდი ამბავი მოხდა! — თქვა მან.
— რა მოხდა?
— ეკა გახდა გუშინ ძალიან ცუდად... ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დავაწვინე...
ერთხანს ორივე ვდუმდით.
— მთელი ღამე გველები ეჩვენებოდა... მთელი ღამე კიოდა...
— ახლა როგორ არის? — ვკითხე.
— არ ვიცი... ცოტა ხანში წავალ მასთან!
— მეც წამოვალ! — ვთქვი და წამოვდექი.
— არა, შენ არ გინდა. ცოტა უკეთ რომ გახდება, მერე!
სიგარეტი ამოვიღე.
— ალბათ გამოვა მდგომარეობიდან, არა? იქ ხომ არ დატოვებენ, — შიშით მკითხა.
— რა თქმა უნდა, კარგად გახდება! — გავამხნევე.
იგი ჩაფიქრებული დაჯდა სკამზე.
— მე წავალ! — ვთქვი ბოლოს, თომას დავემშვიდობე და შინისკენ წავედი.

●

შინ ცუდ გუნებაზე დავბრუნდი...
საღამოს შემახურა...
სიცხე გავიზომე...
ოცდათვრამეტი გრადუსი მქონდა.
წამლები მივიღე და დავწექი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით სიცხე აღარ მქონდა, მაგრამ საერთო სისუსტეს ვგრძნობდი.

შუადღისას ელპიდე მეწვია...

არ ვიცოდი, მეთქვა თუ არა, რაც მოხდა.

ბოლოს ვიფიქრე, მაინც გაიგებს-მეთქი და ვუთხარი'

— რაღაცას გეტყვი, მაგრამ არ აღელდე.

შეშინებულმა შემომხედა.

— რა მოხდა? — თქვა.

— ისეთი არაფერი... დამშვიდდი... ეკა ავად არის...

ძუ მგელივით წამოიჭრა...

— სად არის! — იყვირა.

— ფსიქიატრიულში! — ვთქვი მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

ქალი მოწყვეტით დაეცა სკამზე.

ერთხანს გაბრუებული იჯდა, მერე წამოხტა, კარებს ეცა, გააღო და გარეთ გავარდა.

●

არ ვიცოდი, შინ დარჩენილს რა მეკეთებინა...

არაფრის ხალისი არ მქონდა...

მთელი ფიქრები ეკაზე იყო მიჯაჭვული...

ნეტავ როგორ იყო ახლა?

ერთხანს დაძაბული ვფიქრობდი...

ბოლოს გადავწყვიტე თომას სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმექცია და ეკა მენახა.

●

— ეკა... — ეკას გვარს ვუსახელებ ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმღებში მყოფ ექიმს.

მან ქაღალდებში ჩაიხედა...

მერე მითხრა:

ბავშვი განყოფილებაში წევს... მიბრძანდით... თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ახლობელი!

ექიმმა შემომხედა და თავი დამიქნია.

ბავშვთა განყოფლებას მალე მივაგენი...

სანიტარმა ქალმა ეკა მოსაცდელში გამოიყვანა...

ეკას ჩემს დანახვაზე არავითარი გრძნობა არ გამოუხატავს...

იდგა და მიმზერდა გაყინული თვალებით.

ასეთი არასოდეს მენახა...

— როგორა ხარ, ეკა? — ჩავეკითხე.

არაფერი უთქვამს.

— ახლა კარგადაა! — თქვა სანიტარმა — გუშინწინ კი... — და აღარ დაამთავრა.

— მალე სულ კარგად გახდები, ეკა! — ვუთხარი.

— არა! — ჩურჩულით თქვა მან, — მე მალე მოვკვდები!

— რას სულელობ, — უთხრა სანიტარმა. — შენზე უარესებიც წოლილან აქ და მოურჩენიათ.

— მოვკვდები! — გაიმეორა ეკამ.

— კარგი, გეყოფა... ახლა წამოდი, დაისვენე! — თქვა სანიტარმა.

მან ეკას ხელი მოხვია და პალატისკენ წაიყვანა.

ერთხანს უხმოდ ვუმზერდი...

მერე ნელა გამოვედი შენობიდან.

●

შინისკენ ფეხით გავუყევი...

ღრუბლიანი ამინდი იყო...

მალე წვიმა წამოვიდა...

ხალხი ხეებს და შენობებს ეფარებოდა.

მე თითქოს ვერ ვგრძნობდი წვიმას...

ეკაზე ვფიქრობდი...

ნეტავ როგორ იყვნენ დედამისი და მამამისი?!

წვიმა კი მატულობდა და მატულობდა!

ქუჩები დაცარიელდა...

მე კი მივდიოდი და მიხაროდა რომ წვიმდა!

●

შინ მისვლისთანავე ჩავწექი...

ვერაფრით ვერ დავიძინე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავთვლემდი და ისევ მეღვიძებოდა...

...და მაშინ იყო, ბურანში მყოფს რომ ჩამესმა:

— მერაბ!

— ვინ ხარ? — ვიკითხე თვალდახუჭულმა.

— შენი ორეული!

ვიფიქრე, ხომ არ ვგიჟდები-მეთქი!

— ნუ ვეშინია! — თქვა „ვიღაცამ", — სრულიად ნორმალური ხარ!

ერთხანს ვდუმდი.

— მე არ მსიამოვნებს შენი მოსმენა, — ვთქვი. — ჯობია, საერთოდ გაქრე.

— განა მე რამეს გიშლი! — გაისმა. — პირიქით, ხელს შეგიწყობ!

მოუსვენრად ავწრიალდი.

— ნუ ღელავ! — თქვა მან.

— რით შეგიძლია ჩემთვის ხელის შეწყობა? — ვკითხე.

— შენ ახლა ეკაზე ფიქრობ... მე მოვედი გითხრა, რომ იგი კარგად არის.

რატომღაც ძალიან მომინდა დამეჯერებინა ეს ამბავი.

— შენ საიდან იცი? — ვკითხე მაინც უნდობლად.

— მე ყველაფერი ვიცი! — თქვა მან.

უცებ საშინლად მომინდა ძილი...

თვალები დავხუჭე...

●

წითელი ხარების ჯოგი დამესიზმრა.

ჯოგს წინ ვეებერთელა ხარი მოუძღოდა...

საიდანღაც ნიღბიანი კაცი გამოჩნდა...

ხელში ქამანდი ეჭირა.

იგი მიეპარა წინამძღოლ ხარს და ქამანდი კისერე გადააცვა.

ხარმა გაიბრძოლა...

თოკი დაიჭიმა.

კაცი მტკიცედ იდგა და ქამანდს ხელიდან არ უშვებდა.

ხარების ჯოგი ადგილს მოწყდა...

გადათელა თავის მეთაური...

წინამძღოლი ხარი დაეცა...

კაცი მიუახლოვდა მას და კისერში დანა ჩასცა!

სისხლმა იფეთქა!

უცებ კაცს ფეხი დაუსხლტა და ხახლის გუბეში ჩაჯდა.

ხარი ხროტინებდა...

გამეღვიძა!

შუაღამე იყო...

ფანჯარასთან მივედი და შევაღე...

ცა ვერცხლისფერი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი.

ის ღამე დილამდე ფხიზლად გავატარე.

დილით ნიკო მეწვია...

— დავიწყე მუშაობა! — ნაძალადევი ღიმილით მითხრა მან.

არაფერი მითქვამს.

— ვზივარ თოფით ხელში და ვთვლემ ხოლმე. ჩემთვის არის ზედგამოჭრილი ეს სამუშაო.

ისევ დუმილი.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჩამეკითხა იგი.

— არა!

— ცოლიც ჩუმად არის! — თქვა მან.

კარზე კაკუნი გაისმა.

კარი გავაღე...

ანდრო შემოვიდა, მოგვესალმა და დაჯდა...

ერთხანს წვრილმან ამბებზე ვსაუბრობდით...

ბოლოს ანდრომ თქვა:

— წავიდეთ სადმე, ცოტა გადავკრათ!

— კარგი იდეაა! — თქვა ნიკომ.

— მე ვერ წამოვალ! — ვთქვი.

— ჩვენ წავიდეთ! — უთხრა ნიკოს ანდრომ.

ნიკომ თავი დაუქნია.

გარეთ გამოვედით...

მე ელპიდეს სახლისკენ ავიღე გეზი...

●

ელპიდე შინ დამხვდა...

ერთხანს გარინდებული ვიჯექით...

ბოლოს ყავა შემომთავაზა.

უარი ვუთხარი...

— მაშინ ჩემთვის გავიკეთებ, თქვა. — ცოტა მოვმაგრდები!

სამზარეულოში გავიდა...

ცოტა ხანი იქ დაჰყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე შემოვიდა... ყავის ჭიქით ხელში.

— ეკას სანახავად ვაპირებ წასვლას,— თქვა. — წამოხვალ?

თავი დავუქნიე...

მალე მე და ელპიდე, რომელსაც ხელში ეკასთვის გადასაცემი სანოვაგე ეკავა, გარეთ გამოვედით.

●

ეკა ჩვენ წინ იდგა და დუმდა...

ვდუმდით ჩვენც...

— შაქარყინული მოგიტანე, — თქვა ბოლოს ელპიდემ. — ექიმმა თქვა, შოკოლადი არ შეიძლებაო!

— მამა რატომ არ მოვიდა? — მკითხა უცებ ეკამ.

— გუშინ აქ არ იყო მამაშენი? — უთხრა მის გვერდით მდგარმა სანიტარმა ქალმა, — დღეს დილით ალბათ რამე საქმე გამოუჩნდა!

— მითხრა, დილით მოვალო! — ჩურჩულით თქვა ბავშვმა.

— თუ თქვა, მაშასადამე მოვა! — ვთქვი მე.

უცებ ელპიდე ადგილიდან მოწყდა, ბავშვს მივარდა და გულში ჩაიკრა.

ცოტა ხანი ასე იყვნენ...

— კმარა, ქალბატონო! — თქვა ბოლოს სანიტარმა, — ნუ ააღელვებთ!

ელპიდეს, მგონი, არც გაუგია...

— ეს რა ამბავია! — მოისმა უცებ.

ყველამ მოვიხედეთ...

ჩვენს წინ თომა იდგა.

— მე... მე... — წაილულღლუღა ელპიდემ.

თომამ ხელით რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთა...

— დაწყნარდი, თომა! — ვუთხარი.

— ამ ს კიდევ ნერვების აშლა უნდა, — ეკასკენ ჯაიშვირა თითი თომამ.

ქალი დუმდა...

თომა, როგორც უცებ აღელდა, ასევე დაწყნარდა...

— თუმცა... — თქვა მან. — თუმცა... — აღარ დაამთავრა.

ელპიდეს სიხარულის ნაპერწკალმა გაუელვა თვალებში...

— ეკა ხომ ჩემი შვილიცაა, — ბოლოს ნაირი მუდარით თქვა ქალმა.

თომას არაფერი უთქვამს.

— ახლა, ამ გაჭირვების ჟამს მაინც მომეცი უფლება, მასთან ვიყო! — თქვა ელპიდემ.

თომა ერთხანს დუმდა, მერე ოდნავ დაიქნია თავი.

ელპიდე მივიდა მასთან, ხელში სწვდა, უნდოდა ეკოცნა, მაგრამ თომამ ხელი გამოგლიჯა.

დაახლოებით ერთი საათი დავყავით საავადმყოფოში...

ბოლოს დავიშალეთ.

●

ორმა თვემ გაიარა ამ ამბის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ხშირად ვნახულობდი ეკას. მისი მდგომარეობა გაუარესდა... იგი გახდა, არაფერს ჭამდა, ღამით სიცხეს აძლევდა... მოჩვენებებიც გაუხშირდა. რა და რა საზღვარგარეთული პრეპარატები არ უშოვნა დედამისმა, მაინც არაფერმა უშველა.

ახლა სასიამოვნო ამბებიც ვთქვათ (თუ ამას სასიამოვნო ეთქმის)..

ნელი გათხოვდა...

ქორწილში დამპატიჟა, მაგრამ არ წავედი.

ანდრო და ია კი დამეგობრდნენ...

ის კი არა, მგონი უყვარდათ ერთმანეთი.

არადა, ანდრო და ია მე გავაცანი ერთმანეთს.

ისე, გარდა იმისა რომ ანდრო კლოუნი იყო, სხვამხრივ, დასაწუნი კაცი არ გახლდათ.

ნიკო ღამის დარაჯად მუშაობდა...

აი, ყველაფერი, რაც ამ ორ თვეში მოხდა.

●

ქვაფენილზე ხის გაყვითლებული ფოთლები ეყარა...

მზე სუსტად ათბობდა არე-მიდამოს...

ნელა მივუყვებოდი გზას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში მივდიოდი...

ჩემი ლექსები იბეჭდებოდა და კორექტურა უნდა შემემოწმებინა.

●

რედაქციაში ერთი საათი დავყავი...

ფეხით წამოვედი შინისკენ...

სახლს რომ მივუახლოვდი, შევდექი...

ჩემკენ ნიკო მოდიოდა.

მალე ეზოში ვისხედით და სიგარეტს ვეწეოდით.

— შევეჩვიე მუშაობას! — მეუბნებოდა ნიკო, — მართალია, საჩემო საქმე არ არის, მაგრამ მერე რა... ასე დიდხანს არ გაგრძელდება!

არაფერი მითქვამს.

— ბავშვებიც მაძღრები არიან, — თქვა, — ჰო, მართლა, ჩემმა ცოლმა მზესუმზირით ვაჭრობა დაიწყო.

ეს ახალი ამბავი იყო ჩემთვის, მაგრამ არაფერი მითქვამს.

— ახლა წავალ! — წამოდგა უცებ. — რაღაც საქმე მაქვს, ხვალ შემოგირბენ!

სახლში ავედი...

დავწექი...

●

დამესიზმრა, ვითომ თეატრში ვიყავი...

პირველ რიგში ვიჯექი...

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი...

არც კი ვიცოდი, რატომ ვიყავი მოსული.

ერთხანს ჩუმად ვიჯექი, მერე ჩემს მეზობლად მჯდომ მანდილოსანს ვკითხე:

— რა ხდება, ქალბატონო?

მან ტუჩებზე ხელი მიიდო...

გამიღიმა...

— ნახავთ! — თქვა.

ბოლოს ფარდა გაიხსნა...

ესტრადაზე ხის კუნძი იდო...

კუნძის გვერდით ნაჯახზე დაყრდნობილი ნიღბიანი კაცი იდგა.

სამარისებური სიჩუმე გამეფდა...

უცებ, ორი კაცი მოშვებულ ხელები შემიკრეს, კუნძთან მიმათრიეს და ზედ თავი დამადებინეს.

შიში არ მიგრძნია...

ისე კი გავიფიქრე — ნეტავ რა დავუშავე-მეთქი.

— რას იტყვი სიკვდილის წინ? — ჩამძახა ვიღაცამ.

ვდუმდი...

— არაფერს! — ვთქვი ბოლოს.

— ასე არ შეიძლება! — თქვა „ვიღაცამ". — რაღაც უნდა თქვა!

— არ ვიტყვი! არა! — ვიყვირე და...

გამეღვიძა...

●

თავი მტკიოდა...

ცუდ გუნებაზე ვიყავი...

სიზმარი გამახსენდა...

ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა დამსიზმრებოდა ასეთი რამ.

— ვერ ხვდები? — ჩამესმა.

— ვერა! — ვთქვი ჩახლეჩილი ხმით.

— ცხოვრება თეატრია! — თქვა უხილავმა, — მეტს არაფერს გეტყვი!

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა...

— ცხოვრება თეატრია! — ვთქვი ჩაფიქრებით. — ჰო, ეს ასეა!

საათს შევხედე...

შუაღამეს წუთები აკლდა...

ეკა გამახსენდა.

„ხვალ ვინახულებ!" — გავიფიქრე.

აბ ბოლო პერიოდში იგი ძალიან გახდა...

სადღა იყო მისი გადატკეცილი სახე და ლამაზი, ცისფერი თვალები.

თვალების ნაცვლად ნაკვერჩხლები იმზირებოდნენ ორი ღრმა ფოსოდან.

ღრმად ამოვისუნთქე...

არ მეძინებოდა...

მაგიდასთან დავჯექი და წინა დღეს დაწერილი ლექსის გაშალაშინებას მივყავი ხელი.

●

ბოლო დროს სიბნელეში ყოფნა შემიყვარდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაბნელებდი ხოლმე ოთახს...

საათობით ვიჯექი სიბნელეში ღამურასავით.

ხანდახან ანდრო თუ მინახულებდა, სხვა არავინ.

ვიწექი ტახტზე გაუხდელი და ვუსმენდი ჩემს შინაგან ხმას.

ხმა კი ამ ბოლო დროს ხშირად მესმოდა.

— ნუ დანებდები! — მესმოდა ახლაც უხილავის ჩურჩული.

— ვის ნუ დავნებდები? — ვკითხულობდი.

— შენს მოძულეთ!

— რა ვქნა, რა მოვიმოქმედო?

— ნუ მიგაქვს ყველაფერი ახლოს გულთან... ვცადე უბრალო მჭვრეტელი იყო წუთისოფლისა.

— ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული!

— მაშ, ვისზე?

— შენც ხომ კარგად იცი, ვისზეც!

ერთი წუთით ხმა შეწყდა... მერე გაისმა:

— გამოსავალს ვერ ხედავ?

— ვერა!

— მეგონა, უფრო ძლიერი იყავი!

— ძლიერი! — ვთქვი ჩაფიქრებით, — რას ნიშნავს საერთოდ სიტყვა — ძლიერი?!

ხმა აღარ ისმოდა...

თავი ბალიშზე მივდე...

ჩამეძინა.

●

კარზე დააკაკუნეს...

გავაღე...

თომა იყო...

შემოვიდა და დაჯდა...

— ეკა ხომ არ გინახავს გუშინ? — ჩავეკითხე.

— ვნახე! ისევ ისეა!

ღრმად ამოვისუნთქე...

— რატომაა ეს ცხოვრება ასე მოწყობილი! — აღმოხდა უცებ.

მან სიგარეტი ნერვიულად დაასრისა საფერფლეს.

— ასე არ შეიძლება გაგრძელდეს! — თქვა.

— იქნებ გამოკეთდეს!

შემოძხედა...

ხელი ჩაიქნია.

ცოტა ხანს იჯდა...

ბოლოს წამოდგა...

— წავალ! — თქვა.

— ეკასთან მიდიხარ?

— ჰო!

●

თომას წასვლის შემდეგ უცნაური ნაღველი დამეუფლა.

მაცივრიდან არყის ბოთლი გამოვიღე და დავისხი.

გადავკარი...

სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ძარღვებში...

კიდევ დავისხი...

სასმელი მომეკიდა...

ტახტზე დავჯექი...

გუნება გამომიკეთდა...

უცნაურმა გარინდებამ შემიპყრო...

ვიჯექი, გაყინული თვალებით ვიყურებოდი წინ და ვერაფერს ვხედავდი...

ბოლოს გამოვფხიზლდი...

წამოვდექი...

ფანჯარასთან მივედი...

მოღრუბლული ამინდი იყო.

ცას ნაცრისფერი გადაკრავდა...

მაგიდასთან მივედი...

უაზროდ ავიღე რომელიღაც, ბოლო დროს დაწერილი ლექსი...

არ მომეწონა...

დავხიე და სანაგვეში ჩავაგდე...

უცებ, ეკას სახებამ იელვა თვალწინ...

ზმანება წამიერი იყო...

მალე იგი გაქრა და ისევ მარტოობის გრძნობა დამეუფლა.

●

ერთ დღეს, დილით, — საშინელმა უიმედობამ შემიპყრო.

ასეთი დეპრესია ჯერ არ მქონია.

ქვეყნად ყველასი და ყველაფრის მრცხვენოდა...

რის გამო — არ ვიცი!

მეჩვენებოდა, თითქოს მთელმა სამყარომ პირი შეკრა ჩემს წინააღმდეგ...

დიდხანს გასტანა ამგვარმა ყოფამ.

როცა ისევ რეალობას დავუბრუნდი, კარზე კაკუნი შემესმა...

გავირინდე...

არავის ნახვა არ შემეძლო...

კაკუნი განმეორდა...

მერე, იმ ვიღაცას ეტყობა მოსწყინდა და კარებს მოსცილდა...

წამოვდექი...

ფანჯრებს ფარდები ჩამოვაფარე...

ისევ დავწექი...

რაღაც შავი ბურთულები აცეკვდნენ ჩემს ირგვლივ...

„ესღა მაკლდა!" — გავიფიქრე.

როგორც იქნა, ავი მოლანდება გაქრა...

ისევ ავდექი...

საოცარია, მაგრამ უცებ წერა მომინდა...

მაგიდას მივუჯექი...

საქმე კარგად წავიდა...

სტრიქონი სტრიქონს მისდევდა...

როცა ჩავიკითხე, მომეწონა.

კარგა ხანი იყო, ასეთი ლექსი არ დამეწერა...

გუნება გამომიკეთდა...

მომშივდა კიდეც!

მაცივრიდან ძეხვი გამოვიღე და პურთან ერთად გეახელით.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა...

გავაღე...

თომა იყო.

— როგორ არის? — არ დავაცადე შემოსვლა.

შემომხედა, შემოვიდა და დაჯდა.

— ახლა ჩემთან არის! — თქვა ბოლოს.

გავვოცდი.

— როგორ, შინ არის?

— ჰო, აზრი არ ქონდა იქ დატოვებას... მაინც კვდებოდა!

— მოკვდა?! ვიყვირე.

— არა! — ყრუ ხმით თქვა. — მაგრამ უკანასკნელ დღეშია.

ტახტზე დავჯექი...

დაახლოებით ათ წუთს ვდუმდით ორივენი...

— წავალ! — წამოდგა ბოლოს ივი.

— მეც წამოვალ! — ვთქვი.

— არა! — ხელით შემაჩერა. — ელპიდეს არავის ნახვა არ სურს.

ამ სიტყვებით დატოვა ოთახი.

●

თომას წასვლის შემდეგ, მცირე ხანში ანდრო მეწვია...

იჯდა სკამზე და იატაკს ჩასჩერებოდა...

ეტყობა, ისიც განიცდიდა ეკას ავადმყოფობის ამბავს.

ვეცადე სხვა რამეზე გადამეტანა საუბარი.

— შენი და იას საქმე როგორ არის? — ვკითხე.

მხრები აიჩეჩა...

ერთხანს ვდუმდით...

— კარგი ქალია ია! — ვთქვი!

შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მცირე ხნით ისევ ვდუმდით.

— მაშ თომამ ეკას ნახვა აგიკრძალა? — მკითხა.

თავი დავუქნიე.

— ეს ცუდია! მინდოდა მენახა.

ცოტა ხანს ვისაუბრეთ...

ბოლოს ივი წავიდა.

●

ანდროს წასვლის შემდეგ, სიცარიელის გრძნობა დამეუფლა...

ტახტზე მივწექი...

— გაივლის! — ჩამესმა ხმა.

— რა გაივლის? — ვკითხე უხილავს.

— სიცარიელის გრძნობა, მარტოობა...

— არა მგონია!

— რატომ?

— ეს ყველაფერი იარებივით შერჩება სულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს სიჩუმე იყო.

— სული იგეშება ამ ბრძოლაში! — გაისმა უცებ.

— და ბოლოს, რა გვრჩება ხელში ადამიანებს?

— ნუ ვისაუბრებთ ამაზე. მე მინდა, სულიერი ძალები მოიკრიბო!

— სულიერი ძალები, — ვთქვი და ამოვიოხრე.

— რატომ ოხრავ?

— შეიძლება მკრეხელობაა, მაგრამ უკვე ეჭვი მეპარება ღმერთის სამართლიანობაში.

— მრავალს ეპარებოდა ეჭვი...

— მერე, რა მოუვიდათ მათ?

— ამას ვერ გეტყვი.

— რა დააშავა ნიკომ, რა დააშავა ეკამ?

უხილავი დუმდა.

— ბოლოსდაბოლოს, რა დააშავა ადამიანმა? — ვიყვირე მე.

— ჩუმად! — გაისმა მბრძანებლური ხმა.

თავბრუ დამეხვა...

— ან შენ ვინ ხარ? — გაცოფებით მივმართე უხილავს. — რა გინდა ჩემგან?

— დაწყნარდი!

ისტერიულად გამეცინა...

ისევ ვიგრძენი თავბრუსხვევა...

წამოვდექი...

აბაზანაში გავედი და ცივი წყალი გადავივლე...

ერთხანს ვყოყმანობდი, მერე მაცივრიდან არყის ბოთლი გამოვიღე და სასმისი შევივსე...

— ნუ დალევ! — გაისმა.

ამან უფრო გამახელა...

— ეკას გაუმარჯოს! — ვთქვი ხრიალით და ჭიქა ბოლომდე დავცალე.

ჭიქა მაგიდაზე დავდგი, ტახტზე მივეგდე და ჩამეძინა.

●

მეორე დღეს ადრე გავიღვიძე...

წერა ვცადე, მაგრამ უშედეგოდ...

ნაშუადღევს ანდრო მეწვია...

მასთან საუბრის ჟამს გამოირკვა, თავისი პროფესია არ უყვარდა.

— მაშინ რატომ მუშაობთ ცირკში? — ვკითხე.

— აბა რა ვქნა? ეს ერთადერთი რამ არის, რაც ყველაზე მეტად მეხერხება!

ერთხანს ვდუმდით...

— იას უნდა, ცირკში მუშაობას თავი დავანებო... — თქვა. — კი ბატონო, მაგრამ მე მგონი, კლოუნებიც საჭირონი ვართ!

არაფერი მითქვამს...

— ეკა როგორ არის? — მკითხა.

არაფერი მითქვამს.

ამის შემდეგ ის წავიდა.

●

მარტო დარჩენილი ისევ მაგიდას მივუჯექი...

წერამ გამიტაცა...

დაახლოვებით ორ საათს ვმუშაობდი...

მეჩვენებოდა, თითქოს კალმის ქვეშ ტკაცუნებდა სტრიქონი.

ბოლოს ნაწერი გადავათვალიერე და საკარძელში ჩავჯექი...

— კმაყოფილი ხარ? — ჩამესმა.

არაფერი მითქვამს.

— რა ცოტა ყოფნის ადამიანს — დამცინავად გაისმა.

ისევ დუმილი.

— ცოტა ხნის წინ კი რა შავ ფერებში გეჩვენებოდა ყველაფერი...

— ახლაც ასე მეჩვენება!

— ცრუობ!

უცებ, თვლემა მომერია...

გავიხადე და დავწექი...

●

რაღაც გაურკვეველი, ბუნდოვანი, ქაოტურად მოძრავი მასა დამესიზმრა.

უფორმო იყო, ბლანტი და შეუცნობელი...

იგი იყო ყველგან...

მთელ სიზმრის სამყაროში...

სხვადასხვა ფერად ბრწყინავდა, ციმციმებდა და ჭრელ ფერებად იღვრებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე თანდათან რაღაც ნივთის ფორმის მიღება დაიწყო...

სულ მეტი და მეტი სიძლიერით ფეთქავდა...

ბოლოს, ვარდის გამოსახულება მიიღო...

ბროლის ვარდის!

მშვენიერი იყო...

— რაი არს არსობაი შენი? — ეკითხე და

— მშვენიერებაო! — მიპასუხა.

●

გამეღვიძა...

ავდექი...

ეკა გამახსენდა და გუნება გამიფუჭდა...

სავარძელში ჩავჯექი და თვალები დავხუჭე...

მინდოდა განმეორებულიყო სიზმარში ნანახი ხილვა...

აი, თითქოს გაიელვა კიდეც, მაგრამ იმწუთშივე გაქრა.

თვალები გავახილე...

— ნუ ცდილობ ასე მის ნახვას! — ჩამესმა. — რაც უფრო ელტვი მშვენიერებას, მით უფრო შორეული ხდება იგი!

არაფერი მითქვამს.

— შეიძლება ამიტომაც შორდება ეკა რეალურ სამყაროს! — გაისმა.

ხელი გავიქნიე...

(არ მსურდა ამაზე საუბარი)...

კარზე დააკაკუნეს...

გავაღე...

მათხოვარი იყო...

ფული ვაჩუქე...

მადლობა გადამიხადა და წავიდა...

მოულოდნელად თვალწინ ისევ იელვა ბროლის ვარდმა...

ისე ახლოს იყო, რომ ხელი გავიწოდე მის შესახებად...

ჩემს მოძრაობაზე გაქრა...

●

ქუჩაში ციოდა...

ნელი ნაბიჯით მივდიოდი ეკას სახლისკენ...

მართალია, მამამისმა მაინც ნახვამიკრძალა, მაგრამ თუ მივადგებოდი, ხომ არ გამომაგდებდა.

●

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე...

კარი თომამ გამიღო...

ჩემს დანახვაზე შუბლი შეიკრა, მაგრამ მაინც თავაზიანად მიმიწვია...

შუა ოთახში, პატარა სკამზე ელპიდე იჯდა...

მან უაზრო მზერა შემავლო და თავი ოდნავ დამიქნია...

— როგორ არის? — ეკითხე და ხელი საწოლი ოთახისკენ გავიშვირე.

— ახლახანს ჩაეძინა! — თქვა თომამ.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა...

— რას ვიფიქრებდი... დაიწყო ელპიდემ და აღარ დაამთავრა.

საწოლი ოთახიდან კვნესა მოისმა.

ელპიდე წამოდგა...

ავდექი მეც...

— ჯერ ნუ შემოხვალ! მითხრა თომამ. — გავიგებ, უნდა თუ არა ვინმეს ნახვა.

ელპიდე და თომა საწოლ ოთახში შეიდნენ...

მალე თომა გამოვიდა...

— შემოდი! — თქვა.

შევედი...

ელპიდე სასთუმალთან უჯდა ბავშვს და მისი ხელი ეჭირა.

ეკა ერთიანად შეცვლილიყო...

გამხდარიყო...

თვალებში უზომო ნაღველი ჩადგომოდა...

ჩემს დანახვაზე ოდნავ წამოიწია.

ერთხანს მიყურა...

მერე ისევ ბალიშზე მიდო თავი.

— ხომ იცანი, ეკა? — ჩაეკითხა თომა.

— ჰო!

დუმილი ჩამოწვა...

— გარეთ მინდა! — თქვა უცებ ბავშვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გარეთ არ შეიძლება! — თქვა თომამ. — აი, გამოკეთდები და ვისეირნოთ, რამდენიც გინდა!

— მე ახლა მინდა!

თომამ უხერხულად აიჩეჩა მხრები...

— რა მოხდება რომ გავიყვანოთ? — კითხა ელპიდემ.

— რა უცნაურ რამეს იტყვი ხოლმე! — თქვა თომამ. — ფეხზე ვერ დგება ბავშვი!

— ჩვენ დავეხმაროთ, ან შენ აიყვანე... სიცხე არა აქვს...

თომამ ნერვიულად გაიქნია ხელი...

— განა სულერთი არ არის? — თქვა გოგონამ.

— რა, შვილო, რა არის სულერთი? — ჩაეკითხა მამამისი.

ბავშვს აღარაფერი უთქვამს.

— არ მეშინია! — თქვა უცებ.

— რისი არ გეშინია? — კითხა ელპიდემ.

— არაფრის... არც ტკივილის, არც სიკვდილის... მხოლოდ...

— მხოლოდ, რა? — კითხა ელპიდემ.

— მხოლოდ ღმერთის მეშინია... რა სულელი ვიყავი, ცათა სასუფევლის მოზიდვა რომ შესაძლებელი მეგონა!

ერთხანს ვდუმდით.

— ერთმანეთშია ყველაფერი არეული! — თქვა. — ცხადიც, სიზმარიც, სიყვარული, სიძულვილი, ყველაფერი...

— მაგაზე ნულარ იფიქრებ! — უთხრა თომამ.

ეკამ თვალები მილულა.

— იქნებ დაიძინო! — თქვა ელპიდემ.

ბავშვი ჩუმად იყო...

— გავიდეთ! — ჩურჩულით მითხრა თომამ.

შუა ოთახში გამოვედით...

ელპიდე ეკასთან დარჩა...

— ეხლა კიდევ ნათელი პერიოდი ჰქონდა! — თქვა თომამ. — ღამით ბოდვას იწყებს ხოლმე... ამ დროს ვფიქრობ, ფანჯრიდან ხომ არ გადავხტე-მეთქი!

ერთხანს ჩუმად ვიყავით...

ბოლოს გამოვეთხოვე...

●

შინ მივედი თუ არა, დავწექი და ძილმა წამართვა თავი...

●

როცა გამეღვიძა, თენდებოდა.

ფანჯარასთან მივედი...

სიხარულისგან შევკრთი...

გარეთ თოვლი იდო...

ჩავიცვი და ეზოში ჩავედი...

მთელი სამყარო თეთრებში იყო გამოწყობილი...

სკამზე დავჯექი...

თოვლი მზერას მიბინდავდა...

დაახლოვებით ერთი საათი გაუნძრევლად ვიჯექი...

თოვლი კი მოდიოდა და მოდიოდა...

ბოლოს ავდექი და სახლში ავედი...

სავარძელში ჩავჯექი და თვალები დავხუჭე...

— გიხარია? — ჩამესმა...

არაფერი მითქვამს...

— რა სწორი ვიყავი! — თქვა.

— როდის?

— როცა ვამბობდი რომ ცოტა ყოფნის ადამიანს.

დუმილი.

— ახლა რას აპირებ? — გაისმა.

მხრები ავიჩეჩე...

ხმა შეწყდა...

ჩავთვლიმე...

●

მეორე დღეს, დაახლოებით ათ საათზე, ცირკისკენ გავემართე...

ანდრო თავის ოთახში დამიხვდა...

სარკესთან იჯდა და გრიმს იკეთებდა...

ჩემს დანახვაზე არ მობრუნებულა...

ხელით მომესალმა სარკიდან.

იქვე მდგარ სკამზე მოვთავსდი...

— როგორ არის ეკა? — მკითხა.

— ცუდად!

ერთხანს დუმდა.

— კარგად მოთოვა, არა? — თქვა უცებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო!

— ერთი კვირის შემდეგ მე და ია ხელს ვაწერთ! — თქვა მან. — ხომ მოხვალ?

— რა თქმა უნდა!

იგი დადუმდა...

— ესეც ასე! — თქვა ბოლოს და მობრუნდა.

წამოდგა და სრულიად მოულოდნელად ჰაერში გადატრიალდა.

როცა ფეხზე დადგა, ხველა აუვარდა...

მცირე ხანს ქოშინებდა, მერე თქვა:

— დავბერდი!

არაფერი მითქვამს...

— გავიდეთ ბუფეტში? — მკითხა.

— არა, რაღაც საქმე მაქვს, — ვიცრუე რატომღაც და წამოვდექი.

— ხელისმოწერაზე ხომ მოხვალ? — მკითხა ხელმეორედ.

თავი დავუქნიე და მისი ოთახი დავტოვე.

გარეთ გამოსულმა, ეკას სანახავად გავწიე.

როცა მის სახლთან მივედი, დავინახე რომ ერთ ადგილას ხალხი შეყრილიყო...

გულმა რაღაც ცუდი მიგრძნო...

მივუახლოვდი...

— რა მოხდა? — გულისფანცქალით ვკითხე ერთ ხანშიშესულ ქალს.

— მეზობლის ბავშვი გარდაიცვალა!

— ეკა! — შევყვირე.

— დიახ, ეკა, ბატონო!

კიბეები ავირბინე...

კარები ღია იყო...

შევედი...

ოთახში უცხო ადამიანები ირეოდნენ...

საწოლი ოთახის კარი შევაღე...

თომა მუხლებზე იდგა კედელზე დაკიდებული ხატის წინ...

ელპიდე კი საწოლში მწოლ, თვალდახუჭულ ეკას გადამხობოდა.

●

ერთი კვირის შემდეგ ეკა დავასაფლავეთ ...

დაახლოებით ორი თვე გავიდა ამ ამბის შემდეგ...

დღეები უფერულად იწურებოდა...

დეპრესიები გამიხშირდა...

ვიწექი ტახტზე და ჩემს შინაგან ხმას ვუსმენდი...

წერა არ შემეძლო...

ის კი არა, ჭამას თავიც აღარ მჭონდა...

ია და ანდრო დაქორწინდნენ...

ისინი ხანდახან მაკითხავდნენ...

ამას ოდნავ გამოვყავდი მდგომარეობიდან.

ღამით კოშმარებს ვხედავდი...

დიდხანს გასტანა ასე.

ერთ დღეს, როცა თავი სულ მცირედ უკეთესად ვიგრძენი, ჩავიცვი და ეზოში ჩავედი.

სკამზე დავჯექი და ცას ავხედე...

რუხი იყო...

გულში ყრუ ტკივილი ვიგრძენი...

სახლში ავბრუნდი...

ტახტზე დავწექი...

●

დამესიზმრა, ვითომ რაღაც წვეულებაზე ვიყავი...

ირგვლივ მორთულ-მოკაზმული ხალხი ტრიალებდა.

ცეკვავდნენ და ილხენდნენ...

ბოლოს ყველა მაგიდასთან დაჯდა.

ჩემს გვერდით პატარა გოგონა მოთავსდა.

ყურადღება არ მიმიქცევია...

სხვათა ჭვრეტით ვიყავ გართული...

უცებ გოგონამ ხელი ნელა დამკრა ხელზე...

შევხედე...

სიხარულისგან შევყვირე...

ჩემს გვერდით ეკა იჯდა!

— შენ... აქ... საიდან? — წავილულლულე.

— მოგენატრე? — მკითხა.

— ჰო, ეკა, ყველას მოგვენატრე!

— მეც მომენატრეთ! — თქვა მან.

დაბნელდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი ქუხილი გაისმა...
სუფრას ადამიანის ჩონჩხები უსხდნენ...
— წავიდეთ! — თქვა ეკამ.
ავდექით და გარეთ გამოვედით...
ეკა წინ მიმიძღოდა...
მალე ვარდების ბაღს მივადექით...
ეკა დადიოდა ბაღში, ყვავილებს წყვეტდა და მე მთავაზობდა...
ცოტა ხანში ხელში დიდი თაიგული მეჭირა...
უცებ ვარდების ბაღმა ჭკნობა დაიწყო...
— ჩქარა წავიდეთ! — თქვა გოგონამ.
ბაღი დავტოვეთ...
ნელა მივიწევდით წინ...
გზაჯვარედინი გამოჩნდა...
— აქ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს! — თქვა ეკამ.
თავი ჩავქინდრე...
— მე კიდევ ბევრჯერ გესტუმრები სიზმარში, — თქვა მან და გაქრა.
გამეღვიძა...

●

წამოვდექი...
უცებ ისევ დამეუფლა ნაცნობი გრძნობა...
ცუდად გავხდი...
დავწექი და საბანი თავზე გადავიფარე...
მეჩვენებოდა, თითქოს გარეთ მყოფნი ჩემი სახლისკენ იშვერდნენ ხელს, დამცინოდნენ და იფურთხებოდნენ...
სული მტკიოდა...
დეპრესიამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა...
ბოლოს ავდექი, ჩავიცვი და გეზი თომას სახლისკენ ავიღე...

●

თომა შინ დამხვდა...
ელპიდეც იქ იყო...
ოთახში, კედელზე, ეკას დიდი სურათი ეკიდა...
ერთხანს სიჩუმე იყო...
— როგორ უყვარდა ყველას! — თქვა ელპიდემ. — მაინც ვერ გამიგია, რა დაეშავა ასეთი!
— ეს მარადიული კითხვაა! — ვთქვი.
— სიკვდილის წინ პატიება გვთხოვა მე და თომას... რა ქონდა საპატიებელი... პირიქით, მე უნდა მეთხოვა მისთვის პატიება! — თქვა ელპიდემ.
თომა უხმოდ იჯდა...
— გუშინ სასაფლაოზე ვიყავით, — თქვა ქალმა, — წარმოგიდგენია... ეკას საფლავი! — მან სახეზე ხელები აიფარა.
— ყველაფერმა აზრი დაკარგა! — თქვა უცებ თომამ, — ყველაფერმა!
— ჰო! — ჩურჩულით თქვა ელპიდემ.
მინდოდა რამე სანუგეშო მეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ დავძარი...
დავემშვიდობე მათ და სახლისკენ გავწიე.

●

სახლში მისვლისთანავე ისევ ცუდად შევიქენი...
დავწექი...
ძილ-ბურანში წავედი...

●

დამესიზმრა, ვითომ ჭაობის ნაპირზე ვიდექი და მეორე ნაპირზე მინდოდა გასვლა...
სავსე მთვარე სპილენძისფრად ანათებდა...
მწვანედ ციმციმებდა წინ გადაშლილი ჭაობი...
როგორც იქნა, შევტოპე შიგ...
დამპალი წყალი მუხლამდე მომწვდა...
გამიხარდა...
მეორე ნაბიჯი გადავდგი...
იქითა ნაპირზე ცეცხლი აგიზგიზდა...
ცეცხლისკენ ავიღე გეზი...
გზა კი არ თავდებოდა...
ბოლოს, შევდექი და მიმოვიხედე...
ნახევარი გზა გამევლო...
— ეჰეი! — დავიძახე...
— ეჰეი! — გამომეხმაურა ექო...
გზა განვაგრძე...

აჰა, ნაპირიც — სველი და შლამიანი...

ცეცხლისკენ გავემართე...

როცა მივუახლოვდი, დავინახე რომ კოცონს უცნობი ხალხი შემოსხდომოდა...

— გამარჯობათ! — ვთქვი.

— არავინ მიპასუხა.

დავჯექი და ხელები ცეცხლს მივუფიცხე...

— რა ამბავია იქ? — მკითხა ერთმა მათგანმა....

— სად, აქ?

— ცხადში!

— ისეთი არაფერი!

— ისევ ცდილობენ სიზმრების ახსნას? — მკითხა ერთმა დაცინვით.

არაფერი მითქვამს.

— არ გეშინია?

— რისი?

— ჩვენთან რომ მოხვედი!

— არა!

ერთხანს სიჩუმე იყო...

— ხომ გათბი! — თქვა ბოლოს ერთმა მოხუცმა. — ახლა გაგვშორდი!

გამეღვიძა...

●

— დაბრუნდი? — ჩამესმა...

— ჰო!

— სად ჯობია ყოფნა — აქ თუ იქ?

არაფერი მითქვამს.

— თუ მნიშვნელობა არა აქვს შენთვის?

— მგონი ასეა!

უხილავმა გაიცინა...

— ნუ იცინი! — ვთქვი ყრუ ხმით.

წამოვდექი და მაგიდასთან მივედი...

უხ ლისოდ ვათვალიერებდი ლექსებს...

მერე ისევ დავწექი...

თვალები დავხუჭე...

წინ წითელი რგოლები დატრიალდა...

თვალები გავახილე...

ახლა უკვე ცხადში დავინახე წითელი ბურთულები...

ისინი ჩემს ირგვლივ ტრიალებდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ და წკრიალებდნენ...

შემეშინდა — ხომ არ ვგიჟდები-მეთქი...

თვალებზე ხელი ავიფარე...

როცა ხელი ჩამოვუშვი — ბურთულები გამქრალიყვნენ.

ფარდებში მზის პირველი სხივები იპარებოდა.

●

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა...

თითქმის მთელი ეს დრო შინ გავატარე...

ვიჯექი ან ვიწექი და უხილავს ვესაუბრებოდი...

ასე იყო ახლაც!

●

— ვერა, ვერაფერი ვერ გავიგე! —ვამბობდი.

— რა ვერ გაიგე? — უკვე მერამდენედ მეკითხებოდა უხილავი.

— ადამიანის სიცოცხლის კანონზომიერება ვერ გავიგე...

— აკი გითხარი რომ იგი შეუცნობელია!

— და რატომ — რატომ?!

უხილავი დუმდა.

— ყველაფერი ილუზიაა, — ვთქვი. — სიცოცხლეც, ტანჯვაც, სიყვარულიც, სიძულვილიც, მხოლოდ სიკვდილი არ არის ილუზია... მოვა, მოგიჭერს თავის კლანჭებს და მიყავხარ მარადისობაში... თუკი არსებობს იგი...

— რა არსებობს?

— მარადისობა!

— შენ უკვე ამაშიც გეპარება ეჭვი?

— ჰო!

უხილავი დადუმდა.

— ილუზია ხარ შენც! — ვთქვი. — მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ ვიცი როგორ გავნთავისუფლდე ამ ილუზიისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ როგორ გინდა იცოცხლო, თუ ყველაფერი სიზმარი და ილუზია გგონია!

— განა ჩემს სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია?

— მაინც... შენ ცოცხალი ხარ!

— ჰო! — ვთქვი ჩურჩულით. — ჯერ-ჯერობით!

ხმა აღარ განმეორებულა...

თავი ბალიშზე მივდე...

ჩამეძინა...

●

მესიზმრა, ვითომ ჩაბნელებულ ოთახში ვიდექი სარკის წინ...

სარკეში ჩემი გამოსახულება დამახინჯებით ჩანდა...

მიკვირდა — ასე რამ შემცვალა-მეთქი...

ბოლოს სარკეს მოვეშვი და დავჯექი...

როცა კიდევ ერთხელ შევხედე სარკეს, შევამჩნიე რომ მას ბზარები აჩნდა...

მივედი და ბზარებს ხელი შევახე...

იმავე წამს ტკივილი ვიგრძენი...

ხელზე დავიხედე...

თითიდან სისხლი მდიოდა...

მეორე ოთახში გავედი...

გაჭრილზე ბამბა დავიდე...

ბამბა სისხლით გაიჟღინთა, სისხლის დენა კი არ შემწყდარა...

ბამბა მოვიშორე, აბაზანაში გავედი და ჭრილობა ონკანიდან მოჩხრიალე წყალს მივუშვირე...

სისხლის დენა მატულობდა...

ახლა პირსახოცის კიდით შევიკარი თითი...

პირსახოცი მალე წითელი გახდა...

გამეღვიძა...

●

დეპრესია განმიახლდა...

წამოვდექი და სავარძელში ჩავჯექი...

ვიჯექი გატრუნული და კვნესაც ვერ გამებედა...

როცა ამან გამიარა, საწოლთან მივედი, და ზედ მივეგდე...

და მაშინ იყო, თვითმკვლელობაზე ფიქრი რომ ამეკვიატა...

— სისულელეა! — ჩამესმა. — თავი რატომ უნდა მოიკლა! სიკვდილი თვითონ მოგნახავს, როცა დრო იქნება!

— იგვიანებს! — ვთქვი ჩურჩულით.

— ვინ?

— სიკვდილი!

— ესე იგი, ჯერ არ არის დრო! რატომ გინდა წინ გაუსწრო მოვლენებს?

— მე არაფერი არ მინდა!

უხილავი ერთ ხანს დუმდა...

— თქვი რამე! — ვიყვირე.

— რა უნდა ვთქვა! —გაისმა. — მაინც არ გჯერა ჩემი!

— ისეთი რამე თქვი რომ დაგიჯერო.

— კარგი! — თქვა. — შენი შემოქმედებისთვის იცოცხლე!

— ჩემი შემოქმედებისთვის! — ვთქვი მწარე სიცილით — განა ჩემი შემოქმედება მე არა ვარ?

— ხომ გიყვარს იგი?

— არა! — ვიყვირე ისევ. — არავინ და აღარაფერი არ მიყვარს! მე მკვდარი ვარ! მკვდარი — ეკას სიკვდილის დღიდან!

ხმა მიწყდა...

წამოვიწიე...

ხელები მუხლებს შემოვხვიე...

ცოტა ხანს ასე ვიჯექი...

მერე ავდექი და ოთახში ბოლთის ცემა დავიწყე...

თვითმკვლელობაზე ფიქრი არ მშორდებოდა...

„ჯერ ადრეა“, — გავიფიქრე და იმ წუთში ვიღაცამ დაუმატა ჩემს მაგიერ: „რატომ არის ადრე?“

„ადრეა“. — გავიფიქრე ისევ. — იდეა უნდა მომწიფდეს!“.

„განა ეს იდეაა!“ — გავიფიქრე ისევ. — „ეს გადაწყვეტილებაა!“.

ასე დავდიოდი ოთახში კუთხიდან კუთხეში და ვფიქრობდი...

ბოლოს ჩავწექი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დამესიზმრა, ვითომ მეტად გრძელ სუფრას თავში ვუჯექი.

სუფრას ვეებერთელა სვავები შემოსხდომოდნენ...

სვავებს წინ ლეში ედოთ და ძიძგნიდნენ...

— შენ რატომ არ ჭამ? — მკითხა ერთმა მათგანმა.

არ ვიცოდი, რა მეთქვა...

— გემრიელია! — თქვა სვავმა და ნისკარტი გააწკაპუნა. — ჭამე!

სვავებმა შემომხედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

ცოტა ხნის შემდეგ სხვა სვავმა მითხრა:

— რა, არ გვკადრულობ?

— როგორ არ გკადრულობთ, მაგრამ არ მინდა!

სვავებს ბოროტად აუელვარდათ თვალები...

ერთი მათგანი მოვიდა ჩემთან, წინ დამპალი ხორცი დამიდო და თქვა, — ჭამე!

— არ შემიძლია! — ვთქვი ჩურჩულით.

— როგორ თუ არ შეგიძლია! — დაიხროჭინა სვავმა.

გულისრევა ვიგრძენი.

— რა მოგივიდა? მკითხა სვავმა.

— ცუდადა ვარ!

— შეჭამ და კარგად გახდები!

— არ მინდა! — ვიყვირე და... გამეღვიძა.

●

წამოვდექი...

უცებ საშინლად შემეშინდა ვიღაცის თუ რაღაცის...

გულის ძგერას ვგრძნობდი...

გადაწყვეტილება მიღებული იყო...

„რისი მეშინია!“ — გავიფიქრე, — რა მნიშვნელობა აქვს — დღეს იქნება თუ ხვალ!“

ერთხანს გაყუჩებული ვიყავი...

„მხოლოდ სიკვდილშია შველა!“ — გავიფიქრე და ელპიდე გამახსენდა, სიკვდილის სადღეგრძელო რომ შესვა.

საბაზანოში გავედი...

სარეცხი, აბრეშუმის მსხვილი თოკი ავიღე...

ყულფი გავაკეთე... სკამზე შევდექი...

წყალსადენის მილზე დავამაგრე...

ერთხანს ჩუმად ვიდექი სკამზე...

თვალგაშტერებული ვუმზერდი ყულფს...

მერე ნელა გავყავი შიგ თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელა გოჩიაშვილი

●

გაცოცხლდი, გეხვეწები, გაცოცხლდი.
ნუ გჯერა, რომ დაიყვავილეს
შენმა თვალებმა,
ნუ გჯერა, რომ მკვდარი ხარ.
იტირე.
ცრემლს ნუ გაიშრობ,
ცრემლი სიცოცხლეა,
იტირე.
იტირე შენი უცნობი შვილი,
სამზეოზე
სისხლის წვეთად გაელვებული.
კაცს აპატიე,
(კაცი იყო, ვინც გაწყენინა)
პოეტი კი იტირე მხოლოდ...
(იმას ძალა სტრიქონიდან სტრიქონამდეც
საძებარი აქვს)
დაყარე დარდის ნარჩენები
შენი თვალების სუფთა ლანგარზე,
ვით დასხეპილი იასამნები;
ჩამოგვირიგე პატიება,
ვისაც რამდენი გვერგება შენგან,
და მღვდლისაგან გულნატკენი
პირჯვრისსაწერად შემართულ ხელს
ძირს ნუ დაუშვებ.

●

ლიას, ნიას – ჩემს დებს

არ მახსოვს, მაგრამ მენატრება
ჩვენი ბნელი, ნათელი ბინა –
დედის წიაღი,
სადაც სამივემ მოვითქვით სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად და უკანასკნელად,
რომ მერე მუდამ ის გვენატრა,
რაც აღარ გვახსოვს;
რომ მერე, მოკლულს სიყვარულით,
ცოდვიანი სიტყვები მეთქვა:
წყეული იყოს ღამე, რომელმაც მე ჩამსახა
ქალად და მეტრფედ,
წყეული იყოს ღამე, რომელმაც მე ჩამსახა...
ისინი ყოველთვის ჩვენზე ბევრნი იქნებიან,
ვინც ჯერაც არ დაბადებულან,
და ნათქვამიც სრულყოფილებით
უთქმელს როგორ გაუტოლდება...
თქვენც ყოველთვის იმაზე მეტი იგულისხმეთ,
ვიდრე ვამბობ.
დაი ვარ თქვენი,
თქვენთან მინდა ამოვიტირო:
არ მახსოვს, მაგრამ მენატრება...
არ არის, მაგრამ მენატრება...
არ მოვა, მაგრამ მენატრება...
წყეული იყოს ღამე, რომელმაც მე ჩამსახა
ქალად და მეტრფედ,
წყეული იყოს ღამე,
რომელმაც მე ჩამსახა.

ერთით მეტი მდინარე

ეჰ, ჩემო კარგო,
სწორედაც რომ „ეჰ“...
ჭკუას რომ მასწავლი, თან კეთილი
გულით,
მადლობას იმსახურებ,
მაგრამ ნუ დამძრახავ, თუ ვერ
დაგიჯერე.
აბა, შენ საიდან უნდა იცოდე,
მე რა გადამარჩენს.
შენ ხომ არასდროს ყოფილხარ
ელა გოჩიაშვილი
და არც ჩემი თვალებიდან გამოგიხედავს.
შენ როცა მითხარი — „გრცხვენოდეს!“
მე მაშინ ვიფიქრე — „მაღალი ვარ“.
შენ როცა მითხარი — „დაიღუპე“,
მე მაშინ ვიფიქრე — „გადავრჩი“.
კარგად კია ნათქვამი,
წინა კაცი უკანას ხიდიაო,
მაგრამ იმდენი მდინარე მაქვს
გადასალახი,
რაც ქვეყანაზე ძეხორციელი დაბადებულა
დასაბამიდან,
მკვდრები რომ აღსდგნენ
და ცოცხლები გაუკვდავდნენ,
მოვიდნენ და ხიდებად მექცნენ,
სულ ერთია,
ერთი კაცი უნდა დამაკლდეს.
მდინარე კი, ორიც რომ იყოს,
მათგან ერთი მაინც ის არის,
რომელმაც მე უეჭველად უნდა
დამახრჩოს.
ეჰ, ჩემო კარგო,
სწორედაც რომ „ეჰ“.
ერთით ნაკლები ხიდი...
ერთით მეტი მდინარე...
და ნუ მიწყენ,
თუ ვერ გიჯერებ;
ჩვენ ხომ დაგვსაჯეს
განუმეორებლობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთმანეთს მუდამ ვირეკლავთ.
მწვანე ფოთლებზე
თითქმის ყველა ერთი აზრის ვართ,
თუმცა, ეს მხოლოდ მიახლოებით.
ვამბობთ — „მწვანეა“,
მაგრამ ვხედავთ სხვადასხვაგვარად.
გვიშველის ვითომ
„მიახლოებით“ ერთი აზრი,
როცა სხვა,
უფრო მნიშვნელოვან საგანზეა
საუბარი
და კრისტალივით პასუხი გვჭირდება?
ჩვენ ხომ ამქვეყნად
მხოლოდ ფოთლებზე სალაპარაკოდ
არ მოვსულვართ.

ან შენი რჩევა რანაირად გამომადგება?
შენ დატანჯულხარ ჩემი კოშმარით? —
რაღაც უხილავი და უსხეულო რომ
მომიწვება
და წამებით სულსა მხდის ხოლმე.
ჩემი ლექსი დაგიწერია?
ჩემი სხეულით მოგნატრებია
ის ყვითელსახიანი კაცი?
... კარგად იყავი,
მე აქეთ უნდა წავიდე,
და თუნდაც გადავიჩეხო,
ის მაინც მეცოდინება, რომ
ჩემს გზაზე მივდიოდი.
სწორედაც რომ „ეჰ“.

ლაშართან

შენ რომ წახვედი, ფშავიც დამთავრდა
და გოლიათი მთებიდან მხოლოდ
დარჩა ტკივილი მთებისოდენა
და მშვენიერი სიზმრების ბოლო.
შენ რომ წახვედი...
აბა, რა გითხრა,
ან როგორ გითხრა...
შენ რომ წახვედი...
ოი, რამხელა სიცარიელე,
ოი, რაგვარად დიდი ნაღველი.
შენ რომ წახვედი, ფშავი დასრულდა,
მერე მზე ჩაქრა, ჩაქრა კოცონიც
და ჩავუვარდი ბრჭყალებში ღამეს,
აქვითინებულ სულზე მოწოლილს.
სასწაულები მოხდა ლაშართან,
სასწაულები,
წახვედი ოდეს;
ელდით არაგვი პირზე შეაშრათ
ჭალაში დაყრილ ქათქათა ლოდებს.
დაფეთებული აფრინდა ზეცა,
გადაიკარგა სადღაც შემკრთალი...
ოი, რამხელა გულის დაწყვეტა
და უშენობის ბასრი ეკალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ცხადსიზმარიანა

(თავგადასავალი)

ნაწილი მეორე

სულიან-ხორციანად ისედაც გალეული რვა წლის კატორღული ყოფით, ლოდინის ამ სამმა თვემ მთლად გამლია. ყოველდღე ათავისუფლებდნენ პატიმრებს და მე ნაღვლიანი თვალებით ვაცილებდი მათ. გავიდოდნენ ლაგერის ჭიშკრიდან, ცისკენ შემართავდნენ მკლავებს, შემობრუნდებოდნენ და მე კვლავ შინ დარჩენილს მრჩებოდა მტანჯველი ოცნება იმაზე, როდის დადგებოდა ის დღე, როცა მეც აგრე შევმართავდი ცისკენ მკლავებს და აქ დარჩენილებს შემოვძახებდი, ღმერთმა თქვენც მალე გამოგიყვანოთ-თქო.

რაკი ასე გახანგრძლივდა ჩემი განთავისუფლების საქმე, უფრო და უფრო გულს მიწნეხდა ფიქრი, ვაი, თუ იმ პარტიზანელის გამო არ შემეხო ამნისტია-მეთქი.

თურმე ეს იჭვი არც ისე უსაფუძვლო ყოფილა.

ამას მაშინ მივხვდი, როცა ბოლოს-დაბოლოს, იანვრის პირველ დღეებში მეც გადამიღეს სურათი და რამდენიმე დღეში საბუთების მისაღებად ერთი კაპიტნის ოთახში შემიყვანეს.

კაპიტანი შემომაჩერდა და მკითხა:

„სად უნდა იცხოვრო?“

„საქართველოში-მეთქი“.

„რომელ ქალაქში ან სოფელშიო?“

„თბილისში-მეთქი“.

„თბილისშიო?!

ადგა, გაიარ-გამოიარა ოთახში, მერე ისევ თავის მაგიდას მიუჯდა, საბუთების გაფორმება მიავიწყდა, ისე გაიღიმა, სახიდან ჭორფლი სულ გაუქრა, ღაწვზე შერჩენილი ერთადერთი შავი ხალი, ღიმილმა რო შეუკეცა ლოყაზე, იმ ნაოჭში მოექცა და ისე შემომაჩერდა, თითქოს კაი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

„ვიცხოვრე თბილისში, ორი წელიწადი ვიცხოვრე“. — გაჩერდა, რაღაც ქაღალდები გადაალაგ-გადმოალაგა. მაგიდაზე და ისევ განაგრძო: — „თუმცა ომი იყო, ჯარში ვმსახურობდი, მაგრამ, იცი რა გითხრა, თბილისისთანა ქალაქი დედამიწის ზურგზე არსად იქნებაო. რვა წელიწადი უთბილისოდ ამ დასაქცევში რამ გაგაძლებიაო?!“

„თუ აგრეა, მესტუმრე-მეთქი“.

„ჩეკისტის სტუმრობაღა გაკლია ახლა შენ!“

მე ბოღმიანი კაცი არა ვარ-მეთქი.“

„ღმერთმა ხელი მოგიმართოსო.“

„მადლობთ-მეთქი“.

ჩემ საბუთებს ჩახედა, რაღაცა ჩაწერა, მისამართი მკითხა, ეგაც ჩაწერა. მერე სათითაოდ გადახედა ჩემი საბუთების

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 7-8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ქაღალდს. ერთ ქაღალდს დააჩერდა და თქვა:

„იღბლიანი ყოფილხარო.“

„თუ გამაგდებ ამ ჯოჯოხეთიდან, მართლა იღბლიანად ჩავთვლი თავს-მეთქი.“

„ჰო, ჰო, იღბლიანი ყოფილხარო. ვიღაცას შენთვის სასჯელი გაუნახევრებია. ირკუტსკის პროკურორს წითელი ფანქრით ჯვარი გადაუსვია ამ დასკვნაზე და წაუწერია, განთავისუფლდესო. ამ პროკურორზე უნდა ილოცოო“.

წინ დამიდო ქაღალდი. ყველაფერი ისე იყო, როგორც კაპიტანმა მითხრა. იჭვის ჭია რო მიღრღნიდა გულს, იმ ჭიამ თავი გამახსენა. რომელიღაც ქვეშევრდომს, პროკურორისათვის რო ამზადებდა ჩემს საბუთებს, სასჯელის განახევრების დასკვნა გაუკეთებია. ალბათ პარტიზანელთან ჩემი ინცინდენტი მიუღია მხედველობაში. დანაშაულის დამამძიმებელ ფაქტორად ჩაუთვლია.

ირკუტსკის ოლქის სამხედრო პროკურორს წითელი ფანქრით გადაუხაზავს თავისი ქვეშევრდომის ეს დასკვნა და ზედვე წაუწერია, განთავისუფლდესო.

ხო შეეძლო ამ პროკურორს ხელი მოეწერა დაედასტურებია ქვეშევრდომის დასკვნა? რა თქმა უნდა, შეეძლო. რაში ეპიტნავებოდა ვიღაც ლადო სულაბერიძე?! არა ჰქნა ასე. ჩაუფიქრდა, აწონ-დაწონა, კაცის ბედს შეავლო მოწყალე თვალი. ასეც შეიძლება და ისეც, სასჯელის განახევრებაცა და სასჯელის მთლიანად მოხსნა ამნისტიის საფუძველზე. კაცის მომავალი ბედის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. ვერ გაიგებს ის ამ მოწყალებას, ვინ გააგებინებს? რატომ? მერე რა? ალბათ ისეთი კაცი იყო ის პროკურორი, რომელიც საერთოდ ამგვარი არშინებით არ ზომავდა მოწყალებასა და მიტევებას. განახევრების შემთხვევაში 12 წელიწადი კიდევ უნდა დავრჩენილიყავი პატიმრობაში. წითელი ფანქრით ჯვარი გადაუსვა ქვეშევრდომის ამგვარ გადაწყვეტილებას და ღვთის წინაშე გაბრწყინდა მისი ადამიანური სიკეთის შუქი. თავისთვის კი გაიფიქრა ალბათ: „ერ რა, რო ვერ გაიგებს ამას ეს ვიღაც ლადო სულაბერიძეო, მაგრამ არც აგრე ყოფილა საქმე, სიკეთის შუქი არ დაიმალება, აგერა, მეორე კეთილი კაპიტანი, გამიშალა ის ქაღალდი და მკითხა:

„ხო ყოფილხარ იღბლიანიო?“

ბღავილი მინდოდა, ყვირილი, მადლიერების გამოსახატავად, პროკურორის გასაგონად, მთელი ქვეყნის გასაგონად, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი მოვახერხე:

„მესტუმრე თბილისში, ეგ პროკურორიც ჩამომიყვანე და მესტუმრეთ-მეთქი!“

„ღმერთმა ხელი მოგიმართოსო“ — წამოდგა კაპიტანი, ჩემი საბუთები და პასპორტი მომცა, ხელი ჩამომართვა: — „თქვენ, ქართველებმა, მგონი, არც კი იცით, როგორი ქალაქი გაქვთ თბილისიო!“

სამწუხაროდ ვეღარ დავიმახსოვრე კაპიტნისა და ირკუტსკის ოლქის სამხედრო პროკურორის გვარები, მაშინვე ვერ ჩავიწერე განთავისუფლების აღტაცებით შეპყრობილმა, მერე კი მეხსიერებამ მიღალატა, მაგრამ არასოდეს მავიწყდება მათ მიერ ჩემთვის გაწეული ადამიანური ამაგი.

ღრმადა ვარ დარწმუნებული, ჩემი ლოცვა-კურთხევაცა და მადლიერების შუქიც უხილავად შეეხიდებოდა სადმე იმ კეთილ ადამიანებს.

ჩემ განთავისუფლების ცნობაში წერია:

„ეძლევა მოქალაქე სულაბერიძე ვლადიმერ სიმონის ძეს, ქართველს, დაბადებულს საქართველოს სსრ ვანის რაიონის სოფელ შუამთაში 1919 წელს, მასზედ, რომ ის იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიმრო ადგილებში 1948 წლის 9 მარტიდან 1956 წლის 18 იანვრამდე, საიდანაც განთავისუფლდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულებით ნასამართლობისა და სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევის მოხსნით. საცხოვრებლად მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრება საქართველოს სსრ ქალაქ თბილისში“.

ამ ცნობას ხელს აწერენ ლაგერისა და განყოფილების უფროსები.

ცნობას თან ახლდა დახასიათება:

„ეძლევა ესე ცნობა მოქალაქე სულაბერიძე ვლადიმერ სიმონის ძეს, დაბადებულს 1919 წელს, საქართველოს სსრ ვანის რაიონის სოფელ შუამთაში მასზედ, რომ იხდიდა რა სასჯელის 90/2 — 246 განყოფილებაში, თავი დამაკმაყოფილებლად გამოამჟღავნა — იღებდა მონაწილეობას განყოფილების სამეურნეო მომსახურებაში. დისციპლინირებულია. წესრიგი არ დაურღვევია და არ მიუღია სასჯელი“.

ხელს აწერს ლაგერის უფროსი ვოლკოვი.

ერთხელ კიდევ დამიჯდა კოჭი ალჩუზე.

ნინოო!!!

ხვალ გავდივარ.

ხვალ გაიღება ის ჭიშკარი, რომელიც რვა წელია ჩარაზული იყო ჩემს ციხეებსა და ლაგერებში, რომლის იქითაც დარჩა მთელი თავისუფალი სამყარო, ამ ჭიშკრის აქეთ დამხვდა ჯოჯოხეთი. იმ ჯოჯოხეთის კუპრში ვიხარშებოდი რვა წელიწადი და, აჰა, კვლავ ცოცხალი ვარ, მდუღარე კუპრის ქვაბიდან ფიზიკურად და სულიერად საღსალამათი ამოვდივარ და, ჰაიდა, გეზი შინისაკენ მიმეზიდება.

ბედისწერის თავზარმაც ვერ იზეიმა ჩემზე.

განთავისუფლების სიხარულის ელდამაც ვერ გახეთქა გული.

გარეთ ისმის ორთქლმავლის კივილი და ვაგონების ბორბლების რა-რა-რა-რა-რა-რა-რა.

მაგონდება გალაკტიონის ლექსის ნაგლეჯი:

მესმის რულში
მატარებლის
რა-რა-რა.
არა რა ბედს
არარარა, არარა...
ძველი გული
ერთხელ გაიბზარა-რა,
არარარა, არარა.

ხვალამდე გაძლება არ გინდა?!

რვა წლის გაყინული ღამეები დამხობია ჩემს მხრებს და ამ ერთი ღამის გათევა გამიჭირდებოდა, რო არა ჩემი მეგობარი ქართველები, რომლებიც ჯერ კიდევ აქ რჩებიან. რამდენიმე ათასი პატიმარი გაუშვეს სამ თვეში და ორიოდ ასეული შემორჩა ლაგერს. მათ შორის რამდენიმე ქართველიც. ჩემსავით გაწამებულნი იყვნენ ისინიც ამ ლოდინში. აჰა, მოაღწია ჩემმა ჯერმაცა და მომეხვივნენ წინა ღამით, მაბარებენ ამბებს, მაძლევენ მისამართებს, აცნობეო ჩვენებს, მალეო, ველოდებითო, ცოტაც კიდევ გვიცადეთო.

თავის გულსაც იოხებდნენ და მიიოლებდნენ ღამისთევას.

აბა, რა გაათენებდა ისე, თვალს რული არ ეკარებოდა.

გრიშა ამაღლობელმა სული ამომართვა, ყველას გადააჭარბა ენაგაკრეფილობაში, ენაწაგდებულიაო, ვერ იტყოდი მასზე, თუ ხმას ამოიღებდა, ჭექა-ქუხილივით ხანგამოშვებით ელვიანში და ღრუბლიანში გაიგონებდი მისგან. სენტიმენტალური და ლირიკული გრძნობები კი მასში იშვიათად გაფაჩუნდებოდა, თავადაც ვერ გაიგებდა, თორემ სხვა როგორ შეამჩნევდა.

იცოდეო, მეჩიჩინა და მეჩურჩულა იმ ღამით, სხვებს არც ერიდებოდა, ისინიც გარს მეხვივნენ და იმათთანაც, ნინოო, იცოდეო, მელოდოსო, გადაეციო, ჩემ წერილებს თუ არ ენდობა, შენ ხომ მაინც დაგიჯერებსო.

ნინოო...

ნინო ჩემი ბიძაშვილი იყო. წერილებს მწერდა სოფლიდან. გრიშამაც წაიკითხა ნინოს წერილი. ნინოს ბავშვობაში უმცროსმა ძმამ შემთხვევით, თამაშობისას დანა ჰკრა თვალში და ბავშვს ვეღარ უშველეს, ის თვალი დაეშრიტა და ასე დარჩა. ეს რო ვუამბე გრიშას, ჩემ დღეში ყოფილაო, თქვა, ორივეს ერთად ორი თვალიც გვეყოფაო, მისამა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რთი გამომართვა და წერილი მისწერა ნინოს. წერა მაინცადამაინც არ ეხერხებოდა, მაინც მიჩორკნ-მოჩორკნა მართლწერის მხრივ გაუმართავ ფრაზებში თავისი აზრი, წავიკითხე შენი თბილი წერილიო, ვალოდიამ წამაკითხაო, კაი გოგო ყოფილხარო, შენი ამბავიც მიამბო ვალოდიამო, მეც ცალი თვალის ამარა ვარო, მაგრამ ამ ერთი ჯანსაღი თვალითაც კარგად ვხედავ აქედანაო გხედავო, გხედავო, ისეთი მეჩვენები, ალბათ არ დაიზარებ და ამ წერილის პასუხს მომწერო, მარტოხელა კაცი ვარო, არავინ არაფერს არა მწერსო, მართალია, არ მიცნობ, მაგრამ ვალოდიახო მიცნობსო, ვალოდიასთან ახლო მდგომი კაცი, აბა, გლახა როგორ იქნებაო, მომწერე და მოგწერო, მომწერე და მოგწერო, მერე ეგება მეც გამომიშვან და ჩამოგაკითხავ, იქნება ერთი ბედისანი ვართ მე და შენაო.

გაიბა მათ შორის მიმოწერა. მე ვაცნობე ნინოს, გრიშამ როგორ ამოათხრევინა ქირურგს ცალი თვალი. გადარეულა ნინო, მოწერა გრიშას, ეს რამ გაქნევინაო, თავი როგორ გაიმეტეო, რა გამძლეობა და ძალა გქონიაო, შე საცოდაოო... დაუობა, დაულბა, დაუყვავილდა ნინო გრიშას, ნინომ წერა იცოდა, მოუკრებია მთელი თავისი შესაძლებლობა და წერდა გრიშას გამამხნევებელ, გამასულდგმულებელ, გამაბრუებელ წერილებს, არ გაგიჟდე და მეორე თვალიც არ ამოაგლეჯინო იმ საწყალ ქირურგსაო, ამგვარ იუმორსაც გაურევდა ხოლმე ნინო წერილში, მერე ჩემამდე გზას ვეღარ გამოაგნებსო, მაგ ცალი თვალით კიდევ შეიძლება მომაგნოო, თუ გინდა, მომაგენიო, მე სადღა წავალ, აქა ვარ და აქ ვიქნებიო.

გრიშამაც მაშინვე უპასუხა, მანდ იყავი, მანდაო, უეჭველად მოგაგნებო, თუმცა ტყუილად ამომიგლეჯია ეს ცალი თვალი, მაინც არაფერში გამომადგა, ინვალიდობისათვის აღარ ანთავისუფლებენ, მაგრამ მაინც კარგად მიქნია, ეს რო არ გამეკეთებია, შეიძლება ვალოდიას ვერ შევხვედროდი და ვერ ველარ გამეცნეო, ამიტომ აღარ ვნანობ, მოგაგნებო, ამნისტიაც რო არ შემეხოს, მაინც გავუძლებ ამათ და მოვალო, ოღონდ შენ მანდ იყავი, ფეხი არსად მოიცვალოო.

ჰოდა, ახლა გზა რაკი გაიხსნა შინისაკენ, ამას მაბარებდა გრიშა, ნინოს გადაეცი, უთხარი, დამხვდესო. მთელი ღამე ამას მეჩიჩინებოდა. ასეთი გარბილებული გული თუ ჰქონდა, არ მეგონა, ქაჯის ჯიშის კაცი შველივით მომითვინიერდა, ნინოო, ნინოო, ნიავივით ამოჰქონდა გულიდან ეს სიტყვები.

მეორე დღეს დილითაც ამ სიტყვებით გამომეშვიდობა, ღია ჭიშკართან სხვებთან გამოთხოვება ხეირიანად ველარც მოვახერხე გრიშას გადამკიდემ.

როგორც კი გავცდი ლაგერის გაღებულ ჭიშკარს, ათიოდე ნაბიჯით გავშორდი თუ არა, შემოვბრუნდი, მკლავები მაღლა შევმართე და ჭიშკართან და მავთულხლართებთან მომდგარ ბიჭებს შევძახე:

— მშვიდობით, ბიჭებო!

გზამშვიდობისაო, შემომესმა მათი ხმებიც, ერთხმად შენივთული.

ერთად შენივთული ხმებიდან გამორჩეულად ქუხდა გრიშას ხმა:

— ნინოოო!!!

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ

„გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“.

გასრულდა.

ეგ უკვე ცხადი იყო.

მე მაინც სიზმარი მეგონა.

ნუთუ გასრულდა, გაილია, უკან დარჩა, წარსულია ყველაფერი ის, რაც თავს გადამხდა?

შინ რო მივდიოდი, მატარებელში რო ვიჯექი, თუ მოვინდომებდი, საცა მოვისურვებდი, ჩამოვიდოდი, შევჩერდებოდი, მერე ისევ განვაგრძობდი გზას, ანდა სულაც არსად წავიდოდი, იქვე დავრჩებოდი, საცა შევჩერდებოდი, ეს რო ჩემი ნება იყო, ჩემი სურვილი, ეს რო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება იყო, ამაზე კი არ ვფიქრობდი, როგორც კი მატარებელი დაიძრა და რონოდების ბორბლების მონოტონური რა-რა-რა-რა მომესმა, ამ ფიქრმა ჩამავლო ხელი: „ნუთუ გასრულდა ესე ამბავი?!“

რაღა თქმა უნდოდა, რაღა ფიქრი და ჭოჭმან-ჭოჭმანი, მართლაც გასრულდა, მივქროდი უსიერ ტყეში ტაიშეთისაკენ, საცა მთავარ მაგისტრალზე გადავჯდებოდი მოსკოვის მატარებელზე.

თბილისამდე ორი კვირა ვიჯაგჯაგე, ვირახრახე მატარებლებით რუსეთის უკიდეგანო ველებზე, მაგრამ სტოლიპინისა და საბარგო ვაგონებით კი არა, თოფიანი კონვოების თანხლებით კი არა, ჩვეულებრივი სახალხო მატარებლის ვაგონებით, პლაცკარტით, დასაწოლი ადგილებით.

გზაში ახალი თავგადასავლებიც გადამხდა, მაგრამ ეგ უკვე თავისუფალი კაცის თავგადასავლები იყო, რომლებსაც მიესადაგება ხატოვანი ხალხური სხარტულა, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

ტაიშეთი მოსკოვისაკენ მიმავალი მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის ერთერთი საკვანძო სადგურია. აქამდე ჩამოვაღწიეთ, მაგრამ მატარებელი მოსკოვისაკენ მეორე დღემდე არ იქნებაო, განგვიცხადეს. სამი რუსი და ორი ქართველი ვიყავით ამჯერად ჯგუფში. რუსებმა თქვეს, ვინმე აქაურ მცხოვრებთან მივიდეთ, და ღამეს გაგვათევინებენო. ტაიშეთი დაბა-ქალაქს ჰგავს, მეტწილად სოფლური იერი დაჰკრავს. პირველივე მოსახლემ გულღიად მიგვიღო, ჭიშკართან ორი ახალგაზრდა ქალი შემოგვხვდა და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიგვიღეს. სამეზობლოსაც მისწვდა ხმა, განთავისუფლებული კატორღელები რო ვიყავით და მაშინვე ჩვენს მასპინძლებთან გაჩნდნენ გოგონები. გაგვიშალეს სუფრა, ჩვენ არყები ვიყიდეთ, გოგონებთან დავწყვილდით, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ. რვა წლის შემდეგ პირველად მივუჯექი სამხიარულო სუფრას, რუსულს, თავისუფალს, მართლაც გულიანად. გოგონები თამამად გვეხახუნებოდნენ, გაბადრულნი შემოგვჩერებოდნენ. რა თქმა უნდა, არყით შეხურებული, ჩემთან დაწყვილებულ გოგონასთან გათამამდი, ქალის მონატრულმა გვარიანად გავეარშიყე, მე და ჩემმა ქუთაისელმა მეგობარმა ქართული სადღეგრძელოებიც მოვიშველიეთ. დავეხარბელხინს, რვა წლის ლხინგადაჩვეული მივჰყევი და მივჰყევი სილაღეს უბრალო რუსული სუფრისას. გოგოები ისე გაგვიშინაურდნენ, თითქოს კაი ხნის დაწყვილებულნი ვყოფილიყვეთ. ისე ჩანდა, რომ ღამითაც წყვილ-წყვილად მივწვებოდით იმ ჭერქვეშ ვინ სად და ვინ სად. არაყი შემოგვაკლდა. ავდექი და გარეთ გავედი. გამომედევნა ჩემი ქუთაისელი მეგობარი, გადამეღობა, აღარ გინდა არაყი, გზის ფული შეინახე, მოსკოვამდე შორია, მერე თბილისამდე ჩასვლაც ხო გინდა, მთვრალები არიან, მეტი აღარ არის საჭიროო. არა-მეთქი, მივადექი ფარდულს და ვიყიდე ორი ბოთლი არაყი. ორიოდე მანეთი დამრჩა ჯიბეში, მაგრამ ქეიფის აზარტმოდებული ამას ყურადღებას აღარ ვაქცევდი.. რაღა თქმა უნდა, რვა წლის უსმელ-უჭმელი მივეძალე სასმელს, მომერია, ჩემი „მიჯნური“ თავს მევლებოდა, მეხვეოდა, აღარავის ერიდებოდა. მერე გარეთ გავსულვარ, პირიდან მისაქმებია, იქვე კუთხეში მიწაზე მივგდებულვარ, სახლის კედელზე ზურგმიბჯენილი და თავჩაქინდრული ვუპოვივარ ჩემს „მიჯნურს“, რო შემგვიანებია, ძებნა დაუწყია. შინ ძლივძლივობით შევუყვანივარ, საწოლზე მივუწვენივარ და მთელი ღამე ჩემივე საწოლზე ჩამომჯდარი არ მომშორებია, შუბლზე ცივ საფენებს მიცვლიდა თურმე, მერე აგრევე ჩამომჯდარს ჩამთვლემია და მეორე დღეს გვიან დილით თვალი გავახილე თუ არა, ჩემი „მიჯნურიც“ გამოფხიზლდა, შემომაჩერდა და ღიმილით მკითხა, როგორა ხარო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ნაშუადღევს გავყევით მატარებელს მოსკოვისაკენ. ჩემმა ქუთაისელმა მეგობარმა ცოტაოდენი ფული მასესხა, დავპირდი, თბილისიდან შინ გადმოგიგზავნი ვალს-მეთქი. აღარც ეს მეყო, მოსკოვამდე კი მივაღწიე, მაგრამ მოსკოვიდან თბილისისაკენ მგზავრობისას პურის ფულიც აღარ შემრჩა. ღია პლაცკარტის ზედა საწოლზე ვიწექი მთელი ღღე და ღამე, წასახემსებელიც კი არაფერი მქონდა. ქვემოთ შუახნის რუსი ცოლ-ქმარი ერთმანეთთან საუბრით იყვნენ გართულნი, ხანაც კარტს თამაშობდნენ, ჩემ გვერდითა ზედა საწოლზეც რუსი კაცი იყო და ისიც რუს ცოლქმართან თამაშობდა, საუბრობდა და საუზობდა. არცერთ მათგანს ჩემთვის ყურადღება არ მოუქევია.

დილით გვერდითა საწოლის ქვედა აღგილის მფლობელი ქართველი ახალგაზრდა მომადგა წამოწოლილს და მითხრა, კაცო, შენ ავად ხომ არა ხარ, სულ წევხარ და გძინავსო? არა-მეთქი. აბა, თუ კაცი ხარ, ჩამოდი, ვისაუზმოთ, მარტოკას ყელში ლუკმა არ გადამდისო.

გადაირია ბიჭი, როცა გავაცანი ჩემი თავი, შე ასეთო და ისეთოო, ამდენი ხნის პატიმრობიდან მოდიხარ და ხმა არ ამოგიღიაო. რუს თანამგზავრებსაც უთხრა. შეიცხადა ქალმა, ეს რა მოგვივიდა, ყურადღებაც კი ვერ მივაქციეთო.

თბილისში ჩამოსვლამდე სულში ჩამიძვრინეს, მალაპარაკეს და მაამბობინეს. უჩემოდ ლუკმას აღარ იდებდნენ პირში და ამგვარი თანაგრძნობითა და ყურადღებით გარემოცულმა ჩამოვაღწიე თბილისამდე.

3

თბილისურ შეხვედრებზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ ორი ეპიზოდის თხრობით მინდა გავასრულო ეს ჩემი ცხადსიზმრების წიგნი.

დაბრუნების ორიოდე თვის შემდეგ, 1956 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე აზავთებულმა თბილისმა თავზარი დამცა. პირველივე ღღეებიდან მე ეს აბობოქრებული ქართველები, პროსპექტებსა და მოედნებზე თავმოყრილნი ბელადის სურათებითა და ტრანსპარანტებით, გაუცნობიერებლად დავინახე და მართლაც სტალინის პიროვნების დაცვის უდიდეს აქციად მივიჩნიე. ძირითადად შეიძლება ეს ასეც იყო და გამიკვირდა, როგორც იქნა დაემხო სისხლიანი ტირანის ტახტი და ეს ხალხი ამ ტახტის დამხობის წინააღმდეგ რატომ აღზევებულა-მეთქი.

მართალი გითხრათ, შემეშინდა.

კულტი კი დაემხო, მაგრამ იმპერიული ძალები კვლავ კომუნისტების პოლიტბიუროს ხელთ იყო თავმოყრილი და ამჯერად წმინდა რუსული სულისკვეთება იოლად გადაჯეგავდა ქართულ ეროვნულ აღტყინებას. როგორც იქნა ქართველი ბელადი მოიშორეს და ამიერიდან რუსები აღარ დაუშვებენ მეორე შეცდომას. შურს იძიებენ.

კი გავერიე აზავთებული ხალხის ტალღებში, მაგრამ დიდხანს არ ვჩერდებოდი მათთან, შინიდან ვადევნებდი თვალს მოვლენების მსვლელობას. გამოვიდოდი ხან, დღით, ხან ღამით და მხოლოდ თვალს ვადევნებდი მათ ბობოქარ მოძრაობას. მესმოდა ტრიბუნებიდან ტირადები ბელადის შესახებ. გამოყავდათ გამოჩენილი ქართველი პოეტები და ისინიც გატაცებით კითხულობდნენ ლექსებს სტალინზე. არცერთი რესპუბლიკის პოეტებს იმდენი ლექსი არ დაუწერია სტალინზე, — და არა მარტო ლექსი, — რამდენიც ქართველმა მწერლებმა შექმნეს. ეგაც ნიშნეული იყო — ქართველი იყო ბელადი, ამხელა ქვეყნიერების ბელადი და მსოფლიო ისტორიაში არნახული ომის მომგები.

ყოველ წუთს ველოდი კრემლის აქუხებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯაროდ აცხადებდნენ მიტინგების ორგანიზატორები მოთხოვნებს, პეტიციებს, ულტიმატუმებს საქართველოსა და ქართველი ხალხის სახელით. გენერალურ მდივნად და ბელადის შემცვლელად მოლოტოვი გვინდაო, ამგვარი ულტიმატუმიც წაუყენეს კრემლის მესვეურებს.

პირველად ვხედავდი მოკავშირე რესპუბლიკაში, პატარაში, მცირერიცხოვანში, უიარაღო და უარმიოში ხალხის კოლოსალურ აზავთებას ვეებერთელა საბჭოთა კავშირის ცენტრის-მოსკოვის კრემლის წინააღმდეგ. ბელადს ნუ გვიგინებთ, მის ძეგლებს ნუ გვიმხობთ, ის და სამშობლო ერთ მთლიან მცნებად გვაქვს წარმოდგენილი, მისი სახელით ტანკებს მუხლუხოებში ვუვარდებოდით, მტრის ტყვიამფრქვევების ამბრაზურებს მკერდით ვეფარებოდით და ნუ გვართმევთ ამ ხატსაო.

ამას ყველაფერს პირველ დღეებში პირდაპირ ასე აღვიქვამდი. მე პოლიტიკოსი არ ვიყავი, არც ღვარძლი და ბოღმა წამკიდებია ჩემი მდგომარეობისა გამო სტალინისადმი, მაგრამ მაინც ვერ თანავუგრძნე ამ აბობოქრებულ მასას, აქტიურად ვერ ჩავერიე ამ დუღილში.

ერთმა შემთხვევამ გამომაფხიზლა:

7 მარტს დიდუბეში შემომხვდა მეგობარი გოგონა. როდის ჩამოხვედიო, რა კარგია, რო გადარჩიო, არ ვიცოდიო, რვა წელიწადი როგორ გაუძელიო... მეფერა და მელოლიავა ელიკო. ახლა მეჩქარებაო, გამოიარე ჩვენთანაო.

„დაიცა-მეთქი“.

„არა, მეჩქარებაო“.

„სად იჩქარი-მეთქი?“

„სანაპიროზე, ბელადის ძეგლთან მიტინგიაო“.

„შენაც-მეთქი?!“

„ჰო, მეცაო“.

„კი მარა...“

„რა იყო, რად გაიოცეო?!“

„სტალინს იცავ-მეთქი?!“

„აბა, არ უნდა დავიცვა?“

„დედ-მამა რომ დაგიხვრიტა-მეთქი?!“

„სტალინს კი არ დაუხვრეტიაო“.

„სტალინს არც არავინ დაუხვრეტია თავისი ხელით-მეთქი“.

„რა იცოდა რო ხვრეტდნენო?“

„ასიათასობით დახვრეტილებისა და მილიონობით გადასახლებულთა ამბავი არ იცოდა-მეთქი?!“

„აბა, რა უნდა ექნათ ხალხის მტრებისა და მოღალატეებისათვისო?!“

„რას ამბობ, ელიკო-მეთქი?!“

„რას ვამბობო?“

„დედაშენი და მამაშენი-მეთქი?!“

„ისინი უდანაშაულო მსხვერპლია, ხეს რო ჭრიან, ნაფოტებიც ცვივაო“.

გაოცებული ვუსმენდი და მივხვდი, რომ მასთან ამ საუბრის გამწვავება აღარ ღირდა. ის ისე იყო გათანგული ბელადის პიროვნებით, რომ ვერავითარი არგუმენტით ვერ შეურყევდი ამ რწმენას. ამიტომაც აღარ ჩავციებივარ, მეჩქარება, მიტინგზე სიტყვა უნდა ვთქვაო და წავიდა.

ამის მერე არც არავისთან გამიბამს ასეთი საუბარი.

ვერიე ამ ტალღებში და ვუსმენდი მგზნებარე მოწოდებებსა და ლოზუნგებს. მეტწილად ვცდილობდი გავცლოდი და შინ შევყუჟულიყავი.

ვგრძნობდი რაღაც შეუცნობელს, მაჟრჟოლებდა, რაიონებიდან ჩამოზღვავებულ ქართველ ახალგაზრდებს რო ვუცქერდი, რაღაც მიხაროდა კიდეც, მაგრამ ციმბირის უკიდეგანო გზები რო მომაგონდებოდა, მაშინვე ორთაჭალისკენ, ხარფუხისაკენ გავემართებოდი, შინ შევიმუდრებდი. ცნობისმოყვარეობა გარეთ მეზიდებოდა, ციმბირული, კატორლული სურათები წინ მელობებოდნენ.

9 მარტს ელიკო ტრიბუნაზე მდგარი რუსის ხიშტზე წამოგებულა. ეს მერე ერთერთმა ამ ამბის მხილველმა გვიამბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსის ჯარი ქართველ ახალგაზრდებს დარევიან სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან და რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სასახლის მისადგომებთან, გაუჟლეტიათ, უმოწყალოდ დაუხოცავთ, დაუცხრილავთ, ქართული სისხლით გაუღებავთ ასფალტი და მტკვრის სანაპირო.

რუსული იმპერიის, კომუნისტური კრემლის მესვეურთა თასი აივსო ქართველების სისხლით.

ერთბაშად განათდა ჩემში ამ დიადი მოვლენის არსი:

სტალინის ქართულმა ფენომენმა იფეთქა ეროვნულ ხასიათში. მასა არ აღზევებულა სტალინიზმის, სტალინის რეჟიმის დასაცავად. ამ იდეისა და რეჟიმის ათწლეულების საშინელი შედეგები ჩაგუბებული და ჩაგუდული იყო ხალხის გულში, სტალინის პიროვნების შელახვამ უცხოტომელთა მიერ, გააღვიძა ქართველთა მიძინებული თუ დათრგუნული თავმოყვარეობა, სადინარი მიეცა გულში ჩაგუბებულ და ჩაგუდულ პროტესტს, აგორდა საერთო სათქმელი და აღზევდა ეროვნული ენერგია.

ათწლეულების განმავლობაში დათრგუნული ეროვნული ენერგია აფეთქდა.

ხრუშჩოული ამნისტიის შემდეგ 9 მარტის სისხლიანი მოვლენები საქართველოში იყო მეორე ნათელი ნიშანი კომუნისტური იმპერიის რღვევის დასაწყისისა.

1924 წლის აჯანყების შემდეგ ქართული ეროვნული მოძრაობის მკვეთრი გამოხატულება იყო 9 მარტი.

ეს რო გავიცნობიერე, ვინანე, რატომ არ ავუბი მხარი ელიკოს, რატომ არ მივდიე მიტინგის ტრიბუნამდე, ეგებ მის გვერდით მდგარს ხელი ამეკრა რუსის ხიშტისათვის და გადამერჩინა ეროვნული ენერგიის ეს ერთ-ერთი უმწიკვლო ნაპერწკალი.

ხიშტზე წამოგებულ ელიკოს გვამს ვერსად მივაგენით.

4.

რამდენიმე თვის შემდეგ მარჯანიშვილის ქუჩის დასაწყისში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში გახლდით რამდენიმე მეგობართან ერთად. სიგარეტი შემოგვაკლდა. გამოვედი გამომცემლობიდან და გავეშურე მარჯანიშვილის თეატრისაკენ, კუთხეში სიგარეტებს ყიდდა ერთი ხანშიშესული კაცი.

ვიყიდე სიგარეტები და სირბილით გამოვბრუნდი უკან, მარჯანიშვილის თეატრს ჩავცილდი თუ არა, ქუჩის მეორე მხრისაკენ, გამომცემლობის შენობისაკენ გადავდგი ნაბიჯი და უეცრად ასფალტზე გავითხლაშე.

ეს ისე სწრაფად მოხდა, გონს მოსვლა ვერც მოვასწარი. ტროტუართან ახლოს ასფალტზე გათხლაშული, ძლივს წამოვიმართე და სანამ ფეხზე დავდგებოდი, რამდენიმე კაცისა და ქალის ჯგუფი გარს მომეხვია, ხელი შემაშველეს და წამომაყენეს.

მოვარდა ერთი ყმაწვილი და აღრიალდა, შენი ასე და ისეო, თავი თუ არაფრად მიგაჩნია, მე რას მერჩოდი, შენი გულისათვის ციხეში რად უნდა ამომეყო თავიო?!

ტროტუარიდან ფეხი გადმომიდგამს თუ არა, ჩამოქროლებულ მსუბუქ ავტომანქანას გვერდი გაუკრავს და გავითხლაშულვარ ასფალტზე.

ამიტომაც მომაცხრა აგრე გააფრთებული პატრონი ავტომანქანისა.

ძლივს დაამშვიდეს და ჩასვეს მანქანაში.

მე ხმაც არ ამომიღია, ქუჩის მეორე მხარეს გადავედი და ხელთ შერჩენილი რამდენიმე ღერი „პრიმა“, — მაშინ ღეროებითაც იყიდებოდა სიგარეტი, — შევედი თუ არა გამომცემლობის განყოფილებაში, ბიჭებმა ჩამოირიგეს და ხარბად გააბოლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათთვის არ გამიმხელია, რაც შემემთხვა.

მათ საუბარშიც ვეღარ ჩავერიე.

მომხდარზე ფიქრმა გამარიდა მათ ყაყანს:

თორმეტი წელიწადი უღმერთოდ მათრია ავმა ბედისწერამ, შინიდან წასული რუსეთის, ევროპისა და ციმბირის გზებზე ათასნაირ ხიფათს გადავყრივარ, ყველგან დამინდო ბედისწერამ... ეგებ მცდიდა?! თუ მცდიდა, ღვთის შეწევნით, ეგ გამოცდა საღსალამათმა გამოვიარე და შინ ჩამოვაღწიე.

ამდენი გამოცდილების მქონე ქუჩის მეორე მხარეს გადასვლისას ტროტუარის კიდესთან არ შევჩერდი, არ გავიხედ-გამოვიხედე, მანქანები მიმოქრიან თუ არა. ხომ შეიძლებოდა პირდაპირ დამჯახებოდა მანქანა და ზედ გადაევლო?!

ამდენი დავიდარაბის შემდეგ შინ ასეთი უაზრო სიკვდილი?!

ამჯერადაც დამინდო ავმა ბედისწერამ.

19 ივნისი

1991—1993

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მიბჩუანი

აბაზგები ანუ „სუანო-კოლხები“

„დადიანები ჯერ იძულებულნი იყვნენ გადმოეწიათ თავისი საზღვარი (ჯიქეთიდან) ანაკოფიამდე ამ ორი საუკუნის წინათ, ეხლა კი ის გადმოიტანეს ღალიძგაზე“.

დიუბუა დე მონპერე, 1835 წ. შვეიცარიელი მოგზაური.

აბაზგები ზოგიერთ ავტორს, რატომღაც ადიღური წარმოშობის ტომი ჰგონია, მაშინ, როცა ამის დამამტკიცებელი არავითარი არგუმენტი არ არსებობს არც წერილობითი, არც ტოპონიმიკური, არც ფოლკლორული, არც ეთნო-ლინგვისტური და ა. შ. იმის დასაბუთება, რომ იგი სუანო-კოლხური ტომი იყო, მეცნიერული ლოგიკის ყველა ნორმებით შესაძლებელი ხდება.

ახ. წ. I საუკუნემდე, დაახლოებით დღევანდელ სოხუმსა და ტუაფსეს შორის, ანტიკური ხანის წყაროებში მოიხსენიებიან ჰენიოხები, რომელთაც მეცნიერთა უმეტესობა თვლის სუანო-კოლხებად (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ი. ორბელი, გ. მელიქიშვილი, პ. ინგოროყვა, თ. მიქელაძე, მ. ინაძე, ნ. ხოშტარია, ალ. გამყრელიძე, აკ. ურუშაძე და სხვ.), ანუ სვანებად და მეგრელ-ლაზებად. ტერმინ „ჰენიოხს“ კრებით მნიშვნელობას ანიჭებენ (გ. მელიქიშვილი, უ. ლავროვი და სხვ.). მართლაც, პირველ საუკუნეში წყაროებში წყდება ჰენიოხთა მოხსენიება, ხოლო მათი განსახლების ტერიტორიაზე იმავე ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ჩნდება ტომთა ახალი სახელები: სანიგები, აბაზგები, სუანო-კოლხები; უფრო ზუსტად, სხვადასხვა ავტორები ჰენიოხების მაგივრად ასახელებენ ან სანიგებს, ან აბაზგებს, ან სუანო-კოლხებს, ან კიდევ სამივეს ერთად. ეს ფაქტი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ერთგვაროვან მოსახლეობასთან, ანუ ძირძველ სუანო-კოლხებთან, დასავლურ-ქართულ ავტოქტონურ მოსახლეობასთან (იხ. სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, ფლავიუს არიანე, VII ს. სომეხი ანონიმი ავტორი და სხვ.) ამას ადასტურებს ლეონტი მროველის ცნობაც (იხ. ქვემოთ).

ამ ფაქტთან დაკავშირებით მრავალი ანალოგიური მაგალითის დასახელება შეიძლება. თუნდაც ასეთის: 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში, ცალკე წერია „მეგრელები“, ცალკე „სამურზაყანოელები“ და ცალკე „აფხაზები“. ამ შემთხვევაში ყველა ისინი მეგრელები (ქართველები) არიან, მაგრამ ვინაიდან აფხაზეთის მეგრელებში ადიღური ეთნიკური ელემენტი იყო გარეული, დროთა განმავლობაში „აფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზ ტერმინმა ახალი ეთნონიმური მნიშვნელობა შეიძინა და თანდათან ჩრდილო კავკასიური წარმოშობის აფსუათა მეორეულ სახელად იქცა. ამ ტერმინის ასეთი გზით დამუშავება რუსეთის იმპერიის იდეოლოგიის სამსახურის ინტერესებში შედიოდა, რადგან ასეთი თვალთმაქცური ხერხით აფხაზთა საერთო ქართული ორგანიზმიდან მოკვეთა შესაძლო ვარიანტად მიაჩნდა.

თვით ქართველებიც სხვადასხვა წყაროებში სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებიან: ივერები, იბერები, გეორგიანები, გურჯები, გრუზინები, აფხაზები, ქართველები. სხვადასხვა სახელებით არიან ცნობილი მეგრულ-კოლხური ტომები: კოლხები, კორაქსები, კოლაელები, მაკრონები, ზიდრიტები, სანები, სანიკები, ჭანები, ლაზები... სხვადასხვა სახელებით იცნობენ სვანებსაც: სოანები, ჰენიოხები, შონები, მისიმიანები, სანიგები, ებზეები (აბაზგები), წანარები, სუანო-კოლხები, სკვიმნიები, ლეჩხუმლები და სხვ.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც, კერძოდ, სვანურში დღემდე ფუნქციონირებს სიტყვა ლ ს ჯ ქ ე, რაც ნიშნავს მკვრივი აღნაგობის ადამიანს. ამ სიტყვის ფუძეში ძევს ტერმინი ჯ ი ქ-ი. ლ ს-სვანური პრეფიქსია.

როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა, რომელიც დღემდე ცოცხლობს სვანურ მეტყველებაში, შორეულ წარსულში სვანთა ჯიქებთან მეზობლობის ანარეკლია. ჯიქები, როგორც ცნობილია, პირველი საუკუნიდან ცხოვრობდნენ ტუაფსე-ნოვოროსისკის სექტორში, სადამდეც სუან-ჰენიოხთა (სანიგ-აბაზგთა) განსახლება აღწევდა, რაც წერილობითი წყაროებითა და ტოპონიმიკურ-ფოლკლორული მასალითაც დასტურდება.

თუ ჯიქთა მეზობლად (სამხრეთ-აღმოსავლეთით) მცხოვრები ა ბ ა ზ გ ე ბ ი, იგივე სუანო-კოლხები არ იყვნენ, მაშინ საიდან გაჩნდა სვანურში სიტყვა „ლ ს ჯ ს ქ ე“? თუ აბაზგები იგივე სუანო-კოლხები არ იყვნენ, მაშინ ჩრდილო კავკასიელები (ყარაჩაელები, ბალყარელები) სვანებს დღემდე რატომ ეძახიან „ებზეს“, რაც, როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, მომდინარეობს სიტყვიდან „აბაზგ“. სხვათაშორის აკად. ნ. მარი პირდაპირ მიუთითებდა, რომ სვანთა თავდაპირველი სახელი იყო ა ბ ა ს ხ ი. XB, T. I, b. I, 1913, 32.

სვანურში დადასტურებულია ადიღური ლექსიკური ერთეულები (ს. ჯანაშია და სხვ.). საიდან გაჩნდნენ ისინი სვანურში, თუ იგი შავიზღვისპირეთში ჯიქებთან ურთიერთ მეზობლობის შედეგი არ არის? კოდორის, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობების სვანებს, ტერიტორიული თვალსაზრისით ადიღეურ ტომებთან არანაირი შეხების საშუალება არ გააჩნდათ. ამ მხრივ არანაკლებ საყურადღებოა ტოპონიმიკური მასალა.

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებს აბაზგთა სუანო-კოლხობას.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64-ახ. წ. 24), რომლის დედაც ჭანიეთიდან იყო, ამ ორი ათასი წლის წინ სვანებზე წერდა: „მახლობლად (ფთეიოროაგების) არიან სვანები: (სვანები) თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200 000 (კაცის რაოდენობით): მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული. ამასთანავე ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვთ, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ(ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე... სვანები (ისრის) წვეტებისათვის წამალს ხმარობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნისა გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი.

სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მიწის მქონენი არიან“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფიაა, თბ., 1957, გვ. 19, 26).

მართალია, სტრაბონის ცნობები ჰენიოხებზე და მათი განსახლების ტერიტორიაზე ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია, მაგრამ იგი ნაწილობრივ მისეულ სოანთა ლოკალიზაციის ფარგლებსაც მოიცავს. საინტერესოა ისიც, რომ სტრაბონი აბაზგებს საერთოდ არ იცნობს, მათი განსახლების ტერიტორიაზე იგი ჰენიოხ-სვანებს ასახელებს.

მაშასადამე, სტრაბონის ცნობებით, სვანები განსახლებული არიან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დიოსკურიის ზემოთ. თვით დიოსკურიის ძველი სახელწოდება ცხუმი, ასევე გაგრა, ლეჩქოფი, ლაკადა, მერხეული, ტყუბუნი და სხვ., რომ სვანურია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ თავის დროზე სვანთა განსახლება დიოსკურიის ზემოთ ზღვისპირეთიდან იწყებოდა. სტრაბონის შემდგომაც (II-VII სს.) სვანები წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოს ბარში, გაგრა-ბიჭვინთის სექტორში და „ხობისწყლის სვანეთში“ (კლავდიოს პტოლემაიოსი, ფაუსტოს ბიზანტიელი, „აშხარაცუიც“, პლინიუსი და სხვ.). არც ისაა ნაკლებმნიშვნელოვანი სტრაბონის ცნობაში, რომ სვანებთან შედარებით „სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად ცხოვრობენ, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“. ამ ფაქტზე მეტყველებს მისივე ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დროს სვანებს შეეძლოთ 200 ათასი მეომრის გამოყვანა. ამაზე გაცილებით ნაკლები გამოჰყავდათ იბერებს — 80 ათასი, ალბანლებს (აზერბაიჯანელებს) — 60 ათასზე მეტი და ა. შ.

რაც არ უნდა გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს სტრაბონის ცნობები სვანებზე, იგი შორეულ წარსულში არსებულ რაღაც რეალურ ვითარებაზე მიგვანიშნებს.

სტრაბონი იმასაც შენიშნავს, რომ მითი ოქროს საწმისის შესახებ სვანურთან არისო დაკავშირებული და სხვ. აფხაზი სეპარატისტები კი ამ მითს აფსუათა წინაპრებს უკავშირებენ და მასობრივი ტირაჟით სცემდნენ წიგნებს მყვირალა სათაურით: «Край золотого руна».

ამ სიყალბეზე პირში წყალი გვქონდა ჩაგუბებული, რადგან ქართველ მეცნიერებს აფხაზ სეპარატისტებთან კამათის უფლებაც არ გვქონდა.

როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონს ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებია აბაზგები და აფშილები. მათი განსახლების ტერიტორიაზე იგი სვანებსა და კოლხებს ასახელებს. სტრაბონი დაწვრილებით ცნობებს იძლევა, როგორც სვანებზე, ასევე კოლხებსა და იბერებზე, სკვითებსა და სარმატებზე, მაგრამ არ იცნობს ადიღეურ ტომებს. VI საუკუნეში თითქმის იგივე ცნობებს იძლევა სვანებზე ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე პროტიქტორი.

ამგვარად, წერილობითი ცნობებისა და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით, აბაზგები იგივე კლავდიოს-პტოლემაიოსის (II ს.) „სუანო-კოლხებია“, რომლებიც გაგრა-ბიჭვინთის სექტორში ცხოვრობენ. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ისინი VII საუკუნეშიც (აშხარაცუიც).

თვით ტერმინი „აბაზგი-აბასკი-აბასხი“ უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვისაგან ბასყ-ბასკ-ბასხი („მარწყვი“). რაც შეეხება ა თავსართს, იგი მეზობელ ჯიქთა გავლენის შედეგად უნდა გაჩენილიყო (მითუმეტეს, რომ სვანურში ადიღეური წარმოშობის სხვა სიტყვებიც დასტურდება).

ბალახისა და მცენარეულთა სახელებისაგან ტომთა სახელების წარმოქმნა, აგრეთვე პირველი შემთხვევა არ არის. ასე მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველურ ტომს ერქვა წანარ-„წანი“ სვანურად ყანაში ნამარგვლ ბალახს ჰქვია. არ — სუფიქსი მრავლობითობისა და წარმომავლობა-ეკანაობის აღმნიშვნელი ფორმან-

ტია სვანურში. მცენარეული სახელისაგან არის ნაწარმოები ერთ-ერთი ვაინახური ტომის ბ ა ც ბ ე ბ ი ს სახელიც (ი. დეშერიევი) და სხვ. ეს ფაქტები მეცნიერულად დასაბუთებულია.

ეთნონიმთა წარმოების ანალოგიურ რიგს განეკუთვნება სვანების მეზობლად მცხოვრები ფთიროფაგების სახელი, რადგან „ფთიროფაგი“ ბერძნულად ნიშნავს გირჩების სჭამელ-ს. გირჩებში მართლაც არის პატარა მარცვლები, რომელთაც ახმობდნენ და შემდეგ მზესუმზირასავით მიირთმევდნენ მთიელები.

არც ისაა გამორიცხული, რომ ა ბ ა ს ხ ი-ა ბ ა ს ყ ი ს თავდაპირველი ფორმა ყოფილიყო ლ ა ბ ა ს ყ-ი (ლაბასკი-ლაბასხი), რაც სვანურად (სამარწვ) ადგილს ნიშნავს, ე. ი. სადაც მარწყვი ხარობს. ლა-სვანურში მაწარმოებელი პრეფიქსია, ქართული სა-ს ბადალი. დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა შესაძლოა განიცადა ლ-ბგერის რედუქცია და იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფორმით (ლ)ა ბ ა ს ხ-ი. სხვათაშორის ზემო სვანეთის სოფელ ცხუმარის (ცხუმი-დან) ტერიტორიაზე ერთ უბანს ჰქვია ლ ა ბ ს ს-ყ-ლ დ, რომელიც ასე დაიშლება: ლა-ბsსყ-ლდ, სადაც ლა პრეფიქსია, ფუძეა ბ s ს ყ (ანუ: ბ ა ს ყ-მარწყვი), ხოლო — ლდ სვანურში კნინობითობის აღმნიშვნელი ფორმანტია და მიუთითებს ადგილის სიმცირეზე.

თუ ეს ჩვენი დაკვირვება ყურადღების ღირსია, მაშინ მასზე გადამწყვეტი სიტყვა ენათმეცნიერებმა უნდა თქვან.

აბაზგთა განსახლების ტერიტორია ოდითგანვე, რომ ეგრისის შემადგენელი ნაწილი იყო, ამაზე XI საუკუნის ქართველი მემატიანე ლეონტი მროველიც აშკარად მიუთითებს, როდესაც წერს: „ხოლო ეგროსს მისცა ქვეყანა ზღუს ყურისა, და უჩინა საზღვარი, აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიხი, დასავლით ზღუა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, , სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“.

ამ ცნობაში ზუსტად არის განსაზღვრული ეგრისის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი — „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, ე. ი. სადაც კავკასიონის ქედი მთავრდება, ეს არის დაახლოებით ამჟამინდელი ნოვოროსისკის მიმდებარე ტერიტორია, მდინარე ყუბანის სამხრეთით.

ლეონტი მროველის ამ ცნობის სისწორეზე მეტყველებენ ანტიკური ხანის ავტორთა მითითებები იმის შესახებ, რომ დღევანდელი ტუაფსეს ადგილას მდებარე ქალაქს ეწოდებოდა ნიკოფსისი, რომლის ადრინდელი სახელი არიანეს (II ს). ცნობით იყო „ძველი ლაზიკა“. იგივეს იმეორებს ამავე საუკუნის ავტორი კლავდიოს პტოლემაიოსი და V ს. ანონიმი, რომელიც სხვათაშორის წერს: „ძველი ლაზიკა, სადაც ამჟამად არის ეგრეთწოდებული ნიკოფსისი“.

როგორ შეიძლებოდა დარქმეოდა ადგილს ლ ა ზ ი კ ა, თუ იქ ლაზთა განსახლებას არ ჰქონდა ადგილი?

1996 წ.

შენიშვნა: ჟურ. „მნათობის“ № 5-6-ში გამოქვეყნებულ პროფ. თ. მიბჩუანის სტატიაში გაიპარა შეცდომა, კერძოდ, გვ. 162, სვეტი მეორე, პუნქტი 3, ვკითხულობთ: „აფხაზეთში არ გვხვდება არც ერთი ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლი“, ნაცვლად ამისა უნდა ეწეროს: „XIX საუკუნემდე აფხაზეთში არ გვხვდება არც ერთი არაქართული ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლი“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა რატიანი

მოგონებები გალაკტიონზე

ოდნავადაც არ ვისახავ მიზნად გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ირგვლივ ჩემი მოკრძალებული კრიტიკული აზროვნების უნარი გამოვამჟღავნო. უბრალოდ მსურს, „მეფე პოეტის" ცხოვრებიდან მოგითხროთ ზოგი რამ — რაც მის შესახებ მსმენია ან მინახავს, როგორი მესახებოდა და აღვიქვამდი მას.

დიდი ხნის წინათ ჩემი მეუღლის, ლავროსი კალანდაძის უბის წიგნაკში ამოვიკითხე ასეთი რამე: „თუ ჩვენი „არსი", ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ყოფა მხოლოდ ის არის, რაც ჩაჭედილია ადამიანის დაბადებიდან ვიდრე მის აღსასრულამდე, მაშინ არც ღირს ასეთი სიცოცხლე". ეს გამონათქვამი, რა თქმა უნდა, ძირითადად ჭეშმარიტებაა, მაგრამ საკითხავია, ვინ როგორ ვარსკვლავზეა დაბადებული. გალაკტიონის მსგავს შემოქმედთა სიცოცხლე საუკუნეს ავსებს და იმის იქითაც ვრცელდება, როგორც ტერენტი გრანელი იტყოდა: „სულის საზღვარს გადაცდება ფრენით"; ზოგნი კი სიკვდილისთანავე ეძლევიან დავიწყებას. ასე და ამგვარად, მე ვიწყებ თხრობას. აქვე მახსენდება ერთი ინგლისელი მწერლის გამონათქვამი: „მემუარები უმთავრესად იმ ხალხის დაწერილია, ვისაც საერთოდ დაკარგული აქვს მეხსიერება ან თავის დღეში ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, გახსენებად რომ ღირდეს".

ღიმილის მომგვრელია ეს გამონათქვამი, მაგრამ იგი უაილდის ერთ-ერთი მოთხრობის, ახირებული პერსონაჟის ნათქვამია და მას ალბათ უფლება ჰქონდა როგორც უნდოდა, ისე ელაპარაკა.

●

1935 წლის გაზაფხულის მშვენიერ დღეს, მარჯანიშვილის ქუჩაზე, № 4-ში რომ ვცხოვრობდით, ვიღაცამ ჩვენი ბინის კარებზე დააბრახუნა. კარი რომ გამოვაღე, დავინახე — ჩემს წინ ძვირფასი გალაკტიონი იდგა. მე თავი უხერხულად ვიგრძენი და ჩემ უფროს ძმას მოვუხმე. ჩემი ძმები შალვა და ოთარი უკვე იცნობდნენ გალაკტიონს როგორც ჩვენს მეზობელს. ახალგაზრდებმა სიხარული ვერ დავფარეთ და მოწიწებით ბინაში შემოვიპატიჟეთ. ის ცოტათი ნაბახუსევი აღმოჩნდა. შალვამ გალაკტიონი სავარძელთან მიიყვანა და მორიდებით დასვა. გალაკტიონს უმალ მშვიდად ჩაეძინა. ჩვენ კი ცნობისმოყვარეობით დავცქეროდით მას და ვერ გაგვერკვია, რისთვის მოვიდა ჩვენთან. ნეტავ რა უნდოდა? — ვეკითხებოდით ერთმანეთს. დიდი ხანი არ გასულა, და ისევ კაკუნი შემოგვესმა. კარი რომ გავაღეთ, დავინახეთ შუახნის კაცი. იდგა მორიდებით. ჩვენ შეკითხვაც ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვასწარით, რა უნდოდა. მისამართი ხომ არ შეეშალა ვინმესთან მიმავალს. თვითონ დაიწყო:

— მე მეეტლე ვარ. ამ წუთას თქვენთან მიმასწავლეს, აქ შევიდაო, მითხრეს, ვიღაც კაცი. ეს კაცი დილას ეტლში ჩამიჯდა, მთელი ქალაქი ჯირითით შემომატარა, ფული კი არ მოუცია, ისე წავიდა.

ძმებმა ეშმაკურად გადახედეს ერთმანეთს, — როგორც ჩანდა, ბიჭებს მეეტლე მოეწონათ. ოთარმა ჯერ ჯიბე მოიქექა, ბედზე გროშები აღმოაჩნდა, მეეტლეს გაუწოდა, მერე სიტყვა დააყოლა:

—კარგი, კარგი, ძია-კაცო! შენ რომ კაცი ასეირნე, იცი, ვინ იყო? დიდი, ძალიან დიდი პოეტი გალაკტიონი...

—გალაკტიონი? — იკითხა მეეტლემ გაოცებით და თითქოს რაღაცა გადაწყვიტა, აქეთ მოგვიხადა ბოდიში.

ოთახში რომ მიებრუნდით, ასე მეგონა, ბინა პოეზიით იყო სავსე. გალაკტიონს ისევ მშვიდად ეძინა. როცა გამოიღვიძა, რაღაც გაოგნებული სახით შემოგვხედა, თითქოს ვერ მიხვდა, სად იყო... მერე მხრები თავისი ჩვეულებრივი მანერით შეარხია და მოულოდნელად ბიჭებს ჰკითხა:

— რა უნდა ჩემგან, ძამიკო? „ბარაშკაჯან“ ხომ არ დამიწერია, „მერი“ დავწერე...

მერე თითქოს თავისივე ნათქვამის გამო უხერხულობა იგრძნო, თითქმის ბავშვივით შერცხვა და კარებისაკენ გაეშურა. ჩვენ აღარაფერი გვითქვამს მისთვის... ძმებმა რა იფიქრეს ამ უხერხული შეკითხვის გამო, ვერაფერს ვიტყვი. მე კი ანაზდეულად მომაგონდა, მისი „ლურჯა ცხენები“ და „გურიის მთები“, რის გამო უცნაურ სიუჟეტს ჩემებური გამართლება მოვუძებნე. რასაკვირველია, არავითარი ოინს, ყალთაბანდობას ადგილი არ ჰქონია.

ალბათ, მას პოეტური აღმაფრენა ან სიყმაწვილის ნოსტალგია დაეუფლა, ანგარიშმიუცემლად სახლის წინ გაქანებული ეტლი შეაჩერა და მეეტლეს ჩაუჯდა.

წინ, მეეტლევ! ეს ცხენები გააქანე,
გააქანე...
მაშ გარეკე ეგ ცხენები, სადმე
შორს-შორს წამიყვანე.

პოეტს ჩვენთვის აღარაფერი არ უთქვამს, დაგვტოვა, გავიდა გარეთ.

ჩვენ სადარბაზოში საკმაოდ ბნელოდა, მე კიბეებზე ფრთხილად ჩავაცილეუცბათ რაღაცა დაჩივლებისდაგვარი ხმა მომესმა. მგონი, სულაც ჩემდა გასაგონად გრიშაშვილის ერთი მეტად კარგი ლექსი გაიხსენა, რომელიც გულწრფელად მოსწონდა და რომლის ავტორს უდაოდ დიდ პატივს სცემდა, „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“.

„ქვევით ბაზარზე კვირადღით,
ვანქთან, მტვრიან ქუჩებში, დამპალ
ჰავაზე
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა —
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.
აი, სად ჰყრია ჩვენი დიდება,
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!
აი, ქართლის ხმა სად იყიდება —
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!

დღეს მე საკმაოდ ხანდაზმული ვარ იმისათვის, ჩემი მოგონებები წესრიგში რომ მოვიყვანო და ყველაფერი შეუცდომლად გავიხსენო. ჩემს ახალგაზრდობაში, გაცილებით მეტი რამ მახსოვდა, ვიდრე ეხლა.

საინტერესოა, რა რას ანათებს თავისთავად — ყოფითი ბიოგრაფია შემოქმედებას თუ შემოქმედება ბიოგრაფიას? ჩემი მეუღლე მეტყოდა ხოლმე: „კაცმა რომ თქვას, განა თვით შემოქმედება არ არის ყველაზე დიდი და ყველაზე მართალი ბიოგრაფია შემოქმედისა? და ისე, როგორც ყოველი ადამიანი ყველაზე ნათლად და ყველაზე მკაფიოდ თავის საქმეებში მოსჩანს, განა პოეტიც ყველაზე მეტად თავის ქმნილებებში არ მჟღავნდება“ ასე რომ, რა ყოფითი ისტორიაც არ უნდა ჰქონოდა გალაკტიონს თავს გადამხდარი, ის იყო ის, რაც მის დიდებულ პოეტურ ინტეგრალებში დაგროვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ჩემი დედისათვის, მწერალ მარიამ გარიყულისათვის, საყვარელი საქმე იყო მოგონებების წერა. სწორედ ამ სიყვარულმა დააწერინა ცნობილი მოგონებები „განვლილი გზა“. აქ ვის არ შეხვდებით — ძველსა თუ მის თანამედროვე, ცნობილ და ნაკლებად ცნობილ ადამიანებს. დედას განსაკუთრებული ალღო ჰქონდა ადამიანთა ხასიათების შეცნობისა: გარდა ამისა, სრული ნიჭიც იმისა, რომ მისი მოგონებები საინტერესო და მიმზიდველი ფორმით გადმოეცა. ის იხსენებდა და წერდა ისე, როგორც ვაჟას სწამდა: „ბევრი რამ უხერხულია სათქმელად ან საწერად, ბევრი რამ უხერხულია მოყვე. ბევრი რამ უნდა დამალო, ბევრი რამ უნდა თქვა, რაც სიმართლეს შეეფერება, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, გადაუჭარბებლად, გულწრფელად, სიმართლის შიშის გარეშე“.

და აი იყო 1924 წლის დეკემბრის თვის ერთი ცივი თოვლჭყაპიანი საღამო. გორიდან თბილისში ჩამოსულმა პირად საქმეებზე, ჩვეულებრივ პოეტ ქალთან, დარია ახვლედიანთან შევიარე, — მოგვითხრობს მარიამი: „სასიამოვნო იყო ქ-ნ დარიასთან გულთბილ და გულალალ ჭერქვეშ თავის შეფარება, ჟურნალ-გაზეთებით მოფენილ მაგიდასთან ჯდომა. მწერლების, კრიტიკის, საქართველოს ახლო წარსულის და მომავლის ავსა და კარგზე საუბარი“.

1924 წელი საქართველოში მეტისმეტად შემზარავი და ავად გასახსენებელი წელი იყო. ამ წლის აგვისტოში დაიწყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ქართველ მოსახლეობას მთავრობა სასტიკად გაუსწორდა. სისხლში ჩაახშო თითქმის მთელი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო. განკითხვის დრო აღარ იყო. მაშინ, ვინც გადარჩა, წყალი ჩაიგუბა პირში. დაზაფრული ინტელიგენცია, ვინც შემთხვევით გადარჩა, ოჯახებში იკრიბებოდნენ და გულის ვარამს შექმნილი სიტუაციის გამო ერთმანეთს უზიარებდნენ...

„აგიზგიზებულ ბუხართან მომსხდარიყვნენ შალვა კაშმაძე, ლადო მაჭავარიანი, უჭირისუფლო ტერენტი გრანელი და დიდი გალაკტიონი. გალაკტიონმა მოციაგე თვალები მომაგება და მისთვის ჩვეული მანერით, პირმოკუმულმა სიტყვადამარცვლით მომმართა: „მა-რი-ამ! მა-რი-ამ!“ შემდეგ ალბათ ჩემდა საპატივცემულოდ ფეხზე წამომდგარმა კიდევ ასეთი დამარცვლით უთხრა იქ მყოფთ: „ჰმ, თქვენ არ ი-ცით, ნამ-დვი-ლად არ ი-იცით, ეს ჩვე-ნი მა-რი-ა-მი-ა, ჩვე-ნი მა-რი-ა-მი“, არ ვიცი, მაშინ ეს ყველაფერი გალაკტიონისებური იყო თუ... ახლა, დღესაც როცა სადმე შემხვდება გალაკტიონი, ასევე მიმართავს ხოლმე განურჩევლად ყველას „ჰმ, ეს ჩვენი მარიამია, ჩვენი მარიამი“...

უცბად კარი შემოაღო და ოთახში შემოვიდა ყურებამდე პალტოს საყელო წამოწეული და თავზე წარბემამდე ბოხოხჩამოფხატული შავგვრემანი, გამხდარი კაცი.

— ოჰ, გიორგი! — ხელგაშლით შეეგება დიასახლისი. ყველა იქ მყოფნი ფეხზე წამოდგა.

— თქვენ არ იცნობთ ერთმანეთს? — შემეკითხა დარია. — გიორგი ქუჩიშვილი, მარიამ გარიყული, — გაგვაცნო.

გიორგიმ თავი ოდნავ დაგვიკრა ყველას. ხელი არავისთვის არ გაუწოდებია, სკამი უგემურად მისწია მაგიდასთან, ზურგშექცევით დაჯდა და ბუხარში მოლაპლაპე ნაკვერცხლებს დააცქერდა. იქ მყოფთ ყველამ ერთმანეთს შეხედეს.

— გიორგი, რა მოგივიდა? რადა ხარ ასეთ ხასიათზე? — შეეკითხა დარია.

გიორგიმ არ უპასუხა. მერე ერთბაშად წამოიძახა:

— კაცო, გაგიგონიათ, რა საშინელებას წავაწყდი.

ყველამ ყურადღება მისკენ მიიღო — რა მოხდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ავერ სახლის კუთხესთან, ზემოდან მომავალმა ტრამვაიმ არ გაიტანა?

— ვინ?! — მიაძახეს.

— პატარა თეთრი ძაღლი ბორბლებში ბურთივით ჩაუვარდა. ისე დაიკივლა!..

გიორგიმ ყურებზე ხელი მიიფარა. თითქოს იმ წუთშიც ესმოდა ფინიას კივილნარევი წივილი: ეს ამბავი ისეთი მწუხარებით გადმოგვცა გიორგიმ, ისეთი გულის დათუთქვით, რომ ყველას გუნება შეგვეცვალა და წუთით დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ გალაკტიონმა თავისებურად გადააქნია თავი და სთქვა: „სა-წყა-ლი ძაღ-ლი. ნეტავ რა უნდოდა ძაღლს იქ!“

ამ სიტყვებზე ყველას თავდაჭერილად გაგვეღიმა. გიორგიმ უმალ დაიჭირა გალაკტიონის ირონიული კილო და საყვედურით შეხედა...“

მკვლევარებს ხშირად დაუწერიათ: „გალაკტიონს მეგობარი არ ჰყავდაო“. ასე იყო თუ არა სინამდვილეში, ძნელია ამის დადგენა. რა არის საზოგადოდ ცნება „მეგობარი“? არსებობს ჭეშმარიტი მეგობარი ქვეყანაზე? ესეც საკითხავია! ქართველმა ბრძენმა კი დაგვარიგა: „არ მიენდობა გულითა, თუ კაცი გონიერია“. მე ვფიქრობ, გალაკტიონს, ალბათ, შესანიშნავად ესმოდა ეს შეგონება. მაგრამ ისიც ხომ ფაქტი იყო, რომ გალაკტიონს ერთი დიდი გულითადი მეგობარი ჰყავდა. ეს იყო გიორგი ქუჩიშვილი. ჩვენ ყველას გვახსოვს ამბავი მეორე მსოფლიო ომის. დიდი გასაჭირი ერთად გადაიტანეს. ჩვენ ყველა მარჯანიშვილის ქ. 4 ნომერში ვცხოვრობდით. ისინი კარის მეზობლები იყვნენ. კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ. ძალიან ხშირად შენიღბულ თბილისს ღამ-ღამობით დარაჯობდნენ. ვინ იცის, რამდენი გულითადი, მეგობრული საუბარი ჰქონდათ ერთმანეთთან:

„ჰაი, ჰაი, გიორგი!

ბევრი კარგი დრო გაგვატარებია ერთად. გადავყურებ იმ ბაღს, სადაც ოდესმე მე და შენ ბნელს ღამეში დივერსანტებს ვეძებდით (ბევრი კი ვიპოვეთ, აი!). გახსოვს, რამდენი ვიცინეთ? თუ არა ვცდები, ავერინა (მეზობელი) შეგვეჩეხა ხელში... გათავდა ის ომიც.

შენი გალაკტიონი. 1946 წ“.

მეორე წერილში წერს:

„ძვირფასო გიორგი! რომ იცოდე, როგორ მინდოდა შენი ნახვა, შენთან საუბარი, გახსენება ბევრი ისეთი რამის, რაზედაც სხვასთან ვერ ილაპარაკებ. მე და შენ კი, ჰაი-ჰაი, გიორგი, გვესმოდა და გვესმის ერთმანეთის. მე კი არა, ვის არ უყვარხარ, გიორგი, ვინ არ გცემს პატივს, შენს იშვიათ პატიოსნებას, შენს გულწრფელობას, შენს პირდაპირობას. შენ ხარ იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა გადაუხვიოს პოეტმა ერთხელ არჩეულ გზას“.

გალაკტიონის მეგობრობასთან დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი ფაქტია საინტერესო. გალაკტიონი მეგობრობდა ი. გრიშაშვილთან, 1911-1912 წლებში უძღვნა პოემა „მწყემსი“ და ოთხი ლექსი. ერთერთ წერილზე, რომელიც მან 1912 წ. მისწერა ი. გრიშაშვილს, ადრესატმა გალაკტიონის სიკვდილის შემდეგ მიაწერა: „ასეთი დარჩი ბოლომდე“.

ახალგაზრდობაში გალაკტიონი ი. გრიშაშვილს უგზავნის წერილს: „გამარჯობა, იოსებ! როგორ მინდა, რომ ეს წერილი მალე მიიღო და სამაგიერო წერილი იმ დღესვე გამომიგზავნო. მე უნდა ვისარგებლო ეხლა შენის მეგობრული რჩევით ნაწერების ცალკე გამოცემის თაობაზე. ქუთაისში კიდევ გავმართე ამხანაგების საშუალებით ხელისმოწერა, და გროვდება ფული. თბილისში ჩამოსვლისას ცოტახანს მაინც მეყოფა ეს ფული. შენგან ველი დარიგებას საქმეზე. შენ მითხარი — ქაღალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი და სტამბა ნდობით დავივალოთო. ძალიან კარგი იქნება, ჩემო იოსებ, თუ ეს შესაძლებელია? დამავალე და გამიგე. ნუ დაივიწყებ, წიგნი პატარა იქნება, ორშაურიანი. დიდხანს ნუ მაცდევინებ. მოუთმენლად ველი პასუხს. შენი ნიჭის თაყვანისმცემელი

გალ. ტაბიძე. 1911 წ.

წავიკითხე „ჩამომეხსენი" — საუცხოო ლექსია. ისე მომეწონა, რომ ზეპირად დავისწავლე".

მე არა მგონია, რომ უმეგობრო კაცი (თუ მართლაც ასეთი იყო გალაკტიონი) შესძლებდა გულის ასეთ გახსნას, როგორც ეს მოხდა პოეტის შემოქმედებაში.

„იცი, საყვარელო სოსო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება, სენი მარტოობისა. ესეც რომ თავისებური ავადმყოფობაა! და ვით სიკვდილით დასჯილი სახრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს, ვგრძნობ სულით ობლობას. ჩემს უთვისტომობას. ამიხსენი მეგობარს ეს მდგომარეობა. ვერაფერი გამიგია ამ ჩემი უცნობი გრძნობის „მარტო ვარ, მარტო, რა გაეწყობა?"

1912 წელს ერთ მის მეგობარს, ვინმე მიხა ბოჭორიშვილს, წერს. „დეე. სხვებმა იძახონ, რომ ადამიანის გული გამოუცნობი სფინქსია. რა სფინქსი, რის სფინქსი? ადამიანის გულში ხუთი წლიდან ოთხი წელი გარეული ნადირი ზის. ეს გარეული ნადირი შესაჭმელად ეტანება ყველა ჩვენგანს. მაგრამ მე ვეღარ მაშინებს ეს. საკმარისად გავიცანი ცხოვრება, რომელშიც ბევრი არ მიგემია სიტკბოება, მაგრამ უბედურებები ხომ ჩემ ხელთ იყო... რაც უფრო ვარ ადამიანებისაგან შორს, მით უფრო მეტს სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობ. არსად არ ვგრძნობ თავს ობლად და მარტო, როგორც სხვასთან. თუნდ საზოგადოებაში. მაშინ ჩემი სასოწარკვეთილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს. და არ ვიცი, რა ვქნა.

მე პირადად არ მომწონს კაცის ასეთი უცნაური ბუნება-განწყობილება, რადგან ჩემი უახლოესი ადამიანიც ასეთივე იქმის ასეთივე იყო. ადამიანების სიმრავლეს შეგნებულად გაურბოდა. უყვარდა ნადირობა, მარტოობა და სიმშვიდე. თუმცა, სულო ცოდვილო, როგორ შემიძლია არ გავიხსენო მისი გულითადი მეგობრობა გიორგი ნატროშვილთან, აკაკი გაწერელიასთან, ვიქტორ გაბესკირიასთან, კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, გია მარგველაშვილთან. მასზე უფროსი თაობის მწერლებთან პავლე ინგოროყვასთან, ალექსანდრე ქუთათელთან, გერონტი ქიქოძესთან, ლეო ქიაჩელთან. ყველა ესენი უანგაროდ უყვარდა და მათთან მეგობრობა დიდ სიამოვნებას და სიცოცხლეს ანიჭებდა.

გავიხსენებ თვით გალაკტიონის ჩანაწერს მარტოობისა და განდეგილობის შესახებ' „არაფერი ისე არ აცხოველებს ადამიანს... როგორც თავის მსგავსს ადამიანებთან გართობა, და მეორეს მხრივ, არაფერი ისე არ ტანჯავს ადამიანის სულს, არაფერი არ ბადებს მასში ისეთ სევდიანობას, გულგატეხილობას, როგორც გრძნობა მარტოხელობისა და განყენებულობისა. ერთმანეთის დახმარება — აი, რა არის საჭირო".

ეს ყოველივე თეორიულად, თორემ სინამდვილეში გალაკტიონი მშვენივრად გრძნობდა, რომ მერყევი, გაორებული განწყობილებები ორგანული, თანდაყოლილი კი არ იყო მისთვის, არამედ ცხოვრების პირობებმა შეუქმნა მას ასეთი განწყობილება.

ცხოვორებაში თავსგადახდენილ კომიკურ, სასაცილო შემთხვევებს გალაკტიონი არასოდეს არ ჩქმალავდა და საუბარაოზე ვამოჰქონდა, რაც არამც თუ ჩვენ, მგონი, მასაც ამხიარულებდა. ერთხელ მისმა მკურნალმა ექიმმა პონდოევმა (მგონი, მწერალთა კავშირის პოლიკლინიკის ექიმი იყო), ასე დაარიგა:

— შენი ავადმყოფობა გამოწვეულია ცუდი ჰიგიენური პირობებით და არა ორგანიზმის მდგომარეობით. ცუდი ბინა, მძიმე გონებრივი მუშაობა, ცუდი საზრდოობა და სხვა. უნდა შეიმუშავო თავისთავზე ზრუნვის წესები. საჭიროა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიანი აუღელვებელი ცხოვრება, ნუ შეხვდები ისეთ ადამიანებს, რომელთაც ახასიათებთ პესიმიზმი, მძიმე სულიერი განწყობილება.

შემდეგ გალაკტიონი მოუყვა ექიმს:

— ყურებში ხმაურობა მესმოდა. შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი — სულ ერთად იყვნენ არეულნი! ხან კი თითქოს კოღო დამწიოდა ყურთან. როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი ექიმ პონდოევს, მან თვალები გააღო გაოცებისაგან. მის სახეზე წავიკითხე: შეშლილაო საწყალი გალაკტიონი“.

ერთხელ, მწერალთა კავშირის კრებათა დარბაზში „პოეზიის საღამო“ ტარდებოდა. დარბაზში შემოიმართა გალაკტიონი ხელში ქაღალდის პარკით. პრეზიდიუმს ჩაუარა, იქ მსხდომთ ღიმილით მიესალმა და იქვე, როიალის გვერდზე, დაჯდა იმ უზურგო ლამაზ სავარძელზე, რომელზეც ყოველთვის ჯდებოდა ხოლმე ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. ცოტა ხანში გამსახურდიაც შემოვიდა დარბაზში, და დაინახა რა გალაკტიონი იჯდა ეგრეთწოდებულ მის სავარძელზე, არც არაფერი შეიმჩნია, ისე დაჯდა უბრალო სკამზე გალაკტიონის გვერდით. სანამ საღამო გაიხსნებოდა, ისინი ერთხანს მდუმარედ ისხდნენ. დარბაზში რაღაც დაუდგენელი აშკარა უხერხულობას ვგრძნობდით, მიზეზს კი ვერ ვხვდებოდით. მერე გალაკტიონმა პარკიდან ერთი ცალი სურნელოვანი წითელი ატამი ამოიღო და კონსტანტინეს შესთავაზა ალერსით: „ჰა, კოწია, მიირთვი, გეთაყვა, გემრიელია!“ კონსტანტინემ გორიზად შეხედა გალაკტიონს — არც არაფერი უპასუხა, წამოდგა და ადგილი გამოიცვალა. ხალხი გაოცებული დარჩა. ზოგს გაეცინა კიდეც. ბევრი ვერც ვერაფერს მიხვდა, რა ოინი იყო ეს... ეს საქციელი წინასწარ მოფიქრებული იყო თუ შემთხვევითი?! ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონს ვერაფერს მიუხვდებოდით...

მე ძალიან გამიკვირდა. შევწუხდი, გვერდზე მჯდარ მეგობარს მივმართე:

— გამაგებინე, რა ბოლა? ხუმრობა იყო თუ აბუჩად აგდება?

სიტყვა არ გავაგრძელე, ენა დამება. მეგობარმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არ ეპატიება“. მე კი სხვაგვარად გამოვთქვი: „შენ ჯავრობ, იუპიტერო, მაშასადამე მართალი არა ხარ“.

სხვა შემთხვევა — მეგობრის ნაამბობიდან: გამიგონია, გალაკტიონი ცხოვრებაში ბავშვივით მორცხვი იყოო. ეს ადამიანის მეტად კეთილშობილი თვისებაა. მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება ხოლმე, — მითხრა დიდი ხნის წინათ ჩემმა მეგობარმა, ქალბატონმა თინათინ ღვაბერიძემ. (ერთად ვმუშაობდით № 113 საშუალო სკოლაში). მივხვდი რა, რომ ამბავი გალაკტიონს ეხებოდა, გულისყურით ვუსმენდი.

ჩემი სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტში რომ ვსაწვლობდი, — მიყვებოდა თ. ღვაბერიძე, — ახლობელი ნათესავის შვილი მესტუმრა რაიონიდან, ჩემი სკოლიდან. მოსწავლე ბიჭი იყო და არდადეგებზე ჩამოვიდა. ზამთრის სუსხიანი დღეა, ძალიან ციოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ თეატრში წავსულიყავით დღის სპექტაკლზე. გამოვედით გარეთ და მარჯანიშვილის თეატრისკენ მიმავალ ტროლეიბუსს ძალიან დიდხანს ველოდებოდით. უცბათ ბიჭმა შეამჩნია ბაქანზე წინდაუკან უცნაურად მოსიარულე კაცი, რომელიც მხრებს უხერხულად ატოკებდა, კოჭებამდე ჩაფართხუნებული პალტო ეცვა და შუბლს მაღლა გადაწეული შლიაპა ეხურა. გამვლელ ხალხს დაინტერესებით უყურებდა.

— მამიდა, ვინაა ეს უცნაური კაცი? — მკითხა ბიჭმა მოულოდნელად.

— არ იცი? საქართველოს პირველი მგოსანი, გალაკტიონ ტაბიძე, — ვუთხარი მე.

— ტაბიძე გალაკტიონი?!

ბიჭს, ვერც წამოედგინა, თუ გალაკტიონს ქუჩაში ნახავდა. აშკარად შეეტყო, გული რაღაც დიდი სიხარულით აღევსო და უმალ სიამოვნება სახეზე გამოეხატა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მოდი, მამიდა, ნუ წავალთ თეატრში, უკეთესი იქნება პოეტს მივყვეთ, სადაც წავა.

ბიჭს ძალიან უყვარდა გალაკტიონის ლექსები და ცოცხალი პოეტის ნახვა დაუჯერებლად მიიჩნია. გალაკტიონს ფეხდაფეხ მივყევით და პირველსავე ტროლეიბუსში შევედით. ჩემი ბიჭი ვაგონში მიდგა-მოდგა, პირდაპირ წინ დაუდგა გალაკტიონს და უსირცხვილოდ მიაჩერდა მას. როგორც ჩანს, გალაკტიონს ძალიან არ უყვარდა, როცა მას დაჟინებით უცქერდნენ. ბიჭი გვერდზე მისწია და თავისთვის ჩაილაპარაკა: „უზრდელი ბიჭი! უ-ზრდე-ლი...“ ხალხით გაჭედილ ტროლეიბუსში გალაკტიონი არ დამჯდარა, თუმცა კი მოწიწებით შესთავაზეს ადგილი. ვაგონი გამუდმებით ირწეოდა, და გალაკტიონიც უნებლიეთ ხალხთან ერთად ირწეოდა. მგზავრებს ისე ათვალიერებდა, ვერ გაიგებდი, ვინმეს ეძებდა თუ რაღაცის თქმა უნდოდა. რამდენიმე კვარტალი რომ გავიარეთ, კარებისკენ გაეშურა, ხალხმა გზა დაუთმო მორიდებით, ვინ არ იცოდა, რომ იგი დიდი პოეტი გალაკტიონი იყო. ვიდრე ტროლეიბუსი გაჩერდებოდა, მან თავისი ფართეფარფლიანი შლიაპა კეფაზე მოიგდო, პალტო სასწრაფოდ შეიხსნა და გულის ჯიბიდან ფული ამოაძვრინა. მერე მიმართა მძღოლს:

— ძამიკო, რაც ამ ვაგონში ხალხია, ყველას ვპატიჟებ.

დარდიმანდულად ფული მძღოლს დახლზე დაუდო და ჩასასვლელ კარებს მიადგა. კიბეზე ჩასვლისას, გამარჯვებული, კმაყოფილი სახით კიდევ გადახედა ხალხს და გარკვევით თქვა:

— პოეტური თავისუფლება! Sicenfin poetica!

— რაო? რა თქვა, ეწყინა რამე, თუ? — იკითხა ბიჭმა ცნობისმოყვარეობით.

— არა, თავისი თავი დაახასიათა, ლათინურად ნიშნავს პოეტური თავისუფლება, — ავუხსენი მე.

ბიჭი მაინც ვერაფერს მიხვდა, ვერაფერში გაერკვა, ხოლო დაღონებულმა ეს მითხრა.

— ხედავ?! რა უცნაური ადამიანი ყოფილა თურმე!

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ვიღაც მანდილოსანი, — ეს წმინდა წყლის ექსცენტრიულობაა.

— იმას კი ვერ მიხვდა, რომ ეს იყო წმინდა წყლის „პოეტური თავისუფლება“ და სხვა არაფერი. ან იქნებ სურდა უბრალოდ ადამიანები საგონებელში ჩაეგდო, — მითხრა ჩემმა მეგობარმა.

გალაკტიონს დარჩა თავისი ჩანაწერების უზარმაზარი არქივი. ამბობენ, ყველა მათგანი არ არის გაშიფრული და შესწავლილი. ჩვენ არც ის ვიცოდით, მის სიცოცხლეში რომ მხატვრობის ნიჭიც ჰქონდა. ის არ ყოფილა ფერმწერი, ხატავდა ფანქრით, მაგრამ რასაც ხატავდა, ძალზე საინტერესო იყო იმით, რომ გასაოცარი ალღოთი და მიხვედრით ჰქონდა ნახატის ყოველი შტრიხი გააზრებული, ძირითადად კომიკურ სტილში შესრულებული, მაგრამ არა პასკვილური ხასიათის.

ვფიქრობ, საინტერესოა ერთი გარემოების გახსენება. მახსოვს, 1955-1956 წლებში გ. ტაბიძე და ლ. კალანდაძე ერთდროულად მწერალთა კავშირის პოეზიისა და კრიტიკის სექციებში მუშაობდნენ. ლავროსი კალანდაძემ მიამბო:

გალაკტიონი წერდა იქ რაღაცას როცა წერას მორჩებოდა, დიდ კარადაში შეინახავდა ხოლმე დაწერილს. ნეტავ სად გაქრა ის კარადა? ან იმ ნაწერებს რა ბედი ეწვია?

იყო ისეთი დრო, როცა გალაკტიონი დიდ გულისწყრომას გამოთქვამდა არსებულ ხელისუფლებაზე.

გალაკტიონს მეტის-მეტად აწუხებდა ის გარემოება, რომ ჩვენი მხცოვანი, სახელოვანი მწერლები — ვასილ ბარნოვი, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, განდეგილის ქალი და სხვებიც შიმშილისაგან სულს ღაფავდნენ... მეორე მხრივ, კი „დედაქალაქში დიდი ორომტრიალის, არევ-დარევის, ენის სიწმინდის დარღ-

ეევის, დაცემულობის ხანა ზეიმობდა. ფუტურისტები, სიმბოლისტები, დეკადენტები გაჰკიოდნენ' „ჩვენ და ჩვენ", დროს ატარებდნენ „პოეტების კაფეებში", „ქიმერიონში", „კაფე-დარბაზში". ეს დარბაზები მათი საასპარეზო იყო. გალაკტიონს კი გული შესტკიოდა ასეთი ვითარების გამო. გალაკტიონს, მისი ბუნების, მისი კრისტალური ხასიათის გამო არ შეეძლო მათ გვერდით ყოფილიყო, რისთვისაც ის მონათლეს განდეგილ, უმეგობრო ადამიანად.. მაგრამ, თუ დავინტერესდებით და გავეცნობით პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დავრწმუნდებით, რომ ის იყო შრომისმოყვარე და ჭეშმარიტი მგოსანი. მან, თავისი ინტეგრალური პოეზიის გარდა, შექმნა ვეებერთელა პროზაული ჩანაწერები მრავალ პრობლემურ საკითხზე. წერდა დღიურებს, მოგონებებს, დაწერა პოემა „ჯონ რიდი", ფრიად ვრცელი პოემა „მშვიდობის წიგნი", ვრცელი პროზაული მოთხრობა, ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრება და შემოქმედება, ლირიული მოთხრობა რატიზე და ბესოზე, მოთხრობა აკაკიზე (ეს მისი განყენებული თემაა), პატარა, მცირე ჩანაწერები ბარათაშვილზე, ილიაზე, ვაჟაზე, პოეზიის დღეზე — „პოეზია უპირველეს ყოვლისა", რომელშიც გადმოცემულია მისი პირადი, ორიგინალური, საპროგრამო პოზიცია. „ნიქოზის „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ. პირადი წერილები დედისადმი, მეუღლისადმი — „ოლოლ"-სადმი, ახლო მეგობრებისადმი და უამრავი სხვა.

— განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ითხოვს მისი უამრავი წერილი და ჩანაწერები 1934 წელს პარიზში ჩატარებული მსოფლიო მასშტაბის მწერალთა კონგრესზე, რომლის დელეგატი თავად იყო... თვითეულ სიტყვას, ყრილობაზე წარმოთქმულს, უკეთებდა საკუთარ კომენტარებს. ეს ყველაფერი დაბეჭდილია მის XII ტომში.

გალაკტიონს მოსწონებია მწერალ მიხეილ კოლცოვის ყრილობაზე გამოსვლა. კოლცოვმა აღნიშნა: „პარიზში 1872 წ. კონგრესს თავმჯდომარეობდა ვიქტორ ჰიუგო. რუსეთის დელეგაციის მამამთავარი კი იყო განთქმული მწერალი ი. ტურგენევი. ტურგენევმა მაშინ განაცხადა: „ასე თუ ისე, რუსული მწერლობა არსებობს, მან ევროპაში მოითხოვა მოქალაქეობრივი უფლება. ჩვენ შეგვიძლია სიამაყით ჩამოვთვალოთ თქვენთვისაც ცნობილი პოეტები — პუშკინი, ლერმონტოვი, კრილოვი. პროზაიკოსები გოგოლი, კარამზინი. თქვენ მოიწვიეთ რუსეთის მწერლები მონაწილეობის მისაღებად თანაბარუფლებიანობის საფუძველზე. ორასი წლის წინათ ჩვენ მოვისწრაფვოდით თქვენსკენ, არ გიცნობდით რა თქვენ. ორატორმა ისიც გაიხსენა, რომ ტურგენევს გადამეტებულმა თავმდაბლობამ ათქმევინა — ასი წლის შემდეგ ჩვენ ვიყავით თქვენი მოწაფეები და ახლა თქვენ გვიღებთ, როგორც მეგობრებს. ჩვენ გვწადია მივესალმოთ პარიზში საფრანგეთს, დიდი იდეების და კაცთმოყვარე მისწრაფებათა მქადაგებლებს: კოლცოვმა აგრეთვე გაიხსენა, რომ ტურგენევის თავმდაბალმა გამოსვლამ გამოიწვია რუსეთის პრესაში დიდი უკმაყოფილება ეპოქის გამოჩენილი მწერლების — ლევ ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკის, ა. ჩეხოვის არმოხსენების გამო.

არ ვიცი, ეს ვერსია დასაჯერებელია თუ არა, მაგრამ მე ერთხელ წავიკითხე — ი. ტურგენევი, ლონდონში ყოფნის დროს, გაეცნო რა ლ. ტოლსტოის ნაწარმოებებს, უაღრესად აღფრთოვანებულმა, უგულწრფელესი აღიარებით განაცხადა: ქვეყანას მოეელინა ლიტერატურის მზე — ლევ ტოლსტოი. აქედან უნდა ვიფიქროთ, რაოდენ დიდი იყო მაშინდელ ადამიანებში გულწრფელი უშურველობა, აღიარება ხალასი ნიჭისა...

ერთხელ გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია: „გულგასახეთქი ამბავი. როდესაც ოთახში შევედი და გავაჩირაღდნე, ფანჯარა გავაღე, სახლის წინ დადგა ორი ახალგაზრდა ხულიგანი და ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა, დაცინვით იძახდნენ: „გალაკტიონ! გალაკტიონ! ეს იყო კოშმარი! მე დამცინოდნენ. მე დამცინიან პირველად ჩემს ცხოვრებაში. ალბათ ღირსი ვარ, ალბათ არ ვარ კაცი, აღარ მაქვს ნებისყოფა, აღარა ვარ ღირსი პატივისცემის, ან ვინ უნდა მცეს პატივი, როდესაც მე თვითონ პატივს არ ვცემ თავისთავს. მე ვერ ვუსწორდები ჩემ დაჩაგრულ ბედს, მაშასადამე, არ ვარ ღირსი მოკრძალებისა... — ეჰ, შენ იქნებ მოითხოვ ძველებურ თაყვანისცემას. ნუ თუ არ იცი, რამდენი ხანი ემზადებოდნენ, რომ შენ ამ მდგომარეობამდე მიეყვანეთ. ღმერთო, ღმერთო... როდემდე გაგრძელდება ეს. დამცინიან ჩემი სახლის წინ? არა, ეს ნამეტანია, ეს სირცხვილია, ეს აბუჩად აგდებაა... კმარა, კმარა, ომი! ხმალში გაწვევა უდიდესი ხსნაა". ეს იყო 1948 წელი. ასეთ უკიდურესად მელანქოლიური განწყობილების ჩანაწერები გალაკტიონს მრავლად აღმოაჩნდა. ჩვენ კი, წამკითხველებს, სულს გვიხუთავს, და ისმის კითხვა — რატომ, რისთვის, ნუ თუ არ იყო საშველი?!..

გალაკტიონს როგორც ბრწყინვალე პოეტს, ხშირად უმართავდნენ საღამოებს მას ძალიან ახარებდა და ენერგიას აძლევდა მზადება საღამოსათვის ნაძალადევში. ქ. თბილისის რკინიგზის ქალთა მე-2 სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ქალი, ქ-ნი თამარ ცაგარელი აქტიურად მუშაობს ჩემი საღამოს მოსაწყობად. იგი დღეს ჩემთან მოვიდა. თან მოჰყვა მწერალ მარიამ ვარიყულის ქალიშვილი ანა რატიანი, ჩემი მეზობელი. ის ქ-ნ თამარს ეხმარება ამ საქმეში. დადგინდა საღამოს მოწყობა ნაძალადევის მუშათა კლუბში. მოსაწვევ ბარათს წამძღვარებული ექნება ადგილი ჩემი ლექსიდან „ჩვენ გავიმარჯვებთ". ეს წიგნი „ჩვენ გავიმარჯვებთ" გამოვიდა 1944 წელს ლ. კალანდაძის რედაქტორობით. საღამო მოეწყობა 8 მაისს. საბოლოოდ დადასტურდა თემები: 1. გ. ტაბიძის ცხოვრება და ოქტომბრის რევოლუცია. 2. პატრიოტიზმი გ. ტაბიძის შემოქმედებაში. 3. გ. ტაბიძე როგორც საბავშვო მწერალი 4. გ. ტაბიძის გავლენა თანამედროვე ქართულ მწერლობაზე. 5. გამოვა სპეციალური კედლის გაზეთი და ხელნაწერი ჟურნალი... ასეთია მოსაწვევი ბარათის შინაარსი. საღამო გაიმართება 1949 წლის 15 მაისს. საღამო მიეძღვნება სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, გალაკტიონ ტაბიძეს. შეხვედრის პროგრამაში მონაწილეობას იღებს IX-X-XI კლასის მოსწავლეები. მოსწავლეები წაიკითხავენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს და ავრეთვე მისდამი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს. როდესაც გაიგეს მოსწავლეებმა, რომ პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსების კითხვა იქნება, თითქმის მთელმა სკოლამ მოინდომა ლექსების წაკითხვა. „ლექსების კითხვას ვერ აუვედი", — თქვა მასწავლებელმა ქალმა თამარ ცაგარელმა. მთელი კორიანტელი დააყენეს ბავშვებმა. აურზაური ატეხეს. დირექტორთან გაიქცნენ. „დამშვიდდით, თქვენ დასწერეთ და მე გაგისწორებთ", — უთხრა დირექტორმა. ამ სიტყვებით დააშვიდა მოსწავლეები".

მე ხელთ შემომრჩა ორი ლექსი, დაწერილი უფრო მოგვიანებით. გალაკტიონი ამ ლექსებს არ იცნობდა. მაგრამ მათი გამომზეურება ახლაც გვიანი არ იქნებოდა, თუ გინდ მარტო იმისთვის, რათა თანამედროვე მოსწავლე ბავშვებს მაგალითი მისცემოდათ. იმ დროს ასეთი ბეჯითი და ნიჭიერი მოსწავლეები მრავლად მოიძებნებოდა სკოლებში. მერე ისინი დროთა განმავლობაში სასახელო პიროვნებებად ყალიბდებოდნენ.

გალაკტიონი ისეთი ხასიათის ადამიანი იყო, რომ რატომღაც ხშირად გულუბრყვილობის, სიმორცხვისა და მორიდებულობის გამო ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა. ამ ხასიათის გამო იგი საოცარი სიცხადით და გულწრფელობით წერდა: აკადემიის პრეზიდიუმში. აკადემიის სხდომათა დარბაზი სავსეა მხცოვანი აკადემიკოსებით. ა. შანიძე მომმართავს მე:

— მობრძანდით პრეზიდიუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ შემიძლია რაღაც! — ვეუბნები.

სხვებმაც მთხოვეს;

— მობრძანდით, მობრძანდით!

არ მინდოდა, მაგრამ დავთანხმდი. ამგვარად პრეზიდიუმში დავიკავე ადგილი. იქ იყვნენ აკადემიკოსი მ. წინამძღვრიშვილი, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და სხვები. მე გადაჩვეული ვიყავი თვალსაჩინო ადგილზე ყოფნას. თან ეს წვერები, რომლებიც საგრძნობლად მომეზარდა. ესეც უხერხულობას მიქმნიდა. აკადემიაში პირველად ვარ საპრეზიდიუმო მაგიდასთან — არ ვარ მიჩვეული ასეთ საქმეს. ამიტომ მგონია, ყველა მე მომჩერებია. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს. ვცდილობდი როგორმე დავმშვიდებულიყავი. ამიტომ ამოვიღე უბიდან ქაღალდი და ლექსი-ექსპრომტი „1 მაისი“ რამდენჯერმე გადავიკითხე. ა. შანიძე დაინტერესდა რას ვკითხულობდი. გამომართვა და გულდასმით რამდენჯერმე გადაიკითხა — რაღაც შემისწორა, რაღაც მირჩია ლექსის ირგვლივ.

— წაიკითხეთ ეს „ექსპრომტი“ ამ აუდიტორიაში...

მე შეშინებით ვუთხარი:

— რას ბრძანებთ! მე არასგზით არ შემიძლია. დიდი ხანია საზოგადოებაში არაფერი წამიკითხავს.

— კარგით, მაშ მე წავიკითხავ, ნებას მაძლევთ?

გავიფიქრე, ეს აკადემიაა... ბოლოს დავთანხმდი. ვიცე-პრეზიდენტი წაიკითხავს ჩემს ლექსს! საოცრება — აკადემიის ისტორიას არ ახსოვს, რომ მის ტრიბუნიდან ვინმეს ლექსი წაეკითხოს. მე აღელვებული ვარ, რაღაც უნდა მოხდეს! ვიცე-პრეზიდენტმა თვალი მოავლო აუდიტორიას, მერე განაცხადა.

—ნება მომეცით, მე წაგიკითხოთ ლექსი-„ექსპრომტი“ გ. ტაბიძის, აკადემიკოსის, — თან აუდიტორიას ორაზროვნად გადახედა! მერე მე შემომხედა, მერე ისევ საზოგადოებას. დარბაზი გამოცოცხლდა. ყველა კუთხიდან ისმის შეძახილი:

— წაიკითხოს თვითონ!

მართლაც მეტი გზა არ იყო, წამოვდექი და ტრიბუნისაკენ გავემართე. გასაოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. დავიწყე ლექსის კითხვა დინჯად. არ ვფელავდი განა! რეკავდა ჩემი ხმა. ვგრძნობდი, რომ ეს იყო აკადემიის აუდიტორია, უმაღლესზე უმაღლესი აუდიტორია, რომელმაც იცის სხვისი და თავისთავის ფასიც.

არასდროს ასე კარგად მე ლექსი არ წამიკითხავს. რომ დავამთავრე, ოვაციები გამიმართეს.

—ამიერიდან ყოველ პირველ მაისს აქ ლექსით უნდა გამოხვიდეთ, — მითხრა გ. ახვლედიანმა. მე გავიმარჯვე... მეორე დღეს ჩემი ლექსი გადასცეს რადიოთი. მწერალთა კავშირის საპირველმაისო საზეიმო სხდომაზე წავიკითხე იგივე ლექსი. ერთი სიტყვით, ჩემი საპირველმაისო გამოსვლები ტრიუმფით ჩატარდა...“

გალაკტიონი, ჯანსაღი თუ არაჯანსაღი, საოცრად ჰგავდა თავის ლექსს. ამიტომ იყო, რომ საოცრად გვერიდებოდა და გვეკრძალებოდა მისი. ჩემს შემეცნებაში ეს იყო ადამიანი-ლექსი. ადამიანი, რომელიც დადის შენს ახლოს, ჩუმად, შიშით უთვალთვალებ და უკვირდები. თითქმის ყოველ დღე ვხედავდი. ჩვენი მწერალთა საცხოვრებელი სახლის წინ (მარჯანიშვილის ქუჩაზე) პატარა ბაღში სასეირნოდ გამოსულ გალაკტიონს. რამდენჯერ მსურდა გამოვლაპარაკებოდი, თუმცა კი არ ვიცოდი, რაზედ. პატარა ბაღში მოსეირნე გალაკტიონი ვოლიათს ჰგავდა და იდუმალებით სავსე თვალებით მშიერ ბელურებს მისჩერებოდა. იგი რაღაცას ფიქრობდა. შეიძლება, ფიქრობდა ამას:

ცხოვრება ჩემი ჯანკარეს ღვინის ფერია!
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე,
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის გარეშე უკვდავებაც
არაფერია...
მე არც წარსულის, არც მომავლის
არ მეშინია
(„ცხოვრება ჩემი“).

ამ ლექსში სრულებითაც არ ჩანს მელანქოლიური განწყობილება. პირიქით, ლექსი უაღრესად ოპტიმისტურია და ასეთ უბადლო მთლიანობაშია გადმოცემული მისი სულის მოძრაობა, და რაოდენ გაოცებული — გაოცებული კი არა, შეშფოთებულია.

●

ჩემი მეუღლე ლავროსი კალანდაძე საკმარისად იცნობდა გალაკტიონს, როგორც პიროვნებას, როგორც მოღვაწეს და, რაც მთავარია, როგორც პოეტს, დიდ შემოქმედს. ერთხანს ისინი ერთად მუშაობდნენ მწერალთა კავშირში — გალაკტიონი პოეზიის განყოფილებაში და ლავროსი — კრიტიკის.

მინდა, მოგითხროთ ერთი ასეთი მოგონება, რომელსაც ჰქვია „სამახსოვრო სტრიქონები“. ამბავი მოხდა 1947 და 1949 წელს. „როგორ შეიძლება დავკარგოთ გაბნეული სტრიქონები დიდი პოეტისა... რაც არ უნდა იყოს, მისი სტრიქონები მაინც გაიელვებენ გალაკტიონისებურად და გაგვახარებენ... გალაკტიონი გულითადად მეგობრობდა მწერალ მარიამ გარიყულს, რომელიც ცხოვრობდა იმავე სახლში (მარჯანიშვილის ქ. 4), სადაც ცხოვრობდა თვითონ პოეტი. გალაკტიონს უყვარდა შეხვედრა და საუბარი მარიამთან. რამდენჯერმე მეც მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი გალაკტიონის სტუმრობას მარიჯანის ოჯახში. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს გალაკტიონმა სახელდახელოდ დაუწერა სამახსოვრო ლექსი მარიამის პატარა შვილიშვილს — უტანდარს, რომლის მამა სამამულო ომში დაიღუპა. როგორც მინაწერიდან ჩანს, ეს იყო 1947 წლის 26 ნოემბრის საღამო... აი ეს ლექსიც:

უტანდარს

დიდება ივერიისა
თვით რუსთაველმა მოჰკონა.
სამშობლო პირველ ყოვლისა,
ჩემო პატარა გოგონა...

ამ ერთსტროფიან ლექსში მძაფრად იგრძნობა დიდი მგოსნის უზომო სიყვარული სამშობლოსადმი... მგოსანი მარადჟამს მქადაგებელია იმისა, რომ მარად ახსოვდეს პატარას „სამშობლო პირველ ყოვლისა“.

ერთხელ მარიამი შეუძლოდ ყოფილა. მას უთხოვნია თავის რძლის, გულიკო (ქეთევან) მეტრეველ-რატიანისა და დისშვილის, მარგარიტა წეროძისათვის დაეკრათ ფორტეპიანოზე და ემღერათ ძველებური ქართული სიმღერები... ამ დროს მოსულა გალაკტიონიც. და მისი თხოვნით ახალგაზრდებს რამდენჯერმე გაუმეორებიათ ცნობილი სიმღერა „ახ, მეზურნეე“. ბოლოს გალაკტიონს აი ეს ლექსი უძღვნია მათთვის:

გულიკოს (ქეთევანს), მარგარიტას

თქვენ უკრავდით, თქვენ მღეროდით,
წაშლილია მდუმარება.
მასში ისმის სევდიანი
ჩემი ქვეყნის მდგომარეობა.

სული შეურყეველობისა —
თქვენთვის ისევ „ცისკარია“.
ასმა განვლო წელმა, დღესაც
მესმის, თითქოს სიზმარია:

„თუ ხარ საქართველოს შვილი,
დაჰკარ გრძნობით დაირასა“,
ნუ გგონია, რომ ეს გული
სამუდამოდ დაირაზა.

1949 წ., 18 11.

1949 წელს კვლავ უძღვნა გალაკტიონმა უტანდარს შემდეგი ლექსი:

უტანდარს

არის, უტანდარ, ქვეყანა ერთი,
ყოველ ქვეყნების ღმერთების ღმერთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელად ჰქვია მას საქართველო,
უტანდარ, ექმენ მას სასახელოდ!“

ბულიკოსა და მარგარიტასადმი მიძღვნილი ლექსის ტექსტი ოდნავ შეცვლილია. კარგი იქნებოდა, ლექსი ისევე დაბეჭდილიყო, როგორც ავტორმა დაწერა. რაც შეეხება ლექსს „უტანდარს“ — მარად და მარად სადიდებელი სტრიქონებია — ერთხელ თქვა და დაამტკიცა: „სამშობლო პირველ ყოვლისა“.

იმ მშვენიერ საღამოს მეც ვიყავი დედასთან და თავს ბედნიერად ვგრძნობდი გალაკტიონს შემყურეს. ის დედის საწერ მაგიდასთან იჯდა და თავჩაღუნული, შორეულ ფიქრებში წასული, ახალგაზრდების სიმღერას უსმენდა. მერე ქაღალდს დაწვდა და მთრთოლვარე ხელით რაღაცის წერა დაიწყო. მე მის გვერდით ვიდექი და ქურდულად ნაწერს დავხედე. გავოცდი, ასეთი რამე არ გამეგონა. ჯერ ლექსის ბოლო დაეწერა, მერე თავი დაადგა ზედ. მგონი, რაღაც გუმანით გაოცებას მიმიხვდა და დაკვირვებული თვალით შემომხედა, თითქოს მითხრა კიდეც: — რაო, არ შეიძლება? — მე გავწითლდი. მართლაც: რა ჩემი საქმე იყო?..

...მე მაქვს ერთი უნიკალური ფოტოსურათი: სტალინს დაბადების სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ჩვენი ქართველი მწერლების მთელი ლაშქარი დაიძრა ქ. გორისაკენ. მიდის მთელი მწერლობა (რა ადგილზეა გადაღებული ეს ფოტო, არ ვიცი). პირველ რიგში მიაბიჯებს საქართველოს პირველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. გვერდში მიყვება დედაჩემი მარიამ გარიყული, მის გვერდით, ძალზე მოხუცი ნინო ნაკაშიძე. ზამთარი იყო. ციოდა. უკანა რიგში მტრედის გუნდივით მიჰყვება გალაკტიონს მთელი მწერლობა. გალაკტიონი მიდის მდუმარედ, ჩაფიქრებული. საინტერესოა, რას ფიქრობდა? იქნებ იმას ფიქრობდა, რაც დაწერა კიდეც — „მასე არ შეიძლება, მასე არ შეიძლება, ამხანაგო სტალინ!“ აი სულ ეს არის, მთელი ლექსი. ოდესღაც ხომ თქმულა: „გრძელი სიტყვა ეფცალდ ეფქმის, შაირია ამად კარგი“, — სწორედ ამაზე ითქმის. გასაგებია რა იგულისხმა მგოსანმა...

სხვათა შორის, სხვა დროსაც მინახავს გალაკტიონი ქუჩაში მიმავალი სხვებთან ერთად.

1953 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა დედაჩემს, მარიამ გარიყულს, დაბადებიდან 70 წლისა და სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის აღსანიშნავი საღამო გადაუხადა, მწერალთა კავშირის კლუბში. საღამო იყო მეტად საინტერესო. შემდეგ კავშირმა უპირავი მწერალი მიიპატიჟა ვახშამზე, სასტუმრო „თბილისში“. საღამო იყო მშვიდი. მათ მიუძღვებოდა გალაკტიონი. დედა ხელკავით მიჰყავდა გოგლა ლეონიძესა და ლეო ქიაჩელს. „ეს გახსენება ეხლა სულ სხვაა“. პროსპექტზე მიდიოდა პოეტი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, გალაკტიონის შემხედვარეს, თითქოს წყნარ მთვარიან ღამეს შარავანდედი ედგა თავზე. მე ვშიშობდი, დაბეჯითებით არ ვიცოდი, გალაკტიონი ისურვებდა თუ არა წვეულებაზე დასწრებას. ჩვენ ჩავუარეთ ქაშვეთის ეკლესიას. მოკლე მანძილზე თეთრი გედივით იდგა სასტუმრო „თბილისი“ (რამდენჯერ უნდა დაიხვრიტოს ეს ულამაზესი შენობა? ჩვენ ყველას გვახსოვს 1956 წ. და 1991 წ. დეკემბერ-იანვრის დღეები).

რა დიდი სიხარული ვიგრძენი, როცა გალაკტიონმა, პირველმა, მოკრძალებით შეაღო სასტუმროს საპარადო კარი. პოეტს აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მხრიდან ეს იყო დიდი გულწრფელობისა და პატივისცემის ნიშანი. ამ წვეულებაზე დამსწრეთა მხიარულ სუფრას სიყვარულით თამადობდა პოეტი კარლო კალაძე. მარიამის შემდეგ მან გალაკტიონი ადღეგრძელა და აღნიშნა, რომ ეს იშვიათი შემთხვევაა, გალაკტიონი, ჩვენი სადიდებელი მგოსანი, ბოლომდე დარჩეს ნადიმზე. და ბოლოს ირაკლი აბაშიძემ თავის მეუღლესთან, ქალბატონ ნელისთან ერთად მანქანით იუბილარი და მგოსანი მიაცილა სახლში,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მარჯანიშვილზე, თავ-თავიანთ ბინებზე.

მეორე საკავშირო ყრილობაზე მატარებელს მიჰყავდა ქართველი მწერლები. ჩვენს ვაგონში ისეთი მხიარულება იყო, მე სულ აღარ გამხსენებია, სად, რომელ კუპეში იყო იმ დროს გალაკტიონი. მაგრამ მოულოდნელად ყურში ჩამესმის: „ხალხი, ძამიკო, ხალხი! სად არის ხალხი?! როგორ არა! მრავლად არიან დადიანები, აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები, ჩიქოვანები... კიდევ სხვები და სხვები...“

ჩვენი კუპე არა მარტო ზუსტად ვაგონის ცენტრშია, არამედ ყურადღების ცენტრშიცაა. შიგ ვართ: მარიამი თავისი რძლით, გულიკოთი და შვილიშვილით — ხუთი წლის გია (გიორგი) რატიანით, ჩემი მეუღლე ლავროსი კალანდაძე და მე. ლავროსის გულის ტკივილები აწუხებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის და ბატონი შალვა დადიანი ბახუსით ერთობიან, ლაღობენ. თენგიზ გოგოლაძე სასწრაფოდ უშვებს კედლის გაზეთს სახელწოდებით „მარიამის კოლმეურნეობა“ და ჩვენი კუპის კარზე აკრავს (სამწუხაროდ, ის გაზეთი დაიკარგა). სიცილი და მხიარულებაა. მაგონდება გალაკტიონის ლექსი „მიდის ოპერა „ლაკმე“. ბუტაფორიის შეხლა! განა ეს არის საქმე! მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა“.

ჩვენ ყველა ფეხზე ვდგავართ — დილით მატარებელი ნელი სვლით დედაქალაქში შესრიალდა. ბაქანზე საზეიმო ვითარებაში ჩამოსულებს დახვდნენ მასპინძლები თაიგულებით. წინ მოწიწებით, მიდის გალაკტიონი პატივით მიაცილებენ. თითოეულ ჩვენთაგანს ისეთი გრძნობა გვეუფლება, ვერ გამომითქვამს, თითქოს მთელი სივრცე სავსეა დიდი პოეტით... მოსკოვში ჩვენ ჩემი ძმა და რძალი დაგვხვდნენ მანქანით, და მალე გალაკტიონი მხედველობიდან დაგვეკარგა...

მე ვფიქრობ, ჩემს მეუღლეს, როგორც მწერალს, არავის შესახებ ისე ხანგრძლივად და ხშირად არ უწერია, როგორც გალაკტიონზე. იშვიათია, რომ მის ნაწერებში — სტატია იქნება თუ მოგონება — რაიმე კუთხით არ ჰყავდეს გალაკტიონი მოხსენებული. მისი ეტალონი იყო გალაკტიონი. მე მინდა მისი მოგონებებიდან მცირედი მაინც გავიხსენო, რასაკვირველია, შემოკლებით.

„სამწუხაროდ, დაუკარგავი სტრიქონების ბედი ვერ ექნებათ პოეტთან პირადი შეხვედრის წუთებს... ჩემი დაკვირვებით, გალაკტიონი ერთობ რთული და მრავალწახნაგოვანი პიროვნება იყო, ძნელად გამოსაცნობი, ძნელად მისაწვდომი, ხან დიდი ბავშვივით უშუალო, ყურადღების მოყვარული. ხან პირქუში მეფისტოფელივით სარკასტული. ხან თითქმის ძლიერ გულღია, ხან კი ასკეტად გულჩახვეული. უაღრესად განათლებული და უხვად ინფორმირებული ცოდნის ბევრ დარგში. განსაკურთებით ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ზოგჯერ, ჩემი შეტყობით, პოეტი ჩვეულ ადამიანურ ნიღბად იკეთებდა ხოლმე მოჩვენებით მიამიტობას, მიამიტურ გაოცებას, და ეს თითქმის კიდევაც შვენოდა მას. ერთი სიტყვით, გალაკტიონი, როგორც პიროვნება, მისი საუკეთესო ლექსებივით განუმეორებელი იყო.

შეხვედრის ძვირფასი წუთების იმ შინაგან ხატთა და მოძრაობათა სათვალავს თუ შევუდგებოდით, რომელთაც ვეღარასოდეს ვერ გავაცოცხლებთ, სევდა დაგვახრჩობს. ბევრჯერ წარმომიდგება თვალწინ ცოცხალი პოეტი. მკაფიოდ მახსოვს იგი მოსკოვში მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე, 1954 წელს. აქ პოეტი თითქოს ჩრდილში იყო. ეკლებგამოსხმული ჩანდა. ენაკვიმატობდა ზოგისა და ზოგის მიმართ. მისი შესაფერი სახელოვნება რომ აკლდა საერთოდ მის სახელს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც იყო და არის, რომ მისი ლექსები ძნელად ითარგმნება რუსულად და სხვა ენაზე. მაგონდება ვიღაცის თქმული — პოეზია ის არის, რაც თარგმანის დროს იკარგება. რაღაც სიმართლე იყო იქნებ ამ ნათქვამში... განსაკუთრებით ენის მუსიკაში გალაკტიონი ხომ ქართული ენის ჯადოსნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ამუსიკებაა. 1955 წლის ივლისის თვეში გალაკტიონი მიემგზავრებოდა თავის სამშობლო კუთხეში — ვანის რაიონში. ამ მოგზაურობაში პოეტს ვახლდით — პოეტი ანდრო თევზაძე, ქალბატონი ფატი ნიშნიანიძე, თავდადებული მოყვარული გალაკტიონის პოეზიისა, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, ვახტანგ გურგენიძე და მე. თბილისის სადგურზე ვაგონში რომ მოვიყარეთ თავი, მე მომეჩვენა, რომ მოგზაურობის პირობები ვერ იყო მთლად მოსაწონი. მე ერთგვარი საყვედური გამოვთქი მოგზაურობის მომწყობთა მისამართით. გალაკტიონმა უმალვე მომიჭრა სიტყვა: „რა დააშავა ახლა ასეთი ამ ხალხმა, ჩემო ძამიკო?“ გავჩუმდი. მხოლოდ გავიფიქრე: „თქვენზე ვწუხდი, თორემ მე რა.“ გალაკტიონს აშკარად ეტყობოდა, რომ ყალბი კომფორტის მოტრფიალე ის არასდროს არ იყო. მას ის მოსწონდა, რომ გულითად მეგობრებთან მოგზაურობდა.

ბინად ვანის სასტუმროში ვიყავით. ერთი ღამის გათევა პოეტსა და მე ერთ ოთახში მოგვიხდა. რაღაცნაირი იდუმალებით აღსავსე ეს ღამე ჩემთვის დაუვიწყარია. შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც ძილში მძიმე ოხვრა ჩამესმა. გამეღვიძა. თვალი გალაკტიონის საწოლისაკენ გავაპარე. პოეტი თითქოს ღამის ლანდებს ეჩურჩულებოდა, ფანჯარას მისჩერებოდა, თვალები ფოსფორულად უკიაფობდნენ. დროდადრო ოხრავდა. შევეცადე, პოეტს არ გაეგო, რომ მეღვიძა. უეჭველად ფრიად განსაკუთრებული სულიერი აღნაგობის ადამიანი იყო გალაკტიონი. ჩანს, ზოგჯერ მას ძალუმი ღამეული ხილვები ჰქონდა. დილით პოეტს თითქოს სრულიად უადგილოდ და უკავშიროდ ვუთხარი: „რაშია საქმე, ვერ გამიგია. ასე მეჩვენება, რომ აქაურ ღამეში თითქოს შავი გედები დაცურავენ“.

პოეტი, მგონი, მიმიხვდა, რომ ღამის სიუჟეტის განვითარება მსურდა, რათა მისი შემოქმედებითი ფსიქოლოგია მეგრძნო. შეფარული ირონიით მიპასუხა: „ნუ გეჩვენება! რა უნდა შავ გედებს ჩვენ მხარეში, ძამიკო!“

იმ ღღეს რაიონის ცენტრს უამრავი ხალხი მოაწყდა. საგანგებოდ გამართულ ტრიბუნაზე მტკიცე ბურჯივით იდგა ელალწვეროსანი ჭარმაგი კაცი — გალაკტიონ ტაბიძე. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ჩემი სიტყვის კმაყოფილი ვერ დავრჩი. ხვებთან ერთად მეც შევეცადე მსმენელთათვის მეგრძნობინებინა გალაკტიონის შემოქმედების სიდიადე და სიმშვენიერე, მაგრამ, მოგეხსენებათ, მიტინგს თავისი განსხვავებული გარეგანი სმენა აქვს. გალაკტიონის პოეზიაში ჩასაწვდომად კი, ისე როგორც ყოვლად დიდ პოეზიაში ჩასაწვდომად, შინაგანი სმენის განსაკუთრებული გამახვილებაა საჭირო.

სოფელ ჭყვიშში, პოეტის მამაპაპეულ კარმიდამოში, რიონის პირად, დაბლა დადგმულ სახლ-დარბაზში პოეტი შეუდარებელი იყო. თითქმის მთელი ეს ღღეები ის შინაგანად ემზადებოდა, რომ აქ აფეთქებულიყო, აფეთქებულიყო დიდებულად თავის ძველ სახლში — ორ მწკრივად გაშლილ სუფრაზე. პოეტს გვერდს უსხდნენ თანასოფლელები, კოლმეურნეები, მასწავლებლები, შინაურები და გარეშენი. პოეტმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა: ეს იყო მხურვალე აღსარება, შთაგონებული მონოლოგი, გულისწარმტაცი ქადაგება. კინომუშაკებს მაგნიტოფონი რომ წამოეღოთ და პოეტის ეს სიტყვები ჩაეწერათ, შთამომავლობას პოეტის ბრწყინვალე ნააზრევს შეუნახავდნენ. მე არ ძალმიძს იმ სიტყვის მიახლოებით აღდგენაც კი, მხოლოდ ზოგ რამეს თუ გავიხსენებ.

— მოვედი თქვენთან, ჩემო მოკეთეებო, მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ, რომ გითხრათ: ჩემი ყოველი ღირსება და ნიჭი თქვენებურია, თქვენი ზიარია. თქვენმა წინაპრებმა, ჩემმა წინაპრებმა მასწავლეს მე გულისხმიერება ყოველი სულდგმულის მიმართ, ყოველი იმის მიმართ, რაც ქვეყნად არსებობს.

გულისხმიერება ნიშნავს იმას, რომ ყური დაუგდო მთელი ქვეყნის ჭირ-ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამს და შენი გულისცემა შეუწყო ამ ხმებს. მე ჩემი დედისგან გამიგონია, რომ არის ერთი მწვანა ჩიტი, რომელსაც თავისი ხმის გარდა, არაფერი არ ესმის. ამ ჩიტის ხმა შესაზარია. იადონი კი ყურს უგდებს ბუნების ხმას, მის გალობას, და თავისი ჰანგებით ესაუბრება მას. ამიტომ არის იადონის ხმა მიმზიდველი, მშვენიერი... ასეთი უნდა იყოს პოეტიც...

1955 წელი. 13 აგვისტოს გალაკტიონმა მითანამგზავრა თავის „პობედაში". იმ დღეს ვაჟას საღამოს დავესწარით დუშეთში, მეორე დღეს კი — დიდ შეკრებულებას ჩარგალში — ვაჟას კარმიდამოში. იმ დღეს „ლიტერატურულ გაზეთში" გამოქვეყნდა ჩემი რეცენზია — „გალაკტიონის რჩეულის გამო". რასაკვირველია, გალაკტიონმა არაფერი იცოდა იმის შესახებ. მალე ჩარგალში მოიტანეს გაზეთი. შევწუხდი. ვაი, თუ პოეტმა ჩვეული შემპარავი ირონიით დამსეტყვოს-მეთქი. გაზეთი (სტატია) რომ ნახა, თვალებში რაღაც ძნელად გამოსაცნობი ციაგი ჩაუდგა... ჩაათვალიერა გაზეთი, ირიბულად გადმომხედა და წამოიძახა: „აბა ჰე, აბა ჰე... გავახაროთ, გავახაროთ..." მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: „ხალხი, ძამიკო, ხალხი! აბა ვინ? ენახოთ!" და თითქოს ნაძალადევად გაიცინა. ღმერთმა უწყის, რა გაიფიქრა მაშინ პოეტმა.

ჩარგალში მიტინგის დამთავრების შემდეგ ფშავის არაგვის პირას, მურენარში, მწვანეზე, დიდი სუფრა გაიშალა.

ვაჟასა და სხვა დიდი ქართველი კლასიკოსების მოსაგონარის შემდეგ თამადამ, გიორგი ლეონიძემ, გულისხმიერად და ალერსიანად ადღეგრძელა გალაკტიონი, „ამჟამინდელი საქართველოს პირველი პოეტი" უწოდა. გალაკტიონი მაინც რატომღაც მოწყენილი გამოიყურება. სუფრაც ადრე დატოვა. უკან რომ ვბრუნდებოდით, მდუმარედ იჯდა, სულ ფიქრებში იყო წასული. მხოლოდ ორჯერ დაძრა სიტყვა, ისიც თავისთვის ჩაილაპარაკა: **„თავისუფლება ხალხს... ხალხი, ჩვენი ხალხი..."**

მეხსიერებაში კიდევ დამრჩა ცხოვლად ერთი შეხვედრა. ის იყო პოეტის დაღუპვამდე რამდენიმე თვის წინ. ის მწერალთა სახლის შესასვლელთან იდგა. იქვე სხვებიც იყვნენ. ნადირობის მოტრფიალე მწერალმა, ანდრო ლომიძემ მკითხა, სანადიროდ თუ დავდიოდი. ამას ყური რომ მოჰკრა, მითხრა: „თოფიარაღი აისხი და ჩემთან წამოდი წყნეთში. პირდაპირ საარაკოდ ვინადირებთ!"

— კი, მაგრამ წყნეთში რა არის სანადირო, ბატონო გალაკტიონ?

— ვეფხვი, ძამიკო, ვეფხვი! აბა ვეფხვზე ნაკლები რა უნდა მოვკლათ ჩვენისთანა ვეფხვებმა?

ეს იყო ჩემს მიერ გაგონილი უკანასკნელი ხუმრობა გალაკტიონისა".

ახლა მინდა გაგაცნოთ „გალაკტიონის სილუეტი", ჩემი მეუღლის ლ. კალანდაძის მიერ დაწერილი ორმოციან წლებში. გალაკტიონის ცხოვრება და შემოქმედება საზოგადოდ ამოუწურავი თემაა. ის ყოველი კუთხით ძალზე საინტერესო პიროვნება იყო.

მწერალი ასე იწყებს მოგონებას: „ახლა მსურს უგზოუკვლოდ ვიხეტიალო ჩემს ფიქრებსა და განცდებში, როგორც იტყვიან, უსაჭოდ და უაფროდ". მოგონება ჩვეულებრივია, თორემ ობიექტი მოგონებისა გალაკტიონია და მას წინ რა უნდა დაუდგეს...

„მეორე მსოფლიო ომის პირველი თვეები იყო.

ერთ სისხამ დილით ელბაქიძის ხიდთან, წიგნის სასახლის წინ, სრულიად შემთხვევით შევხვდი გალაკტიონს.

— რა კარგი დილაა, რა სიწყნარეა, ჩემო მეგობარი, — მითხრა გალაკტიონმა.

— რა სასიამოვნოა შეხვედრა ამ სისხამ დილით, — ვუთხარი მე.

— ამიტომ მოდით ჩვენი ქვეყნის სამშვიდობოდ და სადიდებლად შევსვათ ცოტაოდენი კონიაკი... მოკვდეს ჩვენი სევდა. აბა, ჰე! — თქვა გალაკტიონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შევსვათ პოეზიის სადიდებელი, — ვთქვი მე. — თუ რამე იხსნის კაცობრიობას, ალბათ პოეზიაც ერთ-ერთი მთავარი მხსნელი იქნება...

— ეგ რამ გაფიქრებია, — შეიჭმუხნა პოეტი, — პოეზიის როლის ასეთი გაზვიადება ზეცასაც არ ესიამოვნება. პოეზია გრძნობის აგიზგიზებაა და წამებაც არის. მაგრამ ხანძრის ჩასაქრობად წყლის შადრევანია საჭირო... პოეზიაში კი ერთი წვეთი წყალიც არ უნდა იყოს. ახლა კი — აბა ჰე, აბა ჰე!

შევყევით... და აბა რა დასამალია, შევზარხოშდით, თუმცა საზღვარს არ გადავცილებულვართ.

ორის თუ სამი თვის შემდეგ ხმა დაირხა, გალაკტიონი მტკვარში თავს იღრჩობდაო. ამ ამბავმა ძალიან შეგვაშფოთა და გაგვაცა ადამიანები, საგონებელში ჩაგვაგდო. რატომ, რისთვის? და თუ მცდელობა მართალი იყო, მაშინ რამ მიიყვანა ყველასათვის საყვარელი პოეტი ამ განზრახვამდის?..

სულ მალე გალაკტიონსა და ჩვენს კეთილშობილ საერთო მეგობარს, შალვა კაშმაძეს შევხვდი ქუჩაში მიმავალს. ისინი საკმაოდ მხიარულ გუნებაზე იყვნენ. შ. კაშმაძე ნაკითხი, ღია გულის ლიტერატორი იყო, ოღონდ რამდენადმე პათეტიკური, ჭარბად ენაწყლიანი. ამ დღეს გალაკტიონი გულითადად ესაუბრებოდა შალვას, თუმცა, რა დასამალია, რომ პოეტი არც თუ მთლად ნათელი წარმოდგენისა იყო მეგობრობაზე... იქნებ შემთხვევითი განწყობილების დროს წამოცდა ერთ ლექსში: „მეგობრები არ მეყვარებაო“. მაგრამ ნათქვამია, კალმით დაწერილს ნაჯახითაც ვერ ამოკვეთო. თანაც მე იმ აზრისა გახლავართ, რაგინდ დიდ პიროვნებასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, მისი ნაგრძნობ-ნაფიქრალი ნამოქმედარიდან არა რა უნდა იყოს მისაჩქმალავი. მიჩქმალვა ცუდ გაკვეთილს აძლევს ადამიანებს.

— ვიცი, — თქვა გალაკტიონმა და მხარზე ხელი დამადო, — ის გურული კაცი ჩემი ერთგულია. ერთგულება უნდა, ერთგული მეგობარი არასოდეს არ უნდა დაივიწყო. ხსოვნა, ხსოვნა და ხსოვნა! აი რაა პირველ ყოვლისა! — დასძინა შალვამ.

— ძამიკო! ხსოვნა უპირველესი, უმშვენიერესი რამეა, — თქვა გალაკტიონმა, — მეხსიერების დაკარგვა საშინელებაზე საშინელებაა. ხსოვნა, მეხსიერება საშინელი მწვალებელიც რამ არის... — განაგრძო მან. — უხსოვნობა — უგონობა ანუ ხელის დაცლა ყოველი აზრისაგან და გრძნობისაგან... ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მწუხარება ჩვენი მუდმივი თანამგზავრია... ასე არაა, ძამიკო? შეგვეკითხა გალაკტიონი. — ჰო, ჰო, ძამიკო! მხოლოდ ხანდახან დარდი უნდა გავიქარვოთ ღვთაებრივი წვეთით.

— გასაგებია, ბატონო გალაკტიონ, — ვეუბნები მე. — თქვენ ხომ სევდიანი პოეტი ბრძანდებით, პესიმისტს გიწოდებენ.

— ჰა, არა, არა, ჩემო ძამიკო! ვინ ამბობს, რომ მე პესიმისტი ვარ, — შემეპასუხა პოეტი. — მე ძალიან მიყვარს ეს ცა, ეს დედამიწა, ეს ქვეყნიერება. ძალიან მიყვარს სიცოცხლე, ცხოვრება... სევდიანობა კი პესიმიზმი არ არის. ვინ არ ყოფილა ზოგჯერ სევდიანი, ნაღვლიანი, თუ გინდ მწუხარეც კი...

— ეგ ასე არის, მაგრამ ჩემის აზრით, — ვთქვი, — პესიმიზმი უიმედობას ნიშნავს... რასაკვირველია, უიმედობა არ გამორიცხავს ქვეყნიერებაში არსებული სილამაზით თუ სიმშვენიერით აღტაცებას. სასოწარკვეთა სილამაზის გრძნობას არ კლავს.

იმ დღეს გალაკტიონმა მეგობრობაზე გამოწვეულ საუბარში გიორგი ქუჩიშვილი მოინატრა... ძალიან მიყვარს ჩემი გიორგი, ზოგჯერ ენამწარეა, ხანდახან მტერივით შემოგიტევს. ერთხელ კიდევაც მაკადრა, ფულები ამოიღეო, ჯიბეში მორიელი ხომ არ გიზისო, ხელის ჩაყოფა რომ გეშინია. ჯიბეში კი კაპეიკიც არ მქონდა... რას ვიზამდი, ძმა და მეგობარია, ენამწარობა უნდა ვაპატიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნავ ნასვამი გალაკტიონი, ზღვარს გადაცილებული ბრძენთა ბრძენი, გონებამახვილი, ნათელმხილველი იყო...

იმ სამახსოვრო დღეს გალაკტიონი ერთობ თავდაჭერილი იყო, მხოლოდ მომეტებულად ენაწყლიანი. ჩვენ მას გულდასმით ვუსმენდით, აღსავსეს პოეზიითა და პოეტური სიბრძნით.

მარადისობასთან შეზიარების სურვილი მაწვალებს, — თქვა მან. — ზოგიერთ ვინმეს ეს სურვილი პატივმოყვარეობის, განდიდების სურვილი ჰგონია.

ელბაქიძის აღმართზე გალაკტიონმა ხელი გადახვია შალვას და უთხრა:

— ჩემო კარგო მეგობარო, კალამი გიჭრის, კარგი ნარკვევების წერაც შეგიძლია. ოღონდ ერთ რამეს გირჩევ, არ კი გეწყინოს. ლექსების წერას ნუ მიეძალები... ლექსი მუხთალია, ხანდახან ფეხს გამოგიშლის. ახლა, ძამიკო, ლექსს ვინ არ წერს, მაგრამ რა გამოდის?! საერთოდ წერა ბნელი საქმეა... ლექსის წერა მით უმეტეს — ზოგჯერ კითხულობ ჩვენებურების სტრიქონებს, გინდა ჯოხის ცხენზე შეჯდე და გააჭენგამოაჭენო... ხომ კარგი იქნება ახლა რიკტაფელას თამაში რომ დავიწყო? თუმც რა იქნება ცუდი ამაში, რომ როგორმე ველურ სინედლეს დავუბრუნდეთ? ჰა- აჰაა? — თითქოს ნაძალადევად ჩაიხითხითა პოეტმა.

ვიგონებ გალაკტიონის ნათქვამს — მეხსიერება რა ძალოვანიც არ უნდა იყოს, მხოლოდ კონტურებს მიახლოებით შემოინახავს ხოლმე.

ო, ამ უსასრულო ქვეყნიერებაში ჯერ კიდევ რა დაუცველები არიან ადამიანები, მათ შორის პოეტებიც, რასაკვირველია, ეს დიდი ბავშვებიც.

მწამს, ვინც სილამაზეს ჰქმნის, სულიერად თვითონაც ლამაზი ხდება. გალაკტიონის ყოველი დიდებული ლექსის უკან დგას პოეტის მშვენიერი სული...

50-ნი წლების შუახანაში ერთხელ ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში შემოვიდა გალაკტიონი და გადმომცა თავისი „ახი ლექსი“. ამ ლექსების დაბეჭდვა გაძნელდა მთლიანად ამა თუ იმ მოსაზრების გამო. ახლა ამის განმარტების დრო არ არის. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს პატარა სტატია ჟურნალ „დროშაში“ (1992 წ., N2, თებერვალი) მწერლის არქივიდან, სათაურით „მარად მნათობდეს“...

შემოგთავაზებთ გალაკტიონის ბიოგრაფიის ერთ პატარა ეპიზოდს — „დუელი გალაკტიონთან“ — ლავროსი კალანდაძის ჩანაწერებიდან.

„სადღაც მონაბერი ფიქრების სიღრმეში ინასკვება მწვავე კითხვა: მართლაც შორია კაციდან კაცამდეს?.. შემოქმედებიდან შემოქმედებამდის? დიდი ტალანტები კი არ ეჯიბრებიან და კი არ მტრობენ მცირე ტალანტებს, რიგით ადამიანებს, არამედ ბედში იზიარებენ, თავიანთ ფიქრთა თანამონაწილეებად სახავენ“.

ასე წერდა ლ. კალანდაძე თავის პატარა წერილში, რომელიც ეხება გრიგოლ ცეცხლაძის შემოქმედებას.

ახალგაზრდობაში გალაკტიონი და გრიგოლი რაღაცის გამო ცხარედ წალაპარაკებულან, ერთმანეთზე კიდავაც გაუწევიათ... მაგრამ გრიგოლი ანაზდად შეჩერებულა, და მოღიმარეს პათეტიკურად წარმოუთქვამს'

— ტოროლას მაინც არ მოვკლავ... არა, ტოროლას კი არა... იადონს მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი... — და მეგობრულად გაუწვდია ხელი გალაკტიონისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

ემიგრაციაში ყოფნისათვის დასჯილნი

საბჭოთა იმპერია ეჭვის თვალით უყურებდა მის წიაღში დაბრუნებულ სწავლის, მივლინების, გასტროლების, ომის დროს ფრონტის გადაადგილებისა თუ ტყვედ ჩავარდნის გამო საზღვარგარეთ ნამყოფ ყველა საბჭოთა მოქალაქეს და მით უმეტეს იქ ნაცხოვრებ ემიგრანტებს, ვინაიდან მათში ხედავდა ან იქაურ დაზვერვათა მიერ გადაბირებულებს, ან ჩვენგან რკინის ფარდით დაფარულ ნორმალურ, თავისუფალ და დემოკრატიულ ცხოვრებანაგემებ ხალხს, თვით იმათაც კი ვინც იქ ყოფნისას საბჭოთა რეჟიმს ესა თუ ის სამსახური გაუწიეს; იმის შიშით, დახშულ საბჭოთა ქვეყანაში დასავლური სიმართლე და თავისუფლების ბაცილები არ გაავრცელონო ყველას უთვალთვალებდა, ზღუდავდა, ნაცნობ-მეგობართა წრეს და გარემოს აცილებდა, აპატიმრებდა და ცხრა მთას იქით ასახლებდა...

სწორედ ასე მოექცნენ ორ ქართველ მწერალს (და მათ ოჯახებს), რომლებიც საზღვარგარეთ სხვადასხვა გზით მოხვდნენ.

20 წლის ოთარ ივანეს ძე ჩიჯავაძემ 1929 წელს თსუ სამკურნალო ფაკულტეტი მიატოვა და საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ გაიქცა — თურქეთში გადავიდა, იქიდან კი საფრანგეთს მიაშურა...

იქნებ მის გაქცევას საფუძვლად ედო ახალგაზრდული რომანტიული ბუნტი, უბრალოდ კარგი ცხოვრების ძიება.. მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა უცხო ქვეყანაში ცხოვრება და მალე საბჭოთა სამოთხეში დაბრუნება ითხოვა? თუ ეს უფრო კომუნისტური შემბოჭველი რეჟიმისაგან თავდასაღწევად ჩაიდინა? აკი ო. ჩიჯავაძის-ბევრწილად ავტობიოგრაფიულ რომანში „თვითმკვლელები“ საზღვარგარეთ გაქცეული ერთი პერსონაჟი ამბობს: ჩვენ აქ იმიტომ გამოვიქეცით, რომ იქ არ გვედგომებოდაო — მაშინ რატომ მოხდა, რომ სულ რაღაც წელიწადზე ცოტა ხნის შემდეგ, 1930 წლის აპრილში დაბრუნების ნება სთხოვა პარიზში საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოს? დაბრუნებაზე უარის მიღების შემდეგ, 1930 წელსვე ო. ჩიჯავაძე ქ. მარსელის „სამშობლოში დაბრუნების კავშირის“ მდივნად დანიშვნაზე დათანხმდა...

ხოლო მოგვიანებით, 1936 წელს ოთარმა უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — შევიდა საფრანგეთის კომპარტიაში, აირჩიეს ქ. მარსელის პროფკავშირის რუსული სექციის მდივნად..

საფრანგეთის კომპარტიას, ოდნავ უფრო ადამიანური სახე ჰქონდა, ვიდრე საბჭოთა კავშირისას, მაგრამ ისიც კომუნისტურ მოძღვრებას მისდევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსკოვის გვარიანი გამგონეც იყო.

ახალგაზრდა ოთარ ჩიჯავაძემ მთლად თავისი სურვილით, თავისი რწმენით იარა ამ გზებით თუ გარემოებებმა აიძულა?

ამას ჩვენ, ალბათ, ვეღარ გავიგებთ. სიმართლე ოთარმა სამარეში ჩაიტანა, ხოლო მის ზემოხსენებულ რომანში ყოველივე ამაზე მოცემული ახსნა მაინც ბელეტრიზებულია, მწერლური გამონაგონითაა შეზავებული... ისღა დაგვრჩენია, მივყვეთ ო. ჩიჯავაძის შემდგომი ცხოვრების გზას.

1935 წელს ოთარმა სორბონის რუსული სახალხო უნივერსიტეტი დაამთავრა — ელექტროინჟინრის სპეციალობას დაეუფლა.

ამავე ხანებში ის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს — ფრანგების უმეტესობასა და მის მთავრობას არ მოსწონდა კომუნისტების იდეები და საქმიანობა! სასჯელის მოხდის შემდეგ კი საფრანგეთიდან გადასახლება გადაუწყვიტეს. მაგრამ ის არალეგალურად დარჩა და მუშაობა გააგრძელა.

1937 წელს პარტიის დავალებით ესპანეთში წავიდა და რესპუბლიკელების მხარეზე იბრძოდა — ესპანეთის კომუნისტთა საზღვაო სექციის საგანგებო დავალებას ასრულებდა, კიდეც დაიჭრა...

გენერალ ფრანკოს გამარჯვების შემდეგ ო. ჩიჯავაძე იძულებული გახდა ესპანელი ცოლით საფრანგეთში დაბრუნებულიყო აქ ძველ პარტიულ საქმიანობასთან ერთად ჟურნალისტობას მიჰყო ხელი.

როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და 1939 წლის 3 სექტემბერს საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ფაშისტურ გერმანიას, ოთარი მოხალისედ შევიდა ფრანგულ არმიაში. ფრანგების დამარცხების შემდეგ დემობილიზებულ იქნა და დაბრუნდა საფრანგეთის სამხრეთში, ქ. სალონში, სადაც ინტერნირებული იყო მისი მეუღლე (ფრანკისტული კანონებით გაფორმებული მათი ქორწინება საფრანგეთმა უკანონოდ გამოაცხადა და ოთარი იძულებული შეიქნა საფრანგეთის კანონით გატარებულიყო საქორწინო რეგისტრაციაში). სალონში ოთარის ცოლი შეხვდა მამამისს, ესპანეთის რესპუბლიკელთა არმიის მეომარს, რომელიც დაღუპული ეგონა.

საფრანგეთის გათავისუფლების ცოტა ხნით ადრე იმ ქართველი ემიგრანტების დახმარებით, რომლებიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ, დააპატიმრეს ოთარის ესპანელი ცოლი, რომელიც კიდეც დაიღუპა პატიმრობაში.

1941 წლის ივნისში, გერმანელთა მიერ სამხრეთის ოკუპაციის გამო ოთარი პარტიზანად გავიდა და როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთ ორგანიზატორს, მეთაურის პოსტი ეჭირა. განმათავისუფლებელი ბრძოლების პროცესში მონაწილეობდა ქ. სალონის, ალენსის, სენასისა და გერმანელების მიერ დახვრეტილი გაზეთ „იუმანიტეს" რედაქტორის გაბრიელ პერის მშობლიურ ქალაქ მალემორის გათავისუფლებაში.

ამ ყველაფრისათვის ოთარ ჩიჯავაძემ საფრანგეთის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის ჟაკ დიუკლოს პირადი დადებითი დახასიათება მიიღო.

საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ ოთარი „დეპარტამენტ ბუშ დიუ რონის გათავისუფლების კომიტეტის" მანდატით ციხეებიდან და ბანაკებიდან ათავისუფლებდა საბჭოთა კავშირიდან გამოსულ ყველა სამხედრო ტყვეს და გზავნიდა საბჭოთა კავშირში. ბოლოს ეს საქმეები გადააბარა იქ ჩასულ საბჭოთა სამხედრო მისიას.

არ ვიქნები გულწრფელი, თუ არ ვიტყვი შემდეგს: ვიცი ო. ჩიჯავაძის მიერ საბჭოთა კავშირში დაბრუნებულთა შორის თუ იყვნენ ისეთნი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი— ბევრ ტყვედ ჩავარდნილს არ სურდა საბჭოთა კავშირში დაბრუნება, არა იმიტომ რომ სამშობლო — საქართველო, დედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა, და-ძმა, ცოლ-შვილი არ ენატრებოდა, არამედ იმის გამო, რომ არ უნდოდა, ვაის გაყრილი უის შეყროდა, იცოდა, კომუნისტური საბჭოეთის ხელისუფლების მუხანათობა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სტალინი და მისი უშიშროების სამსახური არ აპატიებდა ტყვედ ჩავარდნას, მასაც გააუბედურებდა და მისიანებსაც...

მაგრამ დავუბრუნდეთ ო. ჩიჯავაძის ცხოვრების გზას, რომელიც აღმა-აღმა მიდიოდა: როცა მალე ჩამოყალიბდა მსოფლიო მასშტაბით (ევროპა, ჩრდ და სამხ. ამერიკა, აფრიკა, აზია) საბჭოთა პოლიტიკაზე მდგარი ყველა ადამიანის გამაერთიანებელი „საბჭოთა პატრიოტების კავშირი" ცენტრით პარიზში, ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივნად და პარტორგანიზაციის მდივნად ო. ჩიჯავაძე აირჩიეს. ის შედიოდა, აგრეთვე, საფრანგეთში რუს პარტიზანთა ბიუროში.

როგორც ვხედავთ, ო. ჩიჯავაძემ გვარიანი სამსახური გაუწია საბჭოთა რუსეთს. ეს თითქოს რუსეთმაც დაანახა: 1946 წელს პარიზში ჩასულ ვ. მოლოტოვს სტალინისთვის საჩვენებლად მიაქვს საბჭოთა კავშირიდან გამოსული, გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლაში ოთხი განსაკუთრებით თავგამოჩენილი ადამიანის საბუთები. ერთ-ერთი ამ ოთხიდან ო. ჩიჯავაძე იყო.

არ ვიცით, სტალინმა მოისურვა და მოიცალა თუ არა ამ საქმეების სანახავად. ვიცით, რომ ო. ჩიჯავაძე ცოლით (ახლა უკვე ფრანგი მეუღლით) და უფროსი ქალიშვილით 1946 წლის ნოემბერში სამშობლოში გამოემგზავრა საერთო ამნისტიის საფუძველზე.

დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ საბჭოთა კავშირის ემისარმა დაპირებებით აავსო, დაარწმუნა — გელოდებიანო, მაგრამ ქ. ოდესაში გემიდან გადმოსვლისთანავე გაირკვა, რა ფასი ჰქონდა ამ დაპირებებს — სადღაც სტეპებში გზავნიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ, როგორღაც მოუხერხებია იქ გამგზავრებამდე სამშობლოში ჩამოსვლის ნებართვის აღება. მერე აქ დარჩენასაც მიაღწია.

ერთხანს 1947 წელს ის კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მუშაობდა ხელშეკრულებით, შემდეგ საფეხბურთო გუნდის „ლოკომოტივის" უფროსი მწვრთნელი იყო, ხოლო 1948 წლიდან მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობაზე გადადის.

მაგრამ საბჭოთა კავშირის უშიშროების ფხიზელ თვალს ბოლომდე ვერ დაემალებოდი და ოთარ ჩიჯავაძესაც საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიებისათვის გვარიანი სამსახურის გაწევის სანაცვლოდ ეჭვის ქვეშ აყენებენ — ასეთი უზნეო იყო საბჭოეთის კომპარტია, ის ნამდვილ მოწინააღმდეგეს ხომ არ ზოგავდა (და ეს არცაა გასაკვირი) არც მოწინააღმდეგედ მიჩნეულს ინდობდა და არც ერთგულებას უფასებდა სამსახურს, არ ენდობოდა ბოლომდე.

ამ უნდობლობამ, ეჭვიანობამ შინიდან გამოხრა, დაალპო და ბოლოს დააქცია საბჭოთა კომპარტია და მისი იმპერიაც.

მაგრამ მანამდე, 1951 წლის 26 დეკემბერს, ისე როგორც ყველა რეპატრიანტს — საბჭოთა კავშირში კომუნისტური მთავრობის მიერ მიცემული გარანტიებით დაჩრუნებულებს (შეიძლება ჯალათის სიტყვას ენდო?!), — ოთარ ჩიჯავაძესაც გადაუწყვიტეს ოჯახთან ერთად სპეცგადასახლებაში გაგზავნა სამხრეთ ყაზახეთში...

მაგრამ მოვლენები ისე წარიმართა, რომ ოთარი მარტო გაგზავნეს ეტაპით (თითქმის ნახევარი თვე იწვალა და იჯახირა სატვირთო ვაგონით), მისი ფრანგი მეუღლე მარგარიტა ალიზიო და მათი ორი გოგონა კი ერთხანს თბილისში დარჩნენ. ეს მოხდა არა სუკ-ის წყალობით, რომლისგან არც იყო მოსალოდნელი გულჩვილობის, ადამიანურობის, ანდა უცხოელისადმი პატივისცემის გამოჩენა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუნთრუშათი დაავადებული ოთარის უმცროსი გოგონა ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში იწვა ხილიანის ქუჩაზე. ამ საავადმყოფოს მაშინდელ მთავარ ექიმზე დავით იულონის ძე იაშვილზე, შესანიშნავ მკურნალსა და გულისხმიერ ადამიანზე ადრეც მსმენია. და, აი, ახლა გავიგე, რომ სწორედ მან, მისმა სიმტკიცემ იხსნა ოთარის ავადმყოფი შვილი და მეუღლე მასთან ერთად ეტაპით გაგზავნისაგან, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბავშვის დაღუპვა.

დავით იაშვილმა მტკიცედ განუცხადა რამდენჯერმე მუქარით მოსულ სუკ-ის თანამშრომლებს: ბავშვის წაყვანა დაუშვებელია, ავადმყოფობა გადამდებიაო და ამ კეთილშობილმა კაცმა თავისი გაიტანა. მეტიც, მან ქალბატონ მარგარიტას, რომელიც თავზე ადგა შვილს, უთხრა: რამდენიც საჭირო იქნება, იმდენს გაგაჩერებთო და მათ დასაცავად კარანტინი გამოაცხადა. მერე და მერე ავადმყოფი ბავშვის დედას სახლშიც უშვებდა, რომ გასამგზავრებლად მომზადებულიყო, რადგან სუკისაგან მათი მთლიანად დახსნა არავის შეეძლო: 3-4 თვის შემდეგ ქართველთა რძალი მარგარიტა ალიზიო, რომელმაც რუსული ენა საერთოდ არ იცოდა, თავისი ორი პატარა ქალიშვილით გაგზავნეს ყაზახეთის ქალაქ ჩიმქენთში.

იქ მან სხვადასხვა ინსტანციაში წერილით შეძლო ქმრის პოვნა. ამის შემდეგ მოხერხდა ოჯახის შეერთება და მათი დასახლება დაბა ილიჩოვსკის რაიონის სოფელ პახტა არალში, სადაც ბევრი სხვა ქართველიც იყო გადასახლებული.

ეს „დასახლება" ასე გამოიყურებოდა: იქ საქართველოდან, ბათუმიდან გადასახლებულმა ბერძნებმა, რომლებსაც დღეს მადლიერებით იხსენებს ქალბატონი მარგარიტა, ფული ასესხეს ჩიჯავაძეებს.

ამ ფულით ოთარის ოჯახმა იყიდა თიხატკეპნილი ორმო, რომელზეც დაშენდა ალიზის კედლები და სახურავი... ოთარი მუშაობდა: ზამთარში სარწყავ არხებში ყინულს ამტვრევდა, წყალს რომ ედინა. რაღაცას იქაურ კლუბშიც საქმიანობდა — ბათუმელ ქორეოგრაფ დავითაშვილთან ერთად წარმოდგენები დაუდგამს...

ასე გადიოდა დრო: სკოლაში (რა თქმა უნდა, რუსულში) დაიწყო სიარული ოთარის უფროსმა ქალიშვილმა ნელიმ (ნელი ჩიჯავაძე — დღეს თსუ ფრანგული ენის უფროსი მასწავლებელია).

ამასობაში გარდაიცვალა სტალინი, რუსებმა მოიშორეს ბერია, ყველაფერი მათ დააბრალეს და ცოტათი მოუშვეს ხალხის შემბოჭავი სადავეები: ოთარ ჩიჯავაძე თავის ოჯახთან ერთად 1954 წლის ზაფხულის დასაწყისში საქართველოში დაბრუნდა („ცნობა. ეძლევა მოქ. ოთარ ივანეს ძე ჩიჯავაძეს მასზედ, რომ ის 1952 წლის იანვრიდან 1954 წლის 26 მაისამდე იმყოფებოდა სპეცდასახლებაში და შშს 1954 წლს 28 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე გათავისუფლდა სპეცდასახლებიდან საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით. საშრეთ ყაზახეთის ოლქის ილიჩოვკის რაიმილიციის უფროსი, მაიორი ამიროვი").

ამის შემდეგ ოთარ ჩიჯავაძემ მთელი თავისი ცხოვრება გარდაცვალებამდე (1985) ლიტერატურულ მოღვაწეობას მიუძღვნა და დაგვიტოვა საკმაოდ ბევრი მოთხრობა (კრებული „ჟან ვალონის რეისი", 1962), მათ შორის „ზვიგენის კბილი" (რომლის მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფილმი), პიესები — მათგან აღვნიშნავთ „თხუნელას" (სპექტაკლი და კინოფილმი) და რომანები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ზემოხსენებული ავტობიოგრაფიული სამწიგნიანი „თვითმკვლელები" (I — 1967, II — 1974),

ემიგრაციიდან დაბრუნებისას კიდევ ერთ ქართველს მოუნდომეს საქართველოში დასაბრუნებელი გზების გადაღობვა, ამ ზღუდეების დაძლევის შემდეგ კი — საქართველოდან მოგლეჯა.

ლევან ივლიანეს ძე ხაინდრავა 20 თვე იჯდა უშიშროების შინაგან ციხეში ისე, რომ მისთვის ბრალდება არ წაუყენებიათ, ტყვედ ნამყოფთა, ქართულ ლეგიონში, გერმანელთა პოლიციაში, გესტაპოში ნამსახურთა საქმეების გამოძიებას ძირითადად 3-4 თვეში ამთავრებდნენ, ლევან ხაინდრავას კი არაფერი დანაშული არ ჰქონდა ჩადენილი. მხოლოდ იმისათვის უყურებდნენ ეჭვის თვალით, რომ საზღვარგარეთ იყო დაბადებულ-გაზრდილი, ნასწავლი და ნამსახური. საიდან მოხვდა იქ?

16 წლისა იყო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე ივლიანე ხაინდრავა, როცა მონაწილეობა მიიღო გუბერნატორის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტში.

ის ნიშნის მიმცემად დააყენეს, მაგრამ გუბერნატორი მასთან მიღწევამდე გამოასალმეს სიცოცხლეს.

უშუალო მკვლელებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ივლიანეს კი 12 წელი მიუსაჯეს: მან 5 წელი სახალინის კატორღებში იმუშავა, 5 წელი თავისუფალ დასახლებაში დაჰყო.

ამ დროს რუსეთი შორეული აღმოსავლეთის ინტენსიურ ათვისებას განაგრძობდა და ჩინეთ-აღმოსავლეთის (რუსეთის) რკინიგზის ერთობლივი მავნებლობის ექსპლუატაციის და ა. შ. გამო საკმაოდ ბევრი რუსი ცხოვრობდა ამ რკინიგზაზე განლაგებულ ერთ-ერთ საკვანძო ჩინურ ქალაქ ხარბინში. რუსეთში ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ კი ეს ქალაქი რუს ემიგრანტთა ცენტრად იქცა.

ვინაიდან ივლიანე ხაინდრავას საქართველოში დაბრუნება სამუდამოდ აკრძალული ჰქონდა, როცა ერთმა კეთილისმყოფელმა შესთავაზა, ის ხარბინში დასახლდა. კომერციული საქმიანობა დაიწყო, წარმატებას მიაღწია, ოჯახსაც მოეკიდა: ცოლად მოიყვანა ვლადივოსტოკში გაცნობილი ნახევრად რუსი, ნახევრად პოლონელი ასული და 1916 წელს მათ შეეძინათ ლევანი მომავალი მწერალი.

ზემოხსენებული მიზეზების გამოც, განსაკუთრებით კი 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის გასამართლებულ-გადანასახლები სხვა ქართველებიც საკმაოდ შეეკრიბნენ ხარბინში. მათგან ჩამოყალიბებულ „ქართველთა საზოგადოებას“ 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ივლიანე ხაინდრავა. საზოგადოება საქველმოქმედო საქმეებს ეწეოდა, მაგალითად, დააარსეს უფასო ბიბლიოთეკა, რომელსაც ქართული ერქვა. მაგრამ წიგნები მხოლოდ რუსული და უცხოური ჰქონდა.

ივლიანეს ჩინელებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. 1932 წლიდან, როცა მანჯურია იაპონელებმა დაიპყრეს, ისინი ავიწროებდნენ იმათ, ვისაც მათთან თანამშრომლობა არ უნდოდა. ამის გამო ივლიანე გაკოტრდა...

ამ დროს 15 წლის ლევან ხაინდრავა შანხაიში შედის იეზუიტების კათოლიკური ორდენის ფრანგულ უნივერსიტეტ „ავრორაში“, რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაკულტეტი 1938 წელს დაამთავრა.

ამავე წლიდან, მამის გარდაცვალების გამო, 20 წლის ლევანს მხრებზე მძიმე ტვირთად დააწვა ზრუნვა შანხაიში გადასულ მთელ ოჯახზე (დედა, უმცროსი ძმა, ბებია).

ლევანმა ფრანგულ დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ 1940 წელს საფრანგეთმა ომი წააგო და ფრანგული ფირმა დაიხურა.

ამასობაში ლევანი გაიტაცა მარქსისტულმა იდეებმა, ნდობას უცხადებდა საბჭოთა გაზეთებში დაბეჭდილ, მათ შორის კომუნისტური ნაციონალური პოლიტიკის ხოტბის შემსხმელ მასალებს. ეგონა ყველაფერს სიმართლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენო... ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის მაგარი მომხრე გახდა.

სსრკ-ს ხელმძღვანელის — სტალინის ქართველობამაც გარკვეული როლი ითამაშა ლევანის სიმპატიებში...

ამასთან, ლევან ხაინდრავა ვერ იტანდა, როცა უცხოელები რუსად თვლიდნენ. ის უკვე 1938-39 წლებიდან ფიქრობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, ახსოვდა და ამას ავალებდა მამის უკანასკნელი სიტყვები: ჩემი ნეშტი გათავისუფლებულ საქართველოში გადაიტანეთო.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის პირველ დღეებში 90 კაცმა (უმეტესად რუსებმა), მათ შორის ლევან ხაინდრავამ, განცხადებით მიმართა მ. კალინს — საბჭოთა არმიაში ჩაგვრიცხეთო.

ეს არ მოხდა. სამაგიეროდ ომის დროს, საბჭოთა კავშირისადმი მისი განწყობის გამო, ლევანი სამუშაოდ მიიწვიეს იქაურ რუსულ საბჭოთა გაზეთში „ნოვაია ჟიზნ“.

ომის შემდეგ ლევანი გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ უფროსი პოლიტიკური კორესპონდენტი იყო. ამის წყალობით ახლოს იცნობდა გენერალ ჯოუ ენ ლაის, შეხვედრია ჩან კაი შისა და გენერალ ჯორჯ მარშალს, აშშ არმიის შტაბის უფროსს...

როგორც ვთქვით, საქართველოში წამოსვლა ლევან ხაინდრავას კარგა ხანია ჰქონდა გადაწყვეტილი. ჯერ ომი გადაეღობა. დიდი დრო წაიღო საკონსულოში განცხადების შეტანის შემდეგ ნებართვის ლოდინმა:

ლევან ხაინდრავა: „ბევრი მიშლიდა: სად მიდიხარ? ვინც წავიდა ყველა დაილუპაო, მაგრამ დიდმა ენთუზიაზმმა თავისი გაიტანა“.

1947 წლის ნოემბერში გემით შანხაიდან და ტიან ძინიდან 6 ათასამდე კაცი გამოემგზავრა პორტ ნახოდკამდე.

რომ პირდებოდნენ — სამუშაოთი (სპეციალობით) და საცხოვრებლით უზრუნველგყოფთო, რა თქმა უნდა, არ შეასრულეს. საცხოვრებლად ბარაკებად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ნაწილში გზავნიდნენ. საქართველოზე რომ ჩამოაგდო სიტყვა, უთხრეს: მიწერე ნათესავებს თუ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველგყოფენ, შეგიძლია წახვიდეო...

სამი თვე ყაზანში იცხოვრა. მერე მიიღო სოფიო ბიცოლას — (1938 წელს გარდაცვლილი ლევანის მამის უმცროსი ძმისცოლის, კონსტანტინე გამსახურდიას დის, მსახიობ თათია ხაინდრავას დედის) თანხმობა — ჩემთან იცხოვრეო.

მართლაც, ბიცოლას ერთოთახიანი ღარიბული ავლაბრული ბინა იყო ლევან ხაინდრავას პირველი თავშესაფარი თბილისში.

კონსტანტინე გამსახურდიამ, ვისთანაც სტუმრად წაიყვანა ბიცოლამ, პირველი რაც უთხრა, ეს იყო: რას მოდიოდი ჩინეთიდან, აქ განა ცხოვრებაა?!

თბილისში ჩაწერაზე კონსტანტინე დაეხმარა — მიჰყვა ნაჭყებიასთან და საქმე მოაგვარა, თორემ არ წერდნენ...

გაჭირდა სამუშაოს შოვნა სპეციალობით. პირველად სიხარულით შეხვდებოდნენ: ო, სწორედ ასეთი კაცი გვინდა, სამი დღის შემდეგ მოგვაკითხეო...

ლევან ხაინდრავა: „მივიდოდი ხელმეორედ და სულ სხვანაირად მხვდებოდნენ — უკვე გაგებული ჰქონდათ საიდან ვიყავი ჩამოსული...

ბოლოს ცკ-ამ სკოლაში მუშაობა მირჩია. მომცეს 4 საათი, ვიღებდი 144 მანეთს, 1 კგ კარაქის ყიდვა შემეძლო კ. გამსახურდიამ მირჩია: კერძო გაკვეთილები ჩაატარე ინგლისურშიო.

ლევანი გატაცებული იყო სპორტით, კალათბურთის თამაშებს ესწრებოდა ვერის პარკში. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი, საქართველოს კალათბურთელ ქალთა ნაკრების წევრი დედით ქართველი, მამით — რუსი ქალიშვილი ლუდმილა ბორისის ასული ბაიკოვა, მისი მშობლები ამ ქორწინების წინააღმდეგნი იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთიდან ჩამოსულის მომავალი ბედის გაურკვევლობის გამო. მაგრამ ქალიშვილმა მტკიცედ თქვა: მიყვარსო.

ისინი 1950 წელს შეუღლდნენ და სოლოლაკში, სასოფლო ქუჩაზე იქირავეს ოთახი. მაგრამ მალე გამართლდა ლევანის მეუღლის მშობლების შიში — დადგა ავბედითი 1951 წელი.

15 იანვარს სამუშაოზე მიმავალი ლევანი ქუჩიდან წაიყვანეს. მისი პირველი გამომძიებელი იყო სუკ-ის მუშაკი, კაპიტანი ირაკლი ივანეს ძე ლომსაძე:

ლ. ხაინდრავა: „ლომსაძის პირველი კითხვა იყო: მოგვიყევით თქვენი მტრული, ანტისაბჭოთა საქმიანობაზე რუსეთში...

ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაოცებულ-გაოგნებულს აღმომხდა: ანტისაბჭოთა?! მე ომის დროს საბჭოთა გაზეთში ვმუშაობდი იაპონელების მიერ ოკუპირებულ მანჯურიაში. ჩემი ძმა კი იაპონელებმა სამი წლით ციხეში ჩასვეს ჩინელებისათვის დახმარების გაწევისათვის (მათთვის იარაღს ყიდულობდა).

— ეს ყველაფერი მოჩვენებითია, ჩვენ სხვა საბუთები გვაქვსო — მიპასუხა ლომსაძემ და დამანახა ქაღალდების დასტა, შიგ კი არ ჩამახედა. ერთი კია, ხელი არ დაუკარებია“

ჩემი შეკითხვა: თქვენი დაპატიმრება ხომ არ იყო დაკავშირებული მეგრელთა საქმესთან?

— რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, არა: მეც ასე მეგონა, ჩემი მეგრული გვარი ხელს უწყობდა ამას, მაგრამ — არა... გრძელდებოდა გამოძიება, მძიმე იყო ღამის დაკითხვები: მიდიხარ დერეფანში და გესმის იმათი ყვირილი, ვისაც დაკითხვისას სცემენ... ჩამსჯეს ერთკაციან საკანში“.

იქ 3 თვით ყოფნის შემდეგ პატიმარი სხვა გამომძიებელს გადასცეს.

ლ. ხაინდრავა: „გთხოვთ ზუსტად ასე ჩაწეროთ: ეს იყო საშიში კაცი, ჯალათი, სამძებრო [illegible] უფროსის მოადგილე, შემდეგში სასტუმრო „ევერიის“ დირექტორი, ვახტანგ ილიას ძე შარაშიძე. ის აბუჩად აგდების, დედის გინების მეთოდს იყენებდა, დამაყენებდა, გაუნძრევლად უნდა ვმდგარიყავი, დარაჯად მორიგეს დამიტოვებდა, თვითონ წავიდოდა და როდის, როდის მოვიდოდა...

მაგრამ წამების ნებას არ აძლევდნენ...

(ბატონი ლევანის ჩემთვის ადრე ნათქვამიდან: ისე კი ზოგი რომ ახლა საყვედურობს — რატომ აღიარეს, რატომ დაიბრალეს და სხვასაც დაწამესო, — მე ასე ვიტყვი: ცემას გავუძლებდი, მაგრამ წამებას ვერ ავიტანდი, ყველაფერს დავიბრალებდი და, ალბათ, სხვასაც დავაბრალებდი...)

შემდეგ საერთო საკანში ორი ჩეკისტი იჯდა ჩემთან. იმათ მითხრეს: შენზე პატარა რაიმე მაკომპრომეტირებელი მასალა რომ ჰქონოდათ, გაწამებდაო.

პირდაპირ თქმა არ შეიძლებოდა, ამიტომ ჩემს რომანში ასეთი გზა გამოვნახე: ჩემი ამბავი გადმოვეცი გერმანელის ბედის ასახვით...“

შემდეგ ლევანი გადაიყვანეს ექვსკაციან საკანში. აი. მასთან მყოფთა ერთი შემადგენლობა: ბათუმელი სუკ-ის ექიმი მიშა ცქვიტიშვილი (იჯდა არაპოლიტიკურზე), უშიშროების კაპიტანი ორთაჭალის ციხის უფროსი ანატოლი რეხვიაშვილი (იჯდა ციხიდან ჯგუფურად გაქცეულების დაკავების უნაყოფო ცდისას გასროლით გამვლელის მოკვლის გამო).. ძირითადად კარგი ხალხი იყო. პურისაგან გაკეთებული ჭადრაკით ვთამაშობდით, პატიმარს თვეში ერთ წიგნს გვაძლევდნენ, ე. ი. საკანში 6 წიგნი გროვდებოდა, ერთმანეთს ვუცვლიდით და საკითხავიც სულ გვქონდა...

„მე გულუბრყვილოდ სასამართლოზე დიმიტროვივით მამხილებელი სიტყვის სათქმელად ვემზადებოდი. უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქვა, რომ სტალინმა არ იცის, რა უსამართლობა ხდება და ა. შ.“

ბოლოს დამთავრდა გამოძიება: პროკურორის თანდასწრებით ლევან ხაინდრავას წარუდგინეს 206 ფორმა: საქმე გაგზავნეს მოსკოვში, საგანგებო სათათბიროში, რომელმაც არ დაამტკიცა (ვინაიდან არავითარი საბუთი არ ჰქონდათ) და ხელახალი ძიებისათვის დააბრუნა.

ახალმა გამოძიებამ საქმეს არაფერი მიუმატა, პირიქით, გააუმჯობესა კიდეც: სათათბიროს შეუნიშნავს — რატომ არ ეკითხებით იმათ, ვისაც მოწმედ ასახელებსო — ელჩი, ჯოუ ენ ლაი).

ამის მერე ელჩს დაეკითხნენ. შეიცვალა მიდგომაც. შარაშიძეც კი მორიდებით ელაპარაკებოდა.

1952 წლის 15 სექტემბერს გამოუცხადეს საგანგებო სათათბიროს დადგენილება: ადმინისტრაციული გადასახლება 10 წლით ჩრდილოეთ ყაზახეთში.

საძაგლობა იყო ეტაპით მგზავრობა, ბანდიტებთან ერთად... შაბათს ჩასული ყაზახეთის ქ. პეტროპავლოვსკის ციხეში ამყოფეს ორშაბათ დილამდე. მერე ორმა სალდათმა ფეხით წაიყვანა და ამდენი ხნის შემდეგ პირველად გაიარა ქუჩაში, დაინახა ხალხი...

ლევან ხაინდრავა და მასთან ერთად ოთხი კაცი — ქართველის ცოლი, წმინდა ქართულის მცოდნე გერმანელი ქალი; ათწელმისჯილი ქართველი ვალიკო 35 წლის გერმანელი ტრაქტორისტი და 17 წლის ქურდი — საცხოვრებლად განაწილებულ, პეტროპავლოვსკიდან 200 კილომეტრით დაშორებულ ოქტომბრის რაიონში გაგზავნეს.

როგორც კი გაიგეს — სოფელ მარევკაში ინგლისური ენის მცოდნე ჩამოვიდაო განათლების განყოფილების გამგემ ითხოვა: აქ დატოვეთო. მაგრამ მოვიდა უშიშროების რაიგანყოფილების უფროსი ვოლჩენკო და მტკიცედ განუცხადა ლევანს: სკოლაზე არც იფიქრო. მეურნეობაში იმუშავებ, შენი შემდგომი ბედი კი შენზე იქნება დამოკიდებული...

ლ. ხაინდრავა: „ვერ გავიგე, რა უნდოდა, ყოველი შემთხვევისათვის ვუპასუხე: მუშაობის არ მეშინია-მეთქი.

— იქ ბევრი ნაგავიაო, — ახლაც ვერ მივხვდი, ნაგავია და დაგვი-მეთქი.

ადამიანთა ნაგავია, უნდა დაგვეხმაროო...

მაშინ მივხვდი — დამსმენად ვუნდოდი.

— გაიგეთ, — არა-მეთქი.

მისმა მოადგილემ კმაყოფილებით ჩაიბურტყუნ-ჩაახველა, მოეწონა, რომ არ დავთანხმდი...

გამამწესეს დოლგინკაში, მე-2 ფერმაში, საღამოს აქ თქვენი ბუნდოვა არ იყოს, წადით ხიდთან, სატვირთო მანქანები დადის, იქნებ წაგიყვანონო.

იმ დღეს ვერ წავედი, ვიღაც შოფერმა გამათევია ღამე. დილით ავტოსადგურში შემხვდა ინგუში სულთან ხუტიევი. მიხვდა, რომ ქართველი ვიყავი. ფული შემაძლია — არ იშიმშილოო, მომცა მისამართი (მარევკაში ცხოვრობდა) თუ რაიმე დაგჭირდეს ყოველთვის დაგეხმარებიო.

დედაჩემს ვუდეპეშე. უკვე ნოემბერი იყო, საშინელი ყინვები იდგა, მაინც გადაეწყვიტა ცოლს წამოსვლა, ჩამოიყვანა ნახევრად ბრმა დედაჩემი და 1 წლისა და 7 თვის ჩემი უფროსი ვაჟი ივლიანე, რომელიც პირველად ყაზახეთში ვნახე...

საერთოდ, ცოლმა დიდი დახმარება გამიწია, ის რომ არ ყოფილიყო, ვერც მწერალი გავხდებოდი, ვერც ამდენ რამეს გავუძლებდი... კინოთეატრის მოლარედ მუშაობდა. მისი ნათესავები პროდუქტებს გვიგზავნიდნენ. ამნაირად გაგვქონდა თავი. ვცხოვრობდით ერთი ხახოლის სახლში ნაქირავებ ოთახში“...

როცა ქალაქ პეტროპავლოვსკში გაიგეს — დოლგინკაში სპორტის ოსტატი ცხოვრობს საქართველოდანო, დეპეშა გამოგზავნეს: ჩამოდით სპეციალობით სამსახურს მოგცემთო. ბატონი ლევანის მეუღლემ უპასუხა: მე იმიტომ ჩამოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ჩემს ქმართან ერთად ყოფნა მინდა, ისიც გადაიყვანეთ და გადმოვალო.

ამ დროს ყაზახეთის ოლიმპიადისათვის ემზადებოდნენ, ძალიან ესაჭიროებოდათ გამოცდილი სპორტსმენი. კვლავ უდეპეშეს, წამოდით და ოლიმპიადიდან რომ დაბრუნდებით, ქმარი აქ იქნებაო .

„დაბრუნდა ოლიმპიადიდან ცოლი. მესამე ადგილზე გაიყვანა ჩრდილოეთ ყაზახეთის კალათბურთელ ქალთა გუნდი. არ დავხვდი გადაყვანილი. მივდივარ. — გამოაცხადა. ცოტაც მოითმინეო.

მართლაც, 6 სექტემბერს გადამიყვანეს დედაჩემთან და ივლიანესთან ერთად“

მეუღლე ჯერ მწვრთნელად მუშაობდა. მერე საზოგადოება „სპარტაკის“ თავმჯდომარედ, ლევანი კი ფეხბურთის გუნდს წვრთნიდა.

ასე იცხოვრეს 1955 წლის 7 ივნისამდე. რეაბილიტაციები რომ დაიწყო, დაბრუნდნენ თბილისში ცოლის ბებიასთან, პეროვსკაიას ქუჩაზე ცხოვრობდნენ ყველანი 14-მეტრიან ოთახში.

ლევანს სამსახურში სპეციალობით ძველებურად არსად არ ღებულობდნენ, ისევ სკოლას აჩეჩებდნენ. კვლავ კერძო გაკვეთილებით დაიწყო ცხოვრება.

ამავე დროს ხელი მიჰყო მოთხრობების წერას.

ლევან ხაინდრავა: „დიდად შემიწყო ხელი მაშინ „მნათობში“ მომუშავე რევაზ ჯაფარიძემ — მთარგმნიდნენ და მბეჭდავდნენ (მე ხომ ბედმა რუსულად წერა მარგუნა, ჩვენს ოჯახში რუსულად ლაპარაკობდნენ...)

რამდენადაც მხარი დამიჭირა რ. ჯაფარიძემ, იმდენად ხელს მიშლიდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ის „მნათობის“ რედკოლეგიის წევრი იყო. და შინაგან რეცენზიებში მიწერდა: მტერია, ბურჟუაზიული სული უდგას, საბჭოთა მწერალი ასეთ მოთხრობებს არ უნდა წერდესო.

სიმონ ჩიქოვანი იყო რედაქტორი, ჭოსწონდა ჩემი მოთხრობები, მაგრამ კ. ლორთქიფანიძის ეშინოდა...

მერე „ცისკარში“ მივიტანე. ვახტანგ ჭელიძე კარგად მომეპყრო. ამასობაში დამიგროვდა მოთხრობები კრებულისათვის. წავიღე მწერალთა კავშირის თარგმნილი ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“. გთხოვთ ზუსტად ჩაწეროთ: მარკ ზლატკინი ისე მეპყრობოდა, როგორც სუკის მუშაკები. შინა რეცენზიებს კარგს მიწერდნენ (მაგალითად, დემნა შენგელაია, გიორგი ბედინეიშვილი), ზლატკინი მაინც არ მიბეჭდავდა, 7-10 წელი იდო წიგნი“ (კრებული „პირველი შეხვედრა“, 1962 წელს გამოვიდა).

„შემდეგ კრებულზეც ასე გამაწვალა. ბოლოს მივმართე ირაკლი აბაშიძეს. ირაკლიმ მითხრა: ლევან, წიგნი გამოვა!

მართლაც, როგორც იქნა, 10 წლის ინტერვალის შემდეგ, 1972 წელს გამოვიდა კრებული „ტყეში“.

მიუხედავად რუსეთიდან მოსული კარგი გამოხმაურებებისა, მიუხედავად იმისა, რომ ზლატკინი იძულებული გახდა ცოტათი მორჯულებულიყო, მესამე წიგნიც 7 წელი იდო გამოუცემლად“. („კვამლი ჰორიზონტზე“, 1977 წ. დაიბეჭდა). ამასობაში მოთხრობების ორი კრებული ქართულადაც გამოვიდა 1973 და 1980 წლებში.

ლ. ხაინდრავამ რომანების წერაც საკმაოდ ადრე დაიწყო. მის კალამს ეკუთვნის ტრილოგია: „მამის სახლი“ (1988), რომელშიც საზღვარგარეთ გატარებული წლები და შთაბეჭდილებები აირეკლა; „მოხიბლული შორეთი“ (1985) — სამშობლოში დაბრუნების გზების ძიება და მესამე წიგნი „ვიწროა კარნი შენნი...“ (1985), რომელშიც უნდა ასახულიყო უცხოეთიდან საბჭოთა კავშირში დაბრუნებულთა ხვედრი. ვინაიდან ამის სინდისიერად გაკეთებას მაშინ არ დაანებებდნენ, ავტორმა პერსონაჟთა თავგადასავალი (ბევრწილად ავტობიოგრაფიული) გერმანიაში გადაიტანა. მერე, როდესაც შესაძლებელი გახდა სიმართლის თქმა, ნაწარმოებში სათანადო ცვლილებები შეიტანა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ამ ახალი, უკვე ქართული სინამდვილის ამსახველი ვარიანტის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა ბოლო წლების სიძნელეთა გამო...

ლევან ხაინდრავა: „ყველაზე ადრე, 1958-69 წლებში მივლინების ცხელ კვალზე დაწერილი რომანი კი მხოლოდ 1990 წელს გამოვიდა.

ღამით ვწერდი. ისეთი დრო იყო, სახლში არ შეიძლებოდა შენახვა. დილით სანდო პირებს სახლიდან გაჰქონდათ ხელნაწერი. მყავდა მეგობარი სკულპტორი ოთარ ფარულავა. მივუტანე ხელნაწერი, დაგორგლა, შეკრა და ლენინის ბიუსტის ღრუში ინახავდა 20 წლის განმავლობაში“.

ეს იყო „ჟამი მეექვსე“, რომელშიც აღწერილია 50-იანი წლების დასაწყისის თბილისის დაძაბული ცხოვრება, ადრე რეპრესირებულთა ციმბირსა და ყაზახეთში გადასახლებული ნათესავების მწარე ხვედრი და მთავრდება 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული ამბების პირველი ზუსტი და სრული გადმოცემით და იმ სისხლისღვრის აღწერით, რაშიც მწერალი ხედავს ქართველი ხალხის ნაადრევ გაბრძოლებას კომუნისტური ტირანის წინააღმდეგ.

ჩვენ მცირე კორექტივი უნდა შევიტანოთ მწერლის ამ შეფასებაში კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ გაბრძოლება მანამდეც იყო, ზოგჯერ — დიდი, ზოგჯერ — მცირე, ზოგჯერ მთლად ინდივიდუალური.

ყოველი ასეთი გაბრძოლების საპასუხოდ ტირანია უფრო მეტად მოჭიმავდა ხოლმე მუხრუჭებს, ისიც სინამდვილეა, რომ ყოველი ასეთი შებმა-დაუმორჩილებლობა ხალხის შეგნებაში მომავალში უფრო ძლიერად ასაფეთქებელ პატარ-პატარა ნაღმებს ტოვებდა, რომ ამ ნაღმებს, ამ გაბრძოლებებს ბოლოს და ბოლოს თავისუფლება მოეტანა ჩვენი ერისთვის. ამაში მთლიანად ვეთანხმებით ბატონ ლევან ხაინდრავას და ამ ნარკვევს. სწორედ რომანის დასასრულს მოცემული მისი ასეთი შეფასებით ვამთავრებთ: შემდეგ თუმცა „დიდმა ყინვებმა ისევ შებოჭა დაძრული მდინარე, მაგრამ ყველამ კარგად დაიმახსოვრა ეს ნაადრევი ყინულსვლა და ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ მდინარე როგორც მიედინებოდა, ისე იდენს და იდენს უცვლელად მუდამ ერთი მიმართულებით, ვიდრე არ მიაღწევს, ზღვას, რომლის სახელია — თავისუფლება“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნორა პოტიონოვი

აკაკი წერეთლის პირადი წერილები ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლისადმი

ანასტასია მაჩაბელი (1869-1917), ივანე მაჩაბლის მეუღლე, ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული გახლდათ. იგი იყო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე: სახალხო თეატრთან არსებული დრამატული წრის თავმჯდომარის მოადგილე: ერთ ხანს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.

ანასტასია, იგივე ტასო, მაჩაბელი აკაკისთან დაახლოებული პირი ყოფილა, მეგობრობდა მასთან, ეხმარებოდა გაჭირვების ჟამს. აკაკის პოეზიაში გვხვდება ტასოსადმი მიძღვნილი ორი ლექსი: „ტ. ბაგრატიონის ალბომში“ (იხ. თხუთმეტტომეულის ტ. II, გვ. 212) და „ტასო მაჩაბლისას“ (იქვე, ტ. III, გვ. 98).

წლების მანძილზე მათ შორის არსებობდა ინტენსიური მიმოწერა. პოეტი ტასოს მიმართავდა როგორც დასა და უახლოეს მეგობარს, თანამგრძნობს, გაჭირვებისა და ტკივილების თანამზიარეს. მიუხედავად ამგვარი მიმართვისა, ამ წერილებში მაინც იკითხება პოეტის უჩვეულო გრძნობიერება, სიმპათია და აღფრთოვანება ტასოს პიროვნებით.

ტასოსადმი მიწერილი წერილებიც და ტასოს საპასუხო ბარათებიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, ხოლო 20 წერილი ამ ფონდიდან დასტამბულია გიორგი აბზიანიძის რედაქტორობით გამოცემული თხუთმეტტომეულის მე-15 ტომში.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ამზადებს აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემას. 1995 წელს ამ გამოცემის მე-17 ტომზე მუშაობისას ხელახლა შევისწავლეთ პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობა. გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული პირადი წერილების ავტოგრაფულ ხელნაწერებზე მუშაობისას მივაკვლიეთ 19 გამოუქვეყნებელ წერილს ტასო მაჩაბლისადმი. გაირკვა, რომ თხუთმეტტომეულის მე-15 ტომზე მუშაობის პერიოდში ეს წერილები არ იყო მოთავსებული სხვა წერილებთან ერთად და ამის გამო, ცხადია, ვერც მოხვდებოდა დასახელებულ ტომში. როგორც მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგემ, ქალბატონმა მარინე ყიფიანმა აგვიხსნა, ეს 19 უცნობი წერილი თავისი შინაარსის განსაკუთრებულობის გამო გატანილი ყოფილა ე.წ. „აკრძალულ ფონდში“. დღეს ისინი კვლავ დევს აკაკის არქივში სხვა პირად წერილებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ აღნიშნული 19 წერილის შინაარსზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათში გახსნილია აკაკის ერთი დიდი საიდუმლო, კერძოდ მისი თავდავიწყებული ტრფიალება ივანე მაჩაბლის მეუღლისადმი, რომელსაც პოეტი ოცი წლის განმავლობაში გულში ინახავდა როგორც „წმინდა ლოცვას". ამ გრძნობის გამხელა აკაკიმ შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, როცა უგზო-უკვლოდ დაიკარგა ივანე მაჩაბელი.

უსაზღვრო, განუზომელი და თავზარდამცემია აკაკის ტრფიალება ტასოსადმი. იგი თაყვანს სცემს მის პიროვნებას. ამ წერილებიდან, უპირველესად ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „სიკვდილის წინეთი აღსარება", რომელშიც პოეტი პირველად უმხელს სატრფოს თავისი იდუმალი გრძნობის შესახებ; „მე შენ მიყვარდი ამა ქვეყნიური მიმდევრობით, ასეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორიც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის! გეტრფოდი სრულის ჩემის არსებით! შენ იყავ ჩემი ზეჩამაგონებელი... პოეზიაცა და სიცოცხლეც". ასეთივე თაყვანისცემა იგრძნობა სხვა წერილებშიც. როგორც მათი შინაარსიდან ირკვევა, პოეტი თურმე საგანგებოდ მალავდა ამ გრძნობას თავისი უახლოესი მეგობრის მეუღლისადმი, მაგრამ იგი შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოებისათვის. როგორც ცნობილია, ივანე მაჩაბელი დაიკარგა 1898 წელს. იმ დღეებში არასასიამოვნო მითქმა-მოთქმა ყოფილა აკაკის ირგვლივ. ამის შესახებ მიგვანიშნებს მეორე წერილი, რომლის სათაურია „ღამის ოთხი საათი". მასში პოეტი გამოთქვამს უდიდეს აღშფოთებას თავისი უახლოესი მეგობრის, ვანო მაჩაბლის დაკარგვის გამო და მეტად შეურაცხყოფილია თანამემამულეთაგან, რომლებმაც სრულიად უდანაშაულოდ და უსამართლოდ გაწირეს: „განა შეუძლია ქართველს, — წერს იგი, — ერთის იხე ამაღლება, რომ მეორე არ დაამდაბლოს? მსხვერპლია საჭირო და ის მსხვერპლიც მე ვარ. მე ამომიღეს ნიშანში. ამიერიდან ჩემთვისაც ყოველივე გათავდა".

წერილებში გადმოცემულია აკაკის ცალმხრივი, პლატონური სიყვარული ტასო მაჩაბლისადმი, რომელიც აბსოლუტურად არ თანაუგრძნობდა პოეტს და თავის საპასუხო წერილებში კიცხავდა კიდეც მას ასეთი გრძნობისათვის; საოცრად ცივი, გულგრილი ყოფილა მისდამი. ტასოს საპასუხო წერილებიდან ჩანს, რომ იგი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ერთგული დარჩენილა თავისი სათაყვანო მეუღლის ხსოვნისა. იმის შემდეგ, რაც აკაკიმ გაუმჟღავნა თავისი გრძნობის შესახებ, ტასომ შეწყვიტა მასთან მეგობრული ურთიერთობა და ცდილობდა, რომ საერთოდ აღარ შეხვედროდა მას. აკაკი შეურაცხყოფილია ტასოს ამგვარი გულგრილობის გამო: „ეგ ზიზღი, — — წერს იგი, — რომელსაც თქვენ მიჩვენებთ, არ დამიმსახურებია. დღემდი მე ღირსად მიმაჩნდა თავი თქვენთან მეგობრობისა. დღეიდან კი მკვდარი ვარ". ამ წერილებში აღმოჩნდა აგრეთვე სატრფიალო ლექსის ავტოგრაფული ხელნაწერი სათაურით „ტ." (ლიტ. მუზ. № 20492), რომელიც სხვა სათაურით („N") დაუბეჭდავს პოეტს თავის კრებულში „ჩემი ნაწერები" (ტ. მე-4, გვ. 53).

ტასოს ახლობლებისაგან გარიყული გულდათუთქული პოეტი ასე მიმართავს სატრფოს: „ერთხელვე გადავწყვიტე, აღარავინ ვნახო, არც მივიდე ვინმესთან და არც მივიღო, რადგანაც ჩემი სიტყვა და გრძნობაც ყველას სხვაგვარად ესმის". წერილებში იგი თვითონვე ხსნის და ასურათხატებს თავის სპეტაკ გრძნობას ტასოსადმი: „იმ თავიდან ამ ბოლომდე, ამდენი ხნის განმავლობაში, კამკამ წყაროსავით მქონდა თქვენ წინ გადაშლილი ეგებ პოეტურად ახირებული, მაგრამ მაინც წრფელი გული კი და თქვენც შეგეძლოთ თქვენის საკუთარის თვალით, და არა სხვების სათვალეებით, ჩაგეხედათ შიგ და

ეროვნული

დარწმუნებულიყავით, რომ აქ ძირამდე სიწმინდის მეტი არა იყო რა“.

თავის საპასუხო წერილებში ტასო მაჩაბელი კიცხავს აკაკის იმის გამო, რომ ვანოს დაკარგვის შემდეგ იგი აქტიურად აღარ იცავს მის პოზიციას და არ ბეჭდავს სტატიებს პრესაში; გული სტკივა და უკმაყოფილებას გამოთქვამს საზოგადოების მიმართ, რომელმაც დაივიწყა ვანო: „თქვენ კარგად იცით, — სწერს იგი აკაკის, — რომ ჩვენი საზოგადოება ყოველთვის სდევნიდა ვანოს. როცა თვითონაც მიხვდენ და გაიგეს სიმართლე და, რასაც აკეთებენ, იმითი ხელმძღვანელობენ, ვინც ვანოს მომხრეები იყავით, ხმა არ ამოიღეთ არც სიტყვით და არც ბეჭდვით“ (ლიტ. მუზ., № 20466).

როგორც ჩანს, ამ საყვედურის პასუხად დაუწერია აკაკის თავისი ცნობილი ლექსი „პატარა ამბავი“ (ივანე მაჩაბლის სახსოვრად)“. ეს ლექსი მიწერილია ტასოს მიერ აკაკისათვის გაგზავნილ ბარათზე (ლიტ. მუზ. № 20485), რომელიც დათარიღებულია 1902 წლით. ამ ლექსში აკაკი ვანო მაჩაბლის დაღუპვაში ადანაშაულებს საზოგადოებას, რომელიც სდევნიდა მას და ბოლოს აიძულა, რათა გასცლოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას:

„არყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას,
როცა მეფობს მრუდე ძალა“, —
ასე სთქვა და ცხოვრებას სულ
მოეშორა, მოეცალა“.

ზემოთ აღნიშნული ყველა წერილი უთარიღოა. აკაკი ზოგჯერ აღნიშნავს თვესა და რიცხვს. ამიტომაც მათი დათარიღება მხოლოდ მიახლოებითაა შესაძლებელი. საწყის თარიღად ჩვენ მივიჩნევთ ვანო მაჩაბლის დაკარგვის თარიღს — 1898 წელს, რის შემდეგაც უნდა მომხდარიყო იდუმალი გრძნობის გამჟღავნება და დაწერილიყო „სიკვდილის წინეთი აღსარება“. ყველა დანარჩენი წერილი ამ ფაქტის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. წერილებში აკაკი თავის თავს ხშირად „მოხუცს“ უწოდებს. ერთ-ერთ წერილში კი წერს: „ღრმა სიბერემდი მივაღწიე“-ო. აქედან გამომდინარე, ბოლო თარიღად მივიჩნევთ აკაკის გარდაცვალების წელს — 1915-ს.

ამავე პერიოდს განეკუთვნება აკაკის პირადი წერილი ელისაბედ თარხნიშვილისადმი, ტასოს დეიდაშვილისადმი (ლიტ. მუზ. № 20509), რომელიც იმავე „აკრძალულ ფონდში“ აღმოჩნდა. პოეტი შესჩივის თავის მეგობარ ქალს ტასოს გულგრილობის გამო და საოცარი მხატვრული ფერებით გვიხატავს სატრფოს პიროვნებას. იგი თავის თავს ადარებს „საორქვეყნოდ მშრომელ ფუტკარს“, რომელიც თავს ევლება სატრფოს — „მწიფე მსხალს“. მას კი ბუზები შემოუხვევია კერპებად და ახლოს არ იკარებს ფუტკარს: „კარგი ხის სანაქებო ნაყოფო, — მიმართავს შეყვარებული ფუტკარი სატრფოს, — შენ მაგ ტყუილა-ბზუილა ბუზებს იახლოებ, რომ თავი შეიქციო და ფუტკარი კი, რომელიც შენს მახლობლად, სიწმინდით აგზნებული, ღვთის კურთხევით საორქვეყნო სანთელ-თაფლს მოამზადებდა, მოგიშორებია“. ლიზა თარხნიშვილისადმი მიწერილი ეს ბარათი კიდევ ერთხელ ადასტურებს აკაკის გრძნობის სიწმინდესა და მაღალზნეობრიობას.

ვფიქრობთ, რომ ეს ახალი, დღემდე უცნობი წერილები კიდევ ერთ სხივს მატებს აკაკის მრავალწახნაგოვან პოეტურ ტალანტს და სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს მის ბიოგრაფიას.

წერილთა ნუსხები დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის აკაკი წერეთლის ფონდში შემდეგი ნომრებით: I — № 17918; 2 — 20491; 3 — № 17920; 4 — № 17907; 5 № 17908; 6—№ 17911; 7—№ 17912; 8—№ 17919; 9 — № 20489; 10 — № 20492; 11 — № 20497; 12 — № 20499; 13 — № 20498; 14 — № 20500; 15 — № 20501; 16 — № 20502; 17 — № 20506; 18 — № 20504; 19 — № 20505.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

სიკვდილის წინეთი აღსარება

მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება იყო. არც ერთი დღე არ შემხვედრია მისთანა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნოს. მაგრამ მე მაინც სულ ვიცინოდი, რადგანაც საოცნებო იდიალი მომავლის იმედით მასულდგმულებდა. ვებრძოდი ბედის ვარსკვლავს, სანამ ის, ოცნებით წარმოდგენილი იდიალი არ განხორციელდა შენში! მაშინ კი უფრო გამიადვილდა ტანჯვის ატანა. ოცის წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი ამა ქვეყნიურის მიმდევრობით. ასეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორაც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის! გეტრფოდი სრულის ჩემის არსებით! შენ იყავ ჩემი ზეჩამაგონებელი, ჩემი აღმგზებელი პოეზიაცა და სიცოცხლეც. უშენოდ ქვეყანა ველარ წარმომედგინა!!! დიდხანს ვიმარხავდი საიდუმლოდ, როგორც წმინდა ლოცვას, იმ გრძნობებს ჩემს გულში, მაგრამ „არა რაი არს საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდესო“. ბოლოს მაინც ძალაუნებურად იჩინა თავი და ან კი რად უნდა დაფარულიყო მისთანა, წმინდათა წმინდა?

ქვეყნის უმეტესობა, ანუ ბრბო, საქვეყნო გრძნობებს ვერ ასცილდება და ჩემს აღმამფრენ ტრფიალებას ის როგორღა შეიგნებდა? ვერ შეიგნო და ბევრი უსამართლობა ჯამოვსცადე თვით შენ მახლობელთაგანაც კი... მაგრამ ავიტანე, რადგანაც ერთი შენი თანა-გრძნობით შემოხედვა, მეგობრული ღიმილი და ტკბილი სიტყვა მკურნავდა! მაგრამ ეს სოფელი განა დიდხანს ვისმეს ახარებს?“ მრისხანე ბედმა, ჩემ კვალში მდგომმა, გადამიყენა იდიალი და მხოლოდ მითი მძლია და მომეშხამა არა თუ აწმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კი და „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდო?“ ამბობენ, რომ სიკვდილის წინეთ, სულისა და ხორცის გაყრის დროს, არათუ ჭკუათა მყოფნ, „გიჟებიც კი გონში ჩახვდებიან ხოლმე, რომ ორივე სოფლის, სააქაოს და საიქიოს, ვითარება გაითვალისწინონ. ეს წერილიც ჩემი სულისა და ხორცის გაყრაა და მიტომ მეც გამითვალისწინდა, რასაც დღემდი ვერა ვხედავდი, თურმე ჩემის „არამკითხე“ მისწრაფებით სასაცილო ვყოფილვარ და თანაგრძნობის ნაცვლად გულგრილობა გამომიწვევია თქვენის მხრით! მაპატიეთ! ნათქვამია: „ვისაც ბევრად უყვარს, ბევრიც ეპატივებაო.“ მაპატიეთ დღეიდან მკვდარს და თვით მკვდრათაც მიგულეთ, რომ ჩემმა სახსენებელმაც კი ჩრდილიც არ მიაყენოს თქვენს ნათელმოსილ ნეტარებას.

მშვიდობით სამარადისოდ.

აკაკი.

2.

ღამის ოთხი საათი

სწორედ ღამის ოთხი საათი იყო, რომ დაიღუპა უკეთესი ჩემი მეგობართაგანიც!

გულთამხილავო, შენ ხარ მოწამე, რომ მე არც არა მცოდნია რა და არც არა ბრალი მდებია?! და მაშ რისთვის და რად გადამხდა სამაგიერო სრულიად უცოდველს? „იყავნ ნება შენი, უფალო!“ ამაო ყოფილა ბედის შებრძოლება და აჰა, მეც ვანებებ თავს.

ქუთაისში ჩემი უკანასკნელი გამხიარულება, თურმე, ლამპრის ჩაქრობის წინეთი ამოშუქება იყო! და გელათიდან დაბრუნებულზე გულის გახსნა — მომაკვდავის აღსარება!! აღარ მეგონა, რომ ისინი ორივე თუ არ კაცთმოყვრულ თანაგრძნობას, ადამიანურ სიბრალულს მაინც არ გამოიწვევდნენ?!

მაგრამ განა ქართველს შეუძლია ერთის ისე ამაღლება, რომ მეორე არ დაამდაბლოს? მსხვერპლია საჭირო და ის მსხვერპლიც მე ვარ! მე ამომიღეს ნიშანში!

წლევამოსილის მედიდურობით მითხრა: „ძალით გრძნობის გამოწვევა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლებაო“. და თანვე დაამატა: „ოჰ, როგორ გასუქებულა, გაკეთებულა, გალამაზებულა და განწმენდილაო“!

თქვენ გაქვსთ ძალა, რომ ადამიანი არა თუ მარტო ხორცით, სულითაც გასწმინდოთ-მეთქი, — ვუპასუხე და დავდუმდი. დავდუმდი, მაგრამ მისი შეუბრალებელი სახე, მაინც კიდევ დაცინვა, მეუბნებოდა: წადი, მომშორდი! შენ, რომელსაც აგერ თხუთმეტი წელიწადია გაგირბი, რომ მეტი წამი არ გაცქერიო ჩემთვის! ჩაუარე გვერდი! დახედე და მოკვდიო. გამოირკვა ყოლიფერი! საორჭოფო აღარა დარჩენილა-რა! და ამიერიდან ჩემთვისაც ყოველივე გათავდა! გიჟი ვარ თუ არა? ეს მომავალმა გადასწყვიტოს, მისივე შვილებმა. და მე კი, ჩემივე აჩრდილად გადაქცეულს, ცოცხალ-მკვდარს, სიკვდილმა მიფონოს!

მშვიდობით!

აკაკი.

3.

ბატონო კნეინავ ძვირფასო ტასო!

თქვენს მტერს და ორგულს, რაც მე დღე დამაყენა ამ უსიამოვნო აყალმაყალმა და უბედურმა შემთხვევამ. გუშინ დავმარხეთ საბრალო, მაგრამ მეც კი მეყო. ნაღველმა ამიტანა და ტკივილებმა ლოგინად ჩამაგდეს! მაგრამ ღმერთი გაჭირვებაში აძლევს ნუგეშს! ტკბილმა ფიქრებმა და პოეტურმა ოცნებამ „მარიამ-დედოფალზე“ ნელ-ნელა დამამშვიდეს და გამომიბრუნეს სული. აქ ყოლიფერი ისე მაბრაზებს, რომ დიდხანს დარჩენა ჩემი არ ვარგა, საწამლავია, მაგრამ რა ვქნა?

ორ კვირაზე ადრე ვერ მოვიცვლი ფეხს და რომ აქეთ წერილით, სადაც თქვენი შვილების კარგი ამბები იქნება, ნუგეში მცეთ, დიდად დამავალებთ. მარად თქვენს ერთგულს და ბედნიერების მონატრეს.

აკაკი.

4.

მივიღე შენი წერილი. ჯერ კიდევ მოუშუშებელი ნაღველი ამეშალა: ცივ-გულა წერილის ყოველი სიტყვა მეუბნებოდა, რომ „ის აღარა ხარ, რაც იყავ და აღარც იქნებიო“!

ეჰ! იყავნ ნება უფლისა! მეყო სამი წლის ტანჯვა: ვერ მომერია, ვერ მომკლა, მაგრამ მკვდარს კი დამამსგავსა. დამცინი: მეგობრები დაივიწყეო და მე კი ჩემ დღეში ერთის მეტი მეგობარი არა მყოლია. იმას შევწირე ჩემი გრძნობა-გონება და ამას კი სასაცინოთაც არ ეყო! აი, სწორეთ ამიტომ გამოვეთხოვე სამშობლოს და აღარავის რამესა ვსწერდი. მაგრამ ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“! მე ჩამოვედი აქ, რომ ადგილი მეშოვნა და აქაურმა ჰაერმა კი არ შემიწყნარა. გავხდი ავად და ექიმებმა ერთ პირად გადამიწყვიტეს, რომ ნიცაში წადი და ან ისევ კავკასიაში დაბრუნდიო. აქ დარჩენა სიკვდილია, ნიცაში წასვლას საზრდო უნდა და მანდეთვე დაბრუნება კი ტანჯვაა. უხმოთ და უთანაგრძნობოთ ვიკლავ გულში დარდებს! ეჰ! აღარ ღირს ჩემზე ლაპარაკი და მეც ვათავებ. ლოლიამ მადლობა მოგახსენათ კაკლის მურაბისათვის. თუმცა ისე არ უნახავს თვალით. როგორც ჩინეთის ბოღდი-ხანი: შუშა გატეხილიყო ჩამადანში, ჩაღვრილიყო მურაბა და, რაც რამ გამაჩნდა, გაფუჭებულია!

ბაბო ორჯერ ვნახე: ახალ წელიწადს ის და ელიჩკა ჩვენთან იყვნენ სადილად და მეორეთ საღამოს მოვიდა სანახავად, ჩემი ავადმყოფობა რომ გაეგო. უნდა გამოგიტყდე, რომ არ მიამა. ის ველარ არის, რაც იყო. რაღაც აწუხებს და დასევდიანებულია. შევუჩდი, მაგრამ ვერა ვათქმევინე რა! ბაგრატიონის ქალია და შენი და. გულში ნადებს არავის გაუზიარებს! შენ რომ ჩამოსულიყავი. კი, ყოლიფერს გაიგებდი, რადგანაც შენი გრძნეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“ და სხვანი. მე მანდვე ვიცოდი, რომ არ წამოხვიდოდი. ნატაშამ სიყვარულით მოგიკითხათ. თუ მართლა არ გეხერხება ჩემთან უბრალო მეგობრული წერილი და „ბატონობით“ უნდა მწეროთ, მაშინ უმჯობესია თავს ნუღარ შეიწუხებთ და ეს წერილი იყოს უკანასკნელი. ყმაწვილები დამიკოცნე.

მარად მოყვარული და ერთგული

აკაკი.

5.

საყვარელო დაო და ძვირფასო მეგობარო ტასო!

კაცი დავბერდი და ჯერ ამისთანა მგზავრობა არ გამომიცდია! ნეტავ ფეხი მომტეხოდა და ამ ექსპრესით არ წამოვსულიყავი! ვიყავი გამომწყვრეული მარტოდმარტო კუპეში. ასე რომ, ლაპარაკიც კი დამავიწყდა. ერთხელ-ორჯერ ვსინჯე სადილათ გასვლა, მაგრამ სომხური „აწაპრაწას“ მეტი ვერა გავიგონე რა და გავშორდი. ვიცი, ვახტანგი იტყვის: „ახია და უარესიც მოელის პეტერბურგში წასვლისათვისო“, და მართალიც იქნება. მე ვითომ ეკონომია გავაკეთე. მაგრამ ერთიორათ კი დამიჯდა. აჭმევენ ცუდათ და ახდევინებენ ბევრს. ასე გასინჯე, რომ ერთი ფორთოხალი ექვსი-ნახევარი ღირს და სხვა რაღა იქნება? მივდივარ ერთი საათის შემდეგ პეტერბურგში, მაგრამ აქაც, ვაი რომ ვერავინ დამამშვიდებს. მაპატიეთ მოკლე წერილი. არც გუნებაზე ვარ და არცა მცალიან. მეჩქარება.

მარად ერთგული აკაკი

6.

ჩემო ძვირფასო მეგობარო ტასო!

„ჭირი მართალთაო“, სწორედ შენზეა ნათქვამი! რაღა ეგ გეჭირვებოდა?! ბევრი მოგითმენია და ეგეც ეგება მოითმინო. მით უფრო, რომ ნიკუშა-ს გიჟისა არა სჭირს რა! ეგ არის მხოლოდ, ყმაწვილური შეფუცხუნება, რომელიც მალე გადაივლის და გონებაში ჩამხვდარი, ნიკუშაც მალე შეინანებს. პირადად ნიკუშას ჯავრი ნუ გაქვს! შემცდარან ექიმები, რაც უთქვამთ!! იმედი მაქვს შენი ჭკუისა და წინდახედულობისა და ხასიათის სიმტკიცის, რომ მაგ მოულოდნელ ახირებულობას აიტანო. როგორც გავიგე, მინდოდა გადმოვარდნილიყავი, მაგრამ ცარიელი გადმოვარდნა რა ფაიდაა (?), სანამ არ მოვრჩები ჩემ საქმეებს.

მარად ერთგული აკაკი.

7.

ჩემო ძვირფასო მეგობარო ტასო!

რომ იტყვიან: „გარეთ მტერს სჭრის თვალებს და შიგნით კი მოყვარესო“, სწორეთ ჩემზეა გამოჭრილი. გარეგანად გადაჭარბებულს შინაგანად ტანჯვა-ვაების მეტი არა გამიცდია რა... ღრმა სიბერემდი მივაწიე და ჩემს ცხოვრებაში ტანჯვის მეტი არა გამიცდია რა.. მხოლოდ შენმა და-ძმურმა მეგობრობამ კი დამიტკბო სიცოცხლე მცირე ხნობით. ისე მივეჩვიე ტანჯვას, რომ მეგონა, თუ ყოლიფერს ავიტანდი, მაგრამ შენმა ცრემლებმა, წმინდა დედის ცრემლებმა, გამიტეხეს გული და დამითუთქეს. აგერ ხუთი ღამეა აღარ მძინებია. შენ მიდგეხარ თვალწინ და შენს ცრემლებს თანავეზიარები. — საკვირველია, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა კეთილად დაბოლოვდება და შენც მალე ნიკუშას და ელენეს ბედნიერებით იხარებ, მაგრამ მაინც შენი შემკრთალი ცრემლები გულს მიხვრეტენ! შენი ჭირიმე, თუ რამ ამბავი მოგვიდეს იქედან, მეც მაცნობე ხოლმე. ამოგიკოცნი მოტირალ თვალებს.

მარად შენი მოთაყვანე აკაკი.

8.

საყვარელო დაო და კარგო მეგობარო, მაგრამ ხანდახან სასტიკად უსამართლო ოცნებავ!

გადავედი ქორწილში იმ განძრახვით, რომ იქ, იმდენ ბაიყუშებში, ჩემს ზეამგზნებელს, ჩემს ზეგარდმო ჩამაგონებელს ცისკრის ვარსკვლავს ვნახავდი და მისის ცქერით საზოგადოდ დაწყლულებულს სულს და გულს დავიტკბობდი. მაგრამ სხვაში რაში მაქვს ბედი?! არა თუ არ მინახავს, გაგონებითაც არ გამიგონია მისთანა ლხინი. კრიჭა არავის ეხსნებოდა. ასე გასინჯეთ, რომ, როცა მეფე-დედოფლის სადღეგრძელო დალიეს, კანტიკუნტად გაისმა ხმა! სხვისი აღარავისი დაულევიათ... ბოლოს ჩემი სადღეგრძელო დალიეს მარტოსი, რაც მე ძალიან მეჯავრება; თითქო ელექტრონმა დაუარა საზოგადოებასო, გამოფხიზლდა ხალხი და შეიქნა ხრიალი. გარეშეს რომ ეყურებინა, მართლა რაღაც ვეგონებოდი, მაგრამ მე კი ვიცი, რომ ცარიელი იმერული უგულო ენის ქავილი იყო. ასე თუ ისე, იძულებული გავხდი მეც მეთქვა სიტყვა. ბევრი იყო უგულო არატორობა, მაგრამ მაინც კარგად გამომივიდა. თუ შენც აქ ყოფილიყავი, მართლა არატორული რამ იქნებოდა.

მრავალს გაკოცებ ჩემ საყვარელ ხელებზე.

სიკვდილამდე შენი ერთგული მოყვარული და უბედური აკაკი.

p. s. თუ პასუხი მომწერო, ...შენ სახელს ნუ მოაწერ, „იდიალი“ მოაწერე და კმარა. ელასა და ნიკუშას დავკოცნი.

s. . რადგანაც ის სიტყვა არ იბეჭდება, გიგზავნი.

9.

16 ივლისი

ძვირფასო დაო ტასო

მივიღე შენი წერილი, რომელმაც დიდად გამახარა. მადლობა ღმერთს, რომ კარგადა ხარ და მე რა საკითხავი ვარ? იწერები, ნუ მოხვალო და ეგები მე, ჩემი შეცდომით, მანდ სიკვდილი მერჩიოს აქ სიცოცხლეს?! საზოგადოდ აქ ეს ორი დღე სიცხე იყო და დროზე მოვიდა წერილი, გასაგრილებლად. ეჰ, რაღა მოგწერო? მანდაც რომ ჩამოვიდე, ხშირი ნახვით აღარ შეგაწუხებ, წერილს ნულარ მოიწერები აქეთკენ! მოუცადე ჩემ წერილს. მე ხვალ მითავდება კურსი და არ ვიცი, სად გადმოვალ პირველ აგვისტომდი, შეიძლება, როგორც არესტანტმა, მოუცადო აგვისტოს ფულს და, თუ სადმე გადავედი, დეპეშას გამოგიგზავნი, რომ იქ მომაწოდონ აგვისტოს ფული. მე ჩემის ნერვებით ვერა ვარ კარგათ და არა თუ წერა, კითხვაც არ მეხერხება. ვანოზე რომ წერილსა მწერ, ფიქრში ყოფილხარ და „აი, რა არის კარგი კაცობაო“ — უნდა მოგეწერა და მოგიწერია:“ აი, რა არის კარგი კოცნაო“! ვისი? რაც დიდხანს დავრჩები, მე, „თქვენი ბატონი აკაკი“, როგორც თქვენ იწერებით, განა ისა სჯობია? იყავნ ნება თქვენი, მაგრამ აქ დარჩენას დიდი ფული უნდა და მე კი ისევ ჩემ საჩხერეს უნდა მივაშურო!

ლიზას ამბავმა ძალიან შემაწუხა. გულმა მიგრძნო. მოხარული ვარ, რომ ეგ სახლი დაუქირავებიათ. თუმცა ჩემი ოთახი კი მიწყვეტს გულს, მაგრამ ეს ასე უნდა მომხდარიყო. ქირაც კარგი აგიღია, „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა სხვისგან განაწირსაო“, — ამბობს რუსთველი და მართალიც არის. დათას რომ არ შეეძლება და სხვათაც ვისმე რუსული გაზეთის გამოცემა, ეს მანდვე ვიცოდი. ჩემისთანა ბებერ კაცს სიყვარულის მეტი სიზმარიც კი დაეჯერება და მაგან კი არ დამიჯერა. კარგად ვიცნობ ჩვენებურ ძალასაც და საზოგადოებასაც. მანდ ერთი მეორის შემწე კი არა, ხელის შემშლელია. და თუ ტასო უწყობს ხელს აკაკის და ლიზა თანაუგრძნობს, ეს იშვიათი ღვთის მოვლენაა, რომლისაც ღირსი არა ვარ. მაგრამ იქაც კიდევ სხვები ჯავრობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიჩკასა და შენმა (მართლა არ ვიცი, როგორ მოგწერო. მე „შენობითა“ გწერ დ შენ კი „ბატონობით“. რას ნიშნავს ეს?) შეყრამ გული ამიჩვილა. ხომ კარგად არის ჩემი კარგი ოლიჩკა? დამიკოცნე! ნიკუშა ავლევში ვისთან არის? ნუთუ სმირეჯიბისას? რატომ არ იწერები? ეტყობა რაღაცას მიეწერება, რომ წერილის პასუხი არ გამომიგზავნა! მაგრამ ეჰ! ვისაც მე არ ვუნდებვარ, მშვიდობით იყოს!

მანდაური ამბები ეტყობა მართალი ყოფილა, რასაც იწერებოდნენ ფრანგულ აქაურ გაზეთებში. შენი მდგმური სად გადავიდა? ის მდგმური, მე რომ მომწონდა? დამიფარე, ღმერთო? საიდან სადაო, წმინდა საბაო? ჩემმა ცოლმა რა მოგწერა, არ ვიცი? და რას აყოლიხარ ამის ცხირებულობას. ის არ კმარა, რომ თვითონ თავის თავით აწუხებს და დითაც არ აწუხებდეს სხვებს. ამატა და ამატა! ნეტავი ადამიანი მაინც იყოს და ღირდეს რამედ?! თვალი ამეხილა, მაგრამ ვერასა ვხედავ მაინც ცალი თვალით და ძალიანაც გააფთრებული ვარ ჩემ თავზე. ყმაწვილი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ბებერი ვარ და რაღა საჩქაროა? ისეც ველი სიკვდილს.

სხვა რაღა მოგწერო? დავშთები მარად ერთგული (თუმცა არავის უნდა) მეგობარი.

აკაკი.

10.

ყოველგვარი ღონისძიება ვიხმარე, რომ გამეგო, თუ რა დაგიშავე, მაგრამ ამაოდ ჩამიარა. ცხადია, რომ რაღაც დიდი დამნაშაობა მიმძღვის, რომელიც მე ვერ გამომიკვლევია. თუ რამე შემიცოდებია, მაპატივე! ეგ ზიზღი, რომელსაც თქვენ მიჩვენებთ, არ დამიმსახურებია. დღემდი მე ღირსად მიმაჩნდა თავი თქვენთან მეგობრობისა. დღეიდან კი მკვდარი ვარ, როგორც ხორცით, ისე ზნეობითაც. მაგრამ მე ისე მიმყავს საქმე, რომ იჭვს ვერავინ შეიტანს, თუ თქვენ ხართ მიზეზი ჩემი უბედურების. მე ჩემი თავი არ მენანება. ვსწუხვარ მხოლოდ იმას, რომ ვერაფერში გამოგადექი, ვერც შენ დავერც შენ შვილებს:

იყავ ნება უფლისა! მშვიდობით, მე მაინც სააქაოს იქეთ სიყვარული თან მიმაქვს, ნუ დამცინებთ და ნურც სიგიჟეს მიკიჟინებთ. უამისოდ მე სიცოცხლე არ მინდა.

ტ.

ის აღარ ვარ, რაც ვიყავი,
მაშ რაღა ვარ? — გამოცანა!
შენს გარეშე არ არსებობს
ჩემთვის არც ცა, არც ქვეყანა.
შენ ხარ ჩემთვის, მხოლოდ შენ ხარ
განგებაც და პოეზია!
შენი ტკბილი გაღიმება
სულჩამდგმელი ჩემთვის მზეა.
ალერსი და ტკბილი სიტყვა
შენი არის ჩემი ძალა,
გაწყრომა და გულგრილობა
— საწამლავი და სამსალა.
იცის ღმერთმა, შენ ხელშია
მხოლოდ ჩემი არსებობა.
თუ დამკარგე, შენთან ერთად
თვით სიცოცხლეც მომესპობა.
არა, სატრფოვ, ორივესთვის
სჯობს კავშირი შემაერთი.
შენ ხარ ჩემი სიყვარული!
სიყვარულიც არის ღმერთი.

აკაკი.

11.

ბატონო ტასო!

ისევ გამწყრალი ბრძანდებით მას აქეთ, მეორე დილას რომ გულკოიტად მიაშურეთ ვაგზალს? თუ მოიბრუნეთ თქვენგანვე ცილწამებული თქვენი გული? ძალიან მაკლია თქვენი და თქვენი ბარტყების უნახაობა, მაგრამ რა ვქნა? ერთხელვე გადავწყვიტე, რომ აღარავინ ვნახო, არც მივიდე ვინმესთან და არც მივიღო, რადგანაც ჩემი

სიტყვაც და გრძნობაც ყველას სხვა-გვარად ესმის! და მე, იმ ერთი ღვდლისა არ იყოს, რომ უთქვამს: „როგორც მიწირავს, თუ ისე არ ვსწირე, არც ერთ საყდარში არ შევალო“.

საზოგადო ფერხულში ჯეღარ ჩავებმი. როგორც დღემდი ვყოფილვარ, ისეთივე უნდა დავრჩე!

გთხოვ, ეს წერილი ლიზას გაუგზავნოთ. როცა წიგნს მისწერთ, ესეც შიგ თქვენს წერილში ჩაატანეთ, თორემ მე არც მარკა მაქვს და არც მარკის ფასი, რომ გავგზავნო.

მიახლებია | აბხაზის დრამა. ავტორი არც მისთანა ყოფილა, მე რომ მეგონა.

ნიკუჩა და ელა დამიკოცნე, მაგრამ ჩუმათ, რომ სხვებმა არ დაინახონ, თორემ იტყვიან: აკაკიმ დაგვიგესლაო.

თქვენი მარად

აკაკი.

12.

მე ვერ წარმომიდგენია, რომ ადამიანმა, და მერე თქვენისთანამ, ასე გაიმეტოს და გასწიროს უბედურებაში ჩავარდნილი კაცი და ისე გულგრილად გაიმეტოს, როგორც გუშინ. ავაზაკიც რომ იყოს, მაინც მიტოვება და განსაცდელში ჩაგდება არ არის კარგი! ერთი გზის მეტი აღარა დამრჩენია რა და ის გზა საშინელია...

მე სხვას არას ვითხოვ, მხოლოდ ველი ერთ სიტყვას თქვენგან, ხვალვე საჩხერეში მოწოდებულს. ან თუ ეს არ მეღირსა, მაშინ მშვიდობით! ღმერთმა გაბედნიეროს. მეცოდინება, რომ მე ღირსი ვყოფილვარ მისი, რაც მელის.

აკაკი.

13.

ბატონო ტასო!

დღეს გიგო დიასამიძე მეუბნებოდა, რომ თქვენ მეტად კეთილი გულის ადამიანი ხართ. იმას რომ არ ეთქვა, მეც კი ვიცოდი, მაგრამ ხუთოლ ეგ მაღალბუნებოვნებამ დამაგმობია ჩემი შვილი, რომელთანაც ¡ღლეიდან საერთო აღარა მაქვს რა. დიახ, ჩემი სიცოცხლისა და ცხოვრების უკანასკნელი კავშირიც გაწყდა და ვაი ამისთანა სიცოცხლეს! მეტს აღარ ვიტყვი. ჩემ საქმეებს ჯერ კიდევ ვერ მოვრჩი. ვცდილობ ნელ-ნელა გამოწყობას. იმედი კი მაქვს, რომ კარგად გამოვაწყობ და მაშინვე მშვიდობით აქაურობავ! ნიცას ყოველდღე ვხედავ. კარგათ არის. გუშინ გიმნაზიაში გვასახელა, ისე შესუსხა პედაგოგები.

დათას წერილს არა ვწერ, რადგანაც მომატყუა. მე ოცდახუთისათვის ტფილისში მაყურყუტა და თვითონ კი სპარსეთში ამოყო თავი. მაგრამ, ეჰ ჭირთ მყოფი ვის გაახსენდება? ლიზამაც აღარ იკადრა პასუხის გაცემა. მართალი ნათქვამია: „მგელი დაბერდა და თხამ ყურში ჩაჰბერაო“. არაფერია! „ეს აქლემი (სიბერე) თქვენ წინაც ჩაიჩოქებს“. ყმაწვილები დამიკოცნე და თქვენც... სიმდაბლით მოგიკითხავთ.

თქვენი პატივისცემის მოსურნე.

აკაკი.

14.

თქვენო ბრწყინვალებავ, ბატონო ანასტასია ალექსანდროვნავ! მადლობას გწირავთ შვილის წერილის ბოძებისათვის და ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ და კიდევ თქვენის ადრესით მეგზავნება, მაგრამ ეს მაშინდელი ცოდვაა ჩემის მხრით, როცა სულ სხვანაირად ¡გრძნობდი და ვფიქრობდი! ამ უკეთმართობას, როგორც გამოდგა, ჩემის მხრით მოვსპობდი, რომ ორმოცის შემდეგ მალე წამსვლელი არ ვიყო და, მაშასადამე, ეს უზრდელობაც, ესე იგი თქვენის სახელით წერილის მიღება, თავისთავად მოისპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარმა თქვენმა წერილმა მასიამოვნა. მით უფრო, რომ მანდედან რაღაი წამოველ, ღიმი აღარ მომსვლია. მით უფრო, რომ მაშინ, როცა მეჭირვებოდა შრომა — მუშაობისათვის სიმხნე და აფრთოვანება, ბედმა უსამართლოდ სამარადისოდ სასიკვდილოდ დამაკრა. დიახ, თქვენმა წერილმა, თუმც რამოდენიმე ხნით, მაინც გამაცოცხლა. სჩანს რომ არც ისე დამცირებული ვარ თქვენს თვალში, რომ წერილის ღირსად კიდევ მიყურებთ — ესეც ბევრია ჩემთვის.

ის საყვედური, რომელსაც ამცხადებთ მეთაურების შესახებ, მე არ მეხება; ერთი, რომ მე რა მეთაური ვარ და ვყოფილვარ? და აგრეთვე, მე მაგაზედ ბევრჯერ მიწერია ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში. მაგრამ ვინ წაიკითხავდა და ვის ეხსომება?

ლიზას მოკითხვა როგორ მივიღოთ: საცინლად აგდებათ თუ დაცინვად? კაცს, უშინაარსოს, უთავმოყვარეოს და გიჟს, არავინ იკითხავს. რაც შეეხება ნიკოს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ის თანდათან სიკარგეში წავა, რაღაი მიზეზი კი შორს ექნება. ხვალ მივდივარ საჩხერეს.

დავშთები მარად თქვენი ბრწყინვალების მოსამსახურე.

აკაკი წერეთელი.

15.

ძვირფასო ბატონო ტასო!

როგორც ბავშვი აღდგომას ისე შევხაროდი გუშინდელ კვირას, რომ იქ თქვენ მენახეთ, უკანასკნელად მეთქვა: „ქრისტე აღდგა!“ და გამოგთხოვებოდით სამარადისოდ. მაგრამ არა თუ თქვენ, თვით მასპინძლებიც არ დამხვდნენ შინ! და მიტომ მოგმართავთ წერილობით.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ მე აქ, თქვენგან შერისხვის შემდეგ, აღარავინ მყავს ნაცნობიც, არა თუ თანამგრძნობი და მიტომ გაწუხებთ.

ბედი მაიძულებს, რომ ბატონ-ყმობა აქაურობა და წავიდე შორს ამ ორ-სამ დღეში, მაგრამ ხელ-მოკლეობა მიშლის საქმის სისრულეში მოყვანას.

მე დარწმუნებული ვარ: რასაც კი მოინდომებთ, აასრულებთ და, თუ ჩემს გაჭირვებაში ჩაერევით, დამეხმარებით, დიდად დამავალებთ.

სიკვდილამდე თქვენი მადიდებელი

აკაკი.

16.

თუმცა თქვენთვის ადვილია „ბატონობით“ წერილის წერა, მით უფრო, რომ ეს ამტკიცებს სიშორეს, მაგრამ მე მაინც მიძნელდება „ბრწყინვალობით“ წერა. ეჰ, რა გაეწყობა, ვასრულებ თქვენს ნებას.

თქვენო ბრწყინვალებავ, ბატონო ანასტასია ალექსანდროვნავ! თქვენ გნებავთ, შეგეტყოთ, როდის იქნებოდა განსვენებული ოტოს ორმოცი? მაქვს პატივი მოხსენებად, რომ ამ სამშაბათს იქნება.

მარად თქვენი მორჩილი თ-დი აკ. წერეთელი.

p.s. .დათიკო გამექცა. იმანაც დამიწუნა უმიზეზოდ, უკეთესი ადგილი ვიშოვეო. კნეინა მაჩაბლისას თვალში რომ ჩაუვარდე, ხელს არ მოისვამსო. მართალია!

17.

ძვირფასო ბატონო ტასო!

მივიღე თქვენი საჩუქარი და სამაგიეროს გადახდა მინდოდა. ვსძებნე მეც ნახატი და ვერ ვიშოვე, რაც მინდოდა მისთანა. ის უნდა ყოფილიყო ამგვარივე, მაგრამ ცოტა განსხვავებით, კი. იქვე, სადაც ის იღუპება, იმგვარადვე მეორე ვინმეც არის ჩავარდნილი განსაცდელში, რადგანაც ცურვა იცის; შეუძლია, რომ თავი გადაირჩინოს, მაგრამ, რომ დაინახავს სხვას იმ მდგომარეობაში, ივიწყებს თავს და ჰფიქრობს როგორმე მის გადარჩენას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაშურებს და იმას გადაარჩენს განსაცდელს, მაგრამ თვითონ კი უფრო მეტად ძირს მიდის და უკანასკნელი მისი ფიქრი ის არის, რომ სხვა გადაარჩინა და ღიმილი ეპარება. ეს, ვგონებ, უფრო სიმართლის გამომხატველი სურათი იქნებოდა.

ელას ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა (.....) იყო და ძალიან გაეხარდა. კარგად არის. ლიზას ბევრი ვეხვეწე, მაგრამ „ქრისტე აღსდგა“ არ მათქმევინა.....

მუდამ თქვენი ᲐᲙᲐᲙᲘ.

18.

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲢᲐᲡᲝ!

თქვენ ბრძანებას როგორ გავექცეოდი. ვიკისრე სტრაჟობა. თუ მართლა საჭირო ვიქნები,

თქვენი მარად პატივისმცემელი ᲐᲙᲐᲙᲘ.

19.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲢᲐᲡᲝ!

ოუმცა ჩემმა უკეღმართმა ბედმა სამარადისოდ მომაშორა თქვენს თავს, მაგრამ მაინც კიდევ თქვენი სიამოვნება ჩემთვის სადღესასწაულოა და მიტომაც თქვენს სიხარულს ნანოს გამოისობით, მე ვუერთებ ჩემს თანაგრძნობას! ამ დღეებში გიახლებით ლიზასთან და აქიდან პირდაპირ საჩხერეს, რომ გამოგიგზავნოთ სიძე და მე კი თან ვერ მოვჰყვები, რადგანაც არ მსურს, რომ გულდასაწყვეტად იქ ვინმეებს შევხვდე.

მეკითხებით, რედაქციის რა ჰქმენიო? და განა არა გრძნობთ, რომ ჩემთვის ახლა ყოლიფერი გათავებულია და ჩემი მოშავალიც დაიღუპა ერთად იდეალთან? და ჩემის გულის ფიცარს ასე აწერია: „იყო და აღარ არის! შეეძლო კიდევ ყოფილიყო, მაგრამ აღარ მოხერხდა“. დიახ, მე ახლა მხოლოდ აჩრდილი ვარ წარსულისა! დათას რაც უნდა გადმოეცა, ძისი მეასედიც არ იქნებოდა, რაც გულში დარჩა! თქვენც კარგად გრძნობთ, რომ მე არა ვსტყუვი და ᲠᲣᲡᲐᲤᲣᲫᲚᲝᲓ მიკიჟინებთ შეცდომას იმ თავიდან ამ ბოლომდე, ამდენი ხნის განმავლობაში, კამკამ წყაროსავით მქონდა თქვენ წინ გადაშლილი ეგებ პოეტურად ახირებული, მაგრამ მაინც წრფელი გული კი და თქვენც შეგეძლოთ თქვენის საკუთარის თვალით, და არა სხვების სათვალეებით, ჩაგეხედათ შიგ და დარწმუნებულიყავით, რომ აქ ძირამდე სიწმინდის მეტი არა იყო რა საზოგადოდ და მით უმეტეს თქვენს შესახებ. შესაძლო იყო მხოლოდ უსამართლო-უგულობას მოსჩვენებოდა აქ რამე მღვრიედ. მე კი სულ სხვასა ვკითხულობდი ჩემს გულში და აი რას: ნიჭი, რა გვარიც უნდა იყოს, ზედმეტი ძალაა და განგება მიტომ აძლევს ათასში ერთ რჩეულთაგანს, რომ კეთილად მოიხმაროს ქვეყნის სასარგებლოდ. სილამაზეც ერთი მათთაგანია, თუ ქვაკუთხედად ზენა-განძრახვები უძევს და არა წვრილშანი საპირადო პრანჭიაობა.

დიდი თამარი შუქსა ჰფენდა და ამხნევებდა ქვეყნის მსახურ მოღვაწეებად დასახელებულებს, გაურჩევლად გვარისა, წოდებისა და ხნოვანებისა! როგორც მზის სხივებზე ყვავილები, ისე მის ეშხზე იშლებოდნენ საეროვნო სუნნელებად სამხედრო ასპარეზზე მხარგრძელები, გამრეკელები, ჭიაბერ-კახაბერები და სხვანი. მისი მადლიანი სიტყვა-პასუხი და ქცევა-მოპყრობა აიაზმად ესხურებოდა ჭყონდიდელ-ქუთათლებს და აოქროპირებდა სამღვდელოებასა. იმან ააფრთოვანა თანამედროვე მწერლობა და ჩაბერა რუსთველს საგენიო ძლიერება.

ამგვარივე ღვაწლი მიუძღვის მარიამ დედოფალსაც, რომელმაც მოხიბლა მაჰმადიანი ქართველთა მეფე, მოხუცი როსტომ, და საქართველოსადმი მისი მტრობა-სიძულვილი სამოყვროდ გადაუქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ძველი დრო გადავიდა და თან გაიყოლა რუსთველისაგან გადმონაცემი იდეალები. ჩვენი დღევანდელი მზეთუნახავები, მის ᲩᲐᲪᲕᲚᲐᲓ, რომ ნესტან-თინათინებრივად ააფრთოვანონ ჩვენი თანამედროვე მოღვაწეები და მიუთითონ ᲩᲐᲔᲠᲝᲕᲜᲝ იდეალებისკენ, მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ მათი დუშკები, როგორც ყურმოჭრილი მონები, აქეთ-იქით გაწვრთნილ ლეკვებივით გაგზავნონ-გამოგზავნონ უმნიშვნელო საქმეების წასაღებ-წამოსაღებად და ნიშნად მადლობისაკბის კუდი დააჭერიონ ხელში! და ამისთანა დროს ჩვენისთანა გულგატეხილი ქართველი რომ სცდილობდეს ტასოსთანა თვითო-ოროლა იშვიათ მოვლინებასთან დაახლოებას და ეპოტინებოდეს, როგორც ხავსს წყალწაღებული, საკიჟინოა? მაგრამ ტყუილად არ უთქვამს მგოსანს: „ბულბული, საზენაოდ გამსჭვალული, ვარდს უგალობს, რომ სუნნელოვნად გაიფურჩქნოს კოკობი მისს ჰანგებზე და იმავე დროს სახორციელო გრძნობით ატაცებული კატა კი, იმავ ვარდის ბუჩქებში თავშეფარებული და მომალული, სამტროდ შეჰყურებს სიყვარულის მოციქულს. მაგრამ ვარდი კი მაინც ბულბულის ხმაზე იშლება და ყურს არ უგდებს კატის ჭყავილს.

დიახ, ქვეყნის უმეტესობა ბრბოა და ბრბო კი იგივე მდაბიო გრძნობის კატა! სასურველ სიმაღლემდე ვერ სწვდება პირუტყვის გრძნობა-გონება და მიტომაც თქვა რუსთაველმა: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“. ბრბომ როგორ უნდა დაინახოს ნათელი სხივი? ბრბომ რა იცის საზენაო ტრფიალების? იმას ჰგონია, თუ ტრფიალება მხოლოდ სიახლის ღელვა და ხორცის ფხანვაა და არა წრფელი სულის სიწმინდით წმინდა გულშივე დასადგურებული. რაც ეპატივება უმეტესობას, ის არ ეპატიება რჩეულთა-ᲐᲜᲔᲑᲡ და თქვენც ნუღა გიკვირსთ ჩემი სამდურავი. მაგრამ რას ვიზამ? როგორ თუ სამდურავი... რა უფლება მაქვს და ან რას გემართლებით, რომ სამდურავი გითხრათ? არა, მე მხოლოდ ჩემს ბედს ვემდური, რომ ტკბილ ოცნებიდან გამორკვეული, მწარე სინამდვილეში გადამიყვანა ამ სიბერის დროს და დამაგდო ობლად „სულით ურწმუნო, გულით უნდო და ჭკუით მაშვრალი“.

ᲐᲙᲐᲙᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი — „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“

„ქართველთა სამეფოს“ შემქმნელმა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ფუძემდებელმა აშოტ I დიდმა (გარდ. 826 წ.) თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას. ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავრობისას იგი სათავეში ედგა ქართველთა ბრძოლას არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ არაბებმა აიძულეს ქართლი დაეტოვებინა და ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — კერძოდ, შავშეთ-კლარჯეთში — „თავის მამულ ქვეყანაში“ გადასულიყო (სუმბატის ცნობით, ქართლიდან აშოტ I „წარვიდა საბერძნეთად“). მესხეთის ეს ნაწილი ქართლში მოთარეშე არაბი დამპყრობლებისაგან შედარებით დაცული იყო. აშოტმა იქ ბიზანტიელთა დახმარებით მოიკიდა ფეხი, ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან მიიღო კურაპალატის ტიტული, აღადგინა და რეზიდენციად გაიხადა ციხესიმაგრე არტანუჯი, თანდათან შემოიკრიბა ძალები და განაახლა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ ყოფილი სამფლობელოების დასაბრუნებლად. როგორც სუმბატ დავითის-ძე გვამცნობს, ამ დროს აშოტ I „... **კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე** ბარდავის ქალაქისა“ (17:377).

სუმბატის სიტყვებში „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ რადგან ქართლის მეზობელი ალბანეთის (ახლანდელი აზერბაიჯანის) ძველ დედაქალაქ ბარდას გალავნის კარს გულისხმობენ, გამოდის, რომ აშოტ I მესხეთში გადასვლამდე ფლობდა ალბანეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს და შემდეგ იგი მესხეთიდან „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“.

ზემომოტანილი ცნობა, თითქოს, მართლაც რომ ასე უნდა იქნას გაგებული ამის საფუძველს სუმბატისავე შემდეგი მითითება გვაძლევს. ქართლიდან აშოტ I-ის მესხეთში გადასვლის ამბავის გადმოცემამდე იგი წერს, რომ „აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა“ (17:376).

ამრიგად, თუ სუმბატის თხზულებიდან ზემომოტანილ ცნობებს დავუჯერებთ, მაშინ, თითქოს საეჭვო აღარ უნდა იყოს, აშოტ I მესხეთში გადასვლამდე ალბანეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს რომ ფლობდა, მისი დედაქალაქის ბარდას ჩათვლით, შემდეგ კი მესხეთიდან „კუალად ეუფლა“ ამ მიწებს, მხოლოდ ქ. ბარდას გალავნის კარამდე.

სუმბატ დავითის-ძის ამ მეტად საინტერესო ცნობებმა ადრევე მიიქცია ყურადღება. სამხრეთ საქართველოში ფეხმოკიდებულ აშოტს, — წერდა 1925 წელს თ. ლომოური, — სუმბატ დავითის-ძის თანახმაად „მრავალგზის მისცა ღმერთმან... ძლევა და დიდება ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათა შინა“. ამ ცნობას, — განაგრძობს იგი, — კარგად უდგება გრიგოლ ხანძთელის სიტყვები, რომლებიც მას წარმოუთქვამს, აშოტის სიკვდილის ამბავი რომ შეუტყვია. „თუნდაც რომ ეს სიტყვები ერთგვარ გაზვიადებას შეიცავდეს, ეს ადგილი მაინც ამტკიცებს“, რომ **აშოტს „დაუპყრია თავის ძველი სამფლობელოს ნაწილი: „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“.** ამასვე ადასტურებს გიორგი მერჩულეს ზემომოყვანილი, უფრო ზოგადად გამოთქმული, ცნობაც: „აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი“-ო (9:49).

თ. ლომოურისაგან განსხვავებით, სუმბატის ზემომოტანილ ცნობათა სისწორეში კ. კეკელიძემ ეჭვი შეიტანა. „საკითხი აშოტ დიდის შესახებ, — წერდა იგი 1935 წელს, — ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ სათანადოდ დამუშავებული არაა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, დანამდვილებით როდის გახდა ის ერისმთავრად ქართლისა, როდის გადასახლდა არაბთა იძულებით კლარჯეთში და როდის გარდაიცვალა“. ე.წ. „სუმბატის ქრონიკას“, — განაგრძობს კ. კეკელიძე — ეს ამბები, გარდა სიკვდილისა, იმდენად ზოგადად აქვს აღნიშნული, რომ აქედან ვერას გამოიტანს მკვლევარი; თან ეს ქრონიკა არც სანდოდ ჩანს ყოველთვის, სხვათა შორის იმითაც, რომ აშოტის „სახლად“ ის ტფილისსა და ბარდავს სთვლის, თუმცა ცნობილია, რომ ამ დროს ტფილისი და ბარდავი არაბთა ემირების საჯდომი იყო“ (8:101:102).

სუმბატ დავითის-ძის ცნობები აშოტ I-ის მიერ ალბანეთის ტერიტორიის დაუფლების შესახებ ვრცლად გაანალიზა პ. ინგოროყვამ და ისინი ისტორიული რეალობის ამსახველად მიიჩნია. სუმბატ დავითის-ძის თანახმად, — წერს იგი, ქართლის ერისმთავრობის დროს აშოტს „ქართლის სხვა მხარეებთან ერთად, შემოუერთებია აგრეთვე თბილისიც“ და „ალბანეთის სანაპირო თემებიც-ვიდრე ბარდავამდე, ქალაქ ბარდავითურთ“. „რა პირობებში ხდა ბარდავის მხარის იბერიასთან (ქართლთან) შემოერთება, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობები არ შემონახულა. არაბული წყაროებიდან ირკვევა მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის დროს, როდესაც იბერიაში აჯანყებები ეწყობოდა, ამავე დროს ბარდავის მხარეშიაც ადგილი ჰქონია აჯანყებას არაბთა წინააღმდეგ. როგორც ჩანს, — ასკვნის პ. ინგოროყვა, — ...აშოტ I-ს უცქერდნენ, როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტიარაბული ფრონტისა კავკასიაში“. ამიტომ **„ქართლის განთავისუფლების შემდეგ ბარდავის მხარე, გამდგარა არაბთაგან, შემოერთებია ქართლს“** (7:42). მას შემდეგ, რაც — განაგრძობს იგი, — ქართლიდან გაქცევის შემდეგ აშოტ I-მა თავისი სამფლობელო ციხეები დაკარგა, 815-820 წლებში ანტიარაბული ბრძოლისათვის კავკასიაში ისევ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. ამ დროს არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას გადაუდგა მხედართმთავარი ხატიმ იბნ-ხარსამი, რომელიც ხალიფას მიერ დანიშნული იყო კავკასიის მმართველად. ამავე დროს ძლიერდება ადარბადაგანში (აზერბაიჯანში) ჰურამიტების მოძრაობა ბაბეკის მეთაურობით (7:48). კავკასიის ყოფილი მმართველის ხატიმ იბნ-ხარსამის განდგომამ გამოიწვია არაბთა ძლიერების შესუსტება კავკასიაში. პ. ინგოროყვას სიტყვით, სწორედ ამ ხანას ეკუთვნის „მატიანე ქართლისას“ ავტორის სიტყვები: „მოუძლურებულ იყვნენ სარკინოზნი (არაბნი) და განადიდნა აშოტ“. მან „თანდათან გაათავისუფლა და გააერთიანა თავისი მფლობელობის ქვეშ იბერიის ქვეყნების მეტი ნაწილი“ **და დაახლოებით 820-826 წლებში დაიჭირა აგრეთვე „ალბანეთის სანაპირო თემებიც ვიდრე ბარდავის ქალაქამდე“ (7:48-50).**

ამის შემდეგ პ. ინგოროყვა აღგენს თუ ალბანეთის ტერიტორიის რა ნაწ-

ილს მოიცავდა აშოტ I-ის მიერ ქართლისათვის შემოერთებული ტერიტორია.

იმ დროის ქართლისა და ალბანეთს შორის საზღვრის დასადგენად იგი აანალიზებს ძველ ავტორთა ცნობებს და წერს, რომ ეთნოგრაფიული საზღვარი ამ ქვეყნებს შორის გასდევდა მდინარეების ბერდუჯისა და კოტმანის სანახებს (7:50), რომ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" აღმწერი ჯუანშერი მდ. ბერდუჯს (იგივე ზეგამი, ძეგამი) ალბანეთისა და ქართლის საზღვრად მიიჩნევს. VII ს. ალბანელი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი კი ქართლისა და ალბანეთის მოსაზღვრე პუნქტად ბერდუჯის წყლის ხეობაში მდებარე ქ. ხალხალას თვლის-ო"[1] (7:51).

როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას მტკიცებით, აშოტ I-ს ალბანეთის ტერიტორია მდ. ბერდუჯ-კოტმანის ხაზიდან თვით ქ. ბარდავისა და მისი თემის ჩათვლით ქართლისათვის პირველად, 809-813 წლებში (მესხეთში გადასვლამდე) შემოუერთებია, ხოლო მეორედ 820-826 წლებში „ალბანეთის ტერიტორია შემოერთებული ყოფილა უფრო მცირე მოცულობით „ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა" — თვით ქ. ბარდავი ისევ „არაბთა ხელში დარჩენილა" (7:51-52).

---

1. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც იმ დროის ქართლ-ალბანეთის საზღვრად მდ. ბერდუჯის (ახლანდ. ძეგამჩაი აზერბაიჯანში) სანახებია მიჩნეული. ეს მდინარე იყო ქართლის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთთან (იხ. სტ. ბერდუჯი. ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. 2; შდრ., 13:158). მიუხედავად იმისა, რომ VII ს. ალბანელი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცის მონაცემებიდან იგივე ივარაუდება (12:68), აზერბაიჯანელ ისტორიკოსებს საზღვრის ასე დადება საკამათოდ მიაჩნიათ (11:129).

სუმბატ დავითის-ძის ცნობების ალურობის შესახებ პ. ინგოროყვას ვრცელი და დასაბუთებული მსჯელობა, ჩვენს ისტორიკოსებს შორის, როგორც ჩანს, ერგვარად მისაღები გახდა. ასე მაგ., მ. ლორთქიფანიძემ 1963 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელშიც აშოტ I-ის პოლიტიკასაც ეხება, სუმბატის ზემომოტანილი ცნობები (ასევე ამ ცნობათა პ. ინგოროყვასეული ინტერპრეტაცია) თუ უყურადღებოდ დატოვა (10:222-227), 1973 წელს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომში იგი წერს: „სუმბატ დავითის-ძის ეს ცნობა ცოტა გაზვიადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ჯავახეთიდან და შიდა ქართლიდან აშოტი ბარდავამდე რომ დაუფლებოდა ქვეყანას, მას თავისი ხელისუფლება თბილისის საამიროს, და კახეთის საქორეპისკოპოსოს ნაწილზეც უნდა განევრცო. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შეძლებდა ის ბარდავამდის მიღწევას, რაც წყაროების ჩვენებით არ დასტურდება" (15:450). თუმცა, — დასძენს შემდეგ იგი, — მემატიანეს იმ ცნობაში ეჭვის შეტანა, რომელიც გარდაბანს ეკლესიის საკურთხეველზე აშოტ I-ის მოკვლას შეეხება, ძნელია (იქვე). აშოტი, იქნებ გარდაბნიდან ლაშქრობდა „სარკინოზთა ზედა". თუ ეს ასე იყო, ასკვნის მ. ლორთქიფანიძე, — „მაშინ შეიძლება, ნაწილობრივ მაინც ვენდოთ სუმბატის ცნობას აშოტის სამფლობელოს ბარდავამდე გავრცელების შესახებ" (15:450). სუმბატის ცნობასთან დაკავშირებით, — განაგრძობს იგი, — „გასათვალისწინებელია გიორგი მერჩულეს სიტყვებიც აშოტ ბაგრატიონის სიკვდილის გამო წარმოთქმული"... რომელიც „ალბათ გაზვიადებულია, მაგრამ, იქნებ, მაინც მხარს უჭერს ცნობას აშოტის მიერ თავისი ძველი სამფლობელოს ნაწილის დაპყრობის შესახებ, გამოხატულს სუმბატის სიტყვებში", რომ აშოტი მესხეთიდან „კუალად ეუფლა ქვეყანათა ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ (15:451, შენ. 1).

მ. ლორთქიფანიძე იქვე შენიშვნაში ეხება სუმბატ დავითის-ძის ცნობების კ. თუმანოვისეულ ინტერპრეტაციას და წერს: კ. თუმანოვმა სუმბატის ცნობა ისე გაიგო, თითქოს აშოტმა ბიზანტიის კუთვნილი ქ. კარამდე განავრცო თავისი სამფლობელო (იხ. მისი, studies..., გვ. 486), მაგრამ, მემატიანე გარკვევით ამბობს რომ აშოტი ეუფლა ქვეყანას ქ. ბარდავის კარამდეო (15: 450).

სუმბატ დავითის-ძის ცნობები თუმცა გაზვიადებულად, მაგრამ მაინც „სიმართლის შესაფერისად“ მიიჩნია დ. მუსხელიშვილმაც. „რამდენადაც გაზვიადებული არ იყოს მემატიანის ცნობა, — წერს იგი, — თითქოს აშოტი მთავრობის პირველ პერიოდში ბარდავსაც და ტფილისსაც ფლობდა, ხოლო უფრო გვიან ტერიტორიას „ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ (ალბათ, იგულისხმება ტფილისიანად),... ერთი რამ ცხადია, რომ ვარდაცვალებამდე აშოტ კურაპალატს ეჭირა შიდა ქართლი და, ცხადია, ტერიტორიაც, რომელიც მდებარეობს ტაო-კლარჯეთსა და შიდა ქართლს შორის“ (14:175). „თუმცა, კაცმა რომ თქვას, — შენიშნავს შემდეგ დ. მუსხელიშვილი, — არც ის არის სრულიად გამოსარიცხი, რომ სუმბატ დავითის ძის ცნობები სიმართლეს შეეფერებოდეს (ეყრდნობა პ. ინგოროყვას. ვ. გ.). ამას რამდენადმე ეხმაურება „მატიანე ქართლისაჲში“ დაცული ცნობა აშოტის მკვლელობის შესახებ“ (14:175 შენ. 92).

როგორც ვხედავთ, სუმბატ დავითის-ძის ის ცნობები რომლის თანახმად, ქართლის ერისმთავრობის დროს „სახლად“ აშოტისა იყო „ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა“, შემდეგ კი მესხეთიდან იგი „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ თ. ლომოურისა და პ. ინგოროყვას მიერ ისტორიულ რეალობად მიჩნეული გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ მაინც ძირითადად გაზიარებული იქნა ქართულ ისტორიოგრაფიაში და აისახა ისეთ ფუნდამენტურ გამოცემაში, როგორიცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის II ტომის ქართული და რუსული ვარიანტები (რუს. თარგმანი, გვ. 309-310).

მემატიანეს ყოველ ცნობას, მეტნაკლებად გარკვეული ისტორიული რეალობა უდევს საფუძვლად. ვფიქრობ, ასეთია სუმბატ დავითის-ძის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობებიც. მაგრამ, რამდენად სწორია მათი იმ სახით მიღება, როგორადაც ისინი ქართულ ისტორიოგრაფიაში იქნა გაგებული.

მესხეთში გადასვლამდე აშოტ I ქართლის ერისმთავარი იყო, და ცხადია, იგი ქართლის ტერიტორიის ნაწილსაც ფლობდა (ქართლის ტერიტორიის ნაწილი თბილისის საამიროში შედიოდა). მაგრამ, იმ ხანად მის მიერ ალბანეთის ტერიტორიის ქართლისათვის შემოერთება ქ. ბარდას ჩათვლით საეჭვოა. როგორც ჯერ კიდევ კ. კეკელიძემ შენიშნა ქართლში აშოტ I-ის ერისმთავრობის დროს თბილისი და ბარდა ხომ არბათა ხელში იყო და ამ ქალაქებში არაბი ამირები ისხდნენ. აშოტ I-ის თანამედროვე ალბანეთის მთავარი კი იყო მიჰრანიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ვარაზ თრდატ III (იგი 821 წელს მოკლეს).

რაც მთავარია, იმ ხანად ქართლის ერისმთავარს იმდენი ძალაც კი არ შესწევდა თბილისის საამიროსადმი დაქვემდებარებული ტერიტორიები დაებრუნებინა, ქ. ბარდას ჩათვლით ალბანეთის ტერიტორიის დაუფლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აღნიშნულის შიუხედავად, ვფიქრობ, სუმბატ დავითის-ძეს, როგორც ბაგრატიონთა სახლის მემატიანეს, მართლაც ჰქონდა ხელთ ისეთი თხზულება, რომელშიც მითითებული ყოფილა მესხეთში გადასული აშოტის მიერ თავისი სამფლობელო ტერიტორიების კვლავ „კარად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდე ბარდავის ქალაქისა“ დაუფლების შესახებ.

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „აშოტ კურაპალატისაგან მოყოლებული ვიდრე ბაგრატ III-მდე“ თავისი თხზულების შედგენისას სუმბატი „ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეთი“ სარგებლობდა“ (21: 196). ამ მატიანეში შესული მასალა კი, ვფიქრობ, თანადამხვდურთა მიერ იქნებოდა ჩაწერილი.

ზემოთქმულის დასადასტურებლად შევეცდები ქვემოთ სუმბატის ცნობის „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ ისტორიული რეალობა ვაჩვენო.

ბიზანტიის წინააღმდეგ ვახტანგ გორგასალის 453-456 წლების ლაშქრობის შესახებ ჯუანშერის ცნობების გაანალიზებისას, სხვა ძველ ავტორთა ის ცნობებიც განვიხილე, რომელნიც ალბანეთის ძველ დედაქალაქ ბარდას შეეხებოდა. ამ მხრივ ჩემი ყურადღება მიიქცია მოვსეს კალანკატვაცის თხზულებაში თითქმის ერთნაირი სახელის ორი ქალაქის — „პეროზაპატისა“ და „პეროზ-კავატის“ მოხსენიებამ (12: იხ. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი). ამ უკანასკნელ ხანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი იდენტურად იყვნენ მიჩნეულნი და მათ ქ. ბარდასთან აიგივებდნენ (ასეთი აზრისაა ს. ერემიანი. 6:89; ვარკვეული დაეჭვების შემდეგ ორივე ქალაქი ბარდასთან გააიგივა კ. ტრევერმაც, 16:217). მაგრამ როგორც გაირკვა, ამ ორი ქალაქიდან ერთი — პეროზაპატი მართლაც ივივე ბარდაა (სომხური წყაროების პარტავი). რაც შეეხება მეორე ქალაქს პეროზ-კავატს, მოვსეს კალანკატვაცის ცნობებიდან გამომდინარე, იგი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქართლის საზღვრიდან აღმოსავლეთით მდებარეობდა და ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა (12:97; 4:113-123).

ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციის შესახებ ცნობები გვაქვს სხვა ავტორებთანაც. ასე მაგ., V ს. სომეხი ისტორიკოსის ელიშეს ცნობით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქართლის საზღვრის მახლობლად მდებარე ქ. ხალხალა ალბანეთის მეფეთა საზამთრო საჯდომი იყო (5:77. ხალხალას ალბანეთის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს ასახელებს V ს. სომეხი ავტორი ლაზარ ფარპეციც. 20: 126-127).

ერთის მხრივ, მოვსეს კალანკატვაცის მიერ მდ. მტკვარის მარჯვენა მხარეს, ქართლის საზღვართან მდებარე პეროზ-კავატის ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციად მოხსენიება, ხოლო მეორე მხრივ, ელიშეს მიერ ასევე ქართლის საზღვართან მდებარე ქ. ხალხალას ალბანეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციად დასახელება, ვფიქრობ, საკმაო საფუძველს იძლევა ამ ორი ქალაქის გასაიგივებლად.

პეროზ-კავატი // ხალხალა, როგორც ქართლის საზღვართან ახლოს მდებარე პუნქტი, რა თქმა უნდა, ძველი ქართული წყაროებისთვისაც კარგად ცნობილი ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო. მართლაც, „მეფეთა ცხოვრებაში“ ეს ქალაქი ორივე სახელით (ხალხალა, პეროზ-კავატი) არის მოხსენიებული. ამ წყაროში ახ. წ.III ს. ამბების აღწერისას ქ. ხალხალა იხსენიება როგორც „საზღვართა სომხითისათა“, „საზამთროთა ადგილი სომხეთის მეფეთა“ (17:61. ამავე ხანისათვის ქ. ხალხალას სომხეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენციად მიიჩნევს V ს. სომეხი ისტორიკოსი აგათანგელოსი. 16:254). რაც შეეხება ხალხალას მეორე სახელს — პეროზ-კავატს „მეფეთა ცხოვრებაში“ იგი „ფეროშ და კავტიას“ სახელით იხსენიება (17:67-68. ეს ტოპონიმი ჯერ მ. ბროსემ, შემდეგ ს. ყაუხჩიშვილმა ოსთა საკუთარ სახელებად მიიჩნიეს. 1:49; 17:424 სქოლიო). როგორც „მეფეთა ცხოვრებაშია“ ნათქვამი, ჩრდ. კავკასიიდან შემოჭრილმა ოსებმა, სწორედ ამ ქალაქზე გამოვლით „განრყუნეს ქართლი“ (17:67-68). ამავე წყაროს ცნობით, ქართლის პირველი ქრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიანი მეფე მირიანი (გარდ. 334 წ.) ჩრდ. კავკასიის მიმდებარე ველებზე მომთაბარე ხალხების დარუბანდის გზით თავდასხმებმა აიძულა ირანიდან მოეყვანა „თვისი მისი ნათესავი მეფეთა“ ფეროზი. ფეროზმა „მოიტანა თანა სპა დიდი“. მირიანმა „ამას ფეროზს მისცა... ასული თვსი ცოლად და... ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“ (17:68-69,71).

ხუნანი, ქართლის სამეფოს უკიდურესი აღმოსავლეთით მდებარე ციხე-ქალაქი იყო. საზღვარი ქართლის სამეფოსა და ალბანეთს შორის კი როგორც მირიანის, ისე აშოტ I მმართველობის ხანაში მდ. ბერდუჯზე გადიოდა (13:158-159). ასე რომ, მდ. ბერდუჯის აღმოსავლეთი სანაპიროდან უკვე ალბანეთის სამეფოს ტერიტორია იწყებოდა. ამიტომ, ცხადია, ქართლის მეფე მირიანი თავის სიძეს — ფეროზს სამფლობელოდ სხვა სახელმწიფოს მიწებს ვერ მისცემდა. უფრო სწორი იქნება, ფეროზი ირანის შაჰის შაბურ I-ის (309-379) ნათესავად და ალბანეთში მის მიერ დასმულ მოხელედ მივიჩნიოთ.

როგორც ჯუანშერის ცნობებიდან ირკვევა, თავისი ახალი სამფლობელოს ტერიტორიაზე ფეროზს ციხეც აუგია. ჯუანშერის თანახმად, ქართლიდან ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად მიმავალი ვახტანგ გორგასალის ლაშქარი მივიდა „პეროჟა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ხსენებულსა ფეროზს“ (17:159).

„პირველ ხსენებული ფეროზი“, რა თქმა უნდა, მირიანის სიძე ფეროზია და მის მიერ აგებული პეროჟა-კაფას ციხეც ალბანეთის ტერიტორიაზეა საძიებელი.. მაგრამ, კერძოდ სად?

ფეროზის მიერ ალბანეთის ტერიტორიაზე აგებული პეროჟა-კაფა, როგორც ეს ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, ალბანეთში, სომხეთსა და ქართლში მიმავალი გზების შესაყარზე მდებარეობდა (ამ ქალაქში შეხვდნენ ვახტანგ გორგასალს „ერისთავნი სომხითისანი“ — ბარდადან აქვე მოვიდა თავისი ლაშქრით ქართლ-ალბანეთის მარზპანი ვარაზ-ბაკური). მსგავსი მდებარეობა ჰქონდა ხალხალა//პეროზ-კავატსაც. სამხედრო და სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარე ამ ქალაქიდან ალბანეთის დედაქალაქ ბარდას გარდა გზა მიემართებოდა ქართლისაკენ მცხეთაში. სომხეთისაკენ დვინსა და ვალარშაპატში (16:227). აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, მირიანის სიძემ — ფეროზმა, ფაქტობრივად შაჰის მოხელემ, ირანიდან „სპა დიდი“ იმიტომ რომ „მოიტანა“, ჩრდ. კავკასიიდან გადმოსული მომთაბარეებისათვის ქართლსა, ალბანეთსა და სომხეთისაკენ მიმავალი გზები ჩაკეტა, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, მის მიერ აგებული პეროჟა-კაფა იგივე ხალხალა//პეროზ-კავატი რომ უნდა იყოს.

ამ მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის ასეთი ფუნქცია მის სახელშიცაა ასახული. მაგ., ჯუანშერთან პეროზ-კავატ // ხალხალას სახელი „პეროჟა-კაფა“, როგორც ჩანს, ძველი თურქული ფორმითაა შემონახული. მასში „პეროჟა“ სახელ პეროზის (ფეროზის) აღმნიშვნელი უნდა იყოს. ხოლო „კაფა“ (თურქ. „კაფუ“, „კაფი“) კარს ნიშნავს. აღნიშნულთან ერთად, ქ. ხალხალას სახელად რადგან „ლალა“ გვხვდება (6:84; 16:31, 152), ცხადია, არაბი ისტორიკოსის ალ-ბალაზურის (გარდ. 892 წ.) მიერ დასახელებული „ბაბ ალ-ლალა“ (2:13) ე.ი. ლალას კარი, იგივე ხალხალაა (შდრ., 4:121-122). ასე რომ, როგორც თურქული „კაფ“-ი ისე არაბული „ბაბ“ (კარი) ამ ციხე-ქალაქის გარკვეულ ფუნქციაზე მიგვითითებს. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, სახელი „ხალხალა“ ძველ თურქულად „ფარს“, „საფარს“ რომ ნიშნავს (19: 413. მონღოლური „ხალხა“ — ფარი, საფარი) და ყოველივე ზემოთქმულთან შევაჯერებთ, ვფიქრობ, ეჭვი აღარ უნდა შეგვეპაროს, ქართლის საზღვართან მდებარე ქალაქი ხალხალა // პე-

როზ-კავატი სხვა ქალაქის „კარი“ და „ფარი“ რომ იყო. კერძოდ, ამ ქალაქის უპირველეს მოვალეობას ხომ ალბანეთის დედაქალაქ ბარდასკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა-დაცვა შეადგენდა. სწორედ მისი „კარი“ და „ფარი“ („ბარდავის კარის ქალაქი“) იყო მირიანის სიძის ფეროზის მიერ აგებული ციხესიმაგრე, რომელიც გვიან ალბანეთის მიჰრანიდი მეფეების საზამთრო რეზიდენცია გახდა. პეროჟა-კაფაზე გადიოდა „გზა რანისა“ („გზა ადარბადაგანისა“), რომელიც აქემენიანთა ხანის დიდი „სამეფო გზის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

ხალხალა // პეროზ-კავატი რომ ქ. ბარდას „კარი“ და „ფარი“ — „ბარდას კარის ქალაქი“ იყო, ამას თვით ქ. ბარდას ძველირანული სახელის „პეროზაპატის“ შინაარსიც მოწმობს. „პეროზაპატი“ („პეროჟაპატი)“ პეროზის (ფეროზის) მიერ დაცულს ნიშნავს (შდრ., Ahurapata — აჰურას, ე.ი. აჰურამაზდას მიერ დაცული. 18:21). ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ირანიდან მოსულმა ფეროზმა ქართლის საზღვრის მახლობლად — ალბანეთში, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილს ციხე ხომ ჩრდ. კავკასიიდან გადმოსული მომთაბარეებისათვის გზის ჩასაკეტავად ააგო.

„ბარდავის კარის ქალაქს“ (პეროჟაკაფას), ბარდასათვის დამცავ-მაკონტროლებელი როლიც ენიჭებოდა. სასანიანი შაჰების მიერ ასეთი გამაგრებული პუნქტების მშენებლობა დამორჩილებულ ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 368 წელს ქართლში შემოსულმა ირანელმა მოხელემ თბილისის ციხე ხომ „ციხედ მცხეთისა“ — მცხეთის მისასვლელ გზაზე, მის გასამაგრებლად ააშენა (17:136; შდრ. თბილისის ისტორია; 1958, გვ. 7-8).

ამრიგად, სუმბატის გამოთქმაში: „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ ქართლ-ალბანეთის საზღვართან, მდ. ბერდუჯის ხეობაში, ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქი ხალხალა იგულისხმება. სუმბატის ცნობიდან გამომდინარე, მესხეთიდან აშოტ I კვლავ ქალაქ ხალხალამდე — ე.ი. ქართლ-ალბანათის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საზღვრამდე დაუფლებია თავის ძველ სამფლობელო ტერიტორიებს ქართლში.

სუმბატის ცნობის ასეთ გაგებას „მატიანე ქართლისას“ ავტორის მონაცემებიც ადასტურებს. როგორც იგი წერს, როცა „უფალმან განადიდა მეფობა აშოტ კურაპალატისა“ იგი „ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“ (17:252).

„მატიანე ქართლისას“ ავტორის ეს ცნობა აშოტის ქართლში ერისმთავრობისა თუ მესხეთში გადასვლის შემდეგ ხანას ეკუთვნის, ვფიქრობ, მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ისაა, რომ ამ წყაროში აშოტის მიერ ალბანეთის ტერიტორიის რაიმე ნაწილის დაუფლების შესახებ არაფერია ნათქვამი. რაც, თავისთავად იმთავითვე საეჭვოს ხდიდა სუმბატის ზემომოტანილი ცნობების ისე გაგებას, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია.

სუმბატი აშოტ I კურაპალატზე წერისას ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეთი სარგებლობდა. ამ წყაროში კი, როგორც ვნახეთ, სწორად ყოფილა მითითებული იმ ხანად ქართლის საზღვარი „ბარდავის კარის ქალაქამდე“ რომ ვრცელდებოდა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, სუმბატისავე მითითება ქართლის ერისმთავრობის დროს სახლად აშოტისა იყო „ბარდავი და ტფილისი“ და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა“ გაკვირვებას იწვევს. სუმბატის ამ ცნობის იმით ახსნა, თითქოს ქართლის ერისმთავრობის დროს აშოტ I არაბთა სამსახურში იყო წყაროთა მონაცემებით არ დასტურდება. ასევე არარეალური ჩანს, პ. ინგოროყვას მტკიცება არაბთა სახალიფოში დაწყებული შინაომლობის დროს „არაბთაგან გამდგარი ბარდავის მხარე“ თვითონ „შემოერთებოდეს ქართლს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასანიანთა ხანაში, ჯერ კიდევ IV ს. დასასრულიდან, ქ. ბარდა ქართლ-ალბანეთის მარზპანთა რეზიდენცია იყო (ამ მოხელეთა ერთ-ერთ რეზიდენციას თბილისი წარმოადგენდა. იხ. 3; შდრ., 4:123-125). ასეთი ფუნქცია, ამ ქალაქმა არაბთა ბატონობის ხანაშიც შეინარჩუნა (იხ. ზ. ბუნიატოვი, აზერბაიჯანი VII-IX სს. ბაქო, 1965, გვ. 140. რუს. ენაზე). ამიტომ, სუმბატის ზემომოტანილი ცნობა შეიძლებოდა იმის ასახვად მიგვეჩნია, სახალიფოში არსებული არეულობის დროს ქართლის ერისმთავარი ქართლ-ალბანეთის არაბი გამგებლის სახელოსაც რომ ითავსებდა. მაგრამ, არც ასეთი დასკვნისათვის გვაქვს წყაროებში რაიმე ცნობა. ერთად-ერთი გამოსავალი, სანამ ახალი მასალა არ აღმოჩნდება, ის არის, ზემომოტანილი მითითება სუმბატის ტექსტში გვიანდელ ინტერპოლაციად მივიჩნიოთ. სუმბატი აშოტის მიერ რადგან „ბარდავის კარის ქალაქამდე“ მიწების „კუალად“ დაუფლებაზე მიუთითებდა, გვიანდელმა რედაქტორ-კომენტატორმა, რომელმაც უკვე არ იცოდა „ბარდავის კარის ქალაქი“ ხალხალა რომ იყო, ასეთი ცნობის შეტანით სუმბატის ტექსტი შინაარსობრივად გამართა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სუმბატ დავითის-ძის ცნობის პირველი ნაწილი („სახლად აშოტისა (რომ) იყო ბარდავი და ტფილისი...“ გვიანდელი ჩანამატი ჩანს. რაც შეეხება, ცნობის მეორე ნაწილს — მესხეთიდან აშოტი კვლავ რომ დაეუფლა ტერიტორიას „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“, ამჯერად სუმბატის ცნობაში ქართლ-ალბანეთის საზღვრის მახლობლად, მდ. ბერდუჯის ხეობაში — ალბანეთის ტერიტორიაზე მდებარე ქ. ხალხალა იგულისხმება. სუმბატის ცნობის ასეთი ინტერპრეტაცია იმის მოწმობადაც უნდა იქნას მიჩნეული, ალბანეთ-ქართლის ძველი საზღვარი, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, მართლაც მდ. ბერდუჯის (ახლანდ. ძეგამჩაი) ხეობაზე რომ გადიოდა. აქვე, მდ. ბურდუჯის დასავლეთით მდებარეობდა ხუნანის ველი (ისტორიული მხარე) და ციხე ხუნანისა — ძვ. წ. III ს-ში მეფე ფარნავაზის მიერ დაარსებული ხუნანის საერისთავოსა და ხუნანის მხარის ცენტრი.

მითითებული ლიტერატურა

1. ბროსე მ. საქართველოს ისტორია, ტფ., 1895.

2. ბალაზური ა., წიგნი ქვეყანათა დაპყრობის შესახებ, პ. ჟუზეს თარგმანი, ბაქო, 1927 (რუს. ენაზე).

3. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, მაცნე, ისტორიის... სერია, 1982 N 2.

4. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.

5. ელიშე, ვარდანისა და სომეხთა ომების შესახებ. თარგმანი ძველსომხურიდან ი. ორბელის მიერ, ერევანი, 1971 (რუს. ენაზე).

6. ერემიანი ს., ამიერკავკასიის სავაჭრო გზები სასანიდების ეპოქაში. „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი“, 1939 N 1 (რუს. ენაზე).

7. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

8. კეკელიძე კ., ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.

9. ლომოური თ, სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები მე-IX-X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ, „არილი“ თბ., 1925.

10. ლოთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს), თბ., 1963.

11. მამედოვა ფ., კავკასიის ალბანეთის პოლიტიკური ისტორია და ისტორიული გეოგრაფია, ბაქო, 1986.

12. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველ სომხურიდან თარგმნა შ. სმბატიანმა, ერევანი, 1984 (რუს. ენაზე).

13. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I; თბ. 1977.

14. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.

15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973.

16. ტრევერი კ., კავკასიის ალბანეთის ისტორიისა და კულტურის ნარკვევები, ძვ. წ. IV – ახ. წ. VII სს. მოსკოვი-ლენინგრადი, 1959 (რუს. ენაზე).

17. ქართლის ცხოვრება. ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955.

18. ჩხეიძე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბ., 1984.

19. ძველი თურქული ლექსიკონი, ლენინგრადი, 1969 (რუს. ენაზე).

20. ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1962.

21. ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ნარსიძე

სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა და ტაძრის აგების თარიღი

სამშვილდის სიონის ტაძარი არის ქართული ადრექრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი უპირველესი ძეგლი. ამ ეკლესიის საძირკვლის დადების თარიღის დადგენის შემდეგ ნათელი გახდება, რომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში — უთითებს ქართლის მოქცევის წელს და იძლევა ამ მოვლენასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტების ქრონოლოგიური სინქრონიზაციის საშუალებას. გარდა ამისა სამშვილდის სიონის საძირკვლის დადების თარიღი უშუალო მიმართებაშია მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის კონსტანტინე დიდის თანამედროვე ეპოქის უმთავრეს მოვლენებთან, რის გამოც ამ ეკლესიის მნიშვნელობა სცდება საქართველოს ფარგლებს და ღირსეულ ადგილს იჭერს მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში.

წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1996 წლის 14 ივნისს ადრექრისტიანული არქეოლოგიის საკითხებთან დაკავშირებულ მეორე კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავს.

ქართული მატიანეების მიხედვით სამშვილდის სიონის გუმბათიანი ტაძარი აგებულია V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მშობლების —მირდატ მეფისა და საგდუხტ დედოფლის მიერ: „ხოლო ამან საგდუხტ დედოფალმან... აღაშენა სიონი სამშვილდისა“ (ქართლის ცხოვრება. I გვ. 142). ვახუშტი ბატონიშვილი ეკლესიის აღმშენებლად უშუალოდ მირდატ მეფეს ასახელებს: „ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუმბათიანი ლ´ბ მეფემან მირდატ, შემუსრა ლანგ-თემურ, მერმე ოსმალთა“ (ქც. IV. გვ. 323). ცხადია, რომ ვახუშტის ცნობა „ქართლის ცხოვრებისაგან“ განსხვავებული წერილობითი წყაროდან მომდინარეობს და საფიქრებელია, რომ თვით საამშენებლო წარწერას ეყრდნობოდა, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე დღეს არის.

ზ. ალექსიძის მიერ მიკვლეული „ახალი კოლექციის sin 50“ ხელნაწერის მიხედვით სამშვილდის სიონის ეკლესიის „განსრულებით აღმშენებელი“ იყო სამშვილდის ერისთავის მეუღლე—დედოფალი დებორა (მრავალთავი. XVI. 1991 წ. გვ. 229-234). მართალია, რომ აღნიშნულ ხელნაწერში ზუსტად არ არის მითითებული ამ პიროვნების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწეობის ეპოქა, მაგრამ თვით ეკლესიის აგების თარიღი არკვევს, რომ დებორა დედოფალი იყო მირდატისა და საგდუხტის თანამედროვე და ცხოვრობდა V საუკუნის შუა წლებში.

უძველესი ქართული ისტორიული წყაროების მიმართ ჩვენში აქამდე არსებული უნდობელი და სუპერკრიტიკული დამოკიდებულების გამო, რასაც რეალურად, არასდროს ჰქონია ლოგიკურად დასაბუთებული მეცნიერული საფუძველი, არც „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მიენიჭა რაიმე მნიშვნელობა და ტაძრის აგების თარიღი გამოყვანილი იქნა ისტორიულ მონაცემთა იგნორირებით, არასწორი მსჯელობების შედეგად. ამის გამო ყველა სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ამ ეკლესიას ეხება, ტაძრის აგების სავარაუდო თარიღს სრულიად მიუღებელ და შეუძლებელ ეპოქაში ათავსებს როგორც საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების, ასევე მსოფლიო ისტორიის მიხედვითაც.

სამშვილდის სიონის სადღეისოდ მიღებული დათარიღება სრულ წინააღმდეგობაში მოდის ამ ეპოქის რეალურ ისტორიულ ვითარებასთან.

ტაძრის აგების თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება იყო გამოთქმული: 1. მ. ბროსე ეკლესიას 1313 წლით ათარიღებდა 2. ექვთიმე თაყაიშვილმა მშენებლობა X საუკუნით განსაზღვრა და აგების დროდ-ქ. შ. 958 წ. იგივე მოსაზრება გაიზიარა ნ. შოშიაშვილმა (ქართული წარწერების კორპუსი. I თბ. 1980 წ. გვ. 230). 3. ლ. მუსხელიშვილმა, რომელმაც პირველმა წაიკითხა სრულად საამშენებლო წარწერის გადარჩენილი ფრაგმენტები, ეკლესიის აგების თარიღი არაბთა ბატონობის ხანაში დასდო — 759-777 წ. წ. (ენიმკი-ს მოამბე. XIII. თბ. 1943 წ. გვ. 85-106). ეს წლები, რომელიც ქართლში არაბთა განსაკუთრებით სასტიკი ბატონობის ხანას ემთხვევა, თავისთავად გამორიცხავდა სამშვილდის სიონის ამგვარ დათარიღებას, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ასე არ მოხდა. ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი გაიზიარა გიორგი ჩუბინაშვილმა და, დღემდე, ეს წლები ითვლება სამშვილდის სიონის მშენებლობის დროდ.

ნ. ჩუბინაშვილი თავის ვრცელ ნაშრომში (სამშვილდის სიონი. რუსულად. თბ. 1969 წ.) შეეცადა თანამედროვე დათარიღებისა და ისტორიულ წყაროთა მონაცემების ურთიერთ შეთანხმებას, რის გამოც გამოთქვა მოსაზრება, რომ V საუკუნის ეკლესია იყო ძველი, მცირე ზომის, ხოლო არსებული გუმბათიანი ტაძრის ნანგრევები კი არის მის ადგილას მოგვიანებით ეპოქაში აგებული, გაცილებით დიდი ზომის ეკლესიის ნაშთი (გვ. 44).

ერთსა და იმავე ადგილას ორი სხვადასხვა ეკლესიის არსებობას უარყოფს თვით ტაძრის საამშენებლო წარწერა, რომელშიც საუბარია არა ძველი ეკლესიის ადგილას ახლის აგებაზე, ან არსებულის გადაკეთებაზე, არამედ უშუალოდ არსებული ნაგებობის საძირკვლის დადებაზე: „წელსაკმეფობასა კოსტანტინეჲსა · დაიდვა საძირკველი...“ წარწერის ეს მონაკვეთი სრულიად გამორიცხავს ერთსა და იმავე ადგილას ორი სხვადასხვა შენობის არსებობას (იხ. „კურთხევანნი“, ნებისმიერი რედაქციით — „წესი ეკლესიის საფუძვლის დადებისა“).

შესაბამისად, მითითებულ ადგილზე აგებული იყო ერთადერთი ნაგებობა — სამშვილდის სიონი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, რამდენჯერმე იყო დანგრეული და აღდგენილი.

საამშენებლო წარწერის ანალიზი

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ეკლესია ორჯერ იყო დანგრეული — თემურლენგის მიერ, ალბათ 1399 წ., და ოსმალთა შემოსევისას XVI ს-ში. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრებელია, რომ ეკლესიის შენობა უფრო ადრეულ საუკუნეებშიც იყო დაზიანებული — არაბების ბატონობის დროს და XI საუკუნეში, სულტან მალიქ-შას მიერ, რომელიც მოვიდა „მტერად ყოველთა ქრისტიანეთა“ (ქც. I. გვ. 316).

ეკლესიის შენობის ნგრევა, თავის მხრივ, პერანგის ახდას იწვევს, რის გამოც არც საამშენებლო წარწერა გადარჩებოდა მნიშვნელოვან დაზიანებას, რაც წარწერიანი ფილაქნების განლაგების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ეს გარემოება კი მიუთითებს, რომ არსებული წარწერა, სრული სახით, არ არის თავდაპირველი და ეკლესიის აგების თანადროულად ამოკვეთილი, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვიანებით ხანაშია რესტავრირებული, აღდგენილი ეკლესიის კედლებთან ერთად.

წარწერის ჩატარებულ რესტავრაციაზე მიუთითებს სამი ფაქტორი: 1. წარწერაში გვაქვს როგორც ძველი, ისე შედარებით გვიანდელი ეპოქისთვის დამახასიათებელი ასო-ნიშნების მოხაზულობა. 2. წარწერის მთელი რიგი მონაკვეთები შესრულებულია ტექნიკურად დაბალ დონეზე, რაც არ შეესაბამება თვით შენების მასშტაბს, ეკლესიის მოპირკეთებისა და შემკობის ხარისხს. 3. წარწერის რიგ დაზიანებულ მონაკვეთებში ჩადგმულია სრულიად სუფთა, უწარწერო ქვები, პირვანდელი წარწერიანი ფილაქნების ნაცვლად, ეს გარემოება აღნიშნა, აგრეთვე ლ. მუსხელიშვილმა (გვ. 86. სქოლიო 4).

სავარაუდოა, რომ გვიანდელი რესტავრაციის შედეგად არის დაკარგული წარწერაში არსებული ზმნების ხანმეტური ფორმებიც.

საამშენებლო წარწერის გვიან საუკუნეებში ჩატარებული არაერთჯერადი რესტავრაცია, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის წარწერის პალეოგრაფიული და ენობრივი ანალიზით ტაძრის შენობის აგების ჭეშმარიტი თარიღის დადგენას, ამიტომ ეს ორივე მეთოდი, ჩვენს შემთხვევაში, სრულიად [illegible] სადეგარია.

ნათელია, რომ წარწერის უძველეს რესტავრატორებს ხელთ ჰქონდათ ეკლესიის ტიპიკონი და „სულთა მატიანე“, რის საშუალებითაც მოახდინეს კიდეც წარწერის აღდგენა. მომდევნო საუკუნეებში, როგორც ჩანს, ეს წერილობითი დოკუმენტაცია დაკარგული იქნა და გვიანდელი რესტავრაციის დროს უკვე ვეღარ მოხერხდა წარწერის აღდგენა, რის გამოც რიგი დაზიანებული ადგილებისა უწარწერო ქვებით იქნა შევსებული.

ლ. მუსხელიშვილმა თავის ნაშრომში ნაწილობრივ აღადგინა წარწერის შინაარსიც, მაგრამ, როგორც თვითონაც აღნიშნავდა, ეს აღდგენა ძალზე პირობითია და მთელ რიგ უზუსტობებს შეიცავს, ამიტომ წარწერის შინაარსობრივი აღდგენის დროს დავეყრდნობი მხოლოდ იმ ადგილებს, რომელთა წაკითხვაც ეჭვს არ იწვევს.

საამშენებლო წარწერის თავდაპირველი სიგრძე, დაახლოებით, 34,2 მ უნდა ყოფილიყო. ის ამოკვეთილია ერთ სტრიქონად, ტაძრის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადზე, მიწიდან დაახ. 1,7 მეტრის სიმაღლეზე. ამჟამად დაზიანებულია მისი უდიდესი ნაწილი, რის გამოც წარწერა მხოლოდ ფრაგმენტების სახით იკითხება. ქვემოთ მოვიყვან წარწერის მხოლოდ იმ მონაკვეთს, რომელშიც უშუალოდ ეკლესიის მშენებლობაზე არის საუბარი, მოცემულია ტაძრის საძირკვლის დადებისა და მშენებლობის დასრულების წლები და არის ქტიტორთა ჩამოთვლა. ეკლესიის აგების თარიღის დადგენისათვის წარწერის მხოლოდ ამ მონაკვეთს აქვს მნიშვნელობა. ამასთანავე, მკითხველისათვის წაკითხვის გაადვილების მიზნით, ტექსტს წარმოვადგენ გახსნილი ქარაგმებით. დაზიანებული მონაკვეთების სიგრძეს მივუთითებ მიახლოებით, რამდენიმე სანტიმეტრის ცდომილებით, რადგან წარწერის თავდაპირველი ტექსტის სრული აღდგენა შეუძლებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია და მეტ სიზუსტეს არავითარი აზრი არა აქვს.

საამშენებლო წარწერა: დაზიანებულია რამდენიმე მეტრი — „ქ (რისტ) ე შ (ეი) წყ (ა) ლ (ე) ნ“ — დაზიანებულია დაახ. 1,1 მ — „(ნა) თესავით პ (ი) ტ (ია) ხშნი წ (ე) ლ (ს) ა კ მ (ე) ფ (ო) ბ (ას) ა კოსტანტინეჲსა დაიდვა საძირკველი ჴელითა მ“ — დაზიანებულია დაახ.1,3 მ — „აღშენებაჲ ვ (არა) ზბ (ა) კ (უ) რ შეისუენა და მისა უკუან“ დაზიანებულია დაახ. 0,8 მ — „იოვანე იწრაფდის აესრუ“ — ამის შემდეგ დაზიანებულია წარწერის დაახ. 7,6 მეტრის სიგრძის მონაკვეთი — „სრულიად აღშენებაჲ წ (მი) დ (ი) სა“ — დაზიანებულია დაახ. 0,8 მ — „და სტოვათა და წ(ე) ლ (ს) ა გ ლეონ მეფისა დღესა ენკენიასა ყო სატფურებაჲ ვ დღე დიდითა კრებითა განშუ“ — ამის შემდეგ აღარ არსებობს დაახ. 4 მეტრი სიგრძის ტექსტი.

სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერის ანალიზისას, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს თვით წარწერის მოცულობა — ასეთი განვრცობილი წარწერა არ დასტურდება არც ერთ სხვა ქართულ ეკლესიაზე.

მოყვანილი მონაკვეთის სიგრძე, დაწყებული სიტყვიდან „ქრისტე“ და დამთავრებული სიტყვით „განშუ (ენებად?)“, არის დაახლოებით 21,5 მეტრი. ფრაგმენტების საერთო სიგრძე, რომელზეც შესაძლებელია ტექსტის წაკითხვა, შეადგენს დაახ. 8,7 მეტრს. აქ მეტნაკლებად დაცულია 190 გრაფემა, რომელიც ადგენს 36 სიტყვას. ამ 36 სიტყვიდან სამი ერთასოიანია, რადგან გადმოგვცემს თარიღს. თუ ამ სამ ასონიშანს ერთ სიტყვად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ სიგრძივი ტექსტის 8,7 მეტრი საშუალოდ შეიცავდა 190 ასოს, რომლითაც შედგენილი იყო 34 სიტყვა. ამ პროპორციით შესაძლებელია, რომ მიახლოებით გამოვიანგარიშოთ მთელ წარწერაში და მის ცალკეულ მონაკვეთებში ასოთა და სიტყვათა საერაუდო რაოდენობა.

თუ მთელი წარწერის თავდაპირველ სიგრძედ 34,2 მეტრს მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ სრული ტექსტი შეიცავდა დაახლოებით 745 ასოს, ანუ 133-134 სიტყვას.

ნათელია, რომ სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერის მოცულობა რამდენჯერმე აღემატება ყველაზე მრავალსიტყვიანი სხვა ანალოგიური ხასიათის წარწერების მოცულობას და, თავისი მასშტაბით, ხელნაწერი დოკუმენტების ანალოგიურია; ამიტომ გასარკვევია, თუ ტექსტის რომელი შინაარსობრივი მონაკვეთის ხარჯზე არის განპირობებული წარწერის უპრეცედენტოდ დიდი ზომა.

წარწერის მოყვანილი ფრაგმენტი, რომელიც მთლიანად ეძღვნება ეკლესიის მშენებლობასა და კურთხევასთან დაკავშირებულ რიტუალებს, სიგრძით შეადგენს 25, 5 მეტრს, რაც მთელი წარწერის თავდაპირველი სიგრძის სამი მეოთხედია და, დაახლოებით, 540-550 ასოს, ანუ 98-100 სიტყვას უნდა შეიცავდეს.

არსებული ვითარება, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ ეკლესიის მშენებლობა გრძელდებოდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და მასში მონაწილეობას იღებდა ქტიტორთა რამდენიმე თაობა.

დასახელებული მონაკვეთის დასაწყისისა და დასასრულის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია თუ დაკარგული ფრაგმენტები არქეოლოგიურად არ იქნა მოპოვებული, ამიტომ უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ ამ ფრაგმენტის შიგნით გადმოცემულ ინფორმაციაზე და შევეცადოთ, რომ აზრობრივად, შეძლებისამებრ აღვადგინოთ ტექსტის ნაწილი.

სიტყვების „ქრისტე შეიწყალენ“ და „ნათესავით პიტიახშნი“ შორის დაზიანებულია წარწერა დაახლოებით 1,1 მეტრ სიგრძეზე, სადაც ივარაუდება 20 ასო, ანუ 4-5 სიტყვა.

ცხადია, რომ დაზიანებულ მონაკვეთში მითითებული იყო „ნათესავით პიტიახშების“ ვინაობა. ამ ადგილს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერის ტექსტის მომდევნო დაზიანება, რომლის სიგრძე დაახ. 1,3 მეტრია, თანხვდება წინადადების — „წელსა კ მეფობასა კოსტანტინეჲსა დაიდვა საძირკველი ჴელითა მ“ — დასასრულსა და შემდეგი წინადადების — „აღშენებაჲ ვარაზბაკურ შეისუენა“ —დასაწყისს.

თავისთავად გასაგებია, რომ პირველი წინადადება მთავრდებოდა იმ პირის დასახელებით, ვის მიერაც იყო განხორციელებული ეკლესიის საძირკვლის დადება; ამასთანავე ასო „მ“-ანი არის ამ პირის ან სახელის და ან ტიტულის პირველი ასო. წარწერის დასახელებულ მონაკვეთში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ასო „მ“-ანის შემდეგ ჩადგმულ ორ ფილაქანზე, რომლის საერთო სიგრძე დაახ. 0,8 მეტრია, წარწერის არავითარი კვალი არ არის. შუა ტექსტში ორი უწარწერო, სუფთა ფილაქნის არსებობა კი, თავისთავად მიუთითებს, რომ ერთ-ერთი გვიანდელი რესტავრაციის დროს აღმდგენლებისათვის უკვე აღარ იყო ცნობილი იმ პირის ვინაობა, ვისი ხელითაც განხორციელდა აღნიშნული ქმედება.

ამ ადგილას იმ აღდგენას, რომელიც განხორციელებულია მკვლევართა მიერ: „მამფლისა“ (სიტყვის საერო მნიშვნელობით, ლ. მუსხელიშვილი) და „მათითა“ (ნ. შოშიაშვილი) ვერ გავიზიარებთ, რადგან ის ეწინააღმდეგება საეკლესიო წესებს — ეკლესიის საძირკვლის დადება ხდება უშუალოდ ეპისკოპოსის ხელით: „ეკლესიის საძირკვლის პირველი ქვები იდება მღვდელმთავრის მიერ, ჯვრის ფორმით, საკუთარი ხელით. ლოცვა-კურთხევის შემდეგ ის თვითონ იღებს ქვებს და კირს, ჩადის თხრილში და ჯვარედინად აწყობს ქვებს საძირკველში, რაც საჩინოდ ხდის, რომ მან საძირკვლად დასდო ქრისტეს ურყევი ლოდი საკიდური (არქიეპისკოპოსი ვენიამინი. „ახალი კიდობანი სჯულისაჲ“. რუსულად. სპბ. 1858 წ. გვ. 57).

ეკლესიის საძირკვლის პირველი ქვები, გამონაკლის შემთხვევებში, ეპისკოპოსის განსაკუთრებული ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით, იდება მღვდლის ხელითაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ტაძრის საძირკვლის დამდებლად მაინც ეპისკოპოსი ითვლება, რაც შესაბამისად აისახება კიდეც საამშენებლო წარწერებში: „აიგო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ ჴელითა მიქაელ ეპიზკოპოზისაჲთა“ (კიანეთი). „განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ებისკოსისაჲთა... თევდორე თაფლაჲსძემან დავდე საძირკველი“ (ერედვი).„იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ ჴელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაჲთა“ (კუმურდო).

ეკლესიის შენობის საძირკვლის პირველი ქვების დადება ყოველთვის ეპისკოპოსის პრეროგატივა იყო და თავის დასაბამს ქრისტიანობის პირველივე საუკუნიდან იღებს.

ჩვენს წარწერაში,გამომდინარე დაზიანებული მონაკვეთის მოცულობიდან, პირთა დასახელების თანმიმდევრობიდან, საძირკვლის დამდებად მხოლოდ ერთი კაცი იგულისხმება, ამიტომ ასო „მ“-ანი უნდა იყოს ამ სასულიერო პირის პატივის, სახელის ან ეპარქიის დასახელების აღმნიშვნელი სიტყვის პირველი ასო. შესაძლებელია, რომ ეს იყოს დასაწყისი ეპისკოპოსის შესატყვისი უძველესი ქართული ტერმინისა „მღვდელთმოძღუარი“. გვიანდელი რესტავრაციის პირობებში სავარაუდოა „მღვდელმთავარიც“. ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ აქ ადგილი ჰქონდა საეკლესიო მიმართვის ისეთ ფორმებს, როგორიც არის „მამა“, „მეუფე“ ან „მამფალი“, ამ უკანასკნელის საეკლესიო და არა საერო მნიშვნელობით.

შესაბამისად, წინადადება სრულდება იმ ეპისკოპოსის ვინაობის გამომხატველი სიტყვებით, ვინც აკურთხა ტაძრის საძირკველი და ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი ასო „მ“-ანით უნდა იწყებოდეს.

მომდევნო სიტყვებიდან ირკვევა, რომ ვარაზბაკური გარდაიცვალა ეკლესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასრულებამდე, ამიტომ სიტყვა „აღშენებაჲ“-ს წინ უნდა უსწრებდეს ამ აზრის მქონე სიტყვები—„ვერღა მოესწრო, ვერღა ქმნა“ და მისთ. ლ. მუსხელიშვილის მიერ ეს ადგილი პრინციპულად სწორად არის აღდგენილი. ვერ გავიზიარებთ ნ. შოშიაშვილის ვარიანტს — „იწყო ამის სტოვისა აშენებაჲ“ — რადგან ეკლესიის საძირკვლის დადება არის უშუალოდ შენების დასაწყისი, ამიტომ იმავე წინადადებაში განმეორებით შენების დაწყებაზე საუბარი მხოლოდ გაუგებრობაა და რეალურ სურათს არ ასახავს.

მოცემულ კონტექსტში ვარაზბაკური წარმოდგენილია ტიტულის გარეშე, მხოლოდ საკუთარი სახელით, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ადგილი აქვს ამ პიროვნების განმეორებით ხსენებას. შესაბამისად, ვარაზბაკური პირველად „ნათესავით პიტიახშთა“ შორის უნდა იყოს დასახელებული.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე პირი, ერთი და იგივე ქმედების გამო ერთსა და იმავე წარწერაში ორჯერ არ მოიხსენება, ამიტომ წარწერაში ვარაზბაკურის ორჯერ დასახელება უთითებს, რომ თითოეული მათგანი ეხება ეკლესიის შენების განსხვავებულ ფაზებს. თვით ეკლესიის შენება სამ ფაზას მოიცავს, რაც გამოკვეთილია საეკლესიო წესებში: პირველი არის ნებართვის მიღება, სამშენებლო მასალისა და ადგილის შერჩევა, რაც მთავრდება საკუთრივ საძირკვლის დადებით, ანუ მშენებლობის დაწყებით. მეორე ფაზა არის საკუთრივ მშენებლობა შენობის განსრულებამდე და მესამე ფაზა — ტაძრის შენობის კურთხევა, მხოლოდ ამის შემდეგ არის დასაშვები ეკლესიაში ღვთისმსახურების ჩატარება. ამ გარემოებიდან გამომდინარე ვარაზბაკური პირველი ორი ეტაპის მონაწილე უნდა ყოფილიყო.

სამშვილდე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საერისთავოს ცენტრი იყო, ამიტომ ამ ციხე-ქალაქში საეპისკოპოსო ტაძრის დამაარსებელი და მაშენებელი, პიტიახშთა ნათესავი ვარაზბაკური სამშვილდის ერისთავი იქნებოდა, წოდებით — ერისთავთ-ერისთავი.

მომდევნო წინადადებაში — „და მისა უკუან... იოვანე იწრაფდის აესრუ“ — მკვლევართა მიერ (ლ. მუსხელიშვილი, ნ. შოშიაშვილი) განხორციელებულია აღდგენა: „უკუან (ის)“ და „აესრუ (ლა იგიცა)“, რაც შინაარსობრივად მისაღებია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რჩება შუა წაუკითხავი მონაკვეთი, სიგრძით 0,7 მეტრი, სადაც 15-მდე ასო, ანუ 2-3 სიტყვა ეტევა.

აქ, შინაარსობრივად, მოსალოდნელია შემდეგი აზრის მქონე სიტყვების არსებობა: 1. იოვანეს მიერ განხორციელებული ქმედების გამომხატველი, თუ რას „იწრაფდის“ იოვანე, პირობითად ამგვარი ტექსტით: „და მისა უკუანის გ (ა) ნშ (ორება) სა წ (მი) დ (ი) სა ა (მი) ს ს (იონის) ა იოვანე იწრაფდის, აესრულა იგიცა“. 2. იოვანეს ტიტული — სასულიერო პატივი ან საერო წოდება. იოვანესგან სახელმწიფო სახელოს ფლობა ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან ეკლესიის საძირკვლის დადებისა და მშენებლობის პირველ წლებში ქართველი დიდებულები მხოლოდ სპარსული სახელებით არიან ცნობილნი, რასაც თვით წარწერაში ერისთავთ-ერისთავ ვარაზბაკურის ხსენებაც ადასტურებს. საეჭვოა, რომ ახლადგაქრისტიანებულ იბერიაში ვარაზ-ბაკურის უახლოეს ნათესავს და მემკვიდრეს (ე. ი. ან ძმას და ან შვილს), ერისთავსა და „ნათესავით პიტიახშს“ ბიბლიური სახელი რქმეოდა. პირვანდელი ტექსტის აღდგენა, არსებული მონაცემებით რა თქმა უნდა, შეუძლებელია. აქ მთავარია იოვანეს პიროვნების დადგენა, რასაც ააღვილებს ის გარემოება, რომ ვარაზბაკურის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ეკლესიის საძირკვლის დადებიდან არც თუ დიდი დრო იყო გასული, იოვანემ გააგრძელა ტაძრის მშენებლობა. ეკლესიის საძირკვლის დადების თარიღის გარკვევის შემდეგ ნათელი გახდება, რომ ხსენებული იოვანე არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული წყაროებით კარგად ცნობილი ქართლის პირველი ეპისკოპოსი და შემდეგში მთავარეპისკოპოსი, კონსტანტინე დიდის მიერ მირიან მეფის წინაშე წარმოგზავნილი იოვანე.

ეს გარემოება აადვილებს ზემოდმოყვანილ დაზიანებულ მონაკვეთთა შინაარსობრივ აღდგენას.

მოყვანილი წინადადების უკანასკნელი სიტყვის — „აესრუ (ლა)" — შემდგომ ჩაქცეულია კედელი და წარწერა განადგურებულია დაახლოებით 7,6 მეტრის სიგრძეზე, სადაც, სავარაუდოთ, 160-165 ასო, ანუ 30-მდე სიტყვა უნდა ყოფილიყო. საკამათო არ არის, რომ წარწერის ამ მონაკვეთში, რომელიც ტაძრის მშენებლობის ამბებს აღწერდა მომდევნო ხანაში, დასახელებულნი იყვნენ ქტიტორთა რამდენიმე თაობის წარმომადგენლები, მშენებლობის დამასრულებლები და ტაძრის მაკურთხებელი ეპისკოპოსი.

უკანასკნელი გადარჩენილი წინადადების ნაწილობრივი აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ლ. მუსხელისშვილმა აქ აღადგინა მხოლოდ ერთი სიტყვა — „ეკლ (ე) ს (ი) ს (ა) ჲ" — ანუ ექვსი ასო, ხოლო 6-7 ასოს შემცველი სიტყვის სავარაუდო ადგილი ღიად დატოვა (გვ. 92. სქოლიო 4). ანალოგიურ წაკითხვას იძლევა ნ. შოშიაშვილიც (გვ. 236).

სიტყვას „წმიდისა", დაზიანებული ფრაგმენტის შემდეგ, მოსდევს სიტყვები „და სტოვათა". ე. ი. ამ ადგილას არის ეკლესიის შემადგენელ ნაწილთა ჩამოთვლა, ამიტომ სწორად აღდგენილი სიტყვის „ეკლესიისაჲ"-ს წინ უნდა წავიკითხოთ სიტყვა „ს (ა) კ (ურთ) ხ (ე) ვლ (ის) ა". წინადადება შემდეგნაირად წაიკითხება: „სრულიად აღშენებაჲ წმიდისა საკურთხევლისა, ეკლესიისაჲ და სტოვათა". სიტყვა „საკურთხეველი" დაქარაგმებით შეიცავს ექვს ასოს და ავსებს ღიად დატოვებულ ადგილს.

უკანასკნელი სიტყვა, რომლის მხოლოდ დასაწყისი იკითხება, როგორც „განშუ", ლ. მუსხელიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიერ აღდგენილია როგორც „განშუენებად". ამ აღდგენაში დაუშვებელია აზრობრივი შეცდომა, რადგან საუბარია საეკლესიო რიტუალზე, უნდა იყოს „განშუენებით". ე. ი. ეკლესიის კურთხევა ჩატარებულა დიდი ზეიმით და ამ ტაძრისთვის შესაფერისი რიტუალით (სულხან საბა ორბელიანი სიტყვა „შუენის" განმარტავდა როგორც — ეფერების, შეეფერების). წარწერაში გამოხატული ცნობა სამშვილდის სიონის დიდი ზეიმითა და ეკლესიისათვის შესაფერისი პატივით კურთხევის შესახებ კონკრეტულ მიზანს ისახავდა, რასაც ქვემოთ შევეხები.

წინადადება უნდა დასრულებულიყო იმ ეპისკოპოსის დასახელებით, ვინც ჩაატარა ეკლესიის კურთხევა. ეკლესიის შენების დასრულების თარიღის და კიდევ რამდენიმე სხვა გარემოების გამო, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, ეკლესიის კურთხევის ჩამტარებელი იყო V საუკუნის საქართველოს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, შემდგომში ვახტანგ გორგასლის მიერ გადაყენებული ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების გათვალისწინებით სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა შემდეგნაირად აღსდგება:

„ქ (რისტ) ე. შ. (ეი) წყ (ა) ლ (ე)ნ ე-(რისთავთ) (ე) რისთავი ვ (არა) ზ-ბ (აკ) კ (უ) რ და შვ (ი) ლნი მ (ი) სნი (ნა) თესავ-ით პ (ი) ტ (ია) ხშნი. წ (ე) ლ (ს) ა კ მ (ე) ფ (ო) ბ (ას) ა კოსტანტინეჲსა დაიდ-ვა საძირკველი ჰელითა მღ (დელ) თმ (ო) ძ (ღუარი) სა იოვანესი. ვ (ე) რლა ქ (მ) ნა აღშენებაჲ ვ (არა) ზბ (ა) კ (უ) რ შეისუენა და მისა უკუან გ (ა) ნშ (ორება) სა წ (მი) დ (ი) სა ა (მი) ს ს (იონის) ა იოვანე იწრაფდის, აესრულა იგიცა და..." ამას მოსდევს სრულიად დაზიანებული მონაკვეთი, დაახ. 7,3 მეტრის სიგრძეზე წარწერის აზრობრივი მიახლოებითი აღგენაც კი შეუძლებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია. „იქ (მ) ნა სრულიად აღშენებაჲ წ (მი)დ (ი) სა ს (ა) კ (ურთ) ხ (ე) ვლ (ის) ა ეკლ (ე) ს (ი) ს (ა). ჲ და სტოვათა. და წ (ე) ლ (ს) ა გ ლეონ მეფ (ის) ა დღესა ენკენიასა ყო სატ-ფურებაჲ ვ დღე დიდითა კრებითა განშუენებით ᲛᲘᲥᲐᲔᲚ მთავარეპისკოპოს-მან“.

სამშვილდის სიონის დათარიღება

საამშენებლო წარწერის უმეტესი ნაწილის სრული განადგურების მიუხედავად, გადარჩენილია და გარკვევით იკითხება ეკლესიის საძირკვლის დადებისა და მშენებლობის დასრულების თარიღები — კონსტანტინე მეფის ზეობის მე-20-ე წელი და ლეონ მეფის ზეობის მე-3 წელი. ამ მეფეთა სწორი იდენტიფიკაცია იძლევა ეკლესიის დათარიღების საშუალებას და ხელს უწყობს მის მშენებლობაში მონაწილე პირთა ვინაობის გარკვევას.

რამდენად არის შესაძლებელი, რომ ძეგლის მკვლევართა მიერ დღემდე გამოთქმული მოსაზრებებიდან ერთ-ერთი იყოს სწორი და სამშვილდის სიონი აგებული იყო ან VIII, ან X და ან XIV საუკუნეებში?

მ. ბროსეს მიერ მოწოდებული დათარიღება იმდენად არაზუსტია, რომ ცალკე განხილვას არ საჭიროებს: ის თავისთავად გამოირიცხება და უარყოფილი იქნება სხვა თარიღებთან ერთად.

მ. ბროსეს თარიღი იმ თვალსაზრისითაც არის მიუღებელი, რომ ჯუანშერის ცნობა, თუ მას XI საუკუნისად ჩავთვლით, ეხებოდეს ჯერ არაშენებულ ეკლესიას (!?)

სამშვილდის სიონი არც VIII და, მითუმეტეს, არც X საუკუნეში იყო აგებული, რასაც საამშენებლო წარწერაში მითითებული ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი ადასტურებს.

I. საამშენებლო წარწერაში გარკვევით ვკითხულობთ: „ყო სატფურებაჲ ვ დღე დიდითა კრებითა განშუ (ენებით)“. ე. ი. ეკლესიის შენობის საზეიმო კურთხევა ექვს დღეს გრძელდებოდა.

ტაძრის კურთხევის ხანგრძლიობას დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს, რაც არ შეუნიშნავს არც ერთ მკვლევარს.

ეკლესიის კურთხევის შვიდდღიანი რიტუალი, რომელიც დღეს არის მიღებული როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის საეკლესიო პრაქტიკაში, იმთავითვე არ ყოფილა დამკვიდრებული. ეკლესიის შენობების საზეიმო კურთხევას დასაბამი დაედო კონსტანტინე დიდის ეპოქიდან და პირველი ასეთი ტაძარი იყო იერუსალიმის ქრისტეს წმიდა აღდგომის ეკლესია, რომლის საზეიმო კურთხევა მოხდა ამ იმპერატორის ზეობის 30-ე წელს, ქ. შ. 335 წლის 13 სექტემბერს. მთელი რიტუალი, ჯვრის აღმართების ჩათვლით, რაც 14 სექტემბერს განხორციელდა, გაგრძელდა ექვსი დღე 10-დან 15 სექტემბრამდე. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნად არის დაწესებული ენკენიის დღესასწაული 13 სექტემბერს, რომელსაც ყოველწლიურად ზეიმობს მართლმადიდებელი ეკლესია.

არც სამშვილდის სიონის კურთხევა იყო შემთხვევითი ენკენიის დღესასწაულზე — ამ საკითხს შემდგომ კვლავ დავუბრუნდები — კურთხევის დღე სრულიად გარკვეული ტრადიციისა და კანონების გავლენით იყო შერჩეული.

რაც შეეხება კურთხევის შვიდდღიან, საადღესასწაულო მიღებულ რიტუალს, საეკლესიო პრაქტიკაში ის დამკვიდრდა მხოლოდ VI საუკუნიდან და მომდინარეობს კონსტანტინოპოლის წმ. სოფიოს ტაძრის (აია სოფია) ტიპიკონიდან (ქ. შ. 537 წ.), რომელშიც დადგენილი იყო ეკლესიის კურთხევის შვიდდღიანი წესი, „ძველი აღთქმის“ წიგნების შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამისად (გამოსლვათა 29.30 და 29.37. II ნეშტთა 7. 8-9).

ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკაში ორი საუკუნის განმავლობაში მიღებული ეკლესიის შენობის კურთხევის ექვსდღიანი რიტუალი მომდინარეობდა IV საუკუნეში არსებული ესქატოლოგიურ-ხილიასტიური შეხედულებებიდან და ხაზს უსვამდა „ახალი აღთქმის", ანუ ქრისტიანული ღვთის ტაძრის პრინციპულ განსხვავებას „ძველი აღთქმის", ანუ იუდაური ტაძრისგან.

საამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაში დადასტურებული ეკლესიის შენობის კურთხევის ექვსდღიანი რიტუალი სრულიად საკმარისია, რომ შეუმცდარად მოვახდინოთ ხსენებული კონსტანტინე და ლეონ მეფეების იდენტიფიკაცია და ეკლესიის შენების დასრულების თარიღი V საუკუნით — ქ. შ. 459 წ. — განვსაზღვროთ, მაგრამ კიდევ არსებობს მრავალი სხვა ფაქტი და გარემოება, რაც საკმაოდ გამორიცხავს ამ ეკლესიის აგების შესაძლებლობას V საუკუნის მომდევნო ხანაში.

II. ლ. მუსხელიშვილმა, როდესაც ის კონსტანტინესა და ლეონის პიროვნებების იდენტიფიკაციას ახდენდა, საფუძვლად ორი მცდარი დაშვება მიიღო, რამაც, ძირითადად, განაპირობა კიდეც ძეგლის არასწორი დათარიღება. ეს დაშვებები, რომელსაც ვერ გავიზიარებთ, შემდეგში მდგომარეობს:

1. ჩაითვალა, რომ ეკლესიის შენება მიმდინარეობდა უწყვეტად, ინტერვალების გარეშე, მასში მონაწილეობას იღებდა მაშენებელთა სამი თაობა და მშენებლობა საკმაოდ მოკლე დროში — 19 20 წელიწადში — დასრულდა.

ეს დასკვნა, თავისთავად, წინააღმდეგობრივია, რადგან მაშენებელთა სამი თაობის არსებობა (ერთი თაობა 30 წელს შეესაბამება) უკვე იმას აღასტურებს, რომ ეკლესიის შენება 19-20 წელზე გაცილებით დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამასთან გათვალისწინებული არ ყოფილა ის გარემოება, რომ საამშენებლო წარწერის მოყვანილი მონაკვეთის შუაში დაკარგულია სიგრძივი ტექსტის დაახ. 7,6 მეტრი მონაკვეთი, სადაც 160-165 ასო, ანუ 30-მდე სიტყვა ივარაუდება. ეს კი თითქმის იმდენივეა, რაც სადღეისოდ არის გადარჩენილი: 8,7 მ, 190 ასო, 36 სიტყვა. საამშენებლო წარწერიდან ჩანს, რომ მშენებლობა მოიცავდა დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, მიმდინარეობდა ინტერვალებით და ამ ინტერვალთა ჯამი, შესაძლებელია, ათეულ წლებსაც კი შეადგენდა, ხოლო მშენებლობაში მონაწილეობდა ქტიტორთა არა სამი, არამედ გაცილებით მეტი თაობა, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

2. მეფეები, რომელთაც იხსენიებს საამშენებლო წარწერა, ჩაითვალნენ ბიზანტიის ტახტზე ერთმანეთის მომდევნო კეისრებად: კონსტანტინე V კოპრონიმედ (ქ. შ. 740-775 წ. წ.) და ლეონ IV ხაზარად (ქ. შ. 775-780 წ. წ.), ხოლო ეკლესიის მშენებლობის ვადა განისაზღვრა 759-777 წლებით. ამ გამოთვლითაც დაშვებულია მცირე უზუსტობა ეკლესიის მშენებლობის თარიღთან დაკავშირებით: ლეონ IV ტახტზე ავიდა 775 წლის 24 სექტემბერს, ამიტომ ენკენია დღე, 13 სექტემბერი, მისი მეფობის მესამე წელზე ემთხვევა არა 777, არამედ 778 წელს. თუმცა ამ გარემოებას შემდგომი კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან დაშვებულია არა ერთწლიანი, არამედ სამსაუკუნოვანი ცდომილება!

საამშვილდის სიონის მშენებლობის დაწყება და დამთავრება განსაზღვრულია მხოლოდ ეპონიმური წელთაღრიცხვით: მეფეთა, მმართველთა და ა. შ. ზეობის წლებით დათარიღებას ეპონიმური ეწოდება. აქ არავითარი სხვა დათარიღების სისტემა დამატებით არ არის გამოყენებული. მეფეთა და, შესაბამისად, ეპოქის დაკონკრეტებისათვის არ არის ნახსენები არც მეფეთა ზეიწოდებები და არც პარალელურად მომხდარი რომელიმე ისტორიული ფაქტი. ეს გარემოება და ეკლესიის მშენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობის დიდი ხანგრძლივობა, მშენებლობაში მონაწილე პირთა სიმრავლე, ლოგიკურად, შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

ა) სამშვილდის სიონის დათარიღებიდან და ეპონიმური წელთაღრიცხვის პრინციპიდან არ გამომდინარეობს, რომ ლეონი აუცილებლად კონსტანტინეს უშუალო მემკვიდრე იყო და ის შეცვალა ტახტზე. დათარიღების მოცემული ფორმიდან იგულისხმება მხოლოდ ის, რომ ლეონი მეფობდა კონსტანტინეს მომდევნო ხანაში და ამ ორ მეფეს შორის არსებულ დროის მონაკვეთში ტახტზე არ ასულა არც ერთი სხვა მონარქი, ვისაც ან კონსტანტინე და ან ლეონი ერქვა სახელად.

ე. ი. კონსტანტინედან ლეონამდე ამ სახელების მქონე სხვა მეფეთა არსებობა გამორიცხულია.

ბ) რომის იმპერიისა და ბიზანტიის ტახტზე სულ იყო 12 კონსტანტინე და 6 ლეონი. ეპონიმთა სიმრავლის მიუხედავად მეტ-ნაკლებად შესაძლო ვარიანტთა რაოდენობა სულ სამია, რადგან 20 და მეტი წელი იმეფა მხოლოდ სამმა კონსტანტინემ: კონსტანტინე I დიდმა, კონსტანტინე IV-მ და კონსტანტინე V-მ. ლეონთაგან სამი და მეტი წელი ტახტზე იყო ხუთი: ლეონ I დიდი, ლეონ III, ლეონ IV, ლეონ V და ლეონ VI.

კონსტანტინე I-ის შემდგომ ეპოქაში მეფობდა ლეონ I.

კონსტანტინე IV-ის მომდევნო ხანაში — ლეონ III.

კონსტანტინე V-ს უშუალო მემკვიდრე იყო ლეონ IV.

აქ ქართველ მეფეებს ვერ გავითვალისწინებთ, რადგან ისინი გამოირიცხებიან სამშვილდის ისტორიული პოლიტიკური მდგომარეობისა და მატიანეთა მონაცემების მიხედვით.

პირველ შემთხვევაში ტაძრის მშენებლობა დაწყებულა კონსტანტინე I-ის (306-337 წ.წ.) ზეობის მე-20 წელს, რომელიც 325-326 წლებს შეესაბამება და დამთავრებულა ლეონ I-ის ზეობის (457-474 წ.წ.) მე-3 წელს, რაც ქ. შ. 459 წ. მოდის. ეკლესიის მშენებლობის ხანგრძლივობა 133 წელს შეადგენს, რაც სავსებით შეესაბამება იმდროინდელი ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობას და საამშენებლო წარწერის მონაცემებს.

მეორე შემთხვევაში ტაძრის შენების დაწყება კონსტანტინე IV-ის ზეობის (654-685 წ.წ.) მე-20 წელს — ქ. შ. 673-674 წ. წ. — მომხდარა და დასრულებულა ლეონ III-ის ზეობის (716-740 წ.წ.) მე-3 წელს — ქ. შ. 718 წ. შენების ხანგრძლიობა, ამ ვარიანტით, 44-45 წელია და შედარებით უფრო მისაღებია, ვიდრე მესამე, დღემდე მიღებული დათარიღება, რომელიც კონსტანტინე V-ს და ლეონ IV-ის მეფობას ითვალისწინებს; მშენებლობის დამთავრება 19-20 წლის (759-778 წ. წ.) განმავლობაში ძალზე ცოტაა ასეთი დიდი ზომის ტაძრისთვის, დასახელებული ეპოქისთვის და ვერც ქტიტორთა სიმრავლეს ხსნის — დაუჯერებელია, რომ ასეთ მოკლე დროში ქტიტორთა რამდენიმე (სამზე მეტი) თაობის წარმომადგენელი იგულისხმებოდეს გარდაცვლილად.

არსებული სამივე ვარიანტის განხილვისას გასათვალისწინებელია ეპონიმური წელთაღრიცხვის სისტემისათვის დამახასიათებელი უმთავრესი პირობა, რომელიც ეპონიმთა დაზუსტებას ითვალისწინებს: როდესაც მოვლენა თარიღდებოდა ხელისუფალთა ზეობის წლებით და ეს პირი ატარებდა იმავე სახელს, რასაც იმავე წოდების მქონე მისი რომელიმე წინამორბედი, მომდევნო თაობების წინაშე დგებოდა ძნელად გადასაჭრელი პრობლემა, რომელიც ამ მოვლენის ისტორიულ დროში სინქრონიზაციას ეხებოდა, რადგან ხდებოდა ორი ან რამდენიმე თანამოსახელე პირის ერთმენეთში აღრევა. ქრისტიანულ ქრონოლოგიაში ეს საკითხი აქტუალურია უკვე იულიუს აფრიკელის (ქ. შ. 221 წ.) დროიდან. პრობლემა გადაიჭრა დამატებითი ინფორმაციის შეტანით — პარალელური დათარიღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელთაღრიცხვის სხვა სისტემით, ხელისუფლის ზედწოდების ხსენებით, თანამედროვე ცნობილი ისტორიული ფაქტით და სხვ.

სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერა ამგვარ დამატებით ინფორმაციას არ შეიცავს: დათარიღება განხორციელებულია მხოლოდ მეფეთა ზეობით, წელთაღრიცხვის სხვა სისტემისა და ისტორიული ფაქტების გარეშე. ამიტომ, თუ არსებულ ტექსტში იგულისხმებიან კონსტანტინე IV და ლეონ III, ან კონსტანტინე V და ლეონ IV, ტაძრის აგების მომდევნო ხანაში მშენებლობის თარიღი უკვე გაურკვეველი და საკამათო იქნებოდა მკითხველისთვის, ეპონიმთა სიმრავლის გამო, რაც გათვლისწინების გარეშე არ დარჩებოდა წარწერის შემსრულებლებს.

არსებული ვითარება პირდაპირ უთითებს იმ ეპოქას, როდესაც წარწერაში დასახელებულ მეფეებს ერქვათ სახელები, რომლებიც მანამდე მათი წოდების მქონე არც ერთ სხვა პირს არ უტარებია, ანუ დასახელებული მეფეები პირველნი არიან ამ სახელის მქონე გვირგვინოსანთა შორის.

ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ წარწერაში დასახელებულნი არიან რომის იმპერატორები — კონსტანტინე I დიდი და ლეონ I დიდი, რაც ეკლესიის მშენებლობის დასრულებას V საუკუნით — 459 წლით — განსაზღვრავს.

III. სამშვილდის სიონის პირველი მაშენებელი ვარაზბაკური და მისი სახლეულნი „ნათესავით პიტიახშნი", ანუ პიტიახშთა შთამომავლები არიან. არც ტერმინ „პიტიახშის" ხსენება უნდა იყოს შეთხვევითი, რადგან მას გარკვეული ქრონოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

პიტიახში იყო სასანიანთა ირანის სახელმწიფო მოხელე, ქვეყნის გამგებელი, რაც კარგად არის ცნობილი. ცნობილია ისიც, რომ ეს ინსტიტუტი მოისპო თვით ირანის სახელმწიფოს არაბთა მიერ დაპყრობის შემდეგ, VII ს. 50-იანი წლებიდან. ამის შემდეგ ირანი იქცა არაბთა ხალიფატის შემადგენელ ნაწილად, რასაც მოჰყვა ახალი, სრულიად განსხვავებული, მაჰმადიანური ადმინისტრაციული ერთეულებისა და თანამდებობების დამკვიდრება, სახალიფოს იერარქიის შესაბამისად. „ქართლის ცხოვრებაც" პიტიახშებს უკანასკნელად არაბთა პირველი შემოსევებისას ახსენებს — VII საუკუნის შუა წლებში — და ამ ეპოქის შემდეგ არც ერთი სპარსული, არაბული, ქართული და სომხური წყარო პიტიახშთა ინსტიტუტს აწმყო დროში აღარ აფიქსირებს.

შესაბამისად, პიტიახშთა სახელო საქართველოში გაუქმდა არაბთა შემოსევებისა და არაბული მმართველობის დამყარების შემდეგ, ისევე, როგორც ეს ირანში მოხდა და ასახულია ისტორიულ წყაროებში.

არსებული ვითარება კი მიუთითებს, რომ სამშვილდის სიონის შენება დაიწყო იმ ისტორიულ ეპოქაში, როდესაც ქართლში რეალურად არსებობდნენ პიტიახშები, მათი საგვარეულო და ეს ტერმინი ანაქრონიზმს არ წარმოადგენდა.

ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი, რომ პიტიახშთა შთამომავლებს რამდენიმე თაობის მანძილზე კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული წინაპრების წოდება ტიტულატურაში, მისაღებია VIII საუკუნემდე, მაგრამ სრულიად დაუშვებელია X საუკუნისათვის. დაუჯერებელია და არსებული მონაცემებითაც გამორიცხულია, რომ X საუკუნეში ადგილი ჰქონოდა სამი (!!!!) საუკუნის წინ გაუქმებული და ხმარებიდან გამოსული უცხო სახელმწიფოს სამოხელეო ტიტულის გამოყენებას, ამიტომ ამ წოდების X საუკუნეში გადატანა და სამშვილდის სიონის 912-958 წლებით დათარიღება აშკარა ანაქრონიზმია.

სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაში ტერმინ „პიტიახშის" ხსენება სრულიად გამორიცხავს ამ ტაძრის ხაძირკვლის დადების თარიღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადატანაას VIII საუკუნის მომდევნო ეპოქაში.

IV. ქართული ისტორიული წყაროების მიმართ ჩვენში გაბატონებული სკეპტიკური დამოკიდებულება პარადოქსულ ვითარებას იწვევს.

ითვლება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, დაწერილია ან X, ან XI საუკუნეში — არაუგვიანეს XI საუკუნის დასასრულისა. ამ მოსაზრების მართებულობას ამჟამად არ შევეხები, დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა. ამ შემთხვევაში, თუ მემატიანეს XI საუკუნის მოღვაწედ მივიჩნევთ, ხოლო მის ნაწერებს ზეპირი გადმოცემებისა და მოგონილი ამბების კრებულად, წერილობითი ინფორმაციის მიმართ უნდობლობას, რა თქმა უნდა, გარკვეული საფუძველი ექნება და ისტორიული ამბების აღწერას, შეიძლება, ეჭვითაც შევხედოთ, რაზეც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ჩანს, რომ ჯუანშერის თხზულება ვახტანგის დროის ისტორიისათვის სრულიად გამოუსადეგარია და საყურადღებოა მხოლოდ როგორც დამახასიათებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონიათ XI საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასლის პიროვნებასა და მეფობაზე. ხოლო VII-VIII ს. ს. შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები მოიპოვება“ (თხზულებები. VIII. გვ. 194).

მკვლევარი, რომელიც დღესაც იზიარებს ამ მოსაზრებას, შეიძლება არ დაეთანხმოს V საუკუნის რიგი ამბების თხრობას, თუ ის სხვა წყაროების მიხედვითაც არ იქნა დამოწმებული. მაგრამ, როდესაც საუბარია ეკლესიის და, თანაც, საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე, რომელსაც აქვს საამშენებლო წარწერა, რომელიც XI-XII საუკუნეებში უფრო კარგად იკითხებოდა, ვიდრე დღეს, ეს შენობა იქვე იდგა, სადაც დგას, მასთან მისვლაც შეიძლებოდა და თვით სამშვილდის მოსახლეობის მახსოვრობაშიც იქნებოდა ეკლესიის აგების მიახლოებითი თარიღი, წარმოუდგენელია, რომ მემატიანეს ასეთი სიყალბე ჩაედინა და V საუკუნეში თვითნებურად გადაეტანა „ახლადაშენებული“ ეკლესიის აგების დრო, ხოლო მის აღმაშენებლად კი დაესახელებინა პირი, რომელიც არც საამშენებლო წარწერაში იქნებოდა დადასტურებული. არც ეკლესიის ტიპიკონში, არც სულთა მატიანეში და არც საპატრიარქოს ანალებში. საეჭვოა ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა საგდუხტ დედოფლის შესახებ, თუ ის ნაყალბევია, „განათლებულ ქართველთა წრეში“ არავის შეემჩნია და დროულად არ გაესწორებია. მითუმეტეს, რომ XI საუკუნის 60-იანი წლებიდან სამშვილდე კვლავ მოექცა საქართველოში მომხდარი ყველა ისტორიული მოვლენის შუაგულში. ქ. შ. 1110 წელს სამშვილდის ციხე-ქალაქი საბოლოოდ შემოიერთა დავით აღმაშენებელმა, რის შემდეგ ტაძარში კვლავ აღსდგა ქართულენოვანი მართლმადიდებელი ღვთისმსახურება და ის სასულიერო პირები, რომლებიც ამ ეკლესიაში მოღვაწეობდნენ, საეკლესიო წესების და ტრადიციების ბრწყინვალე მცოდნენი იყვნენ. ეს თავის მხრივ, ადასტურებს სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერის და „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ცნობათა იდენტიობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯუანშერის „შეცდომა“ ჯერ კიდევ ცხრაასი წლის წინ იქნებოდა შემჩნეული და გასწორებული!

ახლა კიდევ ერთი ასპექტით შევხედოთ ისტორიული წყაროების ცნობების მიმართებას თანამედროვე მეცნიერთა მიერ ჯერ-ჯერობით გაზიარებულ დათარიღებასთან.

როდესაც ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე გარკვეულ სკეპტიციზმს გამოთქვამდნენ უძველესი ქართული საისტორიო წყაროების მიმართ, ეს ყველა შემთხვევაში ეხებოდა მხოლოდ ქ. შ. VI-ზე ადრეულ საუკუნეებს, ხოლო VII, VIII და მომდევნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეების ამბების აღწერას ნდობით ეკიდებოდნენ, რაც ივანე ჯავახიშვილის მოყვანილი ციტატიდანაც კარგად ჩანს. ე. ი. არასდროს არ ყოფილა არავითარი თეორიული მოსაზრება, რომელიც გაამართლებდა უნდობლობას VII და მოგვიანებითი ხანის ისტორიული საბუთების მიმართ. ამიტომ ამ სკეპტიციზმის VI ს. მომდევნო ხანაზე განზოგადების არავითარი უფლება არა გვაქვს. მაშინ რა გამოდის? თუ მემატიანე „შეცდა" V საუკუნის ამბების აღდგენისას, რატომ უშვებს ის და სხვაც ასეთივე „შეცდომას" VII, VIII ან X საუკუნეების, უფრო ახლობელი და თანამედროვე პერიოდის, მოვლენების გადმოცემისას და არაფერს ამბობენ ამ საუკუნეებში „აგებულ" უმნიშვნელოვანეს საკათედრო ტაძარზე, რატომ სდუმს ყველა წყარო?

იოვანე საბანისძე „ჰაბოს წამების" პირველ თავში დიდი გულისტკივილით აღწერს ქრისტიანული ეკლესიის მძიმე მდგომარეობას არაბი დამპყრობლების ხელში და არაფერს ამბობს ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, როგორიც ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა იქნებოდა იმ ეპოქაში და მოცემულ ტერიტორიაზე.

იოვანე საბანისძე, თუ სამშვილდის სიონი 759-778 წლებში შენდებოდა, მისი უშუალო თანამედროვე იყო და ეს აღმშენებლობითი პროცესი მის თვალწინ უნდა განხორციელებულიყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ტაძრის აგების საღღეისოდ მიღებული თარიღი სულ რამდენიმე წლით უსწრებს „ჰაბოს წამებას", ხოლო თვით წმ. ჰაბოს და ნერსე ერისმთავრის ქართლში დაბრუნება (ქ. შ. 775 წ.) კი ტაძრის განსრულების წლებზე მოდის. რით გავამართლოთ იოვანე საბანისძის დუმილი?

ნუთუ ყველამ ასე დაუკარგა ღვაწლი და ამაგი ღვთისა და ერის წინაშე იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც სამშვილდეში, მაჰმადიან მმართველთა ხელში, ქართული ქრისტიანული ტაძარი ააგეს, რაც, როგორც ქვემოთ ვინახავთ, წმ. ჰაბო ტფილელის მარტვილობისა და წმ. გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის სადარი ქმედება იქნებოდა?

შესაბამისად, არც VIII და, მითუმეტეს, არც X საუკუნეში სამშვილდეში არავითარი გრანდიოზული საეკლესიო მშენებლობა არ ყოფილა და იქ არსებული სიონი ამ ეპოქისთვის უკვე მრავალ წელს ითვლიდა.

V. სამშვილდის სიონის X საუკუნის შუა წლებით დათარიღება ემყარება წარწერაში ხსენებული მეფეების — კონსტანტინესა და ლეონის — აფხაზთა მეფეებად მიჩნევას, რადგან მათი სახელები ნახსენებია X საუკუნის ეკლესიების საამშენებლო წარწერებში — ერედვი (კონსტანტინე) და კუმურდო — ლეონი. არსებული იდენტიფიკაციის მცდელობა ემყარება წარწერის მხოლოდ პალეოგრაფიულ ანალიზს და არა შინაარსობრივს (იხ. ნ. შოშიაშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 170-172). წარწერა ეკლესიასთან ერთად, საუკუნეთა განმავლობაში, რამდენჯერმე იყო დაზიანებული და აღდგენილი, რაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ამიტომ ეკლესიის შენობის მოგვიანებით ხანაში ჩატარებული ერთ-ერთი აღდგენის დროს რესტავრირებული წარწერის პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნებით დათარიღება, როგორც ვხედავთ, დიდ ცდომილებას იწვევს.

ამასთანავე, სამშვილდის სიონის X საუკუნით დათარიღება სრულიად ეწინააღმდეგება სამშვილდის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების რეალურ სურათს. თუ კონსტანტინესა და ლეონ აფხაზთა მეფეებს ხსენება ერედვისა და კუმურდოს წარწერებში გამოწვეულია იმით, რომ მითითებულ წლებში ეს მეფეები ამ რეგიონებში სუზერენები არიან და უპყრიათ ეს დასახლებული პუნქტები, იგივეს ვერ ვიტყვით სამშვილდეზე, რომელზეც მათ არავითარი გავლენა არ ჰქონიათ. სამშვილდე VII საუკუნიდან XII საუკუნემდე არაქართველი მმართველების

ხელში იყო. XI საუკუნის 60-იან წლებში მცირე ხნით დაიბრუნა ბაგრატ IV, შემდეგ გადავიდა თურქების ხელში და საბოლოოდ 1110 წელს შემოერთა დავით აღმაშენებელმა. ყოველივე ეს დადასტურებულია ქართული და სხვაენოვანი ისტორიული წყაროების მონაცემებით.

კონსტანტინე III აფხაზთა მეფის ზეობის მე-20 წელი არის ქ. შ. 912 წ. ხოლო ლეონ III აფხაზთა მეფის ზეობის მე-3 წელი — ქ. შ. 959 წ. ეკლესია, ამ გამოთვლით, შენდებოდა 47-48 წელი. გამოდის, რომ სამშვილდე ქართველთა ხელში ყოფილა X საუკუნის I ნახევარში; თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამშვილდის ფლობა კი, ვიმეორებ, არ დასტურდება არც ერთი დოკუმენტით, არ ეთანხმება რეალურ ისტორიულ სურათს, რადგან ძირეულ წინააღმდეგობაში მოდის თბილისის საამიროს, ანისისა და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოების ისტორიასთან. ამ უკანასკნელი სამეფოსთვის საარსებო დროსაც კი არ სტოვებს ისტორიულ სივრცეში.

არავითარი ცნობა ქართველთა მიერ სამშვილდის აღებისა და ხანგრძლივი დროით პყრობისა, მითუმეტეს X საუკუნეში აფხაზთა მეფეების მიერ, არ არსებობს, ამიტომ საამშენებლო წარწერაში დასახელებული პირების X საუკუნის აფხაზთა მეფეებთან გაიგივება სხვა გარემოებების გათვალისწინებითაც, თავისთავად გამოირიცხება.

VI. ახლა განვიხილოთ, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სამშვილდის სიონის მშენებლობა მთელი არაბთა ბატონობის პერიოდში.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაში დასახელებულ მეფეთა შესაძლო ვარიანტი სულ სამია. მათგან ორი — კონსტანტინე IV და ლეონ III და კონსტანტინე V და ლეონ IV — საქართველოში არაბთა ბატონობის ხანაზე მოდის.

ერთ შემთხვევაში ეკლესიის შენება 44-45 წელს მოიცავს: ქ. შ. 673-674 წლიდან 718 წლამდე. მეორე, სადღეისოდ მიღებულ ვარიანტში, 19-20 წელი — 759-778 წ. წ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაბთა ბატონობა სამ პერიოდად არის დაყოფილი — პირველი პერიოდი არის „დაცვის სიგელის“ მიღებიდან (ქ. შ. 654 წ). VIII საუკუნის 40-იან წლებამდე. მეორე პერიოდი არის არაბთა ბატონობის ხანა, რომელიც ერთი საუკუნე გაგრძელდა. მესამე პერიოდი — თბილისის საამიროს დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულის ჩამოყალიბება — IX-X საუკუნეებს ემთხვევა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II. გვ. 19. გვ. 24).

არაბებმა ქართლი (აღმოსავლეთ საქართველო) ქ. შ. 654 წელს დაიპყრეს. ამ წელს ქართლის ერისმთავარმა არაბებისგან მიიღო ე. წ. „დაცვის სიგელი“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ დროიდან ქართლი არაბთა ხალიფატის შემადგენელ ნაწილად ჩაითვალა. VIII საუკუნეში, 724-726 წლებში ქართლი იღებს მეორე, განახლებულ „დაცვის სიგელს“. როგორც ვხედავთ, ეკლესიის შენების ორი დასახელებული ვარიანტი არაბთა „დაცვის სიგელის“ სხვადასხვა რედაქციის მოქმედების ვადას და არაბთა ბატონობის პირველ ორ პერიოდს თანხვდება, ამიტომ თითოეული მათგანი ცალკე უნდა იქნას განხილული.

ჯერ შევეხოთ დღემდე მიღებულ დათარიღებას, რომლის მიხედვით სამშვილდის სიონი შენდებოდა 759-778 წლებში, ე. ი. არაბთა მეორე „დაცვის სიგელის“ მოქმედების და არაბთა მფლობელობის მეორე — ბატონობის — პერიოდში. ეს გრანდიოზული მშენებლობა, ამ თვალსაზრისით, მიმდინარეობდა არაბთა მიერ დაპყრობილ, ე. ი. ხალიფატის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე, სადაც არაბთა მეციხოვნე ჯარი იდგა და სრულად მოქმედებდა სახალიფოს კანონები.

არაბები, ჯერ კიდევ ომაიდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროიდან, აარსებდნენ მუდმივ მეციხოვნე ჯარს დაპყრობილი ქვეყნების სიმაგრეებში და მეომართა საცხოვრებელ უბნებს თვით ამ სიმაგრეებთან — ეს იყო არაბული სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპი. თავისთავად იგულისხმება და საკამათოც არ არის, რომ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს, როგორიც იმ დროს სამშვილდე იყო, არაბი მმართველები უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

ლ. მუსხელიშვილი სამართლიანად შეეხო საკითხს — „რამდენად დასაშვებია, რომ ასეთ პირობებში დიდი საკულტო მშენებლობა ქვემო-ქართლში ბიზანტიის კეისრების მეფობის წლებით დაეთარიღებინათ?- ამ კითხვაზე მეცნიერმა დადებითი პასუხი გასცა: „წარწერის დათარიღების წესი, ბიზანტიის კეისრების წლებით სრულებით უჩვეულოა, მოულოდნელი ამ დროს მაინც, და მთელ რიგ საკითხებსაც ჰბადებს. რას უნდა ნიშნავდეს ის? — ეგებ აქ უბრალო ტრაფარეტთან გვაქვს საქმე, რომელიც სხვას არაფერს მოასწავებდა, გარდა ბიზანტიის კეისრების იდეალური წინამძღოლობის აღიარებისა ქართული ეკლესიის მიერ, რაც ცნობილი იყო არაბი მმართველობისათვის, არსებითად არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და ამიტომ მის მიერ შეიძლებოდა იგნორირებული ყოფილიყო? — მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ რომ სწორედ გამონაკლის მოვლენასთან გვაქვს საქმე? — არსად საქართველოში, არც უწინ და არც მერმე, რამდენადაც ვიცი, მონუმენტალური ძეგლების დათარიღების ასეთი წესი არა გვხვდება. და თუ მაინცა და მაინც სამშვილდეში ვხედავთ მას, VIII ს-ის მეორე ნახევარში, მკაცრი სარწმუნოებრივი დევნის ხანაში, მე მგონია რომ სხვანაირად მისი გაგება არ შეიძლება, თუ არა როგორც შეგნებული პოლიტიკური დემონსტრაციისა, რომლის წინაშეც არაბი მმართველობა ეტყობა უძლური აღმოჩნდა. ნამდვილად პოლიტიკურ დემონსტრაციას, წარმოადგენდა უკვე თვით ფაქტი ისეთი ... ოზული ნაგებობის აგებისა, როგორიცაა სამშვილდის სიონი, რომლის მსგავსი აღნიშნული ხანისათვის ქვემო-ქართლში სხვა არცაა ცნობილი. დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს სატფურებაც — ექვის დღის განმავლობაში, „დიდითა კრებითა“! (გვ. 97. 101-102).

ამ დასკვნას, რომელიც იმთავითვე უკრიტიკოდ იყო გაზიარებული სამეცნიერო წრეებში, ვერ გავიზიარებთ: ეს წლები, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, არაბთა განსაკუთრებით სასტიკი ბატონობის ხანაა; არც არაბი მმართველობა იყო „უძლური“, ამიტომ ამ „შეგნებული პოლიტიკური დემონსტრაციის“ შედეგად სამშვილდის სიონი უმოკლეს ვადაში არაბთა ხელით მიწასთან გასწორებას ვერ გადურჩებოდა, ხოლო მისი მშენებლები — სიკვდილით დასჯას!

არაბთა მიერ დაპყრობილი ყველა ქრისტიანული ქვეყანა ერთნაირ მდგომარეობაში ვარდებოდა: დაპყრობისთანავე ფორმდებოდა „დაცვის სიგელი“, რომელშიც არაბების მიერ წამოყენებული პირობები იყო ჩამოყალიბებული, უქმდებოდა ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტები, ტერიტორია სახალიფოს ნაწილად ცხადდებოდა, უმაღლეს ხელისუფლად — ხალიფა, ერთადერთ მომქმედ კანონებად — ხალიფატის კანონები, ქვეყნის მმართველობა სულიად გადადიოდა არაბი მმართველების ხელში (ამირა, ვალი), მოსახლეობა ხალიფატის ქვეშევდრომი ხდებოდა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესაბამისად იბეგრებოდა, ხოლო ადგილობრივი დიდებულები მხოლოდ არაბი ამირების, ვალის და ხალიფას განკარგულებების აღმასრულებელთა როლში გამოდიოდნენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „დაცვის სიგელი“ ეძლეოდა არა ქვეყანას, არამედ ქრისტიანულ თემს. თვით სახელმწიფოს ცნება გულისხმობდა მხოლოდ ერთ, „ალაჰის ნების გამომხატველ“ სახელმწიფოს, ხალიფატს.

ამგვარი ვითარების პირობებში, როდესაც სამშვილდეში არაბთა მეციხოვნე ჯარი იდგა და ქალაქი, ფაქტიურად, არაბულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, ქართლზე ვრცელდებოდა არაბთა ხალიფატის ძალაუფლება და მოქმედებდა, არაბულ-ისლამური კანონმდებლობა, უნდა დაისვას შემდეგი ფორმულირების კითხვა: საერთოდ იყო შესაძლებელი თუ არა, რომ ქართველებს არაბთა ბატონობის ხანაში სამშვილდის ტერიტორიაზე აეგოთ საკათედრო ტაძარი, დაეთარიღებინათ ბიზანტიის კეისრების ზეობით და კურთხევა ჩაეტარებიათ ექვსი დღის განმავლობაში, „დიდითა კრებითა“ და ყველა წესის დაცვით და, რაც მთავარია, არაბ მმართველთა მხრიდან ყოველგვარი ნებართვის გარეშე და ეს ეკლესია დანგრევას კი არა, მიწასთან გასწორებას გადარჩენოდა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, ვგონებ, საკამათო აღარ უნდა იყოს სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაში დასახელებულ მეფეთა ვინაობა და არც ეკლესიის საძირკვლის დადებისა და დასრულების თარიღები.

ყველა ნაშრომი, რომელიც არაბთა ბატონობის წლებს ეხება, სამეცნიეროც და პოპულარულიც, ერთხმად აღნიშნავს არაბების სასტიკ ბატონობასა და ქრისტიანთა მკაცრ სარწმუნოებრივ დევნას, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დევნის ფორმები და ხარისხი ჩვენში სრულად არ არის გაცნობიერებული. წინააღმდეგ შემთხვევაში არც სამშვილდის სიონი იქნებოდა დათარიღებული VIII საუკუნის მეორე ნახევრით, როდესაც არაბთა ბატონობამ აპოგეას მიაღწია და არც სხვა ქრისტიანული საკულტო ნაგებობები იმ ტერიტორიაზე, რომელიც თბილისის საამიროს შემადგენლობაში შედიოდა VIII-IX საუკუნეებში.

არაბთა სახალიფოს დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიების ქრისტიანების მიმართ არაერთგვაროვანი იყო: თუ ნესტორიანული და მონოფიზიტური ეკლესიები, მათ შორის სომხურიც, ფლობდნენ ე. წ. უმეტესი მფარველობის სტატუსს, როგორც ბიზანტიის პოლიტიკური მტრები, რომლებიც არაბთა ექსპანსიის პირველივე წლებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მართლმადიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში, მეორე მხრივ „მართლმადიდებლების მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრით მოქმედებდნენ ბიზანტიასთან მათი კავშირის გამო“ (ა. სინაისკი. მაჰმადიანობა თავის ისტორიაში და ქრისტიანობასთან მიმართებაში. რუსულად. სპბ. 1904. გვ. 51).

„ქრისტიანულმა ეკლესიამ მაჰმადიანთა მხრიდან მრავალი ბოროტება განიცადა... უამრავი ეკლესია დაინგრა, სხვანი ცხოველთა სადგომებად აქციეს. ქრისტიანებს არ ეძლეოდათ ახალი ეკლესიების აგების ნება... მათ არ ჰქონდათ უფლება, რომ ესაუბრათ თავიანთ სარწმუნოებაზე და ესწავლებინათ შვილებისათვის სხვა ანბანი, გარდა არაბულისა, იმ მიზნით, რომ აღმოსავლეთის ქისტიანები არ დაკავშირებოდნენ ბერძნულ ენას. ამ მიზეზის გამო აღმოსავლეთის ქრისტიანები იძულებულნი გახდნენ არაბულად ეთარგმნათ საღვთო წიგნები!.“ (იქვე. გვ. 50).

მოყვანილი ციტატები ნათლად წარმოგვიდგენს იმ ქმედებათა ხასიათს, რომელსაც არაბი მმართველები გაატარებდნენ ეკლესიის მაშენებელთა მიმართ „ბიზანტიური ორიენტაციის საპასუხოდ“ — დამსჯელი ღონისძიებების ჩასატარებლად მათ არც ძალა აკლდათ და არც სურვილი.

ქრისტიანებისა და იუდეველების მიმართ ისლამის თავდაპირველი, შედარებით შემწყნარებლური დამოკიდებულება ემყარებოდა ყურანის ავტორიტეტულ ფრაზას: „არ არის იძულება რწმენაზე“ (სურ. 2. 257). შეზღუდვები და რჯულთშეუწყნარებლობა დაიწყო შედარებით გვიანი, ფანატიზმისათვის უფრო ხელსაყრელი დროიდან, რაც მთელი სისრულით აისახა ხალიფა ომარ II-ის მიერ (ქ. შ. 717-720 წ.წ.) შემუშავებულ „დაცვის სიგელში“. ამ ხალიფამ რელიგიურ შეუწყნარებლობას

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საკონონმდებლო ხასიათი მისცა კონკრეტულად განსაზღვრული მოთხოვნებითა და შეზღუდვებით. ხალიფა ომარ II-ის ეს დოკუმენტი ცნობილია „ომარის კონსტიტუციის“ სახელით და იყო „დაცვის სიგელის“ საფუძველი სახალიფოს ქვეშევრდომი ყველა ქრისტიანისათვის, კონფესიური კუთვნილების მიუხედავად.

ხალივა ომარ II-ის „დაცვის სიგელი“ არის სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც ქართველებმა მიიღეს ქ. შ. 724 წ. ახლო ხანებში. ის შეიცავს ჩვენთვის საინტერესო მოთხოვნებსა და პირობებს, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ საბუთის სრული ტექსტის გამოქვეყნება, რომ უფრო ნათელი გახდეს არსებული საკითხის ყველა მხარე.

ხალიფა ომარ II-ის „დაცვის სიგელი“: „სახელითა ღრმთისაგთა, ყოვლად მოწყალისა და მწყალობელისათა! ეს არის დაწერილი ამა და ამ ქალაქის ქრისტიანთა მიერ ომარ იბნ-ალ-ხათაბის მიმართ. როდესაც თქვენ გამოილაშქრეთ ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ გთხოვეთ დაცვა ჩვენი, ჩვენი ოჯახებისა, ჩვენი საკუთრებისა და ჩვენი ერთმორწმუნეებისა: და ჩვენ დავდეთ ეს ხელშეკრულება თქვენთან, რომ ჩვენ არ ავაშენებთ ჩვენს ქალაქებში და მათ სანახებში ახალ მონასტრებს, ეკლესიებს, სენაკებს, ან განდეგილთა სადგომებს, რომ ჩვენ არ შევაკეთებთ არც ერთ შენობას, რომელიც შეიძლება ნანგრევებად იქცეს, არც განვაახლებთ მათ, რომლებიც განლაგებულია მაჰმადიანთა უბნებიან ქალაქებში, ჩვენ უარს არ ვეტყვით მაჰმადიანებს ჩვენს ეკლესიებში შესვლაზე არც ღამით და არც დღისით, რომ ჩვენ ფართოდ გავულებთ ჩვენი სახლის კარს მგზავრებსა და მოგზაურებს და მივცემთ მათ საკვებსა და საცხოვრებელს სამი ღამით; რომ ჩვენ არ შევიფარებთ არც ერთ ჯაშუშს ჩვენს ეკლესიებსა და სახლებში, არც მაჰმადიანთა არც ერთ მტერს; ასევე ჩვენ ვასწავლით ჩვენს შვილებს ყურანს; ჩვენ არ მოვაწყობთ ქრისტიანულ რელიგიურ სანახაობებს და არც მოვუწოდებთ ვინმეს მიიღოს ეგი. ჩვენ წინ არ აღვუდგებით ჩვენს ერთმორწმუნეებს ისლამის მიღებაში, თუ მათ ეს სურთ; რომ ჩვენ პატივს ვცემთ მაჰმადიანებს და შემაღლებულზე დავსვავთ მათ ჩვენს საკრებულოებში, როცა ისინი ისურვებენ დასხდომას; ჩვენ არ მივბაძავთ მათ ჩვენი ჩაცმულობით, ასევე ქუდით, ჩალმით, ხამლებით, ან თმის ვარცხნილობით; ჩვენ არ გამოვიყენებთ მათ გამოთქმებს საუბარში, არ მივისაკუთრებთ მათ გვარებს; ჩვენ არ ავმხედრდებით უნაგირზე, არ დავიკიდებთ ხმლებს, არ ავიღებთ ჩვენთვის იარაღს და არ ვატარებთ მას; არ ამოვკვეთავთ არაბულ წარწერებს ჩვენს ბეჭდებზე, ჩვენ არ გავყიდით ღვინოს: სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ დავიცავთ ჩვენი ჩაცმულობის თავისებურებას; ჩვენ არ ვატარებთ სარტყლებს წელზე; ჩვენ არ მოვათავსებთ ჯვრებს ჩვენს ეკლესიებზე; არ გამოვაფენთ ჩვენს ჯვრებს ან ჩვენს წმინდა წიგნებს მაჰმადიანთა უბნებში, ან მათი ბაზრობის ადგილებში; ეკლესიებში ჩვენი ძელის რეკვა იქნება დაბალ ხმაზე; რომ ჩვენს ღვთისმსახურებას არ გამოვთქვამთ ხმამაღლა მაჰმადიანთა თანდასწრებით, ჩვენ არ ვატარებთ პალმის რტოებს ან ჩვენს ხატებს ქუჩებში მსვლელობების დროს; რომ ჩვენი სიკვდილის დროს გასვენებებში ჩვენ არ ვიგალობებთ მაღალ ხმაზე, არ ვატარებთ ანთებულ კელაპტრებს მაჰმადიანთა ქუჩებში ან მათი ბაზრობის ადგილებში; ჩვენ არ ავიყვანთ მონებს, რომლებიც იყვნენ მაჰმადიანთა საკუთრებაში; არ ვიჯაშუშებთ მათ სახლებში; ჩვენ არ დავარტყავთ არც ერთ მაჰმადიანს. ჩვენ პირობას ვდებთ, რომ შევასრულებთ ყოველივე ამას ჩვენი და ჩვენი ერთმორწმუნეების ინტერესებისათვის და სანაცვლოდ ვიღებთ დაცვას თქვენგან. და თუ ჩვენ დავარღვევთ ამ შეთანხმების რომელიმე პირობას. მაშინ ჩვენ ვკარგავთ თქვენს დაცვას და თქვენ უფლება გაქვთ მოგვეპყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ ჩვენ როგორც მტრებსა და მეამბოხეებს". (უილიამ ემბროუზ შედდ. ისლამი და აღმოსავლეთის ეკლესიები ინგლისურად. ფილადელფია. 1904. გვ. 235-238).

როგორც ვხედავთ, მოყვანილი „დაცვის სიგელი" უწვრილმანეს დეტალებამდე განსაზღვრავდა ქრისტიანთა ქცევის ნორმებს ხალიფატის ტერიტორიაზე ქ. შ. 720 წლიდან.

ხალიფა ომარ II-ის ეს კანონი დაედო საფუძვლად მომდევნო რელიგიურ შეუწყნარებლობებს მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ათასზე მეტი წლის განმავლობაში (იქვე. გვ. 238). თურქების მიერ დაპყრობილ საბერძნეთში თვით XIX საუკუნეშიც კი აკრძალული იყო ახალი ეკლესიების აგება.

ომარის კონსტიტუცია მოქმედებდა უკანა რიცხვითაც, ანუ დაპყრობილი ქვეყნის ქრისტიანული თემის მიერ პირველი „დაცვის სიგელის" მიღების დღიდან. ადრეულ წლებზე გავრცელებული ეს კანონი, თავისთავად, პირველ რიგში ეხებოდა უნებართვოდ აგებულ ქრისტიანულ ნაგებობებს: ეკლესიებს, მონასტრებს, საკურთხევლებს, ეგუტერებს, ქვა-ჯვრებს და ა. შ.

ყურანი ქრისტიანებს „საღმრთო წერილის" მქონე ხალხად თვლის. ამ ვითარების გამო მუსულმანები ქვეყნის დაპყრობამდე აგებულ ტაძრებს არ ანგრევდნენ, თუ ქალაქების აღება უბრძოლველად ჰქონდათ განხორციელებული და რიგ შემთხვევებში ეკლესიათა მიმართ გარკვეულ პატივისცემასაც კი ამჟღავნებდნენ. მეორე მხრივ მიწასთან ასწორებდნენ ომით დაპყრობილი ქვეყნების ეკლესია-მონასტრებსა და სხვა საკულტო ნაგებობებს. სასტიკად კრძალავდნენ ახლის აგებას, ძველთა შეკეთებას და კურთხევას (განახლებას). ბევრი ეკლესია მეჩეთად გადაკეთდა და ისლამურ ღვთისმსახურებას შეეფარდა.

ამ მიზეზის გამო გადაურჩა სრულ განადგურებას არაბთა ექსპანსიამდე აგებული ეკლესია-მონასტრების ნაწილი არა მარტო თვით არაბების შემოსევების დროს, არამედ მომდევნო ხანაშიც. ამავე მიზეზით იდგა ხელუხლებლად ტფილისის ხიდის ძველი ჯვარი და რამდენიმე ეკლესია წმ. ჰაბო ტფილელის სიკვდილის დროს.

ყურადღებას იქცევს ომარ II-ის „დაცვის სიგელის" დასკვნითი ნაწილი, სადაც ქრისტიანთა მიერ ერთ-ერთი, ნებისმიერი აკრძალვის დარღვევის შედეგებზე არის საუბარი: „თუ ჩვენ (ე. ი. ქრისტიანები) დავარღვევთ ამ შეთანხმების რომელიმე პირობას, მაშინ ჩვენ ვკარგავთ თქვენს დაცვას და თქვენ უფლება გაქვთ მოგვეპყრათ ჩვენ როგორც მტრებსა და მეამბოხეებს", მტრებისა და მეამბოხეების მიმართ ყურანი ერთ სასჯელს ითვალისწინებს — სიკვდილს.

გასგებია, თუ რას ნიშნავდა არაბების დროს საკათედრო ეკლესიის აგება და ისიც მაჰმადიანთა მეციხოვნე ჯარის მიერ დაკავებულ ციხე-ქალაქში. ამიტომ ასეთი ფაქტის არსებობას, რა თქმა უნდა, არცერთი მემატიანე გვერდს არ აუვლიდა, ეს მშენებლობა სინამდვილეში იმ დროს რომ მომხდარიყო

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ გარკვევით მიანიშნებს არაბთა მიერ დაპყრობილ ქართლში ქრისტიანული მშენებლობის სავალალო მდგომარეობაზე — გრიგოლისა და მისი თანამედროვეების მიერ არაბთა გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოს რეგიონებში არ არის აგებული არცერთი ეკლესია, მონასტერი ან სხვა რომელიმე საკულტო ნაგებობა.

„ახალი ეკლესიების შენება სპეციალურ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა, ომარის ტრადიციული კოდექსით — იკრძალებოდა. ახალი ეკლესიები მიწასთან სწორდებოდა ფანატიკოსი ხალიფების დროს" (უ. ე. შედდ. გვ. 114).

მკაცრი ამკრძალავი კანონების მიუხედავად, არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მაინც იყო აშენებული რამდენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ქრისტიანული ეკლესია, რომელთა აგების ნებართვის გაცემა ხალიფატის იერარქიის უმაღლესი ეშელონების პრეროგატივა იყო.

უ. ე. შედდის დასახელებულ ნაშრომში მითითებულია — „სირიულ ქრონიკებში არსებული ჩანაწერები გარკვევით გვამცნობს, რომ ეკლესიების აგების ნებართვა განიხილებოდა როგორც „არაჩვეულებრივი მოვლენა და „განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი". (გვ. 114).

ამ ნებართვას გასცემდა ან ამირა, ან ვალი, ან უშუალოდ ხალიფა. თავად ნებართვის მიღების „აუცილებელი პირობა იყო განსაკუთრებული, უმთავრესად საომარი, სახის დამსახურება არაბთა წინაშე. „არაბი მმართველის მიერ გაცემული ეკლესიის აშენების ნებართვა, თავის მხრივ, ითვალისწინებს ომარ II-ის „დაცვის სიგელის" მოთხოვნებს და გარკვეულ პირობებს უყენებდა ქრისტიანებს: ეკლესიის შენობის აგება არ უნდა მომხდარიყო მაჰმადიანთა საცხოვრებელ უბნებიან ქალაქებში; საამშენებლო „წარწერაში დათარიღება უნდა ყოფილიყო ან ჰიჯრით, ან არაბი მმართველის ზეობით და ამ მმართველის, რომელიც, ამავე დროს, ნებართვის გამცემი პირიც იყო, სახელის ხსენება „აუცილებელი იყო არაბულად — ყურანის, ანუ ალაჰის ენაზე. ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარებულიყო შეზღუდული ცერემონიალით: ჯვრით მსვლელობების, ხმამაღალი გალობისა და ძელის რეკვის გარეშე. ტაძარზე ამოკვეთილი არაბულენოვანი წარწერა, რომელშიც ხსენებული იყო ეკლესიის აგების ნებართვის გამცემი პირი, ასრულებდა „დამცავი მექანიზმის" როლს და ასეთი ნაგებობა, სამომავლოდ, ვითარების შეცვლის მიუხედავად, დაზღვეული იყო მაჰმადიანთა ხელით განადგურებისაგან.

უფრო გასაგები რომ გახდეს ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო და, განსაკუთრებით, თბილისის საამიროს შემადგენლობაში შემავალი ტერიტორია, გავიხსენოთ რამდენიმე თარიღი არაბთა ხალიფატის ისტორიიდან.

ქ. შ. 622 წლის 20 სექტემბერი — მუჰამედის ლტოლვა მექადან მედინას — ჰიჯრა — მუსულმანური წელთაღრიცხვისა და სხვა დოგმატურ შეხედულებათა ამოსავალი. ხალიფა ომარ I-ის დროს (ქ. შ. 634-644 წ. წ.) დაიწყო არაბთა დაპყრობითი ომები — მათ დაიპყრეს სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ნაწილობრივ ირანი. 637 წელს აიღეს და დაანგრიეს ირანის დედაქალაქი ქტესიფონი. 642-643 წლებში არაბთა მარბიელი რაზმები აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრნენ, რომელთა მოგერიებაც ქართველებს არ გასჭირვებიათ. ირანის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ (651 წ.) არაბების დიდი ლაშქარი საქართველოში შემოვიდა და ქართლის ერისმთავარმა 654 წელს მიიღო პირველი „დაცვის სიგელი", რაც, თანამედროვე ტერმინოლოგიით, „უსიტყვო კაპიტულაციას" ნიშნავდა. დამორჩილებული ქრისტიანები, ებრაელები და, მოგვიანებით, ზოროასტრის მიმდევრები, არაბთა სახალიფოში შეადგენდნენ მოსახლეობის განსაკუთრებულ, პირად თავისუფალ, მაგრამ პოლიტიკურად უუფლებო კატეგორიას, რომელთაც „ზიმი"-ები ეწოდებოდათ. თვით ფაქტი ქართველთა მიერ „დაცვის სიგელის" მიღებისა, თუნდაც მისი ტექსტიც რომ არ იყოს ჩვენამდე მოღწეული (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ. 1965 წ. გვ. 75-76), უცილობლად მიუთითებს, რომ 654 წლის შემდეგ არაბები „დაცვის სიგელში" დასახელებული ტერიტორიის — თბილისი, მანგლისისა და არმაზის სანახები — ქრისტიან მოსახლეობას განიხილავდნენ როგორც „ზიმი"-ებს და მათთან დამოკიდებულებასაც შესაბამისად წარმართავდნენ. ხალიფა ოსმანის (644-656 წ. წ.) მკვლელობის შემდეგ დაიწყო შინაური არეულობა არაბთა სახალიფოში და ახალი დაპყრობებისათვის მათ დიდ ხანს ვეღარ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცალეს, თუმცა 688 წლამდე ამიერკავკასიაში კიდევ იდგა არაბთა საკმაოდ ძლიერი ჯარი, რომელიც გაანადგურა ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანე II-მ.

VIII საუკუნის 20-იან წლებში ხალიფა ჰიშამის (724-743 წ. წ.) სარდალმა ჯარაჰ-იბნ-აბდ-ალ-ლაჰმა განაახლა „დაცვის სიგელი", რომელიც 654 წ. მისცა ქართლის ერისმთავარს ჰაბიბ-იბნ-მასლამამ. ხალიფა ომარ II-ის მიერ მიღებული „კონსტიტუციიდან" რამდენიმე წლის შემდეგ „დაცვის სიგელის" შეცვლა შეთხვევით რომ არ მომხდარა, საკამათო არ უნდა იყოს: ამ ახალ საბუთში უკვე სრულიად იქნებოდა ასახული ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც „ომარის კონსტიტუცია" და მის მიერვე მიღებული კიდევ რამდენიმე საგადასახადო კანონი უყენებდა დაპყრობილი ქვეყნების ქრისტიანებს. ქართველობა არაბთა ამ ახალ პირობებს არ დაემორჩილა, რის გამოც იმავე ხალიფა ჰიშამმა 735 წელს საქართველოს სამაგალითოდ დასასჯელად მერვან-იბნ-მუჰამედი, შემდგომში უკანასკნელი ომაიდი ხალიფა — მერვან II (744-749 წ.წ.) გამოგზავნა. ეს არაბი ქართველთა შორის მურვან-ყრუს სახელით არის ცნობილი. თუ რა მოჰყვა მის შემოსევას, ყველა ქართველმა კარგად იცის. „ქართლის ცხოვრება" გვამცნობს — „და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"... „ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე"... „და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოხრებასა" (ქართლის ცხოვრება. I. გვ. 234. გვ. 239. გვ. 250). ე. ი. მურვან ყრუს ამ ლაშქრობის შედეგად უამრავი შენობა განადგურდა, ხოლო საქართველო მრავალი წლის განმავლობაში არაბთა სათარეშო გამხდარა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ სამშვილდის სიონის სადღეისოდ მიღებულ დათარიღებას, რომელიც ბიზანტიელი კეისრების — კონსტანტინე V კოპრონიმესა და ლეონ IV ხაზარის — ზეობით არის განსაზღვრული. ამ დროს, ე. ი. 759-778 წლებში, ბიზანტიას და, შესაბამისად, კეისრებს თბილისის საამიროს ტერიტორიაზე არავითარი უფლება არ ჰქონდათ და არაბთა მიერ განიხილებოდნენ როგორც უმთავრესი მტრები. თბილისის საამიროს უმაღლესი გამგებელი და ხელისუფალი არაბთა ხალიფა იყო. ამიტომ ვნახოთ, თუ ვინ იყო ამ წლებში ხალიფატის ტახტზე.

ქ. შ. 749 წელს, ხალიფა მერვან II-ის (მურვან-ყრუ) მკვლელობის შემდეგ ტახტზე ავიდნენ აბასიანთა დინასტიის წარმომადგენლები. 754 წ. ხალიფა გახდა მეორე აბასიანი — მანსური, რომელმაც ქრისტიანთა მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრით გამოიჩინა თავი: „ცუდი დრო დაუდგათ ქრისტიანებს საზოგადოდ და ქართველებსაც მათ შორის აბბასელ გვარის პირველი ხალიფების მეფობაში, მათ შემოიღეს მკაცრი სარწმუნოებრივი, მაჰმადიანური მიმართულება პოლიტიკაში; ომაიანელთა ხალიფების წინანდელი პოლიტიკა-კი უღმრთოებადა და ურწმუნოებად იყო ცნობილი; მათ დროს ხალხი, დიდი და პატარა, შევიწროებული იყო, ქვეყანა მძიმე ტვირთ ქვეშ იჭყლიტებოდა. ამ მკაცრ მმართველთა გუნდს ხალიფა მანსურიც ეკუთვნოდა" (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ. 1965 წ. გვ. 81). მანსური 775 წელს გარდაიცვალა და ის სახალიფოს ტახტზე მისმა შვილმა მაჰდიმ შეცვალა (775-785 წ. წ.).

ე. ი. სამშვილდის სიონის დღემდე მიღებული დათარიღებით გამოდის, რომ ეკლესიის შენება „დაიწყო" ხალიფა მანსურის ზეობის მე-6 წელს და „დასრულდა" ხალიფა მაჰდის ზეობის მე-3 წელს,

ივანე ჯავახიშვილის ციტატა ნათლად წარმოგვიდგენს აბასიანთა დინას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიის დამოკიდებულებას ქრისტიანების მიმართ: თუ ისეთ ომაიან ხალიფებს, როგორებიც ომარ II, ჰიშამი და მერვან II (მურვან-ყრუ) იყვნენ; აბასიანები „ურწმუნოებად“ თვლიდნენ, მაშინ რას მოუტანდა ქრისტიანებს თავად „კეთილმორწმუნე“ აბასიანთა დინასტია, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს.

ეს აბასიანი ხალიფა მანსური ხომ სწორედ ის მანსურია, რომელმაც ნერსე ქართლის ერისმთავარი ბაღდადის საპყრობილეში დაამწყვდია „შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა“ ქ. შ. 772 -775 წლებში და, თუ სამშვილდის სიონის მიღებულ დათარიღებას გავითვალისწინებთ, სწორედ იმ დროს, როდესაც ამ ეკლესიის შენება თითქმის დასრულებული იყო (?!)

რამდენად უთავსდება ისტორიული რეალობა ამ ქართული ეკლესიის დღემდე მიღებულ თარიღებს?

ხომ კარგად არის ცნობილი, რომ არც მანსურისა და არც მისი მემკვიდრე მაჰდის დროს ხალიფატის ტერიტორიაზე არ აგებულა არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო, ქრისტიანული ეკლესია, მაშინ, როდესაც უამრავი დაინგრა, შეგინებულ და წაბილწულ იქნა?

არაბთა ხალიფოს ისტორიის, მისი კანონების და ქრისტიანთა მიმართ დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ ყველასათვის გასაგები ხდება, რომ სამშვილდის სიონი, გამომდინარე თვით საამშენებლო წარწერიდან და შენობის ადგილმდებარეობიდან, მეორე „დაცვის სიგელის“ მოქმედების ხანაში და არაბთა მფლობელობის მეორე—ბატონობის — პერიოდში ვერ აშენდებოდა.

შორს რომ არ წავიდე ახლო აღმოსავლეთისა და სხვა, არაბთა ხალიფატის გავლენის ქვეშ მყოფი, ქრისტიანული ეკლესიების მაგალითების მოყვანით, საქართველოს რეალობიდანაც კარგად ჩანს, თუ სად და როგორ ხდებოდა ეკლესიის შენება არაბთა ბატონობის ჟამს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

101
13/VIII 97

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61, მთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/მგ. მდივნის 99-91-00, და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 29. 07. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 08. 96 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 853. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", კოსტავას ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი სახელშეკრულებო

ინდექსი
76128